


ISSN 1512-0597

ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 6

2000

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

№ 6

D Z I E B A N I

The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences

Tbilisi

2000

თბილისი

63.4 (2Γ)
902/904 (479.22)
ძ531

მთავარი რედაქტორი: **ოთარ ლორთქიფანიძე**
Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: **ვ. ლიხელი, ირ. ჯალაღანია, გ. კვიციანი,**
ვ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,
ბ. ჯორბენაძე, გ. მინდიაშვილი,
ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirvelia,**
V. Japaridze, G. Narimanishvili, B. Jorbenadze,†,
G. Mindiashvili, A. Chqonia, D. Bakradze

სარედაქციო კოლეგია: **დ. კაჭარავა, გ. კვიციანი,**
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე,†,
ნ. მიწიშვილი

Editors of the Volume: **D. Kacharava, G. Kvirvelia,**
G. Narimanishvili, B. Jorbenadze,†,
N. Mitsishvili

შინაარსი Contest

ს ტ ა ტ ი ე ბ ი Articles

ლ. ნებიერიძე. მღვიმე საგვარჯილეს სამკაულებისა და ამულეტების დათარიღებისათვის ..	5
L. Nebieridze. Über die Datierung von Schmuckstücken und Amuletten aus der Höhle von Sagwardjile (Zusammenfassung)	9
ქ. ესაკია, ნ. რუსიშვილი. ჩიხორის ნამოსახლარი პალეოეთნობოტანიკური და ტრასოლოგიური მონაცემებით	13
K. Esakia, N. Rusishvili. Chikhori Settlement According to Palaeoethnobotanical and Trace Study Data (Summary)	14
ა. ორჯონიკიძე. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები ჯავახეთის პლატოდან	16
A. Orjonikidze. Kura-Araxes Sites at Javakheti (Summary)	19
ლ. ჯიბლაძე. პროტო- და ძველკოლხური კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის	21
L. Jibladze. On Some Disputed Questions of Proto- and Ancient Colchian Culture (Summary)	24
ალ. რამიშვილი. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი	28
A. Ramishvili. Some Problems of Periodization of the Final Stages of the Bronze Age in Shida Kartli (Summary)	34
ნ. სულავა. თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის	38
N. Sulava. Towards Dating the Complexes with Fibulae at the Necropolis of Tlia (Summary) ..	43
თ. ჩიქოვანი. კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი დასახლების მოდელი	46
T. Chikovani. A Model of Ancient Settlement of Colchian Coast of the Black Sea (Summary)	52
გ. გამყრელიძე. ერთი ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადეიშვილების გორის ნაგებობიდან	54
G. Gamkrelidze. Towards Interpretation of the Clay Object from Adeishvilebis-Gora Construction (Summary)	55
ქ. ი. რამიშვილი. მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრე-ქრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან	60
K. I. Ramishvili. Plant Motifs on Sasanian Gems and some Contacts with Georgian Monuments of Early Christian Period (Summary)	64
ქ. რ. რამიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხენი)	68
K. R. Ramishvili. Minor Art Specimens from the Eastern Georgian Highland of the First Half of the 1 st Millennium A. D. (Summary)	73
დ. მინდორაშვილი. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. I.	78
D. Mindorashvili. Archaeological Evidence of Gveleti Necropolis. I (Summary)	82
შ. ჩართოლანი, რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი. ჰეშკილდის წმინდა გიორგი	87
Sh. Chartolani, R. Khvistani, M. Tsindeliiani. St. George of Heshkildi (Summary)	90
თ. აბულაშვილი. ბ. კუფტინის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები	97
T. Abulashvili. Field Archaeological Studies of B. Kuftin Undertaken on the Territory of Georgia (Summary)	99

ა რ ქ ე თ ლ ო გ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა
History of Archaeology

მ. მუმლაძე. საეკლესიო მუზეუმი თბილისში	101
M. Mumladze. Church Museum in Tbilisi	104
მ. ჩარკვიანი. ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953).	105
M. Charkviani. Ekvtime Taqaishvili (1863-1953)	105

ქ რ ო ნ ი კ ა
Chronicle

გ. მინდიაშვილი. 1999 წლის საველე სამუშაოები	108
G. Mindiashvili. Field Work in 1999	110

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა
In Memoriam

გ. ფხაკაძე. ტარიელ ჩუბინიშვილი (1920-1983)	113
G. Pkhakadze. Tariel Chubinishvili (1920-1983)	113
ლ. სახაროვა. როსტომ აბრამიშვილი (1925-1996)	115
L. Sakharova. Rostom Abramishvili (1925-1996)	115
ვ. ჩიხლაძე. ბესარიონ ჯორბენაძის მოსაგონარი	117
V. Chikhladze. In Memory of Besarion Jorbenadze	117
შემოკლებათა სია	118
Abbreviations	118

ლაპარა ნებიერიძე

აღვიმე საგვარჯილეს სამკაულებისა და აშუღებების დათარიღებისათვის


საგვარჯილეს ენეოლითური ფენის (ზევიდან II) სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი იყო ქვის რბილი ქანისაგან (ტალკი), ძვლისაგან, ნიჟარისა და თიხისაგან დამზადებული ნაირგვარი ფორმის სამკაულები და საკიდი-ამულეტები, კერძოდ: მსხლისებური და ე.წ. წვეთისებური საკიდები, ტალკის გახვრეტილი ფირფიტები, ცხოველის კბილები (აგრეთვე გახვრეტილი), თევზის გამოსახულების მქონე ძვლის საკიდი, ყელსაბამის ნიჟარები, ძვლის საკინძი, თიხისა და სადაფის მძივები (ტაბ. I). როგორც ცნობილია, ეს სამკაულ-ამულეტები ყველა, გარდა სამაჯურებისა და თიხის მძივებისა, პალეოლითურად იყო მიჩნეული, ასე შევიდნენ ისინი არქეოლოგიურ ლიტერატურაში [1, გვ. 35; 2, გვ. 180, ნახ. 59-60; 3, გვ. 112, 115; 4].

საგვარჯილეს ენეოლითური ფენის მასალის პუბლიკაციისათვის მომზადებისას, მისი სტრატეგრაფიული და შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლისას, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამკაული და საკიდი-ამულეტი ენეოლითური ფენიდან მომდინარეობდა. მოვიტანთ ამის დამამტკიცებელ სტრატეგრაფიულ და ტიპოლოგიურ მახასიათებლებს.

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ მთავარი სტრატეგრაფიული დეტალები. მიუხედავად იმისა, რომ მღვიმის დიდ ნაწილში კულტურული ფენები ძალიან იყო დაზიანებული, II თხრილში, რომლის ფართობი 8 მ ჩ 40 მ-ს უდრდა, ენეოლითური ფენა დიდ ფართობზე უძრავ მდგომარეობაში იყო შემორჩენილი, რასაც მოწმობს ამ ფენაში 1,65 მ-ის და 2,5 მ-ის სიღრმეებზე გამოვლენილი ორი, ერთმანეთის ქვეშ მდებარე წითლადგამოწვარი, თიხატკეპნილი იატაკი ხის ბოძების საყრდენი ღრმულებით და ამ ფენიდან ჩაშვებული ორმოები. ამას კარგად გვიჩვენებს II თხრილის ჩრდილო კედლის ჭრილი (IV-IV), (ტაბ. II). იატაკებს შორის დაახ. 50-60 სმ კულტურული ფენა იდო. ამავე თხრილის ფერდობზე (ნიშნულები 32-33) 1,80 მ-ის სიღრმეზე, უძრავ მდგომარეობაში (*in situ*) აღმოჩნდა ენეოლითური ხანის სამარხი, რაც იმას მოწმობს, რომ კულტურული ფენა II თხრილის ამ მონაკვეთში უძრავი იყო. ამავე თხრილის II ფენის უძრავობას მოწმობს აგრეთვე თიხატკეპნილი იატაკებზე შემორჩენილი საკულტო და რამდენიმე პრაქტიკული დანიშნულების მცირე კერა. მღვიმის წინა ნაწილში და წინა ფართობზე კულტურული ფენის სისქე 3 მ აღწევდა. ამ მონაკვეთში პალეოლითური ფენა მიკვლეული არ ყოფილა. ეს სტრატეგრაფიული დეტალები მოგვაქვს იმის საჩვენებლად, რომ მეორე თხრილის მონაცემების მიხედვით შეიძლება სტრატეგრაფიული სიტუაციის აღდგენა.

საგვარჯილეს II თხრილის II ფენის ბრექჩიის უბანზე 2 მეტრის სიღრმეზე სხვადასხვა

ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა 19 ცალი ზღვის ლოკოკინის ნიჟარა [1, გვ. 19], (ტაბ. I₁₉; სურ. 1).



ყოველი ნიჟარის ზედა უკანასკნელი ზვეული გახვრეტილია. ჩანს, რომ ისინი ყელსაბამის ნაწილები ყოფილა. მოლუსკის ეს სახეობა უცნობია საქართველოსათვის და არც მსგავსი სამკაული არის დადასტურებული პალეოლითის რომელიმე ძეგლზე. სპეციალისტებმა ისინი მოლუსკების ტურიტელთა გვარს (*Turritella duplicata sinue*) მიაკუთვნეს, წარმოშობით ხმელთაშუა ზღვის აუზს ან ინდოეთის ოკეანეს (წითელი ზღვის ჩათვლით) დაუკავშირეს და ერთ-ერთი ამ რეგიონიდან შემოტანილად მიიჩნიეს.¹

სურ. 1

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საველე დოკუმენტაციის თანახმად (დღიურები, დავთრები, ანგარიშები),² იმავე ფენაში, რომელშიც აღმოჩენილი იყო ტურიტელები, ნაპოვნი იყო ტალკისაგან დამზადებული სხვადასხვა მოყვანილობის, მათ შორის მსხლისებური და წვეთისებური ფორმის ყუნწგახვრეტილი ბოლო-მომრგვალებული გულსაკიდები და ტალკისავე ორნახვრეტიანი თხელი ფირფიტა (გადატეხილი) შემკული წერტილიანი ორნამენტით, რომლის ოვალურ ნაპირზე ორი ნახვრეტია [5, გვ. 25-27; 11, გვ. 19], (ტაბ. I_{7-11,21}). როგორც ვხვდებით, ჩამოთვლილი ნივთები ერთ ფენაშია აღმოჩენილი. იგივეს ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) 1959 წელს გამოცემულ „საქართველოს არქეოლოგია“-ში [1, გვ. 38]. იქ ნათქვამია, რომ ტურიტელები, ტალკის საკიდები, თევზის გამოსახულებიანი ძვლის საკიდი და ცხოველის გახვრეტილი კბილები II ფენაში 2 მეტრის სიღრმეზეა აღმოჩენილი.³ როგორც

¹ ნიჟარები შეისწავლეს საქართველოს მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგმა პროფ. ა. საღოვსკიმ და სანკტ-პეტერბურგის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეც. თანამშრომელმა ი. გალკინმა, პროფ. ა. ჟადინის ხელმძღვანელობით.

² საგვარჯილეს გათხრების საველე დოკუმენტაცია ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

³ 1991 წელს გამოცემულ „საქართველოს არქეოლოგია“-ში სამკაულ-ამულეტების აღმოჩენის ადგილად

უკვე აღვნიშნეთ, II ფენის სიღრმე მღვიმის დიდ ნაწილში თითქმის 3 მეტრს აღწევდა. მასში უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი, ერთმანეთის ქვეშ მდებარე ორი წითლადგამოწვარი თიხატკეპნილი იატაკი კარგად თარიღდება ენეოლითური მასალით. ორი მეტრის სიღრმეზე და უფრო ღრმადაც ეს ფენა ენეოლითურია.

საინტერესოა შემდეგი სტრატეგრაფიული დეტალები: მღვიმის წინა ფართობზე (მე-13 ნიშნული), სადაც, როგორც აღვნიშნეთ, შემორჩენილი იყო უძრავი ენეოლითური ფენა, 1,4 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდა ქვის ნახევარკალისებური საკიდი. მის გვერდით მე-12 ნიშნულში კი, 1,6 მ-ის სიმაღლეზე, ნაპოვნი იყო სპილენძის ღერო. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ საკიდი ენეოლითურ ფენას ეკუთვნის. იგივეს ადასტურებს ძვლის ანალოგიური საკიდის აღმოჩენა საგვარჯილედან 0,5 კმ-ის მანძილზე მდებარე ღია ენეოლითური ნამოსახლარის ფენაში.

საგვარჯილეს II თხრილის (მე-9-11 ნიშნულებში) მღვიმის წინა ფართობზე (მისი უკანა კედლიდან 9 მეტრის სიღრმეზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ობსიდიანის მასალა, რომელშიც ნაპოვნი იყო ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან გამოთლილი თევზის გამოსახულების მქონე საკიდი⁴ [8, გვ. 46]⁴ (ტაბ. I₆), რომელსაც თვალის ადგილზე გამჭოლი ნახვრეტი აქვს, წვეტიანი ბოლო კი შემკულია წიწვისებური არაღრმა, მაგრამ სიმეტრიული ნაკაწრი ორნამენტით.

ამგვარივე ნაკაწრი ორნამენტით შემკულია II ფენაში ნაპოვნი ძვლის საკინძის თავი (ტაბ. I₇). ამავე ფენის წინა ფართობზე მრავლადაა ნაპოვნი კერამიკის ფრაგმენტები, ქვის იარაღებისა და სამაჯურების ნატეხები [6; 11, გვ. 20]. აგრეთვე ამავე ფენის კერაში აღმოჩნდა ტალკის თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები საკიდი, რომლის ორივე მხარე შემკულია დაშტრიხული ტეხილხაზიანი ორნამენტით. საკიდი ცხოველის (?) თავის გამოსახულებას წააგავს, ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. დაზიანებას გადაარჩენილი ნაპირი კი დაკბილულია [11, გვ. 20], (ტაბ. I₂₀). ეს საკიდიც, ტურიტელებთან აღმოჩენილი საკიდებისა და ორნახვრეტიანი ფირფიტის მსგავსად, ტალკისაგანაა დამზადებული. ეს ნიშანიც სტრატეგრაფიასთან ერთად მიგვანიშნებს მის კუთვნილებაზე მეორე ფენისადმი და, თავის მხრივ, ათარიღებს თევზისებურ საკიდს ენეოლითური ხანით.

II თხრილის ჭრილი (IV-IV) გვიჩვენებს, რომ წინა ფართობზე 2-3 მეტრის სიღრმეზე არ ყოფილა მიკვლეული ზედაპალეოლითური ფენა.

მე-3, ხოლო ტურიტელებისათვის მე-2 ფენაა მითითებული [2, გვ. 180], რაც არ შეესაბამება არც საველე დოკუმენტაციისა და არც სტრატეგრაფიის მონაცემებს, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ტურიტელები და ტალკის გულსაკიდები ერთ ფენაშია ნაპოვნი.

⁴ საველე დღიურში ამ ნივთის აღმოჩენის სიღრმე 2 მ-ია. 1952 წლის ანგარიშში კი მისი სიღრმე 2,8 მ-ია, რომელიც შემდეგ გადასწორებულია 3 მ-ად. ამ სიღრმეზედაც ფენა ენეოლითურია.

თევზისთავიანი საკიდი კი აღმოჩენილი იყო წინა ფართობზე, სადაც ენეოლითური ფენის სისქე დაახლოებით 3 მეტრს უდრიდა.

ამგვარად, მღვიმის სტრატეგრაფია, საველე დღიურებისა და გათხრის ანგარიშების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ტურიტელები, ტალკის სხვადასხვა ფორმის საკიდი-ამულეტები და მათ შორის ტალკის ორნახვრეტიანი ფირფიტა, სამაჯურებთან ერთად, ერთ ფენაშია აღმოჩენილი 2 მეტრის სიღრმეზე. ამავე II თხრილში ეს დონე სტრატეგრაფიულად დევს (პირველი მოტკეპნილი იატაკის ქვემოთ) მეორე წითლად გამოწვარი თიხატკეპნილი იატაკის დონეზე, რომელიც ორივე თხრილში კარგად თარიღდება ენეოლითური ხანით.

საგვარჯილეს II თხრილის II ფენის მოტკეპნილი იატაკის დონეზე, რომელზედაც ჭარბად გამოჩნდა ენეოლითური მასალა, აღმოჩენილი იყო ცხოველის გახვრეტილი კბილების საკიდი – ამულეტები [8, გვ. 85], (ტაბ. I₈). ამავე ფენაში ნაპოვნი იყო გარეული ტახის ბოლო-გახვრეტილი ქვედა ეშვები, რომლებიც როგორც ჩანს, ავგაროვებად იყო გამოყენებული. მსგავსი საკიდები (ეშვების) ფართოდ იყო გავრცელებული ადრელითონის ხანის სხვადასხვა რეგიონის ძეგლებზეც.

ცხოველის გახვრეტილი კბილები და ეშვები ნაპოვნია ადრელითონის ხანის მეშოკოსა [13, გვ. 121] და ტრიპოლიეს კულტურის ღია ნამოსახლარებზე [10, გვ. 199], (ტაბ. III₅). აგრეთვე ნალჩიკის სამაროვნის ადრეული ჯგუფის სამარხებში [12, გვ. 117-118], (ტაბ. III₄). ისინი ხშირად გვხვდება ამ სამარხების თავსამკაულებსა და ყელსაბამებში სხვადასხვა სახის გახვრეტილი ნიჟარებთან ერთად. მაგალითისთვის მოვიყვანთ ნალჩიკის სამაროვნის სამიოდე სამარხის მასალას: ბავშვის სამარხში (№ 8) ჩონჩხის გულმკერდის არეში ჩატანებული იყო ქვის ცილინდრული ფორმის მძივებთან ერთად 24 საკიდი თხისა თუ ცხვრის გახვრეტილი კბილებისა, მენჯის ძვლებზე 3 გახვრეტილი ნიჟარა (*Pectunculus sp.*) და 9 საკიდი სხვადასხვა გარეული ცხოველების (ირემი, მელა, კატა) ეშვებისა.

№ 31 სამარხში ნაპოვნია ხუთი გახვრეტილი ნიჟარა (*Buliminus sp.*) თიხის ორნამენტირებულ ჭურჭელთან და სპილენძის საკიდთან ერთად.

№ 86 სამარხში სპილენძის ბეჭედთან და ქვის ორ სამაჯურთან ერთად დიდი რაოდენობით იყო ჩატანებული ცხოველების ეშვებისა და კბილების საკიდები: 16 ცალი გახვრეტილი ირმის ეშვის, 31 ცალი ხარის გახვრეტილი კბილების და 2 ქვის საკიდი, დამზადებული სამაჯურის ნატეხებისაგან [12, გვ. 117-118]. ყველა ჩამოთვლილი ნივთი აქ, საგვარჯილეს მსგავსად, გვხვდება ქვის სამაჯურებთან ერთად, ერთ კომპლექსში. ამგვარი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევაში ეს ნივთები ენეოლითური ფენის კუთვნილებაა. თუმცა არ გამოვრიცხავთ ცხოველე-

ბის გახვრეტილი კბილების არსებობას წინარე ფენაშიც.

საკიდების შესახებ ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) საველე დღიურში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ II თხრილის ბრექჩიის უბნის ფენაში აღმოჩენილ ქვის რბილი ქანისაგან (ტალკი) დამზადებულ მოთეთრო საკიდ-ამულეტებს ირმის კბილის მსგავსი ფორმა აქვთ [7, გვ. 81]. იგივეს აღნიშნავდა იგი 1991 წელს გამოცემულ „საქართველოს არქეოლოგია“-ში [2, გვ. 180].

ტურიტელებთან ერთ ფენაში აღმოჩენილი მსხლისებური და ე.წ. წვეთისებური საკიდები (ტაბ. III₂) მაიკოპის კულტურის ძეგლების დამახასიათებელი ელემენტია. ირმის კბილის საკიდები და ძვლისაგან გამოჭრილი ირმის კბილის იმიტაციები [13, გვ. 121] ცნობილია მეშოკის ნამოსახლარის ზედა ფენიდან და ნოვოსობოდნაის ყორღანებიდან [13, გვ. 146-147] (იხ. შესადარებელი ტაბულა III_{2.3}). მსგავსი საკიდები ნაპოვნია ტელ-მაგზალის (მესოპოტამია) ნამოსახლარზე.

ორნახვრეტიანი, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ფირფიტები (ოვალური, მომრგვალო ან სწორკუთხა ფორმისა) მიჩნეულია ტანსაცმლის სამკაულად ან ამულეტად [10, გვ. 60-61; 16, გვ. 132-133]. მსგავსი ფირფიტისებური სამკაულები თუ ამულეტები დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებისათვის და აგრეთვე გვხვდება ამავე პერიოდის სამარხებში. ტელ-მაგზალის ნამოსახლარიდან ცნობილია ობსიდიანისა და ქვის ამგვარი ნივთები, რომლებიც ნაპოვნია მსხლისებურ საკიდებთან და ქვის სამაჯურებთან ერთად [9, გვ. 103, ტაბ. 39]. მსგავსი, სადაფის ოვალური და ოთხკუთხა ფირფიტები, ნიჟარებისაგან ნაკეთები (ორივე ან ერთ-ერთ ბოლოზე ორ-ორი ნახვრეტით) აღმოჩენილია ლუკა ვრუბლევეცკაიას (ტრიპოლიეს კულტურა) ნამოსახლარზე [10, გვ. 60-61]. მერგელისაგან დამზადებული მომრგვალო, თავწაჭრილი, ორნახვრეტიანი ფირფიტა-სამკაული თუ ამულეტი აღმოჩენილია აგრეთვე გროზნოს მახლობლად ერთ-ერთ ენეოლითურ სამარხში [16, გვ. 132]. ანალოგიური ნივთი ცნობილია მარიუპოლის სამაროვნის ბავშვის სამარხიდან. ჩონჩხს მკერდის არეში ჰქონდა პორფირიტის ამგვარივე ფირფიტა, რომელსაც მისი შემსწავლელი ნ. მაკარენკო ამულეტად მიიჩნევდა [16, გვ. 132-133].

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი ორნახვრეტიანი ფირფიტები, საგვარჯილეს მსგავსად, ყველგან ნაპოვნია ოვალურ ან მსხლისებურ საკიდებთან ერთად.

როგორც ვხედავთ, ნიჟარების სამკაულებად გამოყენება, ცხოველის გახვრეტილ ეშვებსა და კბილებთან ერთად, დასტურდება ნალჩიკის სამაროვანზეც. მხოლოდ იქ ყელსაბამში გამოყენებული იყო სხვა სახის მოლუსკის (*Pectunenus sp.*) გახვრეტილი ნიჟარები, რომელთა სამშობლოდ სპეციალისტები აგრეთვე ხმელთაშუაზღვის აუზს მიიჩნევენ [12, გვ. 117-118]. ამგვარივე გახვრეტილი ნიჟარები ნაპოვნია

იყო მარიუპოლის სამაროვნის სამარხებშიც [12, გვ. 119]. აღნიშნული სამაროვნები წინამაიკოპურ პერიოდს განეკუთვნება. ნიჟარები სამკაულებად გამოყენებული იყო აგრეთვე ტრიპოლიეს კულტურის ნამოსახლარებზე. აქ ნაპოვნია იყო გახვრეტილი, ორკარიანი ნიჟარების (*Unio*) გვერდები [10, გვ. 200]. ნიჟარების სამკაულებად გამოყენება ცნობილია ტელსოტოს (მესოპოტამია) ქვედა კულტურული ფენის ბავშვის სამარხიდან [9, გვ. 134]. ბავშვის ყელი შემკული იყო ყელსაბამით, რომელშიც სხვა მძივებთან ერთად ჩატანებული ყოფილა გახვრეტილი ნიჟარებიც და სპილენძის 2 მძივი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროტონეოლითური ეინანის ნამოსახლარის იატაკქვეშა სამარხებში ნაპოვნი ყელსაბამები, რომლებიც ხმელთაშუაზღვის ნიჟარებისაგან (*Dentalium*) იყო შედგენილი. ეინანის ე.წ. ბელადის სამარხის ცენტრში დაკრძალულთა ორი ჩონჩხიდან ერთი ქალს ეკუთვნოდა, რომელზედაც აღმოჩნდა ხმელთაშუაზღვის ნიჟარების (*Dentalium*) თავსამკაული [15, გვ. 29]. ამგვარივე, კარგი ხარისხის ნიჟარების თავსამკაული ნაპოვნია იყო მღვიმე ელ ვადის (აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთი) სამარხებში. ამ ნიჟარების შესახებ ჯ. მელ-არტი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ისინი გარეგნულად ცხოველების კბილებს (ეშვებს) წააგვანან [15, გვ. 28].

ანალოგიური შეხედულება საგვარჯილეს ქვის გულსაკიდების ფორმის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოთქმული ჰქონდა ნ. ბერძენიშვილს (კილაძე) თავის საველე დღიურში [6, გვ. 81] და შემდეგ დაბეჭდილ ნაშრომში [2, გვ. 180]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ პერიოდის ძეგლებში ერთდროულად ცხოველების გახვრეტილი კბილების ამულეტების და მათი ქვის იმიტაციების თანარსებობა.

როგორც ჩანს, ამულეტების თუ სამკაულების ამ სახეს გაერცვლების ფართო არეალი ჰქონდა, რომელიც მოიცავდა მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონს და ჩრდილო და დასავლეთ კავკასიას.

როგორც ჩანს, ამ იმპორტული ნიჟარებისა და საერთოდ ცხოველების კბილების იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს საგვარჯილეს ირმის კბილის ფორმის ქვის საკიდები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაგროსის მთიანეთის პროტონეოლითურ ფენაში (ზავი-ჩემი და შანიდარი B 1) ნაპოვნი ოვალური, ორხვრელიანი და მრგვალი, ცენტრში გახვრეტილი ფირფიტები, აგრეთვე ქვის მოგრძო საკიდები [15, 22].

საინტერესოა მახლობელი აღმოსავლეთის ნეოლით-ენეოლითური ძეგლებიდან ცნობილი ქვის სხვადასხვა ქანებისაგან – სტეატითი, პორფირითი, კირქვა, მარმარილოსა და სპილენძისაგანაც დამზადებული საკიდები. ზაგროსის მთიანეთში ჩნდება შიფერის საკიდები ამოკაწრული ორნამენტით და ქვის სამაჯურები (კარიმ შახირი). აქვე იყო ნაპოვნი ძვლის მძივები,

ბეჭდები, ცხოველის გახვრეტილი კბილები და საკინძები. აღსანიშნავია, რომ აქაც არის ორხვრელიანი ანალოგიური ფირფიტები [15, გვ. 24].

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროტონეოლითურ ნამოსახლარებზე (ეინანი, ვადი ფალა, კებარა) ნაპოვნია რიყის ქვების მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი საკიდები [15, გვ. 31].

კვიპროსზე, სიროკიტის ნამოსახლარზე (უკერამიკო ნეოლითი) სამკაულები წარმოდგენილი იყო სარდიონისა და პირიტის საკიდებით, სამაჯურებით, ნიჟარებისაგან (*Dentalium*) შეღებნილი ყელსაბამით [15, გვ. 53].

მოტანილი პარალელური მასალა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლეთ კავკასიის ენეოლითში გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ანალოგიური სამკაულები და ამულეტები.

II თხრილის წინა ფართობზე (მე-12-14 ნიშნულებში) 2,7 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ნიჟარის სარქველებისაგან დამზადებული სადაფის მძივები (141 ცალი) – მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი ფირფიტები (ტაბ. I₁₃). ძვლის ანკესთან და სადგისთან ერთად ნიჟარების სადაფის სამკაული ფართოდ იყო გავრცელებული ენეოლითის ხანაში.

II თხრილის წინა ფართობზე (მე-9-11 ნიშნულები), 1 მეტრის სიღრმეზე, ნაპოვნია ცილინდრული ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი, თიხის მასიური 2 მძივი გამჭოლი ხვრელით (ტაბ. I₁₄₋₁₅). თიხის მძივებიც სამკაულის გავრცელებული სახე იყო წინააზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე.

საგვარჯილეს ენეოლითურ კოლექციაში, როგორც აღვნიშნეთ, არის თიხისა და ქვის სამაჯურები. თიხის სამაჯურები (ტაბ. I₄₋₅) გამოწვარია მოშავო-მონაცრისფროდ, რუხად ან მოშავოდ, სამაჯურები ბრტყელია და ზედაპირზე აქვთ სხვადასხვა რაოდენობის რელიეფური ზოლები რომელთა რაოდენობა 2-10 შორის მერყეობს. სამაჯურების სიგანე დამოკიდებულია რელიეფური ზოლების რაოდენობაზე და მერყეობს 1,3 სმ-დან 3,25 სმ-დე. რაც მეტია ზედაპირზე რელიეფური ზოლები, მით უფრო განიერია სამაჯური. ისინი გვხვდება მთელი ენეოლითური ფენის სიღრმეზე.

საგვარჯილეს თიხის სამაჯურების მსგავსება ვლინდება მდ. ფარსის აუზის (ყუბანისპირეთი) ორ ძეგლთან – ვესიოლისთან და იასენოვა პოლიანასთან. ყუბანისპირეთში შესწავლილი მაიკოპის კულტურის შვიდი ნამოსახლარიდან მხოლოდ უკანასკნელ ორზეა ნაპოვნი კერამიკული სამაჯურები. დასავლეთ საქართველოში კერამიკული სამაჯურები ცნობილია ჯერჯერობით მხოლოდ საგვარჯილედან.

ქვის სამაჯურების დიდი ნაწილი თხელი ფიქალისაგანაა ნაკეთები; არის მერგელისაგან დამზადებულებიც, რომლებსაც სხვადასხვა განივკვეთი (ოთხკუთხა, სამკუთხა) აქვთ. ზოგს ზურგზე მალალი ქედი მიუყვება, ზოგს ნახვრეტიც გააჩნია, შეკეთების მიზნით გაკეთებული.

სამაჯურები ყველა მრგვალი და სხვადასხვა დიამეტრის მქონეა. მათი სიგანე 0,3 სმ-დან 1,2 სმ-დე მერყეობს. ქვის სხვა ქანების სამაჯურები შედარებით ნაკლებია. მათი ქვედა მხარე ბრტყელია, ზედა ხშირად – ამობურცულ-წიბოიანი (სამკუთხა განივკვეთი), (ტაბ. I_{1,2,6}).

საგვარჯილეს ქვის სამაჯურებს ზუსტი პარალელები აქვს დასავლეთი ამიერკავკასიის თითქმის ყველა მღვიმის ენეოლითური ფენის მასალებში. მერგელისა და ფიქალის სამაჯურები გვხვდება აგრეთვე ღია ნამოსახლარებზე (თურამიწა, ახალსოფელი).

ანალოგიური სამაჯურები მსხლისებურ საკიდებთან ერთად მაიკოპის კულტურის ადრეული ნამოსახლარების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ისინი გვხვდება ყუბანისპირეთის ადრენეოლითის ხანის ნამოსახლარებზე და ნალჩიკის სამაროვნის ადრეული ჯგუფის სამარხებში. მარმარილოს სამაჯურები დამახასიათებელია ჯარმოს (ჩრდ. მესოპოტამია) ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის, რომელიც ძვ.წ. VII ათასწლ. თარიღდება [15, გვ. 52].

სამაჯურებს გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები აქვს, რომელიც ახასიათებს ადრეულითონის ხანის ძეგლებს. თავის მხრივ, ისინი კარგად ათარიღებენ მათთან ერთად, ერთ ფენაში ნაპოვნ დანარჩენ სამკაულ-ამულეტებს, ტურიტელებს, თევზისებურ საკიდს და სადაფის მძივებს.

მოტანილი პარალელური მასალიდან კარგად ჩანს, რომ ნიჟარების სამკაულები, საკიდი-ამულეტები და ქვის სამაჯურები დამახასიათებელი იყო ადრენეოლითის ხანის როგორც დასავლეთი კავკასიის, ისე წინააზიური ძეგლებისათვის. საგვარჯილეს აღნიშნული სამკაულები და ამულეტები ენეოლითური ტომების ფართო კონტაქტების მაჩვენებელია.

ვ. მასონი თვლის, რომ ამ ეპოქის რეგულარულ გაცვლაში ჩართულია სამკაულები, მათი დასამზადებელი მასალა-ნიჟარები და იშვიათი მინერალები, ჩნდება პირველი ფორმები საყოველთაო ექვივალენტური ღირებულების, ე.წ. პირველყოფილი ფული, რაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ნივთებით და აგრეთვე უტილიტარული საგნებით [14, გვ. 61].

ამგვარად, საგვარჯილეს II კულტურული ფენის სტრატეგრაფიული მონაცემებისა და მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ ნაპოვნი, მანამდე პალეოლითურად მიჩნეული სამკაულები და საკიდი-ამულეტები აღმოჩენილი იყო ენეოლითურ ფენაში ენეოლითურ არტეფაქტებთან ერთად და გვიანენეოლითური კომპლექსის შემადგენელი ნაწილია.

L. Nebieridse

**UBER DIE DATIERUNG VON
SCHMUCKSTÜCKEN UND
AMULETTEN AUS DER HÖHLE
VON SAGWARJILE**
(Zusammenfassung)

In der zweiten Schicht der Sagwarjile Höhle (Bezirk Terdschola) sind verschiedene Schmuckstücke und Amulett-Anhänger entdeckt worden: Arm-bänder aus Stein und Keramik, durchbohrte See-moluskenmuscheln (19 Stück, *Turritella duplicata* sinue), birnen- und tropfenförmige Anhänger, durchbohrte Tierzähne, fischförmige Knochen-Anhänger, Knochenstecknadeln mit Ornament, Durchstecher aus Perlmutter (141 Stück), Ton-halsketten (2 Stück).

Der grösste Teil von diesem Schmuck und Amulett-Anhänger wird als paleolithisch einge-stuft. Durch ausführliche stratigraphische und vergleichend typologische Untersuchungen wurde jedoch festgestellt, dass die oben erwähnten Schmuckstücke und Amulett-Anhänger gemein-sam mit anderen äneolitischen Artefakten der äneolitischen Schicht zugerechnet werden sollen.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. ზედა პალეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 53-67.
2. ბერძენიშვილი ნ., ნიორაძე მ. ზედაპა-ლეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია. ტ. I, თბ., 1991, გვ. 130-196.
3. კალანდაძე აღ. გვიანი (ზედა) პალეო-ლითი. – სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 77-118.
4. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალ-ფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“ – სმამ, ტ. 14, 9, 1953, გვ. 561-567.
5. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძვერის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის 1952 წლის საველე მუშაობის შედეგები (ხელნაწერი). ინახება აკც-ის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
6. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძვერის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური № 1 (1952 წ. 12/IV). ინახება აკც-ის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
7. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძვერის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური № 3 (1952 წ.). – ინახება აკც-ის ძველი ქვის ხა-ნის არქეოლოგიის განყოფილებაში.
8. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძვერის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური № 5 (1952 წ.). ინახება აკც-ის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
9. Бадер Н. О. Древнейшие земледельцы Северной Месопотамии. Москва, 1989.
10. Бибилов С. Н. Раннетрипольское поселение Лука-Врублевцевская на Днестре. – МИА, № 38, 1953.

11. Киладзе (Берძენიშვილი) Н. З. Итоги полевых работ Дзеврской археологической экспедиции 1952 года (рукопись). ინახება აკც-ის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

12. Круглов А. П., Пиотровский Б. Б., Подгаецкий Г. В. Могильник в г. Нальчике. – МИА, № 3. 1941, с. 67-146.

13. Формозов А. А. Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965.

14. Массон В. М. Исторические рекон-струкции в археологии. Фрунзе, 1990.

15. Мелларт Дж. Древнейшие цивилизации Ближнего Востока. Москва, 1982.

16. Милорадович О. В. Новые археологи-ческие находки в Грозненской области. – КСИИМК, вып. 1956, с. 132-134.

17. Мунчаев Р. М. Кавказ на заре бронзо-вого века. М., 1975.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – ტურიტელები.

ტაბ. I – მღვიმე საგვარჯილეს სამკაულები და ამულეტები.

ტაბ. II – საგვარჯილეს II თხრილის ჩრდი-ლო კედლის ჭრილი (IV-IV).

ტაბ. III – შესადარებელი ტაბულა: 1. – საგ-ვარჯილეს გვიანნეოლითური ფენიდან; 2. – მე-შოკოს ნამოსახლარის ზედა ფენიდან (ა. ფორ-მოზოვის მიხედვით); 3. – ნოვოსვობონაიას ყორღანებიდან (ა. ფორმოზოვის მიხედვით); 4. – ნალჩიკის სამაროვნიდან (ა. კრუგლოვის, ბ. პიოტროვსკისა და გ. პოდგაეცკის მიხედვით); 5. – ლუკა-ვრუბლევკაიას ნამოსახლარიდან (ს. ბიბიკოვის მიხედვით); 6. – ზავი ჩემი (ზავ-როსი) (ჯ. მელლარტის მიხედვით); 7. – ტელ-მაგზალიას ნამოსახლარიდან (ნ. ბადერის მი-ხედვით).


Beschreibung der Abbildungen

Reichnung 1 – "Turritella duplicata".


Abb. I. Schmuckstücke und Amuletten der Sagwarjile Höhle.

Abb. II. Schnitt der Nordmauer der Höhle von Sagwarjile.

Abb. III. Vergleichende Abbildung – Anhän-ger und Amuletten; 1. Spätäneolitische Schicht von Sagwarjile; 2. Siedlung Meschoko, die obere Schicht (nach A. A. Formosow); 3. Hügelgräber von Nowoswobodnaja (nach A. A. Formosow); 4. Gräberfeld von Naltschik (nach A. P. Kruglow, B. B. Piotrowski und G. W. Podgaezki); 5. Siedlung von Luka-Wrublewezkaja (nach S. N. Bibikow); 6. Zawi Tschemi (Zagros) (nach J. Mellart); 7. Siedlung von Tel Magsalija (nach N. O. Bader).











IV-IV



⑥ — ნაბეჭი



ტაბ. III



ჩიხორის ნამოსახლარი პალეოეთნობოტანიკური და ტრასოლოგიური მონაცემებით

დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურის ძეგლი – ჩიხორის ნამოსახლარი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, ს. ჩიხორში, მდინარე ძუსას მარჯვენა ნაპირზე არსებულ კონცხისებურ გორაზე. ჩიხორის ნამოსახლარზე გათხრებს აწარმოებდა თერჯოლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტ. მეცნ. დოქტორი ლ. ნებიერიძე). აღმოჩენილი მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზით გამოვლენილია გვიანეოლითურ-ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსი [1, 7-10; 2, 145-146], ღია ტიპის ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე.


კომპლექსური კვლევის საგანი გახდა ნამოსახლარის კულტურული ფენიდან მომდინარე მასალა. ერთი მხრივ – კულტურული ფენების გაცხრილვის დროს აღმოჩენილი პალეოეთნობოტანიკური ნაშთების შესწავლის შედეგებმა და მეორე მხრივ – კაჟის იარაღების ტრასოლოგიურ-ფუნქციონალურმა ანალიზმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა ამ ძეგლზე არსებული მიწათმოქმედების განვითარების დონის განსაზღვრა.

პალეოეთნობოტანიკური თვალსაზრისით შესწავლილ იქნა ნამოსახლარის I კვადრატის № 23 ორმო, საიდანაც გამოვლენილია მარცვლოვნების 6 ნიმუში და პარკოსანი მცენარის თესლის ფრაგმენტი. სახეობრივი იდენტიფიკაცია მოხდა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. მარცვლოვნებიდან 5 მარცვალი მიეკუთვნება რბილ ხორბალს, ხოლო ერთი – შიშველმარცვლიან ქერს (ცხრილი 1).

ხორბლის მარცვლები გამოირჩევა მცირე ზომებით (L № 4,33 მმ), რაც დამახასიათებელია კომპაქტური ხორბლებისათვის (*Triticum compactum* Host.). სიგრძის მაჩვენებელი სიგანესთან (L/B) ტოლია 1,8. ასეთი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა რბილი ხორბალი (*Triticum aestivum*). ვინაიდან მკვეთრი საზღვრის გავლება ამ ორ სახეობას შორის შეუძლებელია, აღნიშნული ხორბლის მარცვლები იდენტიფიცირებულია როგორც *Triticum aestivo-compactum* Schieman. ასეთი განსაზღვრება მიღებულია პალეოეთნობოტანიკურ ლიტერატურაში [4, გვ. 78-103; 6]. იდენტიფიცირებულ მარცვლებს ახასიათებს შემდეგი მორფოლოგიური ნიშნები: მრგვალი დორსალური მხარე, დეფორმირებული ჩანასახის არამკვეთრად გამოსახული ფორმა, ამავე დროს ნაკლებად გამოხატული და მცირე სიღრმის ვენტრალური ღარი, რომელიც არ აღწევს მარცვლის ცენტრამდე (სურ. 1).

ქერის მარცვალიც გამოირჩევა მცირე ზომებით (ცხრილი 2), სიმეტრიულია, კარგად ეტყობა ვენტრალური ღარი, რომელიც ხასიათდება ერთნაირი სიგანით მარცვლის მთელ სიგრძეზე, დორსალური მხარე გლუვია, არ ეტყობა კილის ნაჭდევი. ყველა ჩამოთვლილი ნიშანი ტიპურია შიშველმარცვლიანი ქერისათვის – *Hordeum vulgare* v. *nudum* (სურ. 1₂).

პარკოსანი მცენარის თესლის ფრაგმენტი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება *Lathyrus*-ის გვარის წარმომადგენელს (L № 3,0 მმ; B № 3,00 მმ), (სურ. 1₃).



სურ. 1

ცხრილი 1. პალეოეთნობოტანიკური მასალის სახეობრივი შემადგენლობა

აღმოჩენის ადგილი	სახეობა	რაოდენობა
კვ. I ორმო	1. <i>Triticum aestivo-compactum</i>	5
	2. <i>Hordeum vulgare</i> v. <i>nudum</i>	1
	3. <i>Lathyrus</i> sp.	ფრაგმენტი

მიღებული მონაცემების მიხედვით, ნამოსახლარზე სოფლის მეურნეობის კულტურაში არსებობდა *Triticum aestivo-compactum*-ის ტიპის რბილი ხორბალი და შიშველმარცვლიანი ქერი – *Hordeum nudum*. დასაშვებია ხორბლისა და ქერის შერეული ნათესების არსებობაც. ჩიხორის პალეოეთნობოტანიკური მასალა არუხლოსა და ხრამის დიდი გორის ბოტანიკური მასალის იდენტურია [6, გვ. 285-294], სამივე აღნიშნულ ძეგლზე დაფიქსირებულია *Triticum aestivo-compactum*-ის დომინირება სხვა სახეობებთან შედარებით, რაც ხორბლის გვარის ევოლუციის მაღალ ეტაპს გულისხმობს.

ცხრილი 2. ჩიხორის პალეოეთნობოტანიკური მასალის ზომები და პარამეტრები

სახეობა	სიგრძე L	სიგანე B	სიმაღლე T	ინდექსი L/B B/L% T/L% T/B%
1. <i>Triticum aestivo – compactum</i>	4,33	2,4	2,0	1,81; 55,38; 46,15;
2. <i>Hordeum nudum</i>	3,5	2,0	1,5	83,33; 1,75; 57,14;
3. <i>Lathyrus</i> sp.	3,5	3,0		42,85; 75

ჩიხორის ღია ნამოსახლარის გვიანენეოლითური ხანის ფენიდან მომდინარე ინვენტარიდან ტრასოლოგიურ-ფუნქციონალური მეთოდით დამუშავდა კაჟის იარაღის 60 ერთეული. აქედან 29 აღმოჩენილია ნამოსახლარზე, ხოლო 31 – სახელოსნოში.

ტექნიკურ-მორფოლოგიური კლასიფიკაციით იარაღებისათვის დამახასიათებელია მასიური, დიდი, საშუალო და ვიწრო ლამელისებური ნამზადები. მოყვანილობით ისინი სამკუთხა, სწორკუთხა და ოდნავ მორკალულია. მეორადი დამუშავების ტექნიკა, ძირითადად, არის წნევეთი რეტუსით შესრულებული ორმხრივდამუშავებული და იშვიათად, სპეციალურად დაკბილული სამუშაოპირიანი იარაღები. იარაღის ტიპებს წარმოადგენს რეტუსიანი და ურეტუსო, დაკბილული და ძლიერ გაპრიალებული ეგზემპლარები.

მასალის ტრასოლოგიურმა შესწავლამ მრავალფეროვნება შეიტანა იარაღების ფუნქციის დადგენაში. დაფიქსირდა მონოფუნქციონალური და პოლიფუნქციონალური ეგზემპლარები. სახელოსნოში აღმოჩენილი ნამგლის ჩასართებიდან შვიდი ეგზემპლარი ცალპირიანია მათთვის დამახასიათებელი მუშაობის კვალით. სამ ნიმუშს პუნქტირული რეტუსით სპეციალურად გამოყვანილი კბილები აქვს, ხოლო დანარჩენებს სამუშაო პირი წვრილი, ხერხისებური რეტუსით აქვს გაფორმებული. 14 ერთეული ოდნავ მორკალული, ნამგლისებური მოყვანილობის ჩასართების ნამზადებია, რომელთაც არავითარი მუშაობის კვალი არ ეტყობა. ასევე გამოყენების კვალის გარეშეა ორმხრივდამუშავებული ჩასართის ნატეხებიც.

უშუალოდ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კაჟის იარაღებიდან კი 26 ერთპირიანი ნამგლის ჩასართია, სამუშაო პირზე კარგად შენარჩუნებული ხაზოვანი კვალით. მათგან სამი ეგზემპლარი რეტუსორია, რომლებიც ძველ, გაცვეთილ ნამგლის პირზეა ჩამოყალიბებული.

ყველა ჩასართს, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, სამუშაო პირზე ვიზუალურად, ეტყობა სარკისებური სიპრიალე. ეს დამახასიათებელი ნიშანია მარცვლეული კულტურის ასაღებად განკუთვნილი იარაღებისათვის. ტრასოლოგიური ანალიზით დადასტურდა არა მარტო მათი ფუნქცია, არამედ ის კულტურაც, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ეს იარაღები. არც ბალახი და არც ველური ჯიშის მარცვლეული არ ტოვებს იარაღის სამუშაო პირზე ისეთ ხაზოვან კვალს, როგორც კულტურულ მარცვლოვანთა სახეობები. ამის მიზეზია დამუშავებული, მოხნული ნიადაგი. ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ მარცვლის მოჭრა 10-15 სმ-ის სიმაღლეზე ხდება, იარაღი მაინც იფარება მიწისა და მტვრის ფენით, რაც სამუშაო პირზე დამახასიათებელ ხაზოვან-პრიალა კვალს ტოვებს. ბალახი დამუშავებულ ნიადაგზე იზრდება და კორდს ქმნის, ამიტომ ღერო შედარებით სუფთად ინახება, მათი მოჭრისას ნამგლის ჩასართებზე ხაზოვანი კვალი არ რჩება. რაც შეეხება ველურ მარცვლოვნებს, ისინი წვრილი, ძნელად შესამჩნევ ხაზებს ტოვებენ სიპრიალის გარეშე [2, გვ. 51].

ტრასოლოგიური ანალიზის შედეგების მიხედვით, ჩიხორის ნამოსახლარზე არსებობდა ადგილობრივი სამიწათმოქმედო მეურნეობა.

ამგვარად, ჩიხორის ძეგლზე შესწავლილი მცენარეული და საწარმოო იარაღის ნაშთების კომპლექსური კვლევის შედეგების მიხედვით, განსაზღვრულია ადგილობრივი მოწათმოქმედების მაღალი საფეხური, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ამ პერიოდის მიწათმოქმედების შესახებ.

K. Esakia, N. Rusishvili

CHIKHORI SETTLEMENT ACCORDING TO PALAEOETHNOBOTANICAL AND TRACE STUDY DATA

(Summary)

Palaeoethnobotanical material from Chikhori settlement has been collected by sifting the cultural layers. Cereals and a fragment of a legume plant were found. The following types are identified: *Triticum aestivo-compactum*, *Hordeum vulgare* v. *nudum* and *Lathyrus* sp. The obtained data testify to the existence of developed

agriculture in the settlement. The assumption finds corroboration in the results of trace study.

Sickles designed for harvesting the cultured cereals were evidenced among tool finds. A complex study of the material enabled the authors to identify the character and level of agriculture.

ლიტერატურა

1. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.

2. Коробкова Г. Ф. Древнейшие жатвенные орудия и их производительность (в свете экспериментально-трассологического изучения). – СА, № 4, 1978, с. 36–52.

3. Небиеридзе Л. Д. Работа Терджольской археологической экспедиции. – ПАИ, 1981 (1984), с. 7-10.

4. Янушевич З. В. Культурные растения юго-запада СССР по палеоэтноботаническим исследованиям. Кишинев, 1976.

5. Schiemann E. Weizen, Roggen Gerste, Entstehung, Geschichte und Ververtung. Jena, 1948.

6. Rusishvili N. Sh. Fossilised species of wheat from the territory of Georgia. – Palaeoethnobotany and archaeology. Acta Interdisciplinaria archaeologica VII. Nitra, 1991, p. 285-294.

სურათის აღწერილობა

სურ. 1 – პალეოეთნობოტანიკური მასალა ჩიხორის ნამოსახლარიდან: 1. *Triticum aestivo-compactum*; 2. *Hordeum vulgare v nudum*; 3. *Lathyrus* sp.

Description of the figure

Fig. 1 – Palaeoethnobotanical material from Chikhori settlement: 1. *Triticum aestivo-compactum*; 2. *Hordeum vulgare v. nudum*; 3. *Lathyrus* sp.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები ჯავახეთის პლატოდას


ცნობილია, რომ თავდაპირველად მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთით განსაზღვრული ადრებრინჯაოს ხანის ეს კულტურა ამჟამად კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძალზე დიდ ტერიტორიაზე გამოვლენილი. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სხვა კავკასიური კულტურა არც მანამდე, არც მერე, ისე ფართოდ არ გავრცელებულა, როგორც ეს. ცნობილია ამ კულტურის მატარებელი ტომების როლიც კავკასიისა და წინა აზიის უძველესი ისტორიის შექმნაში [10, გვ. 62]. უთუოდ ამით აიხსნება დიდი ინტერესი მისი შესწავლისადმი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ კავკასიის ბრინჯაოს ხანის არც ერთი კულტურა ისე ფართოდ და დაწვრილებით არ გაშუქებულა სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც იგი [13, გვ. 151]. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ივარაუდება ამ კულტურის ფორმირების უმთავრესი კერა და სხვადასხვა მიმართულებით მისი გავრცელების საწყისი მხარე [10, გვ. 71]. ქვემო და შიდა ქართლში, სამცხეში, თრიალეთში და სხვ. გამოვლენილი ძეგლების შესწავლამ დიდად წასწია წინ ჩვენი წარმოდგენა მტკვარ-არაქსის კულტურის შესახებ.

ამ კულტურის მრავალი ძეგლია მიკვლეული

ჯავახეთის მაღალმთიან პლატოზეც. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიას შორის მოქცეული ეს მხარე კვლავ რჩება არქეოლოგიურად ნაკლებად გამოკვლეულ იმ რეგიონად, სადაც მოსალოდნელია სხვადასხვა ლოკალური ვარიანტებისა თუ კულტურების შეხვედრა-თანაარსებობა [1, გვ. 65; 11, გვ. 10], რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ინტერესს ამ ძეგლებისადმი.

აქ ამ ხანის ძეგლები გამოვლენილია როგორც შემთხვევით, ისე დაზვერვითი სამუშაოების შედეგად, რომელსაც წლების განმავლობაში აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დადგინდა სამ ათეულამდე ძეგლის არსებობა (სურ. 1). მათი უმეტესობა ნამოსახლარია, რომლებიც უმთავრესად განლაგებულია მოზრდილი მდინარეების – მტკვრის, ფარავნისა და ბარალეთის ხეობების გასწვრივ, ძირითადად ბუნებრივი გორების თხემსა და ფერდებზე. იშვიათად, გვხვდება სწორ ადგილას გამართული ნასახლარიც. ნასახლართა მახლობლად ზოგან მიკვლეულია სამაროვანიც. ჯერჯერობით ცნობილია სამარხის მხოლოდ ორი ტიპი – ქვაყუთი და ყორღანი.


მდ. ფარავნის ხეობის ძეგლები. როგორც



სურ. 1.

აღვნიშნეთ, ჯავახეთის ძეგლების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გათხრილი. ერთი მათგანია ნინოწმინდის რაიონში მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, სადღეისოდ ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე სოფ. სათხეს ნასახლარი. აქვეა გათხრილი ამ ხანის ყორღანიც (სურ. 1, № 1).

რავნის მარჯვენა ნაპირას მდებარე ამირანის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ფერდებზე (სურ. 1, № 5). აქ, ტერასულად განლაგებულ ქვის ოთხკუთხა ნაგებობებსა და გორის ძირში გამართულ სამაროვანზე შავპრილა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა



სურ. 2.

აქ, ნალისებრი ფორმის ბუნებრივ გორაზე არსებულ მძლავრ ნასახლარზე, გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის, ტერასულად ნაგები, ქვის ოთხკუთხა შენობები [17]. აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ახლო დგას აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსული ნასახლარების თიხის ჭურჭელთან. ასევე, გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ადრეყორღანული ხანის კერამიკასთანაც [6]. რაც შეეხება ყორღანს, იგი ქვაცხელას B ფენის თანადროული ჩანს [18, გვ. 19].

ამ ხანის გორანამოსახლართა დიდი კონცენტრაცია შეინიშნება მდ. ფარავნის ორივე ნაპირის გაყოლებაზე, ნინოწმინდის რაიონის სოფ. ჯიგრაშენსა და ხორენიას შორის [11, გვ. 110]. აქვე ვაკეზე გამოვლინდა კიდევ ერთი ნამოსახლარიც (სურ. 1, №№ 2, 3). არქეოლოგიური გათხრები შეეხო მხოლოდ გორანამოსახლარ დიგაშენ I, რომელზეც ქვის ოთხკუთხა ფორმის, ტერასულად ნაგები შენობები გაიწმინდა [4; 5; 15, გვ. 26-27]. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა ახლო პარალელებს პოულობს გვიან მტკვარ-არაქსული ხანის ძეგლებზე.

მისგან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს სოფ. გონდრიოსთან (სურ. 1, № 4) საკმაოდ მაღალი გორის თხემზეც დადასტურდა ამ ხანის კერამიკის შემცველი ნასახლარი ფენები [14, გვ. 82, ტაბ. 142₄].

დიდი ნამოსახლარი სამაროვანთან ერთად აღმოჩნდა ქ. ახალქალაქის ფარგლებში, მდ. ფა-

გამოვლინდა [9, ტაბ. X; 16, გვ. 76], რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება [2, გვ. 91].

ახალქალაქის ამირანის გორის მაზლობლად, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირას, სოფ. დილისკასთანაცაა ამ ხანის ნამოსახლარი (სურ. 1, № 6). აქედანაა ცნობილი თიხის ხარის სტილიზებული მოზრდილი ქანდაკების ფრაგმენტი [16, გვ. 76].

მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, ასპინძის რაიონის სოფ. თოკშიც გამოვლინდა მოზრდილი გორანამოსახლარი (სურ. 1, № 7), რომელზეც შეგროვდა მტკვარ-არაქსული ნაწარმი [3].

მის მოპირდაპირედ, მდინარის მარცხენა მხარეს, ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხაში (სურ. 1, № 8), ადგილ კომპლექსზეც აღმოჩნდა ამ ხანის ნამოსახლარი [11, გვ. 15].

მდ. ბარალეთის ხეობის ძეგლები. აქ, მდინარის ორივე ნაპირას განლაგებული გორანამოსახლარებიდან ყველაზე მოზრდილია სოფ. ბარალეთის ამაღლების გორა (სურ. 1, № 9). მასზე წარმოებული მცირე მასშტაბის გათხრებით [17, გვ. 26] სხვადასხვა ხანის მასალასთან ერთად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული კერამიკაც [17, გვ. 26, 6, გვ. 42].

ამ ხანის ფენების არსებობა დასტურდება სოფ. მოდეგას გორაზეც (სურ. 1, № 10) [3, გვ. 172].

ამავე ხეობაში აღსანიშნავია სოფ. კოთელიას ნამოსახლარი (სურ. 1, № 11). აქ, სოფლის ჩრდილო ნაწილში, მურჯის ციხეზე იკრიფება მტკვარ-არაქსული კერამიკა [12, გვ. 24].


ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები ცნობილია სოფ. ბალანტიდანაც [12, გვ. 23]. აქ (სურ. 1, № 12) შემთხვევით აღმოჩენილი ზოგიერთი თიხის ჭურჭელი ადრეეორღანული იერის მატარებელია [2, გვ. 59].

მდ. მტკვრის ხეობის ძეგლები. კიდევ უფრო კარგადაა წარმოდგენილი ამ პერიოდის ძეგლები მდ. მტკვრის ხეობაში, რომელიც ჯავახეთის პლატოს დასავლეთიდან საზღვრავს. აქ, მდინარის ორივე ნაპირას, მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლართა დიდი სიმჭიდროვე შეინიშნება. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ერუშეთის პლატოს დასაწყისში და მდინარისპირა ტერასაზე – ახჩიის მინდვრებზე, რომელიც ჯავახეთის ზეგნიდან ღრმა და ფართო კანიონითაა გამოყოფილი (სურ. 1, № 14), ალაგ-ალაგ ჩნდება მტკვარ-არაქსული კერამიკა. ნიალას ველზე, მყუდრო პლატოზე დუმეილას და გელაზის ნასოფლარებს შორისაცაა ამ ხანის ნასახლარი [11, გვ. 15]. ამ პერიოდის ნასახლარის ნაშთები აღმოჩნდა ნიალასა და ლების შორის მდებარე საკმაოდ მაღალ გორაზე (სურ. 1, № 13). მძლავრი ნასახლარია ზემო თმოგვთანაც (სურ. 1, № 16). ამავე პერიოდის მასალა იკრიფება ზედა ვარძიასა (სურ. 1, № 15) და კენჭიყარას კონცხზე [11, გვ. 15; 10, გვ. 110].

ენელოვანია სოფ. კუმურდოსა (სურ. 1, № 19) და თახუმთას (სურ. 1, № 18) გორანამოსახლარები, მტკვარ-არაქსული მასალის შემცველი ფენებით [12, გვ. 23; 16, გვ. 75; 2, გვ. 28]. სინქრონული ნაწარმი ამავე ნაპირას, სოფ. ხერთვისს ქვემოთ, სოფ. საროსა და ხიზაბავრაშიც (სურ. 1, №№ 21, 22) დადასტურდა [2, ტაბ. 1].

ახალქალაქის რაიონში მიკვლეული ნასახლარებიდან ასევე მნიშვნელოვანია ზრესის (სურ. 1, № 23), სოფ. ოკამისა (სურ. 1, № 24) და სოფ. კარწახის (სურ. 1, № 25) გორანამოსახლარები [12, გვ. 24]. აღსანიშნავია, რომ სამივე ნასახლარი ტბების მახლობლადაა განლაგებული. ოკამში აღმოჩნდა ამ ხანის თიხის ჭურჭლის შემცველი ქვაყუთიც [2, ტაბ. 37; 11, გვ. 142].

ამით ამოიწურება ჯავახეთის პლატოზე სადღეისოდ გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების ჯერ კიდევ ძალზე არასრული სია. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ სახითაც კარგად ჩანს პლატოს ინტენსიური ათვისების სურათი. ამ ძეგლების განლაგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მეტი სიმჭიდროვე შეინიშნება რეგიონის დასავლეთსა და ცენტრალურ რაიონებში, მდ. მტკვრის, ფარავნისა და ბარალეთის ხეობებში, ვიდრე მის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც უფრო მკაცრი კლიმატური პირობე-



სურ. 3

რაც შეეხება მტკვრის მარჯვენა ნაპირის ძეგლებს, აქ აღსანიშნავია დანკალას (სურ. 1, № 26) გორანამოსახლარი [8]. სოფ. თმოგვთან მდებარე ბერთაყანებზეც (სურ. 1, № 17) აიკრიფა ამ ხანის მასალა [7]. მტკვარ-არაქსული კერამიკა მრავლად დადასტურდა სოფ. ოკამსა და გოგაშენს შორის, დღეს უკვე ნასოფლარ დარყაში (სურ. 1, № 20), კარიერის ტერიტორიაზე [11, გვ. 15]. მტკვრის გაყოლებაზე მნიშ-

ობით ხასიათდება. დასახლების დიდი სიმჭიდროვით ჯავახეთის პლატოს დასავლეთი და ცენტრალური რაიონები თავისუფლად შეიძლება შევედართო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, ამ ხანის ნამოსახლართა სიმრავლით გამორჩეულ ნებისმიერ მხარეს. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო იმ ხელსაყრელი გარემოს არსებობით, რასაც ცალკეულ ხეობაში განლაგებული საკუთარი მთა და ბარი განაპირობებდა [1, გვ. 68]. ამაზევე უნდა მიუთითებდეს მოგვიანო, განსაკუთრებით კი გვიანბრინ-

ჯაოს ხანის ფენების არსებობაც აქ აღმოჩენილ თითქმის ყოველ გორანამოსახლარზე [12, გვ. 24; 14; 15].

არსებული მონაცემებით ჯავახეთის პლატოს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე არ ჩანს უშუალოდ წინამორბედი ხანის მანიშნებელი მასალა, რაც უნდა ადასტურებდეს მოსაზრებას, რომ ამ მხარის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში იწყება [11, გვ. 14].

ამ ნასახლარებზე მხოლოდ ოთხკუთხა არქიტექტურაა წარმოდგენილი, რითაც ეს რეგიონი სიახლოვეს იჩენს სამცხის, შიდა ქართლის, სომხეთის მომიჯნავე რაიონისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის ნასახლარებთან [4, გვ. 15]. ქვის სამარხების გამოყენებით კი იგი განსხვავდება შიდა ქართლისაგან და უფრო უახლოვდება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ძეგლებს [2, გვ. 101]. რაც შეეხება ყორღანს, რომელიც ამ ტიპის სინქრონული სამარხებით მდიდარ თრიალეთის მიმდებარე ჯავახეთის აღმოსავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი, პლატოს სიღრმეში იგი თითქოს არ ვრცელდება [11].

ეჭვს გარეშეა, მომავალი კვლევა-ძიება ჯავახეთის პლატოზე ამ პერიოდის კიდევ არაერთ ძეგლს გამოავლენს და უპასუხებს მრავალ საინტერესო კითხვას. ამჟამად კი გამართლებულად მიგვაჩნია სადღეისო ვითარების დაფიქსირება, მითუმეტეს, რომ ამ ძეგლების გავრცელების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი რუკა [2, ტაბ. I] უკვე საკმაოდ მოძველდა და საჭიროებს განახლებას.⁵

A. Orjonikidze

KURA-ARAXES SITES AT JAVAKHETI (Summary)

About thirty archaeological remains of the Kura-Araxes Culture were discovered on the Javakheti plateau. On the basis of the location of these sites, it can be suggested that the western and central areas of the region (Kura, Paravani and Baraleti river valleys) were more intensively inhabited than its eastern part (fig. 1).

A diagram of the spread of the principal building-types (fig. 2) and burial constructions

⁵ აქვე ვიძლევი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობათა (სურ. 2) და სამარხთა (სურ. 3) ძირითადი ტიპების გავრცელების სქემატურ რუკებს. ამ ტიპების ქრონოლოგიისა და კულტურული მიმართების შესახებ იხ. ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1999, ხელნაწერის უფლებით. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

(fig. 3) of the Kura-Araxes Culture in Georgia is presented.

ლიტერატურა

1. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
2. ორჯონიკიძე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრე-ბრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
3. ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან. - მაცნე, № 2, 1989, გვ. 172-176.
4. ორჯონიკიძე ა. ადრე-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I. - ძიებანი, № 1, 1998, გვ. 15-22.
5. ორჯონიკიძე ა., მუმლაძე მ. ჯავახეთის პლატოზე 1989 წელს ჩატარებული სამუშაოს ანგარიში (იბეჭდება).
6. ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ა. ადრე-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. - ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 42-51.
7. ღამბაშიძე თ., ტატიშვილი თ. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მიერ 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიში (ხელნაწერი).
8. ღამბაშიძე თ. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის წინაწარი ანგარიში. - სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1968 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969, გვ. 18-20.
9. ჯანდიერი ე. ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის. - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 46-73.
10. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
11. ჯაფარიძე თ., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბ., 1981.
12. Габуния М., Каландадзе К., Гогелия Д., Кинцурашвили М. Результаты работ археологической экспедиции каменного века Южно-Грузинского нагорья. - ПАИ (1979), 1982, с. 16-24.
13. Мунчаев Р. Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975.
14. Орджоникидзе А. Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. - ПАИ (1987), 1995, с. 80-82.
15. Орджоникидзе А., Мумладзе М. Археологические раскопки на Джавахетском плато. - ПАИ (1988), 1997, с. 26-27.

16. Чубинишвили Т. К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.

17. Isaac B., Kikodze Z., Kohl P., Mindia-shvili G., Ordzhonikidze A., White G. Archaeological Investigations in Southern Georgia 1993. – Iran, 32, 1994, p. 22-29.

18. Pearce J., Carson E., Kohl P., Edens C. International Programme for Research in the Caucasus: Field Seasons 1990 and 1991. – Bulletin of the Asia Institute, 1992, p. 17-20.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. ჯავახეთის პლატოზე მტკვარ-არაქსული ძეგლების განლაგების სქემატური რუკა: 1. სათხე, 2. პატარა ხორენია, 3. ჯიგრაშენი, 4. გონდრიო, 5. ახალქალაქი, 6. დილისკა, 7. თოკი, 8. ჩუნჩხა, 9. ბარალეთი, 10. მოდეგა, 11. კოთელია, 12. ბალანთა, 13. ნიალა, 14. ახჩია, 15. ზედა ვარძია, 16. ზემო თმოგვი, 17. ბერთაყანა, 18. თახუმთა, 19. კუმურდო, 20. დარყა, 21. ხიზაბავრა, 22. სარო, 23. ზრესი, 24. ოკამი, 25. კარწახი, 26. დანკალა.

სურ. 2. საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობათა ძირითადი ტიპების გავრცელების სქემატური რუკა: 1. აბასთუმანი, 2. ამირანიგორა, 3. სვირი, 4. არგვეთი, 5. ხაშურის ნაცარგორა, 6. ბერიკლდეები, 7. ხიზანანთგორა, 8. ქვაცხელა, 9. ქულბაქები, 10. გუდაბერტყა, 11. ჟინვალი, 12. მჭადიჯვარი, 13. ორკევი, 14. ილტო, 15. ბადაანი, 16. მეტეხი, 17. ციხიაგორა, 18. მუხათგვერდი, 19. დიღომი, 20. თეთრიწყარო, 21. ყორანთა, 22. სამშვილდე, 23. კოდა, 24. ახალქალაქის ამირანიგორა, 25. ოზნი, 26. ჯიგრაშენი, 27. სათხე, 28. ღრმახევისთავი, 29. ორწყლები.

სურ. 3. საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხთა ძირითადი ტიპების გავრცელების სქემატური რუკა: 1. აბასთუმანი, 2. ზველი, 3. ამირანიგორა, 4. მზეთამზე, 5. ხაშურის ნაცარგორა, 6. არადეთი, 7. ტახტისძირი, 8. ნუელი, 9. ძალინა, 10. კუსირეთი, 11. ცხინვალის ნაცარგორა, 12. ქვასათალი, 13. ქვაცხელა, 14. ხიზანანთგორა, 15. წეროვანი II, 16. აბანოსხევი, 17. გიორგიშინდა, 18. ილტო, 19. ორხევი, 20. ოკამი, 21. ახალქალაქის ამირანიგორა, 22. ოზნი, 23. ტაშ-ბაში, 24. ბარმაქსიზი, 25. თეთრიწყარო, 26. არდასუბანი, 27. კოდა, 28. კიკეთი, 29. რაჭისუბანი, 30. თამარისი, 31. სამშვილდე, 32. ღრმახევისთავი, 33. ნაომარიგორა, 34. ხირსა.

Description of Figure

Fig. 1. Map of Kuro-Araxes sites at Javakheti Plateau: 1. Satkhe, 2. Patara Khorenia, 3. Jigrasheni, 4. Gondrio, 5. Akhalkalaki, 6. Diliska, 7. Toki, 8. Chunchkha, 9. Baraleti, 10. Modega, 11. Kotelia, 12. Balanta, 13. Niala, 14. Akhchia, 15.

Zeda Vardzia, 16. Zemo Tmogvi, 17. Bertaqana, 18. Takhumta, 19. Kumurdo, 20. Darqa, 21. Khizabavra, 22. Saro, 23. Zresi, 24. Okami, 25. Kartsakhi, 26. Dankala.

Fig. 2. Map of distribution of main types of buildings of Kuro-Araxes culture in Georgia: 1. Abastumani, 2. Amiranisgora, 3. Sviri, 4. Argveti, 5. Natsargora of Khashuri, 6. Berikldeebi, 7. Khizanaantgora, 8. Kvatskhela, 9. Kulbakebi, 10. Gudabertqa, 11. Zhinvali, 12. Mtchadijvari, 13. Orkhevi, 14. Ilto, 15. Badaani, 16. Metekhi, 17. Tsi-khiagora, 18. Mukhatgverdi, 19. Dighomi, 20. Tetrtsqaro, 21. Qoranta, 22. Samshvilde, 23. Koda, 24. Amiranisgora of Akhalkalaki, 25. Ozni, 26. Jigrasheni, 27. Satkhe, 28. Ghrmakhevistavi, 29. Ortsqlebi.

Fig. 3. Map of distribution of main types of burials of Kuro-Araxes culture in Georgia: 1. Abastumani, 2. Zveli, 3. Amiranisgora, 4. Mzetamze, 5. Hatsargora of Khashuri, 6. Aradeti, 7. Takhtisdziri, 8. Nuli, 9. Dzaghina, 10. Kusireti, 11. Natsargora of Tskhinvali, 12. Kvasatali, 13. Kvatskhela, 14. Khizanaantgora, 15. Tserovani II, 16. Abanoskhevi, 17. Giorgitsminda, 18. Ilto, 19. Orkhevi, 20. Okami, 21. Amiranisgora of Akhalkalaki, 22. Ozni, 23. Tash-Bashi, 24. Barmaksizi, 25. Tetrtsqaro, 26. Ardasubani, 27. Koda, 28. Kiketi, 29. Ratchisubani, 30. Tamarisi, 31. Samshvilde, 32. Ghrmakhevistavi, 33. Naomarigora, 34. Khirsa.

ლერი ჯიბლაძე

პროტო- და ძველკოლხური კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის

პროტო- და ძველკოლხურ კულტურებთან დაკავშირებული არაერთი საკვანძო საკითხია გამოკვლეული და გადაჭრილი. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება ზოგიერთი პრობლემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მწირედ აისახა. ვფიქრობთ, ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად შესწავლილ საკითხს უნდა მიეკუთვნოს კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა⁶ და მისი შიდა მხარის (ცენტრალური კოლხეთი) პროტოკოლხურ (II ეტაპი, შუა ბრინჯაოს ხანა) თიხის ნაწარმს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებების გარკვევა, რომელიც განსაკუთრებით შეიმჩნევა ორნამენტაციაში.

ზღვისპირა ზოლისათვის დამახასიათებელი შუაბრინჯაოსა და გარდამავალი ხანის (მხედველობაში გვაქვს ძველკოლხურის თანმხლები პროტოკოლხური კერამიკა) თიხის ნაწარმი, ჰორიზონტალურ და წვევლადყურიათი ჭურჭელი, შავპირი კერამიკა, რელიეფურ სარტყელზე დატანილი ნათითურ-დაკბილული ორნამენტები, ჭილოფისანაბეჭდიანი ძირები და სხვა თანმხლები ინვენტარი (ტაბ. I, II^{4,7,8,11}), არ დასტურდება ცენტრალური კოლხეთის შიდა მხარის დაახლოებით სინქრონული პერიოდით დათარიღებულ ძეგლებზე: ნოსირი მესამე I, II ფენა, საელიაოს კურზია II ფენა და წყემი (ძირა ფენა). აქ ამ პერიოდში დომინირებს წრეებით, ღარებით, სავარცხლისკბილისებრი შტამპით, შეკრონებით, ნაძვისებური შტრიხებით, ლაყურისებური ორნამენტებით და სხვა სახის დეკორით შემკული კერამიკა [3, ტაბ. 37, 38; 30, ტაბ. X, XI]. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ქრონოლოგიური სხვაობით თუ ლოკალური თავისებურებებით უნდა აიხსნას ამ ორი მხარის თანადროულად მიჩნეულ თიხის ნაწარმს შორის შენიშნული ეს ძირეული განსხვავება. აღნიშნული საკითხის გარკვევისას მხედველობაშია მისაღები მათ შორის არსებული თითქმის ერთგვაროვანი გეოგრაფიული გარემო და ახლო მანძილზე მდებარეობა. მისანიშნებელია ის გარემოებაც, რომ როგორც ცენტრალური კოლხეთის შიდა რაიონებში,⁷ ასევე მის ზღვისპირა ზოლში (მდ.

ფიჩორსა და მდ. ხობს შუა მდებარე ტერიტორია), იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ფიქსირდება მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ზღვისპირა ზოლისათვის დამახასიათებელი ადრებრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური I ეტაპი) ელემენტები.

ვფიქრობთ, მდ. ენგურის ქვემო წელის აუზისა და ცენტრალური კოლხეთის შიდა რაიონების (ნოსირი მესამე I, II ფენა, საელიაოს კურზია II ფენა, წყემი-ძირა ფენა) შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ნაწარმს შორის არსებული განსხვავება გამოწვეული უნდა იყოს არა ლოკალური თავისებურებებით, არამედ მათი სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდისადმი კუთვნილებით [22, გვ. 79; 23, გვ. 101-102]. ამ ვარაუდს ერთგვარად უნდა დასტურებდეს ის ფაქტი, რომ ზღვისპირა ზოლის მრავალფენიანი სამოსახლო ბორცვების სტრატეგრაფიული ჭრილების მიხედვით (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ერგეტა, ნაკარდალი) ცენტრალური კოლხეთის შიდა მხარის სამოსახლოების ქვედა ფენებისათვის დამახასიათებელი თიხის ძირითადი ნაწარმი ჩნდება შუა ბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ხანაში, სადაც მათ წინ უსწრებს ზოგჯერ 2-3 მ სიმაღლის სრულიად განსხვავებული პროტოკოლხური I და პროტოკოლხური II ეტაპების შემცველი კულტურული პლასტები [23, გვ. 71-78, ტაბ. III, V, VI]. სწორედ შუა ბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ხანაში წარმოგვიდგენია ამ ორი მხარის განსხვავებული თიხის ნაწარმის თანაარსებობა, რაც ვფიქრობთ, კარგად აისახა ზღვისპირა სამოსახლოების ამ ორი კულტურის თანხვედრის ფენებში. ეს კი შესაძლოა უკავშირდებოდეს კოლხური კულტურის მატარებელი ტომების (ზანურენოვანი მოსახლეობის) ყველაზე ადრეული ნაკადების გამოჩენა-განფენას კოლხეთის დაბლობის სიღრმეში. შემდეგ კი, როგორც ვარაუდობენ, მის შერწყმა-შეხვედრებს პროტოკოლხური კულტურის მატარებელ სვანურენოვან მოსახლეობასთან [1, გვ. 18-20].

ყოველივე ზემოთქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პროტოკოლხურ და ძველკოლხურ ხანაში ზღვისპირა და შიდა რაიონებს შორის ზოგიერთი ნიშნის მიხედვით არ შეინიშნებოდეს ლოკალური თავისებურებანი.

კოლხეთის ბრინჯაოს ხანის კულტურებში შიდა ლოკალური კერების არსებობა (ასევე ზოგიერთი ნიშნის მიხედვით თავისებურებები) დასაშვებად მიაჩნიათ თ. მიქელაძეს, ოთ. ლორთქიფანიძეს, ო. ჯაფარიძეს, დ. ქორიძეს, მ. ბარამიძეს, გ. ფხაკაძეს, ალ. რამიშვილს და ლ. სახაროვას [2, გვ. 204-205; 5, გვ. 138; 11, გვ. 98;

⁶ ზღვისპირა ზოლში ვგულისხმობთ მდ. ენგურის ქვემო წელის აუზს, სადაც ძირითადად კონცენტრირებულია პროტოკოლხური II ეტაპისა და გარდამავალი ხანის საფეხურის ძეგლები: ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, VI, V, IV ფენა, ერგეტა V, IV ფენა, ანაკლია II, ანაკლია პირველი II, III ფენა, ნაკარდალი VI, V, IV, III, II ფენა და სხვა ხ18, გვ. 11-16; 23, გვ. 37-40, 52-53; 28, გვ. 246-257; 30, გვ. 17-21^{ჯგ}

⁷ ცენტრალური კოლხეთის შიდა რაიონებში ვგულისხმობთ რიონ-ხობის ორმდინარეთს, თანამედროვე აბაშის, სენაკის, მარტვილის, ხობისა და სამტრედიის რაიონების ტერიტორიებს.

14, გვ. 35; 16, გვ. 103; 20, გვ. 81-82; 30, გვ. 20; 32, გვ. 28-29].⁸ ამ პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ე. გოგაძემ, რომელმაც კოლხეთში III-II ათასწლეულებში გამოყო ჩრდილო-დასავლეთი (დოლმენური), ცენტრალური და დასავლეთი ლოკალური ჯგუფები [4, გვ. 33-38, ტაბ. XIII, XIV, XV; 26, გვ. 113].

ვფიქრობთ, კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა მხარეს შორის გეოგრაფიული გარემოთი განპირობებული ლოკალური თავისებურებები კარგად ვლინდება არქიტექტურაში. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო თბილი სუბტროპიკული კლიმატის არსებობით შეიძლება აიხსნას მიწური და ნახევრადმიწური ნაგებობები, რომელზედაც ზემოდან გამართულ ფაცხისმაგვარ შენობებს ვარაუდობენ [1, გვ. 7; 17, გვ. 10].

ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ამ პერიოდში კი (ბრინჯაოს ხანა) დასტურდება ძეგური ჯგუფით გადაბმული ჯარგვალური ტიპის შენობები. მდ. ენგურის ქვემო წელის ძეგლებისა და ოჩამჩირის ნამოსახლარის პროტოკოლხური (I-II ეტაპი) თიხის ნაწარმის ლოკალურ თავისებურებებზე მოჩანს ჯიბისებურ-ჩანთისებური დანაძერწები, წვეილადყურიანი, სწორპირიანი ქილები, შესაძლოა მცენარის-ანაბეჭდიანი ძირები, ორლულიანი და ზემოდან დაკეჭნილი ყურები, თავებამოღარული ნამგლის ჩასართავეები და ა.შ. ეს ელემენტები არ გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დაახლოებით სინქრონული პერიოდის მასალებში. სადღეისო მონაცემების მიხედვით, ცენტრალური კოლხეთის შუა ბრინჯაოს მიწურულისა და გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის სამეთუნეო წარმოების ლოკალურ თავისებურებებზე შესაძლოა მივიჩნიოთ ნისკარტისებური, ფაცეტირებული, სამკუთხა ყურები, კრატერისებური ჭურჭელი, ლაყურისებურორნამენტური კერამიკა და სხვა [3, გვ. 51].

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კულტურულ ფენებში გვხვდება ისეთი თიხის ნაწარმი (მრავალგანყოფილებიანი ჯამები, ცრუ ყურები და სხვა), რომელიც სხვა მხარის სინქრონული პერიოდის ძეგლებზე არ შეინიშნება.

ერთ-ერთ აქტუალურ და ძნელად გადასაწყვეტ პრობლემად კვლავ რჩება პროტოკოლხურ (I, II ეტაპი, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანა) და ძველკოლხურ (I, II ეტაპი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა) კულტურათა გენეზისისა და ურთიერთმიმართების საკითხები. პროფ. ო. ჯაფარიძე თვლის, რომ დოლმენებთან ერთად კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკას საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს ნეო-

ლითი [19, გვ. 174]. გ. ფხაკაძე ნეოლით, ენეოლით და ადრებრინჯაოს ხანის კულტურებს შორის ხედავს გენეზისურ კავშირებს [13, გვ. 16].

ენეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი – მასიურქუსლიანი ძირღრუიანი, ვაზისებურიძირიანი ჭურჭელი განაგრძობს არსებობას პროტოკოლხური I ეტაპის ზოგიერთ ნამოსახლარზე (ფიჩორი VIII ფენა, ისპანი, ოჩამჩირე). პროტოკოლხურ (I-II ეტაპი) მასალებში წინა პერიოდის ტრადიციის გამოვლენა შესაძლოა დავინახოთ კოპებით, შვერილებით, ნაფოტისმაგვარი ნივითი ჭურჭლის ზედაპირის მოსწორების ტრადიციის გაგრძელებით. ენეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი სამკუთხედისებური-პირამიდისებური შემკობა (სამეღე კლდე) მასობრივად გვხვდება პროტოკოლხურ II ეტაპზე [10, ტაბ. XXV⁵⁶].

ისპანის, ფიჩორის (VIII, VII), ანაკლია I-ის (ქვედა ფენა), ოჩამჩირის III ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალების მიხედვით მჭიდრო მემკვიდრეობითი კავშირები შეინიშნება მომდევნო შუა ბრინჯაოს საფეხურის (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი V ფენა, ფიჩორი № 6 ბორცვი, ერგეტა V ფენა, ანაკლია პირველი II ფენა) თიხის ნაწარმთან.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის ლითონის ინვენტარის მიხედვით (ყუამილიანი-ყუადაქანებული, კოლხური ცულების პროტოტიპები და გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა სახეობის ცულები) მემკვიდრეობით კავშირებს ვარაუდობენ ქიმიისებური შვერილებით, ტანის ექვსად დაწახნაგებით, ცულის ქვედა პირისაკენ დაშვებული შუა წიბურებით და სხვა კომპონენტებით [1, გვ. 14-15; 5, გვ. 140; 7, გვ. 34; 16, გვ. 55; 20, გვ. 62]. შესაძლოა სვანეთისა და რაჭის (ბრილი, ქვიშარი) შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულების ერთ ნაწილსა და გვიანბრინჯაოს ხანის ცულებს შორის (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით II ტიპი, დ. ქორიძის მიხედვით კი IV ტიპის I ქვესახეობა) გენეტიკური კავშირები იკვეთებოდეს ტანის ორგზის მოხრილობით. ჩვენთვის, სხვა მოსაზრებებისაგან განსხვავებით, უფრო მისაღებია კოლხური ცულების პროტოტიპების ადგილზევე ფორმირება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ყუამილიანი-ყუადაქანებული ცულების (ურეკი, ლეჩქოფი) ევოლუციის შედეგად [11, გვ. 52]. ეს უკანასკნელი კი გენეტიკურად უკავშირდება უფრო ადრეულ სვანეთის, საჩხერის, განთიადისა და ფიჩორის (ყაღბების მიხედვით) ნიმუშებს.

⁹ მხედველობაში გვაქვს კოლხური ცულების პროტოტიპების გენეტიკური დაკავშირება ღრმაღელე-შამშადინის ამ რიგის იარაღებთან [7, გვ. 36; 16, გვ. 77]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ცულების ერთმანეთთან დაკავშირებას ხელს უშლის სრულიად განსხვავებული ტერიტორიებისათვის და კულტურებისადმი კუთვნილება [12, გვ. 169].

⁸ თ. ჩიგოშვილს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დასაშვებად მიაჩნია სამი მიკროლოკალური ვარიანტის გამოყოფა [17, გვ. 18-19].

სამეცნიერო ლიტერატურაში შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი კერამიკული მასალების მიხედვით ნაკლებად იყო გაშუქებული. უკანასკნელი გამოკვლევების შედეგად ამ მიმართულებით არსებული ვაკუუმი ერთგვარად შეივსო [1, გვ. 9-10].

პროფ. თ. მიქელაძემ, ნოსირის კერამიკულ მასალებზე დაყრდნობით, პირველმა გაამახვილა ყურადღება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებზე და მათ შორის აღიარა მჭიდრო გენეტიკური კავშირები [7, გვ. 47, 67-68]. შემდგომში ეს მოსაზრება სხვადასხვა ძეგლებზე დაყრდნობით გაიზიარეს დ. ხახუტაიშვილმა, მ. ბარამიძემ, დ. ქორიძემ, ე. გოგაძემ [1, გვ. 17-21; 24, გვ. 239; 27, გვ. 46; 33, გვ. 149-150].¹⁰ ნოსირის შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებს შორის ჭურჭლის ფორმების, ყურების სახეობისა და შემკულობის თვალსაზრისით მართლაც შეინიშნება მჭიდრო მემკვიდრეობითი კავშირები [3, ტაბ. XIII; 25, სურ. II, III]. ფიჩორის ცენტრალური ბორცვის, ნაკარღალის, ერგეტას ნამოსახლარების მიხედვით, სადაც შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენები სტრატეგრაფიულად ურთიერთმონაცვლეობენ, გენეტიკური კავშირები რამდენადმე სუსტად ჩანს. ზღვისპირა ზოლის ამ ორი ეპოქის თიხის ნაწარმს შორის, მიუხედავად სრულიად განსხვავებული დეკორისა, ზოგიერთი ელემენტით მაინც შეინიშნება გენეტიკური კავშირები. ეს პირველ რიგში იკვეთება ღრუბირიანი ჭურჭლით, ქილებისა და ქოთნების გარკვეული ჯგუფებით, დაბალყელიანი პირგაშლილი ღერგებით, რელსისებურბაკოიანი, ნახევარსფერულტანიანი და მილისებურგადმოსასხმელიანი ჯამებით, ზემოდან სამკუთხედისებურად დაბრტყელებული ყურების ზოგიერთი სახეობით [23, გვ. 113].

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის ვგარაუდობთ გენეტიკურ კავშირებს. ეს განსაკუთრებით კარგად იკვეთება ლითონის ინვენტარის ზოგიერთი სახეობით, ქვის მასალებით, ნამოსახლარის გამართვის ტრადიციითა და სამშენებლო ტექნიკით.

კერამიკული ნაწარმის მიხედვით მემკვიდრეობითი კავშირები შედარებით სუსტია,¹¹ რადგან შუა ბრინჯაოს მიწურულსა, ძირითადად კი გვიანბრინჯაოს დასაწყისში, მეთუნეობაში ინერგება სრულიად განსხვავებული შემკობის სახეები,

ყურების ახალი ფორმები და მეტ-ნაკლებად იცვლება ჭურჭლის მოყვანილობა.

ჩვენთვის მისაღებია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე კერამიკულ წარმოებაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებები (თავისებური კერამიკული ფორმებისა და ორნამენტაციის დამკვიდრება) დაუუკავშიროთ ზანურენოვანი ქართველური ეთნოსის დამკვიდრებას [1, გვ. 18-19; 7, გვ. 20, 70-72]. ამ უკანასკნელს კი, როგორც ცნობილია, თვლიან ბრწყინვალე კოლხური კულტურის შემქმნელად [5, გვ. 57-58; 7, გვ. 20, 70-72].

ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად კვლავ რჩება პროტოკოლხური კულტურის არელების შემოფარგვლა. სამხრეთ-დასავლეთით პროტოკოლხური კულტურის (I, II ეტაპი) გავრცელების უკიდურესი საზღვარია ისპანი და ნამჭედურის VI ფენა. სავარაუდოა, რომ მისი რადიაციის ზონაში მოქცეული უნდა ყოფილიყო კოლხეთის დაბლობის მომიჯნავე თანამედროვე თურქეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლი. სადღეისო მონაცემების მიხედვით, პროტოკოლხური კულტურის (I ეტაპი) ყველაზე ადრეული პლასტები გამოვლენილია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში (ისპანის ქვედა პორიზონტი). ეგებ ამ კულტურის ფორმირების მთავარი ცენტრი სწორედ ეს მხარე იყო. შემდეგ კი, ალბათ, უმთავრესად ზღვისპირა სანაპირო ზოლის გასწვრივ მოხდა მისი რადიაცია ჩრდილოეთის მიმართულებით. არ არის გამორიცხული, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მდებარე პროტოკოლხური კულტურის ყველაზე ადრეული პლასტების განადგურება (ტორფით დაფარვა) დაუუკავშიროთ ჰოლოცენში მიმდინარე ახალშავზღვურ ტრანსგრესიასა და ფანაგორიულ რეგრესიას [33, გვ. 146-152]. სწორედ ამ მიზეზით შეიძლება ავხსნათ ამ მხარეში პროტოკოლხური კულტურის ძეგლების არცთუ ისეთი სიხშირე. ეს კულტურა მძლავრად ვრცელდება ქ. სოხუმამდე, უფრო სუსტად კი მდ. ფსოუმდე.

ზოგიერთ ძეგლზე (გუმისთა I, ახრა-კაპში, პალი, აჩანდარა, გუანდრა B ფენა) პროტოკოლხური კულტურის ელემენტები დასტურდება რამდენადმე განსხვავებულ თიხის ნაწარმთან ერთად (წიწვოვანი, ნაპრიალებზოლიანი, ნახევარმთვარისებურ შტამპიანი კერამიკა, მარყუჟისებური ყურები), ასევე, ამ კულტურისათვის სრულიად უცხო სოჭი-ადღერისა და სოხუმის ტიპის ქვის თიხებთან.

პროტოკოლხური კულტურის მძლავრი გავლენის სფეროში ექცევა დოლმენებიც, რასაც აქ გამოვლენილი ყუამილიან-ყუადაქანებული ცულები უნდა ადასტურებდეს. იქმნება ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ სოხუმსა და ფსოუს შუა მდებარე ტერიტორია წარმოადგენდა პროტოკოლხურსა და მასთან ორგანულად დაკავშირებულ, მონათესავე (თუ ერთიან) სამხრეთ დოლ-

¹⁰ შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის გამოყოფას ჩვენც შევხვით ზოგიერთ ნაშრომში [22, გვ. 79, ტაბ. XXXV, XXXVI; 23, გვ. 107, ტაბ. IV, XIV].

¹¹ მხედველობაში გვაქვს არა ცენტრალური კოლხეთის შიდა რაიონების, არამედ ზღვისპირა ზოლის თიხის ნაწარმი.

მენური კულტურის საკონტაქტო ზონას, თანხვედრის ადგილს. აღმოსავლეთით პროტოკოლხური კულტურის გავრცელების უკიდურესი საზღვარია არგვეთის ნამოსახლარი, რომლის ზედა ჰორიზონტზე მტკვარ-არაქსთან ერთად დაფიქსირდა კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ელემენტები [13, გვ. 60].

კოლხეთის მთიან მხარეში (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) არ არის გამოვლენილი პროტოკოლხური კულტურის ნამოსახლარები. მაგრამ სვანეთში მრავლად აღმოჩენილი ყუამილიან-ყუადაქანებული ცულები და კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი სხვა მასალები [34, გვ. 131-132] გვაფიქრებინებს, რომ ეს მხარე შედიოდა პროტოკოლხური კულტურის არეალში.

ძველი კოლხური კულტურა (I, II ეტაპი) მოიცავს მთელი კოლხეთის ტერიტორიას. როგორც ლითონის (გაგრის, ლიხნის, ბიჭვინთის, ლეჩქოფის განძები და სხვა მრავალი აღმოჩენა), ასევე კერამიკული ნაწარმის მიხედვით იგი მრავლადაა წარმოდგენილი (განსაკუთრებით ძველკოლხური II ეტაპი) ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მდ. ფსოუმდე (ტამიში, მოქვი, სოხუმისა და ვერეშჩაგინის მთის ნამოსახლარები, ბომბორას სამაროვანი და ნამოსახლარი, გაგრის სამაროვანი) [17, გვ. 19; 22, გვ. 81; 23, გვ. 118-119]. სამხრეთ-დასავლეთით ამ კულტურის გავრცელების ბოლო პუნქტებია: ჩოლოქი, ციხისძირის წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი, ნამჭედური, ბათუმის ციხის ქვედა ფენა.¹² კოლხური კულტურა ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე (მეხჩისა და ორდუს განძები) [7, გვ. 41-42].

აღმოსავლეთით ძველი კოლხური კულტურის არეალი იფარგლება ჭიათურის, საჩხერისა და ზესტაფონის რ-ნებით (მოდინახე, კორბოული, ჯიეთი III, IV ფენა, საირხის საბადურის გორის I კულტურული ფენა, ჭარბელას, ნაციხვარის, სვირის ციხურას ბორცვები და სხვ.) [6, გვ. 21, გვ. 82-92].

ამგვარად გვესახება კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის კულტურებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემური საკითხი. მათი ამომწურავი ანალიზი და გადაწყვეტა ერთ სტატიასში შეუძლებელია. ეს მხოლოდ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების გაგრძელებას წარმოადგენს.

L. Jibladze

ON SOME DISPUTED QUESTIONS OF PROTO- AND ANCIENT COLCHIAN CULTURE

(Summary)

The attested distinctions between the clayware from the Middle Bronze settlements of coastal line of the Black Sea by the lower stream of the river Enguri and those of the inner region of the Central Colkheta lowland must have been caused not by the local variations, but by existing chronological divergence.

The cited suggestion is confirmed by the stratigraphic data from the ditches of the multilayered settlements of Pichori, Nakarghali and Ergeta.

The local variations of Bronze Age Cultures of the western, central and south-western Colchis are reflected in architecture, pottery industry, etc.

The Middle Bronze and Late Bronze Age Cultures of the Colkheta lowland reveal immediate contacts, though in pottery the fact is hardly evident.

The ultimate frontier of spreading of Proto- and Ancient Colchian Culture to the south-west lies as follows: Ispani, Namcheduri, Choloki, etc. Not so strongly this cultural area reaches the city of Sukhumi, while the diffusion of Proto-Colchian culture to the river Psou is even less evident.

The ultimate boundary in the eastern direction is constituted by Chiatura, Sachkhere and Zestaponi districts (Modinakhe, Korbouli, Jaeti III and IV layers, Sviris Tsikhura, etc.).

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.

2. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1998.

3. გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.

4. გოგაძე ე. კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის გამო. – გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II. თბ., 1997, გვ. 33-58.

5. ლორთქიფანიძე ოთ. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.

¹² ასევე ვგულისხმობთ ამ კუთხიდან მომდინარე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებს [11].

6. მახარაძე გ., ლომთაძე გ. კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. – ნარკვევები, II. 1997, გვ. 9-29.

7. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974.

8. მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978.

9. მურვანიძე ბ. ჭოლიბას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარული ანალიზი). – გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები, I. თბ., 1990, გვ. 73-77.

10. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.

11. რამიშვილი ალ. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.

12. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბ., 1973.

13. ფხაკაძე გ. დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993.

14. ფხაკაძე გ. კოლხეთის დაბლობის ადრე-ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი. – ძიებანი, № 2, თბ., 1999, გვ. 32-37.

15. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1955.

16. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.

17. ჩიგოშვილი თ. ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

18. ჩიგოშვილი თ., ჯიბლაძე ლ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდ. ენგურის ქვემო წელიდან. – ძმ, № 4, 1999, გვ. 11-16.

19. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1978.

20. ჯაფარიძე თ. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. – მაცნე, № 1-2, 1982, გვ. 61-82, 41-63.

21. ჯაფარიძე ვ., კალანდაძე კ., გვინიძე გ. არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში. – მილსადენის არქეოლოგია, I. 1999, გვ. 82-92.

22. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლართა ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. – გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები, I. თბ., 1996, გვ. 78-83.

23. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მიხედვით). თბ., 1997.

24. Барамидзе М. В. Пичорское поселение. – Причерноморье VII-V вв. до н.э. Письменные источники и археология. Материалы Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья (Вани, 1987). Тб., 1990, с. 234-241.

25. Гогодзе Э. М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры (по материалам Носири-Мухурчи). – სსმპ, XXVII-B, 1984, с. 28-54.

26. Гогодзе Э. М. Хронология памятников колхидской культуры эпохи средней бронзы и некоторые вопросы культурной атрибуции вариантов обшеколхидской культуры эпохи ранних металлов. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Телави-Сигნაги 1986, Тб., 1991, с. 111-131.

27. Коридзе Д. А., Гогодзе Э. М. Результаты полевых работ, проведенных Носирской археологической экспедицией в 1969 г. – სსმაე II, 1971, с. 31-52.

28. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950.

29. Микеладзе Т. К., Хахутаიшвили Д. А. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.

30. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды (эпохи средней и поздней бронзы-раннего железа), Тб., 1990.

31. Микеладзе Т. К. Протоколхская культура. – Археология СССР. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. М., 1994, с. 67-74.

32. Сахарова Л. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореферат на соиск. уч. степ. канд. ист. наук. Тб., 1966.

33. Хахутаიшвили Д. А. Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. – Кавказо-ближневосточный сборник, VII. Тб., 1984, с. 146-152.

34. Чартолани Ш. Т. К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тб., 1989.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენის კერამიკა.


ტაბ. II – ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენის კერამიკა.


Description of the plates

Pl. I.1-14 - Pottery from layer V of the central hill of Pichori settlement.

Pl. II. 1-17 - Pottery from layer IV of the central hill of Pichori settlement.

ტაბ. I





შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი

შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის უძველესი ეტაპისათვის ქრონოლოგია-პერიოდიზაცია კარგა ხანს ეფუძნებოდა ლითონის ინვენტარის შესწავლას. ამათგან ერთი ჯგუფი ნივთებისა – ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი და ზოგიერთი სხვა ნივთი, მიჩნეული იყო გვიანი ბრინჯაოს ხანის უძველესი ეტაპის განმსაზღვრელ ელემენტებად. ამგვარი ნივთების შემცველი ძეგლები უშუალოდ მიუახლოვეს შუა ბრინჯაოს ხანას და დაათარილეს ძვ.წ. XV-XIV სს-ით [33, გვ. 4, 5; 12, გვ. 143, 145; 25, გვ. 148-152; 26, გვ. 97-103; 1; 2, გვ. 313-314]. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლის ერთი ეტაპი დამთავრდა მეოცე საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში, ძირითადად ლითონის ინვენტარის ანალიზზე დაფუძნებული საკმაოდ კარგად გამართული ქრონოლოგიური ცხრილის შედგენით (რ. აბრამიშვილი).

შუა ბრინჯაოს ხანის კომპლექსებში გვიანი ბრინჯაოს ხანის ელემენტების გამოჩენა უყურადღებოდ არ დარჩენიათ შესაბამის არქეოლოგიურ მასალაზე მომუშავე სპეციალისტებს [25, გვ. 148, 149; 26, გვ. 103; 4, გვ. 41, 45; 10, გვ. 149-154; 35, გვ. 76-77; 36, გვ. 17, 18, 31-35 და სხვ.], მაგრამ სათანადო ძეგლების სიმცირის გამო, ცალკეული დაკვირვებებიდან განზოგადოებული დასკვნების გაკეთება მათ ვერ მოახერხეს. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 70-იან წლებში, როდესაც შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანას შორის, ამჯერად უკვე ლითონის ინვენტართან ერთად თიხის ჭურჭლის გათვალისწინებით, გამოყვეს გარდამავალი პერიოდი და გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპი. ფაქტობრივად შეიქმნა ახალი ქრონოლოგიური ცხრილი (კ. ფიცხელაური). განისაზღვრა გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი ნიშნებიც, რომელთა შორის ძირითადია შუა ბრინჯაოს ხანისათვის უჩვეულო მქისე თიხისაგან დამზადებული თიხის ჭურჭელი მხარზე ირიბი ნაჭდევების სარტყელით [23, გვ. 67-71, 78, 144], მაგრამ შემდეგ, რატომღაც, ერთი ჯგუფი გარდამავალ ხანაზე სწორედ მიკუთვნებული ძეგლებისა კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებთან გააერთიანა [37, გვ. 67, 68]. მე პირადად ვერ გავიზიარებ მქისე თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის შემცველი კომპლექსების თუნდაც შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის მიკუთვნებას.

მეოთხედი საუკუნეა მიხდება მუშაობა აღნიშნული პერიოდების ძეგლებზე. კერძოდ, შევისწავლე ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამაროვანი ხაშურის რაიონის სოფ.

წალვლში [14-17, 38-40]. აქ მოპოვებული მასალის ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს სამაროვანი წარმოადგენს ამ დროის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ და სრულად შესწავლილ ძეგლს. სწორედ ამ და სხვა სინქრონული ძეგლების შესწავლამ მომცა საშუალება გამომეთქვა საკუთარი შეხედულებანი საკვლევი პერიოდის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხზე და შემეტანა ზოგიერთი კორექტივი შიდა ქართლისა და ცენტრალური ამიერკავკასიის ქრონოლოგიურ სქემებში.

უკვე კარგა ხანია შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვისაა მიკუთვნებული ნულის [31, გვ. 31-35, ნახ. 11-13, ტაბ. XVII-XIX], ქვასათალის [22, გვ. 200-222; 32, გვ. 25-28], ბრილის [5, გვ. 57; 21, გვ. 113, 114, 117; 22, გვ. 230-233], თლის [44, გვ. 80 და შმდ.] და რივი სხვა ძეგლებისა, რომლებიც თრიალეთის ყორღანების ყველაზე მოგვიანო ჯგუფზე ახალგაზრდად გამოიყურება. ამგვარი ძეგლები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. **კახეთში** ამგვარი მასალა გვხვდება შვინდიანში [19, გვ. 20-30, ტაბ. III, IV], ზემო ალვანში [9, გვ. 45-49, ტაბ. VIII, IX], ფურცელწყლებში [11, გვ. 30-35, ნახ. 11-13, ტაბ. XXI-XXIV]; **შიდა ქართლში**, გარდა ზემოთ მითითებული ნულის, ქვასათალის და თლისა, გვხვდება წალვლში [38, გვ. 67-69, ტაბ. XXXIV-XXXVII; 39, გვ. 56, ტაბ. XXVII-XXX; 40, გვ. 35, ტაბ. XVII, XVIII]; ნატახტარში [26, გვ. 45, ტაბ. LXI-LXIV]. **მესხეთ-ჯავახეთში**: ახჩიას [27, სურ. 5, 6, 8, 10-14, 16, 21-29], ღუმელას [იქვე, გვ. 108-113, 119-127, სურ. 53-58]; ბერთა ყანის [იქვე, გვ. 78-92, სურ. 31-33] კოჭრების [იქვე, გვ. 92-98, სურ. 39, 41] და სხვა სამაროვნებზე (იხ. კრებიტი ტაბულა, შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზის I საფეხური, შუა ბრინჯაოს ხანის დასასრული).

მითითებული კომპლექსები ძირითადად ერთგვაროვან ინვენტარს შეიცავს და მხოლოდ ცალკეული ნივთებითა და უფრო სშირად ცალკეული საგნების მცირე ნიუანსებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ ძეგლებზე გვხვდება ჯერ კიდევ თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ზომის, სშირად აბსოლუტურად მსგავსი ფორმისა და ერთნაირად შემკული ღერგები. ასეთივე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ყურიანი და უყურო ბადიები, ცალყურა და, უფრო იშვიათად, ორყურა კათხები და სას-

მისები (ეს უკანასკნელი უფრო ხშირად უყუროს).

განსხვავებით დერგებისა და ქოთნებისაგან, თიხის ბადიები, კათხები და სასმისები არ არის დამახასიათებელი თრიალეთური კულტურისათვის. ასე, მაგალითად, კათხები და სასმისები არ აღმოჩნდა თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის დღემდე ცნობილ არცერთ ყორღანში, ხოლო ბადიები შუა ბრინჯაოს ხანის III ეტაპის მხოლოდ I და XV ყორღანებში გვხვდება [7, ტაბ. 15, 22]. ვფიქრობ, ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას მაძლევს აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის დამახასიათებელ და ამდენად განმსაზღვრელ ნივთებად მივიჩნიო ბადიები, კათხები და წელში გამოყვანილი სასმისები.

წალვლის სამაროვანზე გათხრილ 150 სამარხში აღმოჩენილია 542 თიხის ჭურჭელი. იგი, მსგავსად სხვა სინქრონულ ძეგლებზე მოპოვებული თიხის ჭურჭლისა, ძირითადად დამზადებულია თეთრჩანართებიანი, კარგად განლექილი თიხისაგან, აქვს მეტ-ნაკლებად ფხვიერი კეცი, ძირითადად შავპრიალა ზედა და მოყავისფრო შიდაპირი. ფაქტობრივად ერთგვაროვანია ორივე ქრონოლოგიურ ჯგუფში გავრცელებული თიხის ჭურჭელი თავისი შედგენილობითაც – გვხვდება ყველა ის ფორმა, რომელიც ზემოთ აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს მივაკუთვნე (დერგი, ბადია, კათხა, სასმისი და სხვ.). ამას გარდა, საკმაოდ მრავლად არის აღმოჩენილი, ასევე ძირითადად შუა ბრინჯაოს ხანის იერის მქონე ქოთნები და კოჭობები. შუა ბრინჯაოს ხანის ტრადიციებს აგრძელებს აგრეთვე ამ დროის თიხის ჭურჭლის შემკულობაც. უპირატესად შემკულია დიდი ზომის ჭურჭელი, უფრო იშვიათად – საშუალო ზომისა და თითქმის ყოველთვის სადაა მცირე ზომის ჭურჭელი. როგორც წესი, ორნამენტი დატანილია ჭურჭლის მხრებზე სარტყლებისა და შევრონების სახით; შესრულებულია გაპრიალებისა და ამოღარვის (უფრო იშვიათად ამოკაწვრის) მეშვეობით. საკმაოდ ხშირია ე.წ. სავარცხლის კბილისეული ნაჭდევებით შევსებული სამკუთხედები და ნაპრიალები ბადეები; არც თუ იშვიათად ჭურჭელი შემკულია შიდა მხრიდან წნევით გამოზნექილი პატარა კოპებით.

ასევე ერთგვაროვანია წალვლის სამაროვანზე გამოვლენილი სხვა სამარხეული ინვენტარიც: ბრინჯაოს სატევარი (სულ სამაროვანზე აღმოჩენილია 9 სატევარი), მასრაგახსნილი ნაჭდევი შუბისპირი (13 შუბისპირი), ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი (26), ბოლოებგახსნილი სამაჯური (39), პირამიდისებურთავიანი, ანთიმონის ხუთკოპიანი თავის მქონე და თავხვია საკინძები (აღმოჩენილია 142), ელიფსის ფორმის ერთნახევარი ხვიისებური, ბოლოებგაფართო-

ბული საკიდი (92), ანთიმონის, მათ შორის სამი და ოთხმილიანი შემკრები მძივები¹³ (80 მძივი).

წალვლის სამაროვანზე მოპოვებული მასალის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ ძირითადი ნაწილი დამახასიათებელია შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის. ნაწილი ამ მასალისა – ბადიები, კათხები, სასმისები, პირამიდისებურთავიანი საკინძები, რომბისებურ-განიკვეთიანი სამაჯურები, თითქმის აღარ გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანაში და ამდენად შესაძლებელი ხდება ამ ნივთების გამოყენება ბრინჯაოს ხანის მითითებული ეპოქების გასამიჯნავად.

მეორე ნაწილი წალვლის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალისა – დერგი, მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია, დისკოსებურთავიანი, სოკოსებურთავიანი, პირამიდისებურთავიანი ხუთკოპიანი საკინძები – მეტ-ნაკლები ინტენსიურობით აგრძელებენ ფუნქციონირებას გვიანი ბრინჯაოს ხანაშიც და წარმოადგენენ ამ ორი ეპოქის დამაკავშირებელ რგოლს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ისევე როგორც სხვა სინქრონულ ძეგლებზე, წალვლის სამაროვანზეც, სამაროვნების ერთ ჯგუფში თავს იჩენს შუა ბრინჯაოს ხანისთვის უცხო თიხის ჭურჭელი, დამზადებული ქვიშა და შიგადაშიგ წვრილი კენჭებნარევი, ცუდად გარჩეული თიხისაგან. ამგვარ ჭურჭელს უმეტესად რუხი-მოწითალო ფერი აქვს. მისი ზედაპირი დაღარულია, ხოლო მხარზე შემოსდევს ირიბი, ან ფრჩხილისეული ნაჭდევები, ან კიდევ რელიეფური გრეხილი სარტყელი. ეს ჭურჭელი არსებობას განაგრძობს მომდევნო ეპოქაშიც, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში.

თუ შევაჯამებთ წალვლის სამაროვანზე მოპოვებული მასალის ამ მოკლე მიმოხილვას, უნდა დავასკვნათ, რომ წალვლის სამარხების ერთ, უხეში თიხის ჭურჭლის შემცველ ჯგუფში თანარსებობენ, ერთი მხრივ, გვიანი ბრინჯაოს ხანისთვის უცხო, მაგრამ შუა ბრინჯაოს ხანისათვის ტიპური, და მეორე მხრივ, შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ელემენტები. თუ პირველი არ გვაძლევს უფლებას ამ რიგის კომპლექსები გავაერთიანოთ გვიანი ბრინჯაოს ხანის კომპლექსებთან, მეორე რიგის ელემენტები ამოორივნავს ამ კომპლექსების გაერთიანებას ტიპური შუა ბრინჯაოს ხანის კომპლექსებთან. სწორედ ამგვარი ძეგლები მიგვაჩნია ერთი ეპოქიდან მეორეზე გარდამავალი პერიოდის კუთ-

¹³ მეტ-ნაკლებად მსგავსი მძივები ჩემთვის ცნობილია ნარეკავის № 26 სამარხიდან [30, გვ. 48, ტაბ. LXII₃], მაშავერას V ყორღანიდან [34, გვ. 58, ტაბ. 139] და ზანგეზურის მხარიდან, შემთხვევითი მონაპოვრის სახით [45, ტაბ. XXX₇].

ვნილებად, როგორც წაღვლის სამაროვანზე, ასევე სხვა ანალოგიურ ძეგლებზეც.

წაღვლში აღმოჩენილი ამ რიგის სამარხეული კომპლექსების შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო მქისე თიხისაგან დამზადებული თიხის ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებამ. წაღვლში ამგვარი თიხის ჭურჭლის ზედაპირი უპირატესად უსისტემოდ დაღარულია, აშკარად ეტყობა რომ ის გამოძერწილია ნელა მბრუნავ მორგვზე, მაშინ როდესაც ზოგ ძეგლზე გვხვდება სწრაფად მბრუნავ მორგვზე გამოძერწილი და ე.წ. კონცენტრული ღარებით დაფარულ ზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევებით. როდესაც მქისე თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის შემცველი სამარხეული კომპლექსები დავაჯგუფეთ მითითებული ნიშნების მიხედვით, გამოირკვა, რომ მხოლოდ უსისტემოდ დაღარულზედაპირიან თიხის ჭურჭლის შემცველ კომპლექსებში გვხვდება შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის დამახასიათებელი ბადიები, კათხები და სასმისები, ხოლო ე.წ. კონცენტრული ღარებით დაფარული ზედაპირის მქონე თიხის ჭურჭელთან ერთად მათ თითქმის ვერ ვხვდებით. სამაგიეროდ, ამ კომპლექსებში თავი იჩინა მოზრდილმა გობისებურმა ჭურჭელმა, მათ შორის ე.წ. კაკლის ნაჭუჭის ფორმის პირიანებმა და „მელიდელური“ თიხის ჭურჭლის ზოგიერთმა სახეობამ. როგორც ეტყობა, ამავე კომპლექსებში იჩენს თავს შემკულობის გარკვეული ფორმები. პირველ რიგში თვალში საცემია ნაპრიალები ორნამენტის მომრავლება, სპეციალური სავარცხლისებური ხელსაწყოთი სწრაფად მბრუნავ ჭურჭლის ზედაპირზე ამოღარული ტალღისებური სარტყლის დატანა და სხვა. მითითებული სიახლენი თავის განვითარებას მომდევნო, გვიანი ბრინჯაოს ხანაში პოულობენ, ხოლო ამ ეტაპზე ისინი ჩნდება ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნივთების (შავპრიალა ღერგები, ქვაბქოთნები, კოჭობები, მასრაგახსნილი ნაჭედი შუბისპირები, საკინძების ზოგიერთი სახეობანი და სხვ.) გვერდით.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლებელია შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში გამოყოფა განვითარების ორი საფეხური: პირველ საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ ნელა მბრუნავ მორგვზე დამზადებულ, უსისტემოდ დაღარულზედაპირიან თიხის ჭურჭელს, ხოლო მეორე საფეხურს ის კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ სწრაფად მბრუნავ მორგვზე დამზადებულ, მჭიდროდ მიჯრილი კონცენტრული ღარებით დაფარულზედაპირიან და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევების მქონე თიხის ჭურჭელს.

ამ ნიშნების მიხედვით ჩემთვის ცნობილი გარდამავალი პერიოდის ძეგლები შემდეგნაირად დანაწილდება:

I საფეხურის ძეგლებია: **კახეთში** – ილტოს კენოტაფი [37, ტაბ. II^o]; **შიდა ქართლში** – სამთავროს სამაროვნის № 1 კენოტაფი, № 70 სამარხი [13, ტაბ. II, 13-16]; თრელის № 43, 53 [3, ტაბ. XIII-XVI, XVIII, XIX, ნახ. 19, 23]; წაღვლის № 1, 3, 7, 8, 11, 13, 16-18, 20, 21, 31, 32, 35, 38, 41, 44, 48, 49, 55, 59, 72, 76, 77, 80, 81, 92, 93, 96, 98, 101, 108, 116, 119-121, 123, 125, 133, 135, 136, 139, 140, 150 სამარხი [38, ტაბ. XXXVIII-XL; 39, ტაბ. XXXI, XXXII; 40, ტაბ. XIX]; **თრიალეთში** № 32 ყორღანი [7, ტაბ. 277] და სხვ. (კრებითი ტაბულა, შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზა, გარდამავალი პერიოდის I საფეხური).

II საფეხურის ძეგლებია: **კახეთში** – ზემო ბოდბის № 1, 2 [37, ტაბ. V]; გადრეკილის № 1, 2 [24, ტაბ. II] ყორღანები; ბრინჯაოს № 1 ყორღანის № 1, 2 სამარხები [37, ტაბ. X, XI^o]; ლილოს № 5 [8]; ოლეს № 11 [23, ტაბ. LIII₂] ყორღანები.

შიდა ქართლში – სამთავროს სამაროვნის № 198 [13, ტაბ. III₂₆₋₃₃], ნამგალა მიწის № 1, 2 ყორღანები, თრელის № 56, 74 სამარხები [3, ნახ. 28, 39, 41, 43]; კასპის № 4 18 [4, ტაბ. III₇]; ცხინვალის სატყეო კომბინატის № 3, 4 [23, ტაბ. LIV₂, LV₁]; ბაიბურთის ზედა და ქვედა სამარხები [23, ტაბ. LVI];

თრიალეთში – № 28 საბიდახას და № 42 ტაბაწყურის ყორღანები [7, ტაბ. 26_{გ,დ}] და სხვ. (კრებითი ტაბულა, გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზა, გარდამავალი პერიოდის II საფეხური).

შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის შემდეგ, ფოთლისებური სატყეოების გავრცელებამდე კ. ფიცხელაურმა გამოყო კიდევ ერთი პერიოდი, გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველი, ადრეული საფეხური. იგი მიუთითებს რამდენიმე ათეულ ძეგლს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც შეიცავენ მის მიერ ახლად გამოყოფილი ეტაპისათვის დამახასიათებელ მასალას [37, გვ. 88-92].

ასევე ხედავს განსხვავებას კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისა და ფოთლისებური სატყეოების შემცველი კომპლექსების როგორც თიხის ჭურჭელს, ისე სხვა მასალებს შორის რ. აბრამიშვილი, მაგრამ იგი თვლის, რომ ეს ძეგლები ეკუთვნის სხვადასხვა, სამთავროული და ლჭაშენ-წითელგორული სინქრონული კულტურების წრეს [3, გვ. 83-85].

რამდენადაც ზემოთ მოტანილი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი მეტად დიდი მნიშვნელობისაა ქართული და, საერთოდ, კავკასიური არქეოლოგიისათვის, აუცილებელია მათ მიმართ საკუთარი დასაბუთებული დამოკიდებულების გამოხატვა. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩემი შე-

ხედულებით მოსაზრება სამთავროს და ე.წ. ლჭაშენ-წითელგორული კულტურების სინქრონულობის შესახებ ნაკლებდამაჯერებელია. კ. ფიცხელაურის მიერ მოტანილ არგუმენტებს [23, გვ. 145-158] ჩემი მხრივ დავუმატებ შემდეგს:

რამდენადმე არაკორექტულად არის მოხმობილი თრელებისა და სამთავროს სამაროვნების ზოგადი სტატისტიკური მონაცემები. როგორც თრელის, ასევე სამთავროს სამაროვნები მოქმედებდნენ მეტად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და ამა თუ იმ ეპოქის შესახებ მსჯელობისას უნდა ვიხედომდვანელოთ არა საერთოდ სამაროვნზე გათხრილი სამარხების, არამედ სწორედ იმ ეპოქის სამარხების მონაცემებით, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ. ამ შემთხვევაში თრელის სამაროვნის 100-ზე და სამთავროს სამაროვნის 700-ზე მეტ სამარხში ჩვენთვის ამჟერად საინტერესო გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება. კერძოდ, თრელის სამაროვნზე თვით რ. აბარმიშვილი ფოთლისეზური სატევრების სინქრონულად მხოლოდ 4 სამარხს (№ 37, 42, 55, 56) მიიჩნევს [3, გვ. 79-85]. სამთავროს სამაროვნზეც ჩვენთვის ამჟერად საინტერესო სამარხების რაოდენობა 700-ზე გაცილებით ნაკლებია და იგი ბევრად არ უნდა აღემატებოდეს ერთ ათეულს.

არ გამოდგა მართებული დაკვირვება თრელის სამაროვნზე ფოთლისეზური სატევრების შემცველი კომპლექსების არარსებობის შესახებ. ჯერ კიდევ 1975 წელს ამ სამაროვნზე გაითხარა № 117 სამარხი ფოთლისეზური სატევრით, [28, გვ. 36, ტაბ. XI], ხოლო 1977 წელს № 140 სამარხი – სამთავროს კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთების მთელი კომპლექტით: ფოთლისეზური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი და თავხვია საკინძი [29, გვ. 45, 47, ტაბ. XXVIII].

გაუგებარია მეორე არგუმენტიც სამთავროს და ე.წ. ლჭაშენ-წითელგორული კულტურების სინქრონულობისა. ვინ, სად და როდის დამტკიცა, რომ მქისე თიხის ე.წ. ბაიბურთული დერგები წარმოადგენენ ერთადერთ განმსაზღვრელ ნიშანს მედიდელური თიხის ჭურჭლის შემცველი კულტურისა? განმსაზღვრელია საერთოდ მქისე თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი. ამგვარი ჭურჭელი კი გვხვდება სამთავროს იმ სამარხებში, რომლებიც ამჟერად ჩვენთვის არის საინტერესო [13, სურ. 845-848, 61-94; 20, ტაბ. X, XIV, XVII-XXV]. ასე რომ სამთავროს სამაროვნზეც არის მქისე თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი და თრელის სამაროვნზეც – ფოთლისეზური სატევრები და სხვა მისი თანმხლები ნივთები, მაგრამ, ალბათ, ეს ფაქტი არ შეიძლება გადამწყვეტად მივიჩნიოთ ამჟერად სადისკუსიოდ გამხდარი საკითხის გარკვევისას. დასაშვებია რომ ამა თუ იმ, ან ყოველ სამაროვნზეც კი იყოს თითო-ოროლა, ან გაცი-


ლებით მეტიც კი სხვა, არაძირითადი კულტურისათვის დამახასიათებელი მასალის შემცველი სამარხი. ჩემი აზრით, წამოჭრილ საკითხზე მსჯელობისას არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს რიგ სხვა ფაქტორსაც.

პირველ რიგში ყურადღებას მივაპყრობ ამჟერად სადავოდ გამხდარი შედგენილობის მქონე კომპლექსების გავრცელების რაიონებს. არ არის მართალი თითქოს ფოთლისეზური სატევრების შემცველი კომპლექსებისაგან განსხვავებით „მელიდელური“ კერამიკის შემცველი კომპლექსები გავრცელებული იყოს მხოლოდ არაგვის აღმოსავლეთით [3, გვ. 85]. ფაქტობრივად ანალოგიური მასალაა მოპოვებული იქვე, არაგვგალმა სამთავროს სამაროვნზე № 113, 139, 145, 146, 153, 160, 163 სამარხებში [13, გვ. 48, სურ. 843-848, გვ. 44, სურ. 63-94; ტაბ. XXXI-XXXIII] და განსაკუთრებით წეროვანში, სადაც ამ ტიპის კერამიკის შემცველი სამარხები საკმაოდ მრავლად არის გათხრილი [20]. ამავე რიგის მასალაა მოპოვებული წადლის [39, გვ. 35, 36, ტაბ. XX, XXI; 40, გვ. 52-56, ტაბ. XXXII], ნაცარგორის სამაროვნზე [18, გვ. 55-70, ტაბ. I-IV] და ბერიკლდეებზე; რომ არაფერი ვთქვათ შიდა ქართლის ნამოსახლარ გორებზე ანაკრეფ მასალაზე, ამგვარი მასალის შემცველი ფენებია გათხრილი ცხინვალის ნაცარგორაზე [6, გვ. 251 და შემდ., ტაბ. X, XVII], ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლში საციხურის გორაზე და სოფ. ნაცარგორის გორა ნამოსახლარზე; დუშეთის რაიონის სოფ. მჭადიჯვარის გორაზე და სხვ. ძნელი წარმოსადგენია მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე ერთდროულად არსებულიყო ორი სხვადასხვა კულტურის სინქრონული ძეგლები, სამაროვნები და ნამოსახლარები. პირიქით, სხვა საბუთებიც რომ არ არსებულიყო, უფრო ადვილი იქნებოდა გვევარაუდა სწორედ მათი ქრონოლოგიური სხვაობა სხვადასხვა ხასიათის მასალის შემცველი ძეგლების ასე დიდ ტერიტორიაზე განფენის გამო, მაგრამ არსებობს სხვა საბუთებიც ამგვარი შეხედულების სასარგებლოდ.


გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისათვის მიკუთვნებული ძეგლებისათვის დამახასიათებელია მაღალი ღრუფეხიანი ვაზები. ისინი გვხვდება თითქმის მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში ამ ეტაპის მეტნაკლებად საფუძვლიანად შესწავლილ ყველა ძეგლზე (გადრეკილის № 1, 10, 104, ფევრების № 21, 25, წეროვანის № 47, 75 სამარხებში და სხვ.), მაგრამ ეს ჭურჭელი არ აღმოჩენილა ფოთლისეზური სატევრების შემცველ არც ერთ კომპლექსში.

გარდამავალი პერიოდის II საფეხურზე ჩნდება სოლისეზური შტამპით შესრულებული ორნამენტები და ფართოდ ვრცელდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე (სამთავროს სამაროვნის № 62, 139, 153, 160, ღრმა ღელის № 4,


11. XVII Ե.




12. XVI Ե-ՕԵ I ԵՏԵ.




2.1. XVI Ե-ՕԵ II ԵՏԵ.



2.2. XV ს.



3.1. XIV-XIII სს.



ქრონოლოგიური ცხრილი

6, წეროვანის № 4, 9, 22, 47, 65, 75 და სხვ., გადრეკილის, ფევრების, ზემო ბოდბის და სხვა სამარხებში), მაგრამ ფოთლისებური სატევრების შემცველ კომპლექსებში ეს ორნამენტი თითქმის არ გვხვდება. ასევე არ გვხვდება თითქმის ამავე კომპლექსებში გარდამავალი ხანიდან ფართოდ გავრცელებული ე.წ. მელიდელური კერამიკაც (წაღვლის № 62, 91, თრელის № 37, 42, 55, სამთავროს № 139, 153, 160 სამარხები).

როგორც ამას თავის დროზეც აღვნიშნავდით, აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან იყო გავრცელებული მეტ-ნაკლებად გულღრმა ბადიები. შემდგომში, გარკვეულად სახეცვლილი, ეს ჭურჭელი გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრეს ეტაპზეც და მხოლოდ ამ საფეხურის ბოლოს ენაცვლება მათ თანდათანობით ფოთლისებური სატევრების შემცველი კომპლექსებისათვის დამახასიათებელი მეტნაკლებად შვეულგვერდებიანი ჯამები და ლანგრები. ასევე ძირითადად მხოლოდ ფოთლისებური სატევრების დროსვე შემოდის ფართო ხმარებაში ყურიანი ხელაღები, ღოჭები და ჩაფები.

მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა თიხის ჭურჭლის კეცსა და ზედაპირზე დაკვირვებაც. ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ფოთლისებური სატევრების გავრცელებამდე, თიხის ჭურჭლისათვის თითქმის უცვლელად არის დამახასიათებელი მეტ-ნაკლებად ფხვიერი და შედარებით სუსტად გამომწვარი, ხშირად ორფენიანი კეცი და შავპირილა ზედაპირი. ფოთლისებური სატევრების შემცველ კომპლექსებში კი კეცი უკვე შედარებით მკვრივია და მეტ-ნაკლებად თანაბრად გამომწვარი, ხოლო ზედაპირი თანდათანობით ლევა ხდება.

დასმული საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე მეტყველი მასალის მოცემა შეუძლია მრავალფენიან ნამოსახლარებს, მაგრამ ამგვარი ნამოსახლარები ან არ არის სათანადო მასშტაბებით გათხრილი, ან კიდევ, სხვადასხვა მიზეზების გამო, იქ მოპოვებული მასალის გამოქვეყნება მეტისმეტად გვიანდება. მე პირადად ჩატარებული მაქვს საკმაოდ სოლიდური სამუშაო ასეთ მრავალფენიან ძეგლებზე ხაშურის რაიონში სოფ. წაღვლის საციხურისა და სოფ. ნაცარგორას ამავე სახელწოდების გორა-ნამოსახლარებზე, სადაც გაითხარა ამჟამად მსჯელობის საგნად გამხდარი პერიოდების შესატყვისი კულტურული ფენები. გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალები სავსებით ადასტურებს სამარხეული მასალის საფუძველზე ზემოთ წარმოდგენილ სურათს. კერძოდ, ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენა თავისი ჯამებით, ღოჭებით, ლანგრებითა და ხელაღებით უშუალოდ ადევს ფენას, რომელშიც თითქმის არ გვხვდება ამგვარი ჭურჭული, მაგრამ საკმაოდ მრავლად შეიცავს კონცენტრულ წრებიან სოლურ თუ სხვა შტამპით შემკულ და ე.წ. მელიდელურ კერამიკას. სამწუხაროდ,

ჯერჯერობით შეუძლებელია ამ მასალის საფუძველზე სათანადოდ დასაბუთებული მსჯელობა, რადგანაც მისი გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია მხოლოდ ახლახან დაიწყო.

ამგვარად, თუ კი თვალს გადავავლებთ თიხის ჭურჭლის განვითარებას შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულიდან ფოთლისებური სატევრების გავრცელების ბოლომდე, თითქოს შესაძლებელი ხდება მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ თიხის ჭურჭლის ცალკეული ფორმებისა თუ მისი შემკობის ხერხების ცალკეული სახეობების წარმოშობისა და განვითარების სურათი. ჩემი აზრით, ამ პროცესში გვიანი ბრინჯაოს ხანის ახლად გამოყოფილ პერიოდსა და ფოთლისებური სატევრების თანმხლებ მასალას ერთი-მეორის მომდევნო საფეხურები უკავიათ და მათ სინქრონულობაზე მსჯელობა არამართებულია (კრებითი ტაბულა, გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზის II საფეხური. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი).

A. Ramishvili

SOME PROBLEMS OF PERIODIZATION OF THE FINAL STAGES OF THE BRONZE AGE IN SHIDA KARTLI

(Summary)

One stage of investigation of the sites of the Late Bronze Age in Eastern Georgia was summed up by drawing fairly accurate chronological table (R. Abramishvili) in the 1950s. Despite the fact, that the appearance of Late Bronze Age elements in complexes of the Middle Bronze Age had not been overlooked by archaeologists (4, 10, 25, 26, 35, 36), generalization of certain facts and working out of the transitional period from the Middle Bronze Age to the Late Bronze Age became possible only in the 70s (K. Pitshelauri). Nevertheless, a part of the sites, correctly dated to the cited period, was soon reattributed to the end of the Middle Bronze Age (37). The archaeological research, carried out over the last 25 years at the sites of the Middle and Late Bronze Ages, enables us to suggest certain changes in the chronological tables of this period.

Such sites as Nuli (31), Kvasatali (22, 32), Tlia (39), etc., while being of the later period than the latest group of Trialeti barrows, are attributed to the Late Bronze Age. These monuments occur throughout East Georgia - Shvindiani (19), Zemo Alvani (9), Purtseltsqlebi (11), Natakhtari (26), Tsaghvli (38, 39, 40), the barrows of Meskhet-Javakheti, etc. Buckets, bowls and drinking cups, unknown to the Trialeti barrows, along with typical vessels of the Middle Bronze Age, are evidenced. On the grounds of these findings, the author has distinguished the end of the Middle Bronze Age as a separate period.

The attention of researcher was drawn by vessels found at one group of these monuments, absent in the Middle Bronze material. They are manufactured of

coarse, poorly-washed clay; being of red-brownish firing, they have a grooved surface with oblique incisions and relief line on the shoulder. Complexes with such pottery should be attributed to the transitional period.

One part of such "rough" pottery is made on a slow potter's wheel. Its surface is grooved without any order. Another part - with oblique incisions and concentric grooves on the edge of the bottom - is manufactured on a swift wheel. It seemed rational to divide the transitional period into two stages: sites containing the vessels with unsystematically grooved surface belong to the first one, while second stage is represented by vessels with concentric grooves.

A group of sites with pottery of the so-called "Melighele type" is distinguished in the early stage of the Late Bronze Age, but both the cultural and chronological definition of this type is still debatable in the specialist literature. According to one assumption, pottery of this type precedes the sites with leaf-shaped daggers and it occurs all over the Trialeti Culture area (K. Pitshelauri). The champions of another hypothesis attribute this clayware to the so-called Lchashen-Tsitelgori Culture and regard it to be simultaneous with the Samtavro Culture with its leaf-shaped daggers, while the area of diffusion is confined only to the territory to the east of the r. Aragvi (R. Abramishvili).

The author supports the former assumption. Besides the arguments, referred to in scientific literature (23, 27), the following suggestions can be added:

It is mistaken to believe that complexes of the so-called Lchashen-Tsitelgori Culture occur only to the east of the Aragvi. Actually, the homogenous material is found not only at the Samtavro and Tserovani necropoleis over the river (18, 39, 40), but also in more distant villages of Tsaghvli and Natsargora, Khashuri district (32, 33), etc.

Contrary to the proposed hypothesis (3), "rough" pottery is present at the Samtavro necropolis and leaf-shaped daggers are found at the Trelis necropolis (32, 33).

Peculiar vases with tall and hollow foot survive from the earlier epoch into the monuments of the early stage of the Late Bronze Age. But they are not found together with leaf-shaped daggers. Deep bucket-shaped vessels with a "walnut"-shaped rim, also characteristic of this period, are gradually superseded by dishes and basins with more or less vertical sides. The decorations intensively used at the early stage of the Late Bronze period, were wedge-shaped stumps, concentric circles, connected spirals, meanders and so on. But they vanish in the following epochs.

The results of the texture and surface analysis of pottery is worth noting. The texture, beginning from the Middle Bronze Age, is brittle, comparatively lightly fired, often two-layered along with black-polished surface. Pottery of the newly distinguished earliest period of the Late Bronze epoch is mostly the same. The texture of the ware in the complexes of leaf-shaped daggers period is tougher and more or less evenly fired, while the surface gradually acquires a greyish tint.

Thus, the process of emergence and development of certain types of pottery and their decorative devices can

be traced along with a survey of the development of the clayware beginning from the Middle Bronze Age up to the end of the existence of the leaf-shaped daggers.

The obtained archaeological material, belonging both to the newly distinguished transitional period and the epoch of leaf-shaped daggers, should be considered as consecutive, thus excluding the possibility of their simultaneous existence.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმ, XXI-B, 1957, გვ. 115-140.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XIV-VII სს. – სსმ, XXII-B, 1960, გვ. 291-382.

3. აბრამიშვილი რ. (რედ.). თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები. ტ. I. თბ., 1978.

4. ბარამიძე მ. კასპის სამაროვანი. – მსკა IV, 1965, გვ. 1-66.

5. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

6. გობეჯიშვილი გ. სტალინის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II. თბ. 1961, გვ. 239-280.

7. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

8. გოგაძე ე. ლილოს ყორღანული სამარხები. – სსმ, XXXII-B, 1976, გვ. 223-251.

9. დედაბრიშვილი ბ., რუსიშვილი რ. ზემო ალვანის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხი. – კაემ, IV, 1980, გვ. 45-50.

10. თუშიშვილი ნ. მადნის ჭალის სამაროვანი. თბ., 1972.

11. კაბანაძე მ. ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები (სადულა, ფურცელწყლები). – კაემ, VI, 1984, გვ. 27-53.

12. ლომთათიძე გ. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბ., 1974.

13. მცხეთა. ტ. IV. თბ., 1980.

14. რამიშვილი აღ. ბრინჯაოს ხანის სამაროვანი წალვლში. – ძმ, 63, 1983, გვ. 5-10.

15. რამიშვილი აღ. არქეოლოგიური კვლევები „ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში 1984, 1985 წლებში. – ძმ, 76, 1997, გვ. 31-35.

16. რამიშვილი აღ. ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი შიდა ქართლის არქეოლოგიური მასალის შუქზე. – II სამეცნიერო სესია, მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პრო-

ცესი და საქართველო, თეზისები. თბ., 1994, გვ. 16-17.

17. რამიშვილი აღ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998

18. რამიშვილი აღ. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ფლევის წყალსადენი სადგურის მშენებლობაზე. – მილსადენის არქეოლოგია, I. თბ., 1999, გვ. 55-70.

19. რუსიშვილი რ. შვინდიანის სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა. – არქეოლოგიური ძიებანი. თბ., 1977, გვ. 23-29.

20. სადრაძე ვ. სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები, თბ. 1997.

21 საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.

22. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბ., 1970.

23. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბ., 1971.

24. ფიცხელაური კ., მენაბდე ც. გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1982.

25. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1955.

26. ჩუბინიშვილი ტ. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

27. ჯაფარიძე თ., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბ., 1981.

28. აბრაიშვილი რ. მ., აპრესოვ ლ. ა., Кахиани К. К., Окропиридзе Н. И., Татишвили Т. Н. Итоги археологической экспедиции Дигомского ущелья. – ПАИ, 1975 (1979), с. 34-37.

29. აბრაიშვილი რ., აპრესოვ ლ., გლოტი ლ., ზანგური ა., Кахиани К., Небиеридзе Л., Окропиридзе Н., Татишвили Т., Джавахишвили А. Археологические раскопки в Тбилиси. – ПАИ, 1977 (1980), с. 39-54.

30. Апакидзе А. М., Николайшвили В. В., Гиунашвили Г. Д., Манджгаладзе Г. Н., Дзнеладзе М. С., Садрадзе В. Г., Давლიანი Р. В., Глоტი Н. В. Археологические раскопки в Мцхета и ее округе. – ПАИ, 1982 (1985), с. 44-46.

31. Апакидзе А. М., Николайшвили В. В., Сихарулидзе А. Н., Садрадзе В. Г., Хенцურიანი Л. Г., Гиунашвили Г. Д., Иремашвили Ш. А. Результаты полевых изысканий в Мцхета. – ПАИ, 1981 (1984), с. 45-50.

32. Джапаридзе О. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. – КСИИМК, 60, 1955, с. 23-30.

33. Каландадзе А. Н. Периодизация памятников Самтавро (Доклад на научной сессии

ИИМК АН СССР и Гос. Эрмитажа, посвященной археологии Закавказья). – КСИИМК, XXIV, 1949, с. 4-5.

34. Кахиани К. К., Глигвишвили Э. В., Дзнеладзе М. С., Каландадзе Г. Г., Цкви-тინიძე З. Р. Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984-86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 51-59.

35. Куфтин Б. Археологические раскопки в Триаleti. Тб., 1941.

36. Куфтин Б. Археологическая маршрутная экспедиция 1945 году в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

37. Пицхелаური К. Восточная Грузия в конце бронзового века. Тб., 1979.

38. Рамишвили Ал. Археологические раскопки в Цагвли. – ПАИ, 1977 (1980), с. 60-69.

39. Рамишвили Ал. Археологические раскопки в с. Цагвли. – ПАИ, 1978 (1981), с. 52-56.

40. Рамишвили Ал. Археологические работы в Цагвли, – ПАИ, 1979, (1991), с. 34-37.

41. Рамишвили Ал. Раскопки в Хашурском районе. – ПАИ, 1986 (1991), с. 22-25.

42. Садрадзе В. Археологические памятники "Мцхета Великой" эпохи средней бронзы. Тб., 1993.

43. Техов Б. Очерки древней истории археологии Юго-Осетии. Тб., 1971.

44. Ханзандян Э. Элар-Дарани. Ер., 1979.

ცხრილის აღწერა

1.1 შუა ბრინჯაოს ხანის მიწურული (ძვ.წ. XVII ს.)

წაღვლი: 1 – № 2 სამარხი; 27 – № 10; 46 – № 14; 25, 32 – № 15; 17, 55 – № 34; 5, 11, 28, 38, 58 – № 45; 41, 47 – № 46; 3, 18, 26 – № 47; 53, 54, 57 – № 50; 31 – № 56; 51, 52 – № 57; 56 – № 61; 14, 15, 34 – № 75; 20 – № 78; 2, 24 – № 85; 9 – № 93; 12, 13, 16, 19, 21, 22, 23, 45 – № 94; 35, 36, 40, 42, 44, 49 – № 95; 8, 10 – № 99; 43, 60 – № 100; 29, 50 – № 104; 6, 30 – № 112; 33, 59 – № 113.

1.2 გარდამავალი პერიოდის I ეტაპი (ძვ.წ. XVI ს-ის I ნახ.)

წაღვლი: 11, 35, 41, 47 – № 1; 31, 44 – № 3; 4, 13, 19 – № 7; 7, 15, 23, 25, 46 – № 8; 2, 40, 48 – № 9; 8, 10, 12, 14, 22, 24 – № 11; 34 – № 55; 16, 17, 21, 32 – № 80; 6, 17, 18, 20, 37, 45 – № 81; 1, 9, 33 – № 96; 3 – № 101; თრელი: 5, 26, 27, 28, 38, 39, 43 – № 43; სამთავრო: 29, 36, 42 – № 1 კენოტაფი.

2.1 გარდამავალი პერიოდის II ეტაპი (ძვ.წ. XVI ს-ის II ნახ.)

თრელი: 1, 2, 9, 14 – № 74; კასპი: 3, 4, 13 – № 4; 5, 12 – № 18; თრიალეთი: 6, 18 – № 28; საბიდახჩა: 7, 20 – № 42 (ტაბაწყური); ნამგალა მიწა: 8, 16, 17 – № 2; სამთავრო: 11, 19, 24 – № 198; ლილო: 28 – № 5; ცხინვალი: 10, 23, 25, 26 – № 3; 15, 21, 22, 27, 29 – № 4 სამარხი.

2.2 გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი (ძვ.წ. XV ს.)

წალკლი: 1, 26, 28, 30, 31, 53 – № 62; 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 34, 40, 52, 53, 54 – № 91; წეროვანი: 22 – № 9; 48 – № 21; 2, 9, 24 – № 22; 39 – № 30; 18, 19 – № 41; 16, 17 – № 46; 44, 51 – № 47; 21, 32 – № 73; 20, 45, 49, 50 – № 75; 37 – № 77; 13, 14, 15 – № 79; თრელი: 3, 4, 27, 33 – № 37; სამთავრო: 23, 43 – № 139; 25, 29, 35, 46, 47 – № 153; ღრმა ღელე: 38 – № 2; 41, 42 – № 4.

3.1 ფოთლისებური სატევრების გავრცელების პერიოდი (ძვ.წ. XIV-XIII სს)

სამთავრო: 16, 60 – № 16; 8, 37, 38 – № 26; 9 – № 27; 53 – № 54; 34, 62 – № 64; 11, 54 – № 75; 6, 22 – № 80; 33, 36, 52 – № 128; 44 – № 129; 57, 59, 61 – № 155; 21, 56 – № 156; 30, 31 – № 160; 13, 27 – № 174; 7, 26, 41 – № 175; 4, 10, 24, 25 – № 180; 29, 48, 49 – № 221; 14 – № 222; 39 – № 228; 23, 43, 45, 50 – № 232; 40 – № 238; 15, 32, 42 – № 261; 20, 35, 51, 55 – № 263; 3, 12, 19, 46, 47, 63 – № 267; 2, 17, 18, 58 – № 288; 1, 5, 28 – № 294.

Description of the Table

1. 1. – End of the Middle Bronze Age (18th cent. B. C.)

Tsaghvli: 1 – 2; 27 – 10; 46 – 14; 25, 32 – 15; 17, 55 – 34; 5, 11, 22, 38, 58 – 45; 41, 47 – 46; 3, 18, 26 – 47; 53, 54, 57 – 50; 31 – 56; 51, 52 – 57; 56 – 61; 14, 15, 34 – 75; 20 – 70; 2, 24 – 85; 9 – 93; 12, 13, 16, 19, 21, 22, 23, 45 – 34; 35, 36, 40, 42, 44, 49 – 95; 8, 10 – 99; 43, 60 – 100; 29, 50 – 104; 6, 30 – 112; 33, 59 – 113.

1. 2. – Stage I of the transitional period (first half of the 16th cent. B. C.)

Tsaghvli: 11, 35, 41, 47 – 1; 31, 44 – 3; 4, 13, 19 – 7; 7, 15, 23, 25, 46 – 8; 2, 40, 48 – 9; 8, 10, 12, 14, 22, 24 – 11; 34 – 55; 16, 17, 21, 32 – 80; 6, 17, 18, 20, 37, 45 – 81; 1, 9, 33 – 96; 3 – 101; Treli: 5, 26, 27, 28, 38, 39, 43 – 43; Samtavro: 29, 36, 42 – cenotaph = 1.

2. 1. – Stage II of the transitional period (second half of the 16th cent. B. C.)

Treli: 1, 2, 9, 14 – 74; Kaspi: 3, 4, 13 – 4; 5, 12 – 18; Trialeti: 6, 18 – 28 (Sabidakhcha); 7, 20 – 42 (Tabatsquri); Namgala Mitsa: 8, 16, 17 – 2; Samtavro: 11, 19, 24 – 198; Lilo: 28 – 5;

Tskhinvali: 10, 23, 25, 26 – 3; 15, 21, 22, 27, 29 – 4.

2. 2. – Early stage of the Late Bronze Age (15th cent. B. C.)

Tsaghvli: 1, 26, 28, 30, 31, 53 – 62; 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 34, 40, 52, 53, 54 – 91; Tserovani: 22 – 9; 48 – 21; 2, 9, 24 – 22; 39 – 30; 18, 19 – 41; 16, 17 – 46; 44, 51 – 47; 21, 32 – 73; 20, 45, 49, 50 – 75; 37 – 77; 13, 14, 15 – 79; Treli: 3, 4, 27, 33 – 37; Samtavro: 23, 43 – 139; 25, 29, 35, 46, 47 – 153; Ghrmaghele: 38 – 2; 41, 42 – 4.

3. 1. – Period of existence of leaf-shaped daggers (14th-13th cent. B. C.)

Samtavro: 16, 60 – 16; 8, 37, 38 – 26; 9 – 27; 53 – 54; 34, 62 – 64; 11, 54 – 75; 6, 22 – 80; 33, 36, 52 – 128; 44 – 129; 57, 59, 61 – 155; 21, 56 – 156; 30, 31 – 160; 13, 27 – 174; 7, 26, 41 – 175; 4, 10, 24, 25 – 180; 29, 48, 49 – 221; 14 – 222; 39 – 228; 23, 43, 45, 50 – 232; 40 – 238; 15, 32, 42 – 261; 20, 35, 51, 55 – 263; 3, 12, 19, 46, 47, 63 – 267; 2, 17, 18, 58 – 288; 1, 5, 28 – 294.

6. სულაგა

თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის

თლიას სამაროვანი ერთწილადი რკალისებური ფიბულების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანი სამაროვანია. მნიშვნელოვანი, რადგან სამაროვნის ფიბულები კავკასიის ფიბულების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომლის სწორ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ განსაზღვრაზე ბევრად არის დამოკიდებული საერთოდ კავკასიის ფიბულების წარმომავლობისა და ქრონოლოგიის საკითხების დადგენა.

სწორედ, თლიას ფიბულებიანი კომპლექსების (და აქედან გამომდინარე თვით ფიბულების) ქრონოლოგიაში გარკვევის კიდევ ერთი ცდაა ეს ნაშრომი.¹⁴

თლიას სამაროვანზე, სადაც 333 სამარხია გათხრილი და შესწავლილი, ფიბულები დადასტურებულია 154 კომპლექსში, სულ 168 ცალი. აქედან 33 ფიბულა რკინისაა, ხოლო დანარჩენი 135 – ბრინჯაოსი [17; 18; 19].

თლიას სამაროვნის ფიბულებიანი სამარხები შესაძლებელია გარკვეული სახით დაჯგუფდეს. ჯგუფების გამოყოფის საფუძვლად შესაძლებლად მიგვაჩნია ავილოთ კომპლექსებში ნივთთა გარკვეული ტიპების მეტნაკლებობა და თუ რა მასალისაა (ბრინჯაოსი თუ რკინისა) ნაწარმი. სამარხეული კომპლექსების ამგვარად, და თანაც რეტროსპექტულად დალაგებამ მოგვცა აბსოლუტური ქრონოლოგიის (კარგად დათარიღებულ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით) დადგენის საშუალება. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ოთხი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ჯგუფი (თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ნივთთა შემადგენლობით) გამოიყო. ამ ჯგუფების მონაცვლეობის შედეგები შემდეგია:

I ჯგუფში¹⁵ ერთიანდება თლიას სამაროვნის ის კომპლექსები (№№ 15, 16b, 31, 54, 90, 103, 120, 135, 136, 138, 143, 147, 152, 158/2, 169, 172, 173, 183, 197, 232, 238, 240, 242, 246, 265, 274, 304, 306, 314, 322, 327, 328, 329), სადაც აღარა გვაქვს კოლხური ცული, ხოლო სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია ძირითადად რკინის იარაღით: ყუამოკლე ცულები – სოკოსებრთავიანი (№№ 15, 54, 92, 135, 173, 197, 328, 329), ჩაქუჩისებრთავიანი (№№ 16b, 90, 103, 183, 240), ყუამახვილი (№№ 158, 265, 306); ყუაგრძელი ცულები – ჩაქუჩისებრთავიანი (№№ 31, 54, 120, 136, 147, 172, 232, 242, 304, 314), ყუამახვილი (№ 205) [რკინის ცულებთან

დაკავშირებით იხ. 14]; სატევრები: სატარეყუნწიანი (№№ 16b, 120, 136, 306), მთლიანადსხმული, ქუდისებრი სატარე თავით, რომელიც ზოგჯერ ძვლისაა (№№ 147, 246, 328), მთლიანადსხმული T-სებრთავიანი ტარზე მანჭვლებით (№№ 31, 103), მთლიანადსხმული, მოკლე მომრგვალებული ტარით (№ 158/2), მთლიანადსხმული, სწორკუთხატარიანი და ვიწროპირიანი (№ 31). მთლიანადსხმული მოხრილი სატევარ-დანები T-სებრი ან ქუდივით მომრგვალებული თავით (№№ 103, 152, 240, 329, 197, 173, 31, 172); მოხრილი დანები ფირფიტისებრი მანჭვლებიანი ტარით (№№ 90, 242, 304, 314); პატარა მოხრილი დანები (№№ 103, 169, 322); სოკოსებრთავიანი, სატარეხვრელიანი და ქელიანი სატევრის ფორმის ნივთი (№ 143).

ბრინჯაოს ნივთები: სადა ღრმა ჯამები (№№ 172, 173, 242, 306, 329), აქედან № 242 სამარხის [19, ტაბ.1654] ჯამს ისეთივე დაპირქვავებული ლამბაქისებრი ძირი აქვს, როგორც ბრინჯაოს ქვაბებს და ტოლჩებს, ხოლო № 173 სამარხის [19, ტაბ. 1476] ჯამი ფართოძირიანი, ვერტიკალურკედლებიანი და ოდნავპირგადაშლილია, ე.წ. ენისებურგვერდებიანი (?) (სამარხები №№ 92, 304. სამწუხაროდ, ნივთის ტიპის განსაზღვრა მხოლოდ პუბლიკაციის მიხედვით ძნელია. მითუმეტეს, როცა ტექსტშიც არ არის სათანადო აღწერილობა) და სხვა ტიპის ფიალები (№ 327); ქვაბები (სიტულები), ვერტიკალური ყურებით და შიგ გაყრილი ჩამოსაკიდებელი მავთულით (№№ 31, 158/2); საკისრე რგოლები თუ დიადემები, რომელთაც ბოლოები ფირფიტისებრი და გრავირებული აქვთ (№№ 90, 135, 138, 143, 152, 172, 197, 327); აბზინდები (№№ 16b, 31, 54, 90, 92, 103, 120, 143, 147, 158/2, 172, 173, 197, 232, 240, 242, 304, 327)

– მართკუთხა, წელშეზნეილი, სერპანტინისებრი. აბზინდები I ჯგუფის თითქმის ყველა სამარხშია აღმოჩენილი. სარტყლები, რომლებიც დაფარულია პუნსონებით შექმნილი ლენტისებური ზოლებით (№ 16b); ზარაკი გვერდშეჭრილი (№ 143); პინცეტები კიდებგრავირებული (№№ 143, 169); სათვალისებური ღუგმა (№ 31); ბოლოებგადადებული თავდაბრტყელებული სამაჯური (№ 322); ჯიხვის ფიგურა (№ 143); თავხვია მოკლე საკინძი (№ 304).

გარდა რკინისა და ბრინჯაოს ნივთებისა, I ჯგუფის კომპლექსებიდან გვაქვს: ძვლის საყბურები, რქისებრი ფორმის სამი ნახვრეტით (№ 143); ქვის სალესები (№№ 90, 92, 158/2); ერთნახვერიანი მოოქრული სასაფეთქლე ხვია ნავისებური ბოლოებით (№ 240); დოქის, ჯამის და

¹⁴ სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით ხ15-19. II. 20. 7. 23. 22ჯ.

¹⁵ ჯგუფების რომელი ციფრებით დანომვრა მხოლოდ სამუშაო ტერმინია.

ცალყურა ქოთნის კერამიკული ფრაგმენტები (№№ 92, 120, 322).

რაც შეეხება თვით ფიბულებს, I ჯგუფში 27 ცალი რკინის ფიბულა გვაქვს, რომლებიც, სამწუხაროდ, ცუდი დაცულობის გამო ტიპოლოგიურ განსაზღვრას არ ექვემდებარება, ხოლო 8 ცალი ბრინჯაოსია, ისინი 5 ტიპით არის წარმოდგენილი: რომბულგანიკვეთიანი (№№ 242, 265), ყვავილისებურგანიკვეთიანი (№ 16b) და მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით (№ 169), დისკოსებურშემსხვილებებიანი (№№ 172, 314), წვრილრკალიანი და განიერფეხიანი (№№ 31, 158/2). № 158/2 სამარხში ერთად არის რკინისა და წვრილრკალიანი განიერფეხიანი ბრინჯაოს ფიბულა [19, ტაბ. 141].

ამგვარად, I ჯგუფის მთავარი ნიშანი ის არის, რომ აქ აღარ გვხვდება ბრინჯაოს კოლხური ცული. ხოლო ჩამოთვლილი მასალა პირდაპირ პარალელებს პოულობს ბრილის სამაროვნის (რაჭა) აკინაკებიან სამარხებთან (სამარხები №№ 26 (1950 წ.), 29 (1950 წ.), 20 (1952 წ.), 4 (1960 წ.) (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, კოლ. 5-993). თლიას მსგავსად, ბრილის სამარხებშიც გვაქვს სხვადასხვა ტიპის რკინის ცულები, ბრინჯაოს დიადემები ფირფიტისებური გრავირებული ბოლოებით, ბრინჯაოს ზარაკები, ბრინჯაოს ფიბულები დისკოსებურშემსხვილებებიანი და მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით. ბრილის ამ სამარხების დათარიღებისათვის საყრდენია სხივანა საყურე, რომელიც ოთხივე სამარხშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია № 4 (1960 წ.) სამარხის ოქროს საყურე ხუთი სხივითა და რკალზე ვარდულით. მსგავსი საყურეები დადასტურებულია ვანის № 11 (წარჩინებული კოლხი ქალის) სამარხში. სამარხში აღმოჩენილი იმპორტული ნივთები (ბრინჯაოს პატერა, ატიკური შავლაკიანი კილიკი, ვერცხლის კილიკები) ძვ.წ. V ს-ის I ნახევარს, უფრო მის მეორე მეოთხედს, განეკუთვნება. ამიტომ № 11 სამარხი არაუადრეს ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით თარიღდება [4, გვ. 239; 10, გვ.17-21]. მაგრამ სხივებიანი საყურეების გავრცელება სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად ძვ.წ. VI – IV სს-ითაც განისაზღვრება [10, იხ.: შენ. 57].

ბრილის აღნიშნული სამარხების ქვედა თარიღს მარკირებას უკეთებს აკინაკები,¹⁶ ხოლო ზედა თარიღს – სხივანა საყურეები (რომლებიც ტიპოლოგიურად უფრო მოგვიანო ეგზემპლარებითაც არის წარმოდგენილი ბრილში). ამ მომენტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ბრი-

ლის აკინაკებიანი სამარხები ძვ.წ. VI ს-ითა და V ს-ის I ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო თლიას I ჯგუფის სამარხებისათვის ძვ.წ. VI ს. ან მის I ნახევარს ვვარაუდობთ.

II ჯგუფში გაერთიანებულია თლიას სამაროვნის ის სამარხები (№№ 30, 34, 41, 49, 53, 84, 114, 130, 140, 144, 163, 167, 186, 188, 191, 198, 209, 215a, 223, 226, 233, 239, 248, 252, 257, 267, 269, 271, 275, 277, 279/?, 300, 301, 308, 309, 324, 330, 331), სადაც გვაქვს ბრინჯაოს კოლხური ცული და რკინის სატევრები, რომლებიც რამდენიმე ტიპით არის წარმოდგენილი – აკინაკები (№№ 68, 85, 93, 106, 123, 139, 205, 216, 298), T-სებროთავიანი (№№ 34, 53, 130, 167, 330), ფირფიტისებურგადიანი მომრგვალებული თავით (№ 49), მართკუთხათავიანი ვიწროპირიანი (№№ 41, 191, 209), სატარეუწიანი (№№ 30, 41, 84, 87, 109, 114, 140, 144, 163, 186, 188, 198, 215a, 223, 226, 233, 239, 248, 252, 257, 267, 269, 271, 275, 277, 297/?, 300, 301, 308, 309, 324, 331).

აკინაკების შემცველი ფიბულებიანი კომპლექსი ცხრაა. აქედან ექვს კომპლექსში აკინაკები რკინის ცულებთან ერთად გვაქვს (№№ 93, 106, 139, 198, 205, 216). სამარხების ეს ჯგუფი ზუსტად იმეორებს I ჯგუფის ინვენტარის შემადგენლობას; განსხვავებაა მხოლოდ ის, რომ აქ სატევრების სახეობა მხოლოდ აკინაკით არის წარმოდგენილი. ფიბულების ტიპებიც იგივეა, რაც I ჯგუფში. ფიბულებიანი სამარხების ამ პატარა ჯგუფში ბრინჯაოს ტოლჩები თავის არსებობას ასრულებენ (№ 139).

აკინაკებიანი და რკინის ცულებიანი ეს პატარა ჯგუფი ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს I ჯგუფს. ვფიქრობთ, იგი შეიძლება ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით დათარიღდეს.

აკინაკებიანი სამარხებიდან სამი კომპლექსი ბრინჯაოს კოლხურ ცულს შეიცავს (№№ 68, 85, 123). ეს ბრინჯაოს კოლხური ცულის თლიას ფიბულებიან სამარხებში არსებობის ბოლო ეტაპი უნდა იყოს (აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრილის სამაროვნის ფიბულებიან სამარხებში არც ერთი ბრინჯაოს კოლხური ცული არ არის დადასტურებული). ასევე ბოლო ეტაპი უნდა იყოს განივი თევზიფხური სახით შემკული მსხვილრკალიანი (№ 68) და ყვავილისებურჭრილიანი (№№ 85, 123) ფიბულებისათვისაც. ამ ტიპის ფიბულები I ჯგუფში უკვე აღარ გვხვდება. სამაგიეროდ აქ არსებობას იწყებს წვრილრკალიანი და განიერბუდიანი ფიბულა, რომელიც შემდეგ – I ჯგუფშიც განაგრძობს არსებობას.

აკინაკებიან და ბრინჯაოს კოლხურცულებიან ამ ჯგუფში შედის № 85 სამარხიც ბიძეა-ლური აკინაკით, რომელიც მ. ფირცხალავას მიერ საერთო ტიპოლოგიურ ნიშნებზე დაყრდნო-

¹⁶ სკვითური ინვენტარის დათარიღების შესახებ იხ.: მ. ფირცხალავა, ე.წ. სკვითური ელემენტების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის (ახალი მონაცემების შუქზე), აკც-ის VI სამეცნიერო სესიაზე – „მსოფლიო-კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ /1999 წ. 27.V.-2.VI/ – წაკითხული მოხსენება.

ბით დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის დასასრულითა და VI ს-ით [8, გვ. 34-35].¹⁷

აკინაკებიანი სამარხები შეიძლება ერთგვარ გამმიჯნავდაც კი აღვიქვათ I და II ჯგუფს შორის, მაგრამ, ალბათ, მკვეთრი ზღვარის გავლება მიზანშეწონილი არ არის, რადგან აკინაკებიანი ჯგუფი დაკავშირებულია როგორც I ჯგუფთან, ასევე II ჯგუფთან. შეიძლება ითქვას, რომ რკინის ცულებიანი და აკინაკებიანი სამარხები I ჯგუფისკენ მიიღწევიან, ხოლო ბრინჯაოს ცულებიანი და აკინაკებიანი სამარხები II ჯგუფისაკენ.

აკინაკებიან სამარხებში, გარდა აკინაკისა, სხვა ტიპის სატევრები არ გვხვდება.

II ჯგუფის სამარხებში ბრინჯაოს ნივთების თითქმის იგივე შემადგენლობაა, რაც I ჯგუფში; ოღონდ, თუ I ჯგუფის სამარხებში თითო-ორთა ბრინჯაოს ნივთია, ხოლო დანარჩენი რკინისა, II ჯგუფში პირიქით – თითო ნივთი რკინისაა, ხოლო დანარჩენი ბრინჯაოს.

II ჯგუფის სამარხების ბრინჯაოს ინვენტარიდან აღსანიშნავია – ე.წ. ენისებურგვერდებიანი ფიალა (№ 130) და სარტყლები – სადა (№№ 41, 93, 106, 130, 140, 163, 252, 271, 301) პუნსონებით შექმნილი ლენტისებური ზოლებით დაფარული (№№ 68, 84, 85, 167, 188, 216, 267, 300), რომელთა ანალოგიურიც I ჯგუფშიც იყო, და ე.წ. ურარტული (№ 215a). უფრო ხშირად გვხვდება ზოომორფულყურებიანი ტოლჩები, როგორც სადა (№№ 41, 130, 140, 144, 198, 248, 277), ასევე კანელურებიანი (№№ 233, 252, 267, 275, 297/?). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს ცილინდრულყელიანი ამფორა (№№ 41, 49). ე.ი. II ჯგუფში ამთავრებენ არსებობას კანელურებიანი ტოლჩები და ცილინდრულყელიანი ამფორები.

თლიას სამაროვანზე ძალიან გავრცელებულია ე.წ. რომბული თხელი ფირფიტები. I ჯგუფის სამარხებში ასეთი ფირფიტა მხოლოდ ერთ სამარხში გვაქვს (№ 306), ხოლო ბრინჯაოს ცულებიან და აკინაკებიან სამარხებში (ანუ მანამდე) თითქმის ყველა სამარხში გვხვდება.

რკინის სატევრებიან სამარხებში არც ერთში არ გვხვდება ბრინჯაოს სატევარი, გარდა ერთი სამარხისა – № 301, სადაც გვაქვს ბრინჯაოს მკვეთრქედიანი, ალისებურპირიანი სატევარი.

რაც შეეხება II ჯგუფის ფიბულებს, რკინის ფიბულა გვაქვს რამდენიმე სამარხში (№№ 34, 106, 163), ხოლო ორ სამარხში (№№ 130, 209) გვხვდება ბრინჯაოს ფიბულასთან ერთად. ბრინჯაოს ფიბულები შემდეგი ტიპებითაა წარმოდგენილი – მსხვილრკალიანი, რკალზე თევზიფხური სახით და ზოგჯერ ბუდეშემკული (№№ 87, 140, 144, 188, 239, 248, 252, 269, 271, 301, 324,), ყვავილისებურგანივკვეთიანი

(№№ 30, 41, 84, 85, 129, 130, 144, 167, 186, 191, 277), ყვავილისებურგანივკვეთიანი და სვემენტებად შემკული რკალით (№ 267), დაკეჭნილზურგანი (№ 308), მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (№№ 34, 49, 53, 330), მრავალკუთხაგანივკვეთიანი რკალით (№№ 215a, 275, 309, 331), რომბულგანივკვეთიანი რკალით (№№ 198, 223, 233, 257, 297), დისკოებიანი (№№ 93, 105, 209, 226, 216, 300), წვრილრკალიანგანიერფეხიანი (№№ 68, 139). ე.ი. II ჯგუფში 9 ტიპის ფიბულა თანაარსებობს, რომელთა შორისაც გვაქვს ახალი ტიპებიც – მსხვილრკალიანი და თევზიფხურით შემკული, დაკეჭნილზურგანი და მრავალკუთხაგანივკვეთიანი.

ამგვარად, II ჯგუფის დათარიღებისათვის, ვფიქრობთ, შეგვიძლია საყრდენად გამოვიყენოთ აკინაკებისა და რკინის ცულების და ბრინჯაოს ცულებისა და რკინის სატევრების ერთად არსებობა და ბრინჯაოს სატევრების ჯერ კიდევ არარსებობა, და II ჯგუფი დავათარიღოთ ძვ.წ. VII ს-ის II ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით.

როგორც ვხედავთ, I და II ჯგუფები უშუალოდ ებმის ერთმანეთს.

III ჯგუფში გაერთიანებულია ის სამარხები (№№ 15, 16a, 22, 32, 51, 57, 63, 66, 76, 79, 86, 97, 98, 99, 109, 112, 146a, 156, 159, 161, 165, 167, 190, 209, 228, 229, 231, 234, 249, 254, 259, 262, 264, 266, 273, 278, 282, 287, 293, 302, 310, 317), სადაც თითქმის საერთოდ არ არის რკინის ნივთები, მთელი სამარხეული ინვენტარი ბრინჯაოსია (მხოლოდ № 317 სამარხში არის რკინის ფიბულა, ხოლო რკინის დანა № 293 სამარხში).

სატევრები რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი: ყველაზე მეტია სატარე ყუნწიანი სატევრები, რომლებიც ორგვარია – მკვეთრქედიანი (№№ 15, 22, 57, 63, 76, 79, 86, 98, 99, 112, 159, 167a, 229, 234, 254, 259, 264, 282, 287) და ლინზისებრქედიანი (№№ 37, 48, 156, 278); სამკუთხამხრებიანი და ალისებურპირიანი სატევარი 2 ცალია (№ 32, 98); სატარეინიანი სრულიად ბრტყელი სატევარი ერთი ცალია (№ 98). საინტერესოა, რომ № 98 სამარხში ერთად გვაქვს სამი ტიპის სატევარი – სამკუთხამხრებიანი ალისებურპირიანი, ბრტყელი, სატარეყუნწიანი [17, ტაბ. 64]; რელიეფურქედიანი (№ 231) და მრგვალქედიანი (№ 228) სატევრები სწორი მხრებით ორი ცალია; მთლიანადსხმული სატევრები რამდენიმე ტიპისაა: დოლისებურთავიანი და ტარდაცვარული (№ 293), მასიურტარიანი, ტარზე თევზიფხური სახით (№ 66), ქუდისებრთავიანი აჟურული ტარით (№ 161), ქუდისებრთავიანი მასიური ტარით (№№ 16a, 249), ჩარჩოსებრფირფიტისებრტარიანი და თავმომრგვალებული (№№ 51, 97, 266), დისკოსებრი ფირფიტებისაგან თავშედგენილი და ვადაშემკული (წნული, ცვარა) (№№ 165, 190, 273, 302, 310). აქედან ორ სატევარს – №№ 273, 310 სამარ-

¹⁷ ბ. ტეხოვი თლიას № 85 სამარხს ათარიღებს ძვ.წ. VIII-VII ს-ის I ნახევრით ხ18, გვ. 28ჯ, ხოლო გ. კოსაკი – ძვ.წ. 700 წლით ხ20, სურ. 41ჯ.

ხებიდან აქვს სამთავროს სამაროვნის № 174 (1940 წ., N უბანი) სამარხის მახვილის ქარქაშის მსგავსი ბოლოდაფანჯრული ქარქაში [1, ტაბ. XIII], მართკუთხაჩარჩოსებრტიარანი და ტრაპეციულვადიანი (№№ 146a, 262, 317. № 262 სამარხის სატევარსაც სამთავროს № 174 სამარხის მახვილის ქარქაშის ანალოგიური ქარქაში აქვს).

როგორც ვხედავთ, II ჯგუფთან შედარებით III ჯგუფში მთლიანად შეიცვალა სატევრების ტიპი.

ზოომორფულყურებიანი ბრინჯაოს ტოლჩები, როგორც სადა, ასევე კანელურებიანი, III ჯგუფშიც არის. მაგრამ „ჩნდება“ განსხვავებული ტიპიც, რომელსაც მუცლის ქვედა სადა ნაწილი უფრო მეტად მიუგავს ვახას, ხოლო მუცლის ზედა ნაწილი კანელურებიანია (№№ 51, 231, 254, 266), რითაც გავს II ჯგუფის ცილინდრულყელიან ბრინჯაოს ამფორას № 49 სამარხიდან [18, ტაბ. 976].

გრავირებული აბზინდები მხოლოდ მართკუთხა, მარტო ორ შემთხვევაში (№№ 209, 302) გვაქვს წნულებით შექმნილი მართკუთხა ფორმის აბზინდები.

პუნსონების ზოლებით შემკული სარტყელი III ჯგუფში მხოლოდ ერთი გვაქვს, № 310 სამარხში [18, ტაბ. 888], სადაც გვაქვს დისკოსებრი ფირფიტებისაგან თავშედგენილი სატევარი ბოლოდაფანჯრული ქარქაშით (იხ. ზემოთ). ანალოგიური ქარქაშები სამთავროდან თარიღდება ძვ.წ. VIII-VII ს-ის I ნახევრით [1, ქონ. ტაბ. № 116].

სადა, უორნამენტო სარტყლები სამარხების უმრავლესობაშია (№№ 32, 63, 79, 161, 165, 190, 228, 229, 231, 234, 254, 264, 287, 302). არის სხვა ტიპის სარტყლებიც – ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული „ფოთლების“ ზოლებით შემკული (№№ 51, 278), კიდევზე მორბენალი სპირალით, ხოლო სარტყლის შუაში დაკლაკნილი გველის გამოსახულებით (№№ 57, 112, 266). და ერთიც, მთლიანად მორბენალი სპირალით დაფარული (№ 15).

პუნსონების ზოლებით (Punkt-Rippen-Ornament) შემკულ სარტყლებს ურარტულ კულტურულ სივრცეს მიაკუთვნებენ [21, გვ. 107-108]. აღნიშნული ტიპის და სპირალურორნამენტიანი სარტყლები ადანას (თურქეთი) მუზეუმიდანაც არის ცნობილი, რომელთაც დაახლოებით ძვ.წ. 600 წლით ათარიღებენ [24, გვ. 29, სურ. 11, 15, 27].

III ჯგუფის ფიბულები შემდეგი ტიპებითაა წარმოდგენილი: რკინის ნახევაროვალური ფიბულა (№ 317), ოდნავასიმეტრიულრკალიანი სადა ფიბულა (№ 99), მსხვილრკალიანი, რკალზე ირგვლივი თევზიფხური სახით (№№ 15, 16a, 22, 32, 51, 57, 63, 66, 76, 79, 86, 98, 112, 146a, 156, 159, 161, 167a, 190, 228, 229, 231,

234, 249, 254, 259, 264, 266, 282, 287, 302, 310), ყვავილისებრჭრილიანი (№№ 165, 262), მრავალკუთხაგანივკვეთიანი (№ 293), რომბულგანივკვეთიანი (№№ 97, 273, 278).

ამგვარად, სამარხთა III ჯგუფში არსებობას იწყებენ ყვავილისებრჭრილიანი, მრავალკუთხაგანივკვეთიანი და რომბულგანივკვეთიანი ფიბულები. ხოლო ასიმეტრიულრკალიანი ფიბულა ამ ჯგუფში ამთავრებს არსებობას. რკინის ფიბულების არსებობაც ამ ჯგუფიდან იწყება.

რადგან სამარხთა ჯგუფები ერთმანეთს უწყვეტად მისდევს (ეს უწყვეტობა დაკრძალვის წესშიც შეიმჩნევა. სამაროვნის არსებობის მთელ მანძილზე სამარხები ოთხკუთხა ან ოვალური ქვაყუთებია, რომლებიც შექმნილია ქვის ფილებით ან ნაფლეთი დიდი ქვებით. მიცვალებულები მოხრილი ასვენია; ზშირად ერთ სამარხში რამდენიმე, რაც ზოგ შემთხვევაში შემდგომი დაკრძალვის შედეგი უნდა იყოს [17, გვ. 51-52. 18, გვ. 50-51. 19, გვ. 62-64]), ზოგიერთი ტიპის სატევრის ანალოგიები კი ცნობილია ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებიდან (ერგეტა, ურეკი, ნიგვზიანი, პალური, მუხურჩა, ბამბორა, პრიმორსკოე) [9, გვ. 29-32], ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი სარტყლების ტიპებიც ამ ხანაზე უფრო ძველი არ ჩანს, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ III ჯგუფისათვის ზედა თარიღი ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარი, ხოლო ქვედა ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი უნდა იყოს.

ერთგვარ „გარდამავალ“ კომპლექსად II და III ჯგუფს შორის შეიძლება მივიჩნიოთ № 109 ბიმეტალურსატევრიანი კომპლექსი, სადაც სატევარს პირი რკინისა აქვს, ხოლო ტარი კი ბრინჯაოსი, რომელიც უხეშად იმეორებს III ჯგუფის სატევრების ტარის ფორმას.

ასევე „გარდამავალ“ კომპლექსად შეიძლება ჩავთვალოთ № 209 სამარხი, სადაც ბრინჯაოს სატარენიანი სატევარი და რკინის ფიბულა ერთდროულადაა გვაქვს. რკინის ფიბულით კომპლექსი II ჯგუფისაკენ მიიწევს, ხოლო სატევრით III ჯგუფისაკენ.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ჯგუფებს შორის მკაცრი ზღვარის გავლება ძნელია, რადგან არის ნივთები, რომლებიც მიიღტვიან როგორც აქეთ ასევე იქით (მაგ.: სპირალურბოლოებიანი სამაჯურები. ისინი არიან III ჯგუფშიც და IV-შიც (№ 66 – III ჯგუფი, № 83 – IV ჯგუფი). მაგრამ IV ჯგუფის გამოყოფა მაინც შეიძლება.

IV ჯგუფში გაერთიანებულია ის სამარხები (№№ 17, 23a, 37, 48, 52, 64, 83, 115), სადაც გვხვდება ისეთი ტიპის სატევრები, რომლებიც სრულიად არ იყო III ჯგუფის ფიბულებიან სამარხებში. ესენია განიერქედიანი და პირგამოყვანილი (ალისებური) სატევრები, რომლებიც სამი სახისაა: სამკუთხამხრებიანი და განიერქედიანი (№№ 23a, 37, 52, 64, 115), სწორმხრებიანი და სატარეყუნწიანი (№ 17), მთლიანად-სხმული და თავმომრგვალებული, რომელსაც ბრტყელი ქედი გრავირებული აქვს (№ 52).

ლ. ფანცხავას აზრით, ადრეული ალისებურ-პირიანი სატევრები (ბეშთაშენი, სამთავრო, ქვა-სათალი) განსხვავდება თლიას, ბრილისა და ჩრდ.კავკასიის სატევრებისაგან ზომებით, ქედის ფორმით, ზოგჯერ შემკულობითაც [7, გვ. 58]. მკვლევარი თლიას ალისებურპირიან სატევრებს ტიპოლოგიურად აკავშირებს ბრილის სატევართან [2, გვ. 99, ტაბ.XLI], რომლის შემცველ კომპლექსსაც ძვ.წ. VIII-VII სს-ით ათარიღებს [7, გვ. 58] და სატევართან კამენომოსტის (ყაბარდო) № 9 ქვაყუთიდან, რომელიც ძვ.წ. VII ს-ით არის დათარიღებული [13, გვ. 135]. მისივე დაკვირვებით, თლიას სამაროვანზე თანაარსებობენ სხვადასხვა ტიპის ალისებური სატევრები [7, გვ.58]. ვფიქრობთ, ამ დაკვირვების მართებულიობას თლიას ფიბულებიანი სამარხების IV ჯგუფის ინვენტარიც ცხადყოფს.

IV ჯგუფის ფიბულები შემდეგი ტიპისაა – ნახევაროვალური (№№ 48, 52, 64, 115), ოდნავასიმეტრიული (№№ 23a, 37, 48, 52), ნახევარწრისებური ოდნავ შემსხვილებული რკალით (№ 17). ე.ი. თანარსებობს ამ სამი ტიპის ფიბულა. ოდნავ უფრო გვიანდელად გამოიყურება № 17 და № 37 სამარხის ფიბულები, რომლებიც თავისი მოყვანილობით უკვე უახლოვდება III ჯგუფის ფიბულებს.

ამგვარად, IV ჯგუფში პირველად ჩნდება ნახევაროვალური ფიბულები, რომლებიც მხოლოდ ამ ჯგუფში არსებობენ, და ეს ჯგუფი არის ფიბულების დასაწყისი ხანა თლიაში.

როგორც IV ჯგუფის მასალიდან ჩანს, ფიბულების გაჩენის დროისათვის თლიაში გრავირებული კოლხური ცული (№№ 23a, 52) უკვე არსებობდა; არსებობდა ზომორფულყურებიანი ტოლჩაც (№ 83) და გრავირებული მართკუთხა აბზინდებიც (№№ 23a, 52, 83), სადა (უორნამენტო) ან პატარა „ფოთლისებური“ ორნამენტით შემკული სარტყლები (№№ 23a, 52, 83, 115), მალტური ჯვრები (№ 23a), სპირალურბოლოებიანი სასაფეთქლები (№№ 23a, 83), გრავირებული პინცეტები (№№ 23a, 52, 115), რომბული ფირფიტები (№№ 23a, 52, 115) და თიხის ცალყურა ტოლჩა, რომელსაც მუცელი კანელურებიანი აქვს, ხოლო ყურზე გადაჭრილი რქების მაგვარი დანაძერწი აქვს (№ 17). მსგავსი კერამიკული ნაწარმი დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდანაა ცნობილი. ყველაზე მეტსიახლოვეს ამჟღავნებს – ფოთი, ენგური, ნოსირის მასალებთან [5, გვ. 56-57, ტაბ. VI, XXIV₃, გვ. 48-49, 54, 56-57. 12, გვ. 52] და ლეჩხუმში, ცხეთის ნამოსახლარზე, იატაკის დონეზე დაფიქსირებულ კერამიკასთან, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით არის დათარიღებული [6, გვ. 102-103, ტაბ.V].

ვფიქრობთ, ეს ჯგუფი ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან VIII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად შესაძლებელი გახდა ფიბულის ამა თუ იმ ტიპისათვის¹⁸ ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა, რადგან ხერხდება თვალის გადავება, თუ სად იწყება ამა თუ იმ ტიპის არსებობა, და სად მთავრდება. შემდგომი კვლევისას, ალბათ, ბევრი რამ დაიხვეწება, ჯერჯერობით კი ასეთი შედეგები მივიღეთ:

I ტიპი – ნახევაროვალურკალიანი, IV ჯგუფი, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა – VIII ს-ის I ნახევარი.

II ტიპი – ოდნავასიმეტრიულკალიანი, IV და III ჯგუფი, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა – VII ს-ის I ნახევარი.

III ტიპი – ნახევარწრისებურკალიანი:¹⁹ მსხვილკალიანი, ირგვლივი თევზიფხური სახით შემკული, III და II ჯგუფი, ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; ყვავილსებურგანივკვეთიანი, III, II და I ჯგუფები, ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; მრავალკუთხაგანივკვეთიანი, III და II ჯგუფი, ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; მართკუთხაგანივკვეთიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; რომბულგანივკვეთიანი, III, II და I ჯგუფები, ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; დისკოსებურშემსხვილებებიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; წვრილკალიანი და განიერფეხიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი; დაკეჭნილზურგაიანი, II ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის II ნახევარი – VI ს-ის I ნახევარი.

როგორც ვხედავთ, თლიას სამაროვანზე ფიბულები არსებობდა ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან – ძვ.წ. VI ს-ის I ნახევრის ჩათვლით. ეს თარიღი ნაწილობრივ ემთხვევა ბ. ტენოვის თარიღებს, მაგრამ არა მის მიერ შემოთავაზებულ თარიღს თლიას სამაროვანზე ფიბულების დასაწყისისას – ძვ.წ. XII ს-ის ბოლო [15, გვ. 141-148. 16, გვ. 142-147].

¹⁸ შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის შედეგად გამოიკვეთა ფიბულების ტიპოლოგიის საფუძველი – რკალის მოყვანილობა. მივიღეთ: I ტიპი – ნახევაროვალურკალიანი (ნახევაროვალურთაღიანი), II ტიპი – ოდნავასიმეტრიულკალიანი (ოდნავასიმეტრიულთაღიანი), III ტიპი – ნახევარწრისებურკალიანი (ან „ნალისებური“).

¹⁹ III ტიპის ფიბულები ყველაზე მრავალფეროვანია. თლიას სამაროვნის ფიბულათა ტიპოლოგიას ცალკე ნაშრომი მიეძღვნება. ამჯერად კი, ფიბულათა ტიპების აღსანიშნავად ფიბულის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ვიყენებთ.

N. Sulava

TOWARDS DATING THE COMPLEXES WITH FIBULAE AT THE NECROPOLIS OF TLIA

(Summary)

Numerous efforts of dating the Tlia necropolis were undertaken by researchers both in Georgia (B. Tekhov, L. Pantskhava, Yu. Voronov, etc.), as well as abroad (G. Kossak, A. Prus). The persistent interest in this monument is due to its exceptionally rich evidence and stratigraphic data, enabling the archeologists to take it as a standard while dealing with problems of periodization of the related cultures of the Caucasus.

The problems of origin and chronology of the Caucasian fibulae are linked to the correct chronological attribution of the Tlia necropolis.

The present paper is one more attempt at dating the Tlia complexes containing fibulae.

The author has distinguished four typological-chronological groups in the Tlia necropolis complexes with fibulae (in total 154 complexes, 135 bronze fibulae have been found along with 33 iron fibulae). The sequence of these groups is due to changes of material and weapon types. Retrospective decomposition of the complexes (based on well dated parallel finds), gave an opportunity of fixing the absolute chronology.

Group I complexes contain solely iron weapons. They can be dated to the 6th cent. B.C. or the first half of the same century, taking into consideration the Brili necropolis evidence. The dating of the Brili necropolis itself, is based on the akinakae finds, while their chronological attribution, in turn, depends on the radial earrings accompanied by Greek imported goods [4, p. 239; 10, pp. 17-21].

The daggers of all types from group II complexes are made of iron, the axes being of bronze. The author attributes this group to the second half of the 7th-first half of the 6th cent. B.C. The basis of the present chronological definition is the date of bimetallic akinakes from the Tlia burial № 85 - second half of the 7th-first half of the 6th cent. B.C. - resting on typological characteristics [8, pp.34-35].

Group III comprises burials containing only bronze weapons - so-called Colchian axes and various daggers, differing absolutely in typology from those of group II. The author is inclined rather to attribute this group to the second half of the 8th cent. B.C. The proposed dating is corroborated by absolute correspondence of these daggers to the well-known specimens from the 8th-

7th cent. B.C. archaeological sites (Ergeta, Ureki, Nigvziani, Paluri, Mukhurcha, Bambora, Primorskoye) [9, pp. 29-32].

The complexes of group IV are represented again solely by bronze weapon - Colchian axes and daggers of the types (flare-shaped with a broad rib) that are absent at the burials of the preceding group complexes containing fibulae. The chronological frame for this group is defined by the turn of the 9th - first half of the 8th cent. B.C., since homogeneous material (daggers, pottery) is revealed from the sites dated generally to the 8th-7th cent. B.C. (Brili, Kamenomostsk, Tskheta) [2, p. 99, Pl. XLI; 7, p. 58; 6, pp. 102-103, pl. V].

The research carried out by the author has resulted in the identification of the principle for the typological classification of the fibulae found at the Tlia necropolis, viz., the arch outline. The earliest fibulae proved to be semioval (type I). The fibulae with slightly asymmetric arch (type II) constitute the next chronological group, but the group uniting the most numerous and various fibulae with semi-circular-arc outline is considered to be type III.

As a result, the emergence and disappearance of any type of fibulae in the chronological groups can be traced back, that is to say, the chronological borders for each type of fibulae can be ascertained. The results are as follows:

Type I - semioval-arch fibulae, group IV, turn of the 9th - first half of the 7th cent. B.C.

Type II - slightly asymmetric-arch fibulae, groups IV and III, turn of the 9th - first half of the 7th cent. B.C.

Type III - arch fibulae.*

Type III 1 - fibulae with a thick arch and fish-bone pattern, groups III and II, second half of the 8th - first half of the 6th cent. B.C.

Type III 2 - fibulae with a rosette-shaped section of arch, groups II, II and I, second half of the 8th - first half of the 6th cent. B.C.

Type III 3 - fibulae with multi-faceted section of arch, groups III and II, second half of the 8th - first half of the 6th cent. B.C.

*The author intends to dedicate a special article to the problem of typology of fibulae from the Tlia necropolis. Thus, while naming the subtypes, we use only the most characteristic typological features of fibulae.

ლიტერატურა

1. აბამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის

ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XXI-B, 1957, გვ. 115-143.

2. **გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

3. **გოგაძე ე.** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.

4. **ლორთქიფანიძე თო., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 98-239.

5. **მიქელაძე თ.** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974.

6. **სახაროვა ლ.** ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. – მაცნე, 1976, № 3, თბ., გვ. 96-105.

7. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

8. **ფირცხალავა მ.** სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. – სას, I, 1978, თბ., გვ. 31-53.

9. **პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. – დისერტაცია ისტ. მეც. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998 (ინახება აკც-ში).

10. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი, VI, თბ., 1981.

11. **Воронов Ю. Н.** О хронологических связях киммерийско – скифской и колхидской культур. – Скифия и Кавказ, Киев, 1980, с. 200 – 219.

12. **Гогодзе Э. М.** К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. – ВГМГ, XXXVII – В, 1984, с. 28 – 55.

13. **Гриневич К. Э.** Новые данные по археологии Кабарды. – МИА, № 23, 1951, с. 125 – 140.

14. **Квирквелия Г. Т.** Материальная культура Северо – Западной Колхиды в VIII – V вв. до н.э. – Автореферат дисс. на соиск. уч. степ. канд. ист. наук. Тб., 1981.

15. **Техов Б. В.** О появлении и развитии кавказской дугообразной фибулы. – Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, с. 141 – 149.

16. **Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI – X вв. до н.э. М., 1977.

17. **Техов Б. В.** Тлийский могильник, I. Тб., 1980.

18. **Техов Б. В.** Тлийский могильник, II. Тб., 1981.

19. **Техов Б. В.** Тлийский могильник, III. Тб., 1985.

20. **Kossack G.** Tli Grab 85, Bemerkungen zum Beginn der skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus. – AVA Beiträge, Band 5, München, 1983, S. 89-182.

21. **Essayan S. A.** Gürtelbläche der älteren Eisenzeit in Armenien. – AVA Beiträge, Band 6, München, 1984, S. 97-199.

22. **Motzenbäcker I.** Sammlung Kossnierska, Berlin, 1996.

23. **Pruß Al.** Zur Chronologie des Gräberfeldes von Tli. – Georgica, Heft 16, 1993, S. 25-48; Heft 17, 1994, S. 13-23.











24. **Taşvüreck O. A.** The Urartian belts in the Adana Regional Museum. Ankara, 1975.

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I. თლიას სამარხის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა. I – 1 (№ 64 სამარხი); II – 2 (№ 33 სამარხი), 3 (№ 23a სამარხი), 4 (№ 48 სამარხი); III – 5 (№ 17 სამარხი), 6 (№ 324 სამარხი), 7 (№ 288 სამარხი), 8 (№ 215a სამარხი), 9 (№ 16a სამარხი), 10 (№ 277 სამარხი), 11 (№ 309 სამარხი), 12 (№ 331 სამარხი), 13 (№ 249 სამარხი), 14 (№ 49 სამარხი), 15 (№ 223 სამარხი), 16 (№ 314 სამარხი), 17 (№ 333 სამარხი), 18 (№ 226 სამარხი), 19 (№ 139 სამარხი), 20 (№ 308 სამარხი).

Description of the Plate

Pl. I. Typology and chronology of the fibulae from Tlia cemetery. I – 1 (burial 64); II – 2 (burial 33), 3 (burial 23a), 4 (burial 48); III – 5 (burial 17), 6 (burial 324), 7 (burial 288), 8 (burial 215a), 9 (burial 16a), 10 (burial 277), 11 (burial 309), 12 (burial 331), 13 (burial 249), 14 (burial 49), 15 (burial 223), 16 (burial 314), 17 (burial 333), 18 (burial 226), 19 (burial 139), 20 (burial 308).

ტიპი		IX ს.	VIII ს.	VII ს.	VI ს.
I					
II					
III					
III					
III					
III					
III					
III					
III					
III					

კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი დასახლების მოძედი

კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის სამეურნეო ყოფისა და ეთნიკური რაობის შესწავლის საქმეში, სხვა მონაცემებთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ძველ ნამოსახლართა დასახლების ფორმა და მისი მორფოლოგია წარმოადგენს. დასახლება (მხედველობაში გვაქვს სოფლური) თავისი კონსერვატიული ბუნების გამო, სხვა კულტურულ-ისტორიული რეალიებისაგან განსხვავებით, უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს თავდაპირველ მახასიათებელ თავისებურებებს. ამიტომაც, ნამოსახლართა შინაარსობრივი რეკონსტრუქცია საშუალებას იძლევა, მეტნაკლები სიზუსტით ამოვხსნათ მათში მცხოვრებ ოჯახთა სამეურნეო ყოფის ხასიათი. რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს ნამოსახლარების მცხოვრებთა ეთნიკური შედგენილობა.

არქეოლოგიური მონაცემებით ცნობილია, რომ ძვ.წ. III-I ათასწლეულებში კოლხეთის ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი იყო ორი ტიპის დასახლება – დიუნური და ბორცვული. აქედან პირველის შესახებ ერთიანი შეხედულება ჯერჯერობით არაა ჩამოყალიბებული [4, გვ. 11-16; 10, გვ. 18, 25, 27; 11, გვ. 103; 20, გვ. 288; 23, გვ. 25; 25, გვ. 205]. რაც შეეხება მეორეს – ხელოვნურად მოზვიანულ ბორცვ-ნამოსახლარებს, მათი რაობა, შეიძლება ითქვას, უკვე გარკვეულია. ისინი მიწათმოქმედთა დასახლებებადაა მიჩნეული [1, გვ. 15, 16; 3, გვ. 25-43; 7, გვ. 13-20; 8, გვ. 4; 22, გვ. 30, 31]. ვინაიდან ჩვენი კვლევის ობიექტს ხელოვნურად მოზვიანული ნამოსახლარი წარმოადგენს, ამიტომაც საუბარი მხოლოდ მის ირგვლივ გვექნება.

ხელოვნურად მოზვიანული ბორცვ-ნამოსახლარი სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი სახელწოდებითაა ცნობილი – დიხა, დიხა გუძუბა, დიხა ზურგა, ზურგა, ნაჯიხუ, ნანდეგუ, ნახვამუ, გორიკა. ამ სახელწოდებათა შორის ყველაზე ხშირად დიხა გუძუბა იხმარება, რის გამოც საშუალო ტერმინად ჩვენც მას გამოვიყენებთ.

ხელოვნურად მოზვიანულ ბორცვ-ნამოსახლარებს, როგორც ცნობილია, მას შემდეგ მიექცა ყურადღება, როდესაც 30-იანი წლების მიწურულს ანაკლიის პირველი დიხა გუძუბა გაითხარა [18, გვ. 207]. ამგვარი ნამოსახლარებით დაინტერესებულმა ნ. ხოშტარიამ რამდენიმე წელიწადში ბევრ დიხა გუძუბას მიაკვლია და ზოგიერთ მათგანზე სადაზვერვო გათხრებიც ჩატარა [18, გვ. 208]. მის და შემდგომში სხვა ქართული არქეოლოგების მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ ხელოვნურად მოზვიანული სამოსახლო ბორცვები უპირატესად მდინარეთა და ნამდინარეთა კა-

ლაპოტების გასწვრივ ჯგუფურადაა განლაგებული [1, გვ. 5-7; 3, გვ. 6-9, 25-34; 7, გვ. 21-23; 14, გვ. 5-8; 15, გვ. 4-6; 18, გვ. 468; 19, გვ. 209]. ჯგუფურად თავმოყრილ ნამოსახლარებში ერთი ფრიად საყურადღებო ტენდენცია დასტურდება. ყოველი ასეთი ჯგუფის ცენტრში არის ერთი ნამოსახლარი, რომელიც ყველა დანარჩენისაგან თავისი დიდი გაბარიტებით გამოირჩევა. მისი ფუძის დიამეტრი არც თუ იშვიათად 100 მ აღწევს, ხოლო სიმაღლე კი ორ-სამ მეტრს აღემატება [1, გვ. 4; 7, გვ. 69; 14, გვ. 4-11; 15, გვ. 9; 19, გვ. 209]. თუ ამ გაბარიტების მიხედვით ვიანგარიშებთ, სამოსახლოს ფართი 2000 მ² გამოდის.

ერთ ადგილზე თავმოყრილ სამოსახლოთა გარდა, კოლხეთის ზღვისპირეთისათვის განცალკევებულად არსებული დიხა გუძუბებიც საკმაოდ დამახასიათებელია. ბრინჯაოს ხანის ამგვარი ნამოსახლარები ერთმანეთისაგან ერთი-ორი კმ-ის დაშორებით მდებარეობენ და მოგვიანო ხანის მათ ანალოგიებთან შედარებით რამდენადმე მცირე ფართისანი არიან. მათი ფუძის დიამეტრი 20-50 მ შორის მერყეობს, ხოლო სიმაღლე კი 1,20 მ-დან 3-4 მეტრამდეა [8, გვ. 99; 15, გვ. 468; 19, გვ. 208-209]. რაც შეეხება ფართს, მათი ზომები 1200-1600 მ² შორის მერყეობს [9, გვ. 3; 22, გვ. 18].

ასევე ცნობილია, რომ ყველა დიხა გუძუბას, დიდსა და პატარას, ცალკე არსებულსა თუ ჯგუფში გაერთიანებულს, გარშემოყვება თხრილი, რომელიც თავის დროზე წყლით უნდა ყოფილიყო სავსე. წყლით სავსე თხრილი ერთ-დროულად თავდაცვითი, სადრენაჟო და საკომუნიკაციო ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. როგორც ფიქრობენ, თხრილი უმეტეს შემთხვევაში მდინარესთან არხით იყო დაკავშირებული [15, გვ. 10; 19, გვ. 209].

ხელოვნურად მოზვიანულ ნამოსახლარებზე მიკვლეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ჯარგვალურია, ხასიათდებიან ოთხკუთხოვანი გეგმარებით. ზოგიერთი ბლანტინა-დავიანი სამოსახლოს საფუძველი ხელოვნურადაა გამყარებული, რისთვისაც გამოყენებულია ხის მსხვილი ტოტები და დიდი ზომის ჩელტები [1, გვ. 6; 7, გვ. 29; 7, გვ. 19]. გარდა ჯარგვალური არქიტექტურისა, ნამოსახლარებში დასტურდება აგრეთვე წნული ნაგებობების ნაშთები, რაც ფაცხის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ჯარგვალურ ნაგებობათა ზოგიერთ კომპლექსში (ანაკლია მეორე, ჩოლოქისპირა ნამოსახლარი) შემავალ შენობაში ზღვეს არსებობა დასტურდება, რაც საქონლის ზამთრის სადგომისათვისაა დამახასიათებელი. ზღვე კი, როგორც ცნობილია, კულტურული მესაქონლეობის

არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

რაც შეეხება დასახლების საერთო ფონს, გეგმარების მიხედვით, ბუდობრივი ხასიათის მატარებელია. ყველა დანიშნულების ნაგებობა ერთიმეორის გვერდითაა წარმოდგენილი, რაც უდავოდ ჯგუფურ-კომპლექსურად გეგმარების ხანგრძლივ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს.

როგორი სამეურნეო საქმიანობით უნდა ეცხოვრათ დიხაგუძელებს? რომელი სამეურნეო დარგით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული საოჯახო ყოფა? ამ კითხვებზე საკმაოდ დამაჯერებელ პასუხს იძლევა დიხა გუძეებსა და მათ თანმხლებ სამაროვნებზე მოპოვებული უხვი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მემინდვრეობის მაღალი დონის მაუწყებელი უამრავი რაოდენობის თონები, სეგმენტები, ხელსაფქვავეები, ნამგლის კაჟის ჩასართავები, ბრინჯაოს ნამგლები. ჯერჯერობით შედარებით ნაკლები ნაოდენობითაა მიკვლეული მარტივი სახვნელი იარაღის სახნისები, ხორბლის, სელისა და ფეტვის მარცვლები [1, გვ. 17; 3, გვ. 30, 32, 59; 7, გვ. 4-17; 15, გვ. 13, 15; 19, გვ. 209]. დიხაგუძეებელთა აქტიურ სამეურნეო ცხოვრებაზე მიუთითებს აგრეთვე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმი, ქვისა და თიხის საწაფები, კვირისტავეები და ა.შ. [1, გვ. 4-15, 34-36; 7, გვ. 18, 19; 14, გვ. 19; 15, გვ. 15; 19, გვ. 209]. ამჟამად ეჭვს აღარ იწვევს კოლხეთში მეტალურგიის მძლავრი კერების არსებობა, რასაც თვალნათლივ ადასტურებს სადნობი ქურისა და ლითონის ნაწარმის ერთ ადგილზე თავმოყრის ტენდენცია, რაც მელითონეთა ოჯახების დასახლებებზე უნდა მიუთითებდეს [1, გვ. 30; 3, გვ. 30, 42; 7, გვ. 9-16; 8, გვ. 16-23; 14, გვ. 10; 15, გვ. 13, 16; 27, გვ. 14-103]. დიხა გუძეებზე აღმოჩენილია აგრეთვე უამრავი ოსტეოლოგიური მასალა და ცხოველთა ზოგიერთი სახეობის თიხის ფიგურები და ა.შ.

ყოველივე ეს ჩამონათვალი, რასაკვირველია, არქეოლოგიებისათვის კარგადაა ცნობილი, და არა მხოლოდ მათთვის. ყურადღება მათზე იმიტომ გავამახვილეთ, რომ გვინდა მკითხველთან ერთად გავვერკვეთ შემდეგში: არსებობდა თუ არა მოზინულ ნამოსახლარებში, მეურნეობის რომელიმე წამყვანი დარგით პროფილირებული ოჯახთა დასახლებები?

ჯერ კიდევ 30-იანი წლების მიწურულს, ნინო ხოშტარიას დიხაგუძეებელთა ძირითად საქმიანობად მიწათმოქმედება მიაჩნდა [19, გვ. 209]. რაც შეეხება ძველ კოლხთა მეორე სამეურნეო დარგს – მესაქონლეობას, იგი „სატყეო მესაქონლეობას“ უწოდებს და მიწათმოქმედების დამხმარე დარგად წარმოგვიდგენს [19, გვ. 211]. იმდროინდელი არქეოლოგიური მასალის ფონზე, დასკვნა სავსებით ლოგიკური იყო. მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა და ახალმა არ-

ქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ბევრ საკითხში შეიტანა კორექტივი. ბევრიც სრულიად ახალ რელსებზე დააყენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა (და არა ერთადერთი) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მიწათმოქმედება, კერძოდ კი მემინდვრეობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ისიც წარმოაჩინა, რომ ხელოვნურად მოზინულ დასახლებებში ყოველთვის და ყველგან, მეურნეობის ერთი და იგივე დარგი არ უნდა ყოფილიყო წამყვანი. მაგალითად, მეცნიერულად უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ მელითონეთა აღნიშნულ ეპოქაში საკმაოდ გავრცელებული ხელობაა და ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისისა და ფიჩორ-ტამიშის ნამოსახლარებში ამ საქმით დაკავებული ოჯახებიც იშვიათობა არ უნდა ყოფილიყო [1, გვ. 30-40; 4, გვ. 19-16; 14, გვ. 10, 11; 22, გვ. 40-60; 27, გვ. 14-103]. ასევე, საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისეთ ნამოსახლარებში, რომლებიც უშუალოდ ზღვას ეკვრიან, ზოგიერთი ოჯახის სამეურნეო ყოფაში წამყვანი დარგი მეთევზეობა ყოფილიყო. ამგვარ ვიწრო სამეურნეო სპეციალიზაციაზე უნდა მიუთითებდეს ზოგიერთ ნამოსახლარში აღმოჩენილი დიდი რაოდენობის ბადის დასადირი ქვის საწაფები.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში შრომის სპეციალიზაციაზე მეტყველებს უამრავი რაოდენობის საქსოვი დაზვის ქსელსაჭიმი თიხის საწაფები და ნაირ-ნაირი ფორმის კვირისტავეები, აგრეთვე იმდროინდელ სამყაროში ცნობილი კოლხური სელი, რომლის მარცვლები სულ უფრო ხშირად ამოდის ნამოსახლარებიდან. ყოველივე ეს ხომ საოჯახო ხელსაქმის არსებობის მაუწყებელი უტყუარი ფაქტია.

როგორც ცნობილია, ოჯახის სამეურნეო ყოფის პროფილს ყოველთვის მისი მეურნეობის წამყვანი დარგი განსაზღვრავს. ამიტომაცაა რომ, მიწათმოქმედთა, მესაქონლეთა, მეთუნეთა, მელითონეთა და მეთევზეთა დასახლებებში სწორედ ისინი წარმოადგენს მათი პროფილის განმსაზღვრელ დარგებს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე დასახლებაში მეურნეობის სხვა რომელიმე დარგიც არ არსებულებო. მიწათმოქმედთა დასახლებაში მსხვილფეხა მესაქონლეობის არსებობა, როგორც მისი დამხმარე დარგისა, ანდა პირიქით, ერთმანეთს სრულებითაც არ გამორიცხავენ. მთავარია ოჯახში მეურნეობის რომელი დარგია წამყვანი, რადგანაც სწორედ ამ ნიშნის მიხედვით განისაზღვრება დასახლების სოციალური და ეკონომიკური სახე, მისი ტიპი.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დიხა გუძეებში და მათ თანმხლებ სამაროვნებში, როგორც ცნობილია (თუ კერამიკულ ნაწარმს არ მივიღებთ მხედველობაში), ყველაზე მასობრივად სამიწათმოქმედო იარაღები – ნაირნაირი ფორმის

თოხები და სეგმენტები ამოდის. შედარებით მცირე რაოდენობისაა ნამკლები და მარტივი ტიპის სახენელი იარაღების სახნისები. აღნიშნული ხანის მიწათმოქმედება თ. მიქელაძეს „თოხის მიწათმოქმედებად“ მიაჩნია [23, გვ. 30]. ვის უნდა ეცხოვრა ასეთ დიხა გუძუბებზე? რასაკვირველია, მიწის მუშაკებს. მაგრამ, ერთ რომელიმე ნამოსახლარში, რაოდენ დიდი ფართისა არ უნდა ყოფილიყო იგი, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის არსებობის დამადასტურებელი ნივთიერი მასალა, სრულებითაც არ ნიშნავს მეურნეობის ამ ორი დარგის ერთდროულ წამყვანობას. ასეთი რამ, არა თუ მამაპაპური წესით, არამედ თანამედროვე, ინდუსტრიული მეთოდებით წარმოებული სოფლის მეურნეობისათვისაც კი შეუთავსებელია. ასე რომ, ერთი ოჯახის ნამოსახლარში, როგორადაც დიხა გუძუბაა მიჩნეული, მემინდვრეობისა და მესაქონლეობის თანაარსებობა, შერწყმული ანუ დუალური ხასიათის სამეურნეო ცხოვრების მაუწყებელია. და თანაც, ერთი რომელიმე დარგის უპირატესობით [12, გვ. 68. 69]. „თოხის მიწათმოქმედების“ ხანაში იგი მემინდვრეობით გამოიხატებოდა. ამგვარი ბუნების მატარებელი იყო აგვართული დასახლება, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეხედულებას იმის შესახებ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, მეურნეობის დარგობრივ სპეციალიზაციას უკვე უნდა ჰქონოდა ადგილი (თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი), საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ აღნიშნული ხანის კოლხეთის ზღვისპირეთში მიწათმოქმედთა და მელითონეთა ოჯახებთან ერთად, დიხა გუძუბებზე ისეთ ოჯახებსაც უნდა ეცხოვრათ, რომელთა სამეურნეო ყოფაში წამყვანი დარგი მეთუნეობა, მესაქონლეობა, ან მეთევზეობა უნდა ყოფილიყო.

როგორც უკვე ითქვა, არქეოლოგიაში აპრობირებული შეხედულების თანახმად, ცალკეულად აღებული ყოველი დიხა გუძუბა ერთი ოჯახის ნამოსახლოს წარმოადგენდა. ოჯახი კი, ერთი რომელიმე გარკვეული გვარის მქონე ადამიანის მიერ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი. რადგან ეს ასეა, ხელოვნურად მოზვინული ყოველი ნამოსახლარი, მონოგენური დასახლება უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთ განხილული რომ შევაჯამოთ, დიხაგუძუბურ ნამოსახლართა სტერეოტიპი ანუ მისი მოდელი შემდეგნაირად წარმოჩნდება: დიხა გუძუბა ხელოვნურად მოზვინული და გამაგრებული სამოსახლო ბორცვია, რომლის ფუძის დიამეტრი და სიმაღლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არათანაბარია. მათი ფუძის დიამეტრი 20-დან 50 მ შორის მერყეობს. არის ისეთებიც, რომელთა დიამეტრი 100 მ აღწევს. რაც შეეხება ნამოსახლართა სიმაღლეს, იგი 1,20 მ-დან 4-5 მეტრამდეა. ყოველ მათგანს, როგორც აღვნიშნეთ, გარშემოუყვება

თხრილი, რომელიც თავდაცვისა და დრენაჟის ფუნქციას ასრულებდა. ამასთანავე, ზოგიერთ დიხა გუძუბას მესერის ზღუდეც ჰქონდა გარშემოვლებული (ანაკლია მეორე).

დიხა გუძუბათა დასახლების ფორმა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მიხედვით, რომელთა არქიტექტურა ჯარგვალურია, ბუდობრივი ხასიათისაა. ნაგებობები ერთმანეთის გვერდითაა დაგეგმარებული, რომლებსაც თან ახლდა ბორწნელიანი, მსუბუქი ტიპის წნული სათავსი. ასე რომ, დიხა გუძუბა წარმოადგენდა ხელოვნურად მოზვინულ და კარგად გამაგრებულ, ერთი ოჯახის გორა სამოსახლოს, რომელშიაც არსებული სამეურნეო ცხოვრების ხასიათი, ყოველ კონკრეტულ მაგალითზე, მეურნეობის რომელიმე წამყვანი დარგით იყო განსაზღვრული.

ცალკე, დამოუკიდებლად არსებულ დიხა გუძუბებისაგან განსხვავებით, ერთი ცენტრალური ბორცვის ირგვლივ თავმოყრილი ნამოსახლარები (ტამიშ-ფიჩორი და ჩოლოქ-ჩხამურის ხერთვისი), სამეურნეო ყოფის თვალსაზრისით, მრავალპროფილიანი სამეურნეო ცხოვრების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამგვარად განლაგებულ ნამოსახლარებში გამოკვეთილად ჩანს სხვადასხვა დარგით პროფილირებული ოჯახების კვალი. მრავალპროფილიანი მეურნეობის წარმოება კი მხოლოდ პატრონიმიულ გაერთიანებას თუ ძალუძდა. ხოლო პატრონიმია კი, როგორც ცნობილია, ფუძე ოჯახის ირგვლივ თავმოყრილი, სისხლით ნათესავ მოგვარე ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური ერთობაა. სწორედ პატრონიმიული დასახლება უნდა წარმოადგენდეს მონოგენური სოფლის პროტოტიპს, რომლის მაუწყებელი სახელწოდების მქონე დასახლებული პუნქტები დღესაც მრავლადაა კოლხეთში, და არა მხოლოდ იქ, არამედ საერთოდ საქართველოში.

იმისათვის რომ სრულად გავერკვეთ ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე დასახლების გამართვის ტექნოლოგიაში, ეთნოგრაფიულ მასალას მოვიშველიებთ, რომელიც კოლხეთის ზღვისპირეთში ჩვენ მიერ სხვადასხვა დროსაა მოპოვებული და აგრეთვე იმ მკვლევართა ნაშრომებს, რომლებიც, პირდაპირ თუ არა, გაკვრით მაინც ეხება ჩვენთვის საინტერესო თემას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული, კოლხეთის ზღვისპირეთი მოსახლეობას ყოველთვის მჭიდროდ ჰქონდა ათვისებული. მაგრამ იყო ისეთი მცირე მონაკვეთებიც, ისტორიისათვის უმნიშვნელო, როდესაც მის ზოგიერთ ნაწილში მოსახლეობის შეთხელებასაც ჰქონდა ადგილი. ისტორიის ერთ ასეთ მცირე მონაკვეთს წარმოადგენდა XVIII ს. და XIX ს. პირველი მეოთხედი, როდესაც თურქოსმალთა აულაგმავმა თარეშმა, ყულევ-ანაკლიის ზღვისპირა ზოლი თითქმის გააუკაცრიელა. მოძალადეთა გამუდმებული თარეშით შეწუხებული ზოგიერთი სოფლის მოსახლე აიძულა

მთიან სამეგრელოში გახვეწილიყო. თურქ-ოსმალთა თარეშის აღკვეთის შემდეგ, დაახლოებით XIX ს. 30-იანი წლებიდან მშობლიურ ადგილებს, სხვებთან ერთად ლტოლვილები დაუბრუნდნენ. გადმოცემების მიხედვით, იქაურობას პირველად თურმე მესაქონლეობის მიმდევარმა გვარებმა – კვარაცხელიებმა, კუკაეებმა და ჯოლოხაეებმა მიაკითხეს. შემდეგ მათ სხვებიც მიჰყვნენ და სულ მალე მთლიანად შეივსო სანახევროდ დაცლილი ყულევ-ანაკლიის ზღვისპირა ზოლი.

მესაქონლეობის მიმდევარმა გვარებმა, როგორც კი მშობლიურ გარემოში იგრძნეს თავი, მაშინვე სამეურნეო ბაზების – აგვართა, ანუ იგივე კარე – გამართვაზე დაიწყეს ზრუნვა. მათში უმაღლესი ხელისუფლება ხელოვნურად მოზვიანულ ბორცვებზე ცხოვრების მიძინებულმა ტრადიციამ და მოძებნეს ძველი ბორცვ-ნამოსახლარები, რომლებიც მდ. ჭურიის უღრან ტყეებში იყო ჩაკარგული.²⁰

ამ გვარებმა, მიაკვლიეს რა ხელოვნურად მოზვიანულ ნამოსახლარებს, პირველყოვლისა ისინი მცენარეული საფარისაგან გაწმინდეს. რაც დასაწყვავი იყო, დაწვეს, რაც მასალად ვარგოდა, მშენებლობისათვის შეინახეს. შემდეგ ბორცვის თავები მოასწორეს. მათ ირგვლივ არსებული თხრილები გააღრმავეს. იქიდან ამოღებული მიწა ბორცვის თავზე დაყარეს და საგულდაგულოდ დატკეპნეს. იქ, სადაც გრუნტის წყლები თხრილს ვერ ავსებდა, წყალი არხის საშუალებით მდინარიდან შეიყვანეს. ვისაც მუშახელი არ უჭირდა, მათ ბორცვი, ფუძის პერიმეტრიდან ოდნავ მაღლა, მესერიტ შემოზღუდეს, ზოგმა ჩვეულებრივი ძელური ღობე შემოავლო. კარს, რომელიც მოკლე ძელებისაგან იყო შეკრული და შიგნიდან ორმაგი ძელური ურდულით იკეტებოდა, ყველაზე მოხერხებულ ადგილზე შეაბამდნენ. გარე სამყაროსთან საურთიერთოდ, კარის მოპირდაპირედ, თხრილზე ძელებისაგან შეკრული ბოგირი გაიდებოდა, რომელსაც დაღამებისთანავე აიდებდნენ ხოლმე. ასე მთავრდებოდა აგვართის მოწყობის პირველი ეტაპი, რომელშიაც მთელი გვარი იღებდა მონაწილეობას.

განახლებული დიხა გუძუბა, ანუ უკვე აგვართა, ბუნებრივია, ძველი ფართისა იქნებოდა. გადმოცემების მიხედვით, XX ს. დასაწყისისათვის, ხობისწყლისა და მდ. ჭურიას ტყეებში ხუთი თუ ექვსი დიხა გუძუბა განუახლებიათ, რომლებიდანაც ყველაზე დიდი აგვართა კვა-

²⁰ 30-იან წლებში კოლხეთის ჭაობების ათვისების მიზნით ჩატარებულმა გრანდიოზულმა სამელიორაციო სამუშაოებმა ასეულობით ჰექტარი ტყე შეიწირა. ამისდა მიუხედავად მდ. ხობისწყლისა და მდ. ჭურიის დინების ქვედა წელში აშუაშადაც ტყის საკმაო ფართობებია, რომელთაც დიდი სიხშირის გამო ადგილობრივი მოსახლეობა „ჯუნგლებს“ უწოდებს.

რაცხელიებისა ყოფილა. იგი თურმე ერთ ჰექტარს აჭარბებდა.²¹

აგვართის მოწყობის მეორე ეტაპი ყველა იმ ნაგებობის მშენებლობას ითვალისწინებდა, რაც კი ოჯახისათვის აუცილებელ მინიმუმს წარმოადგენდა. ეს იყო საცხოვრებელი, ბოსელი, ბელელი, ფაცხა, სათივე და ქართა. ნაგებობებთან დაკავშირებით აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი მათგანი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არქაულ სახეს ატარებდა. ამასთანავე, ფაცხის გარდა, ყველა ნაგებობის არქიტექტურა ჯარგვალური იყო.

საცხოვრებელი – ოხორე გეგმაზე კვადრატული მოყვანილობის, ოციოდე მ² ფართის მქონე, ჯარგვალურად ნაგები ერთკამერიანი შენობა იყო. ჰქონდა ისლით დაბურული უსხვენო სახურავი, შიგნიდან ურდულით დასაგმანი ცალყურა კარი, კედელში გამოჭრილი სარკმელი და თიხატკეპნილი იატაკი. იატაკის ცენტრში გამართული იყო კერა, თავისი ქვის ორი პატარა ბლოკით. კერის გასწვრივ, კედლის თავებზე გადებულ ორ ლატანზე გამართულ აყარზე ჩამოკიდებული იყო საქვაბე ჯაჭვი – ოჯინჯალი. კერიდან ასული ბოლი პირდაპირ სახურავში გადიოდა, რის გამო ისლს ლურჯი აპკი უჩნდებოდა, რომელიც თითქმის ოცდაათიოდე წლის განმავლობაში სახურავს წყალგაუმტარს ხდიდა. ოხორე ძირითადად ზამთარში საცხოვრებელს წარმოადგენდა. საოჯახო ყოფის ცენტრად კერა ითვლებოდა. მის ირგვლივ წყდებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი, აქ სადილ-ვახშობდნენ, ეძინათ და აქვე ასვენებდნენ მიცვალებულს.

ფაცხა უპირატესად მრგვალი მოყვანილობის, ისლით დაბურული და კონუსური სახურავით მომთავრებული მსუბუქი ნაგებობა იყო, რომლის კედლის შიდაპირი თიხით იყო შელესილი. იატაკი თიხატკეპნილი ჰქონდა. ცენტრში მოთავსებული იყო კერა აყართა და მასზე ჩამოკიდებული ოჯინჯალით. ფაცხას სანათური არ ჰქონდა. იგი დღისით კარისა და ღამით კი ჭრახის საშუალებით ნათდებოდა.

ქარბუქიან და სუსხიან ზამთარში, რაც ჯუნგლებად ქცეულ ჭურიას ტყეში იშვიათობას წარმოადგენდა, ფაცხას გარედან გვიძრის გუდურებს შემოუწყობდნენ ხოლმე. გვიძრის კონები ფაცხის კედლებს ქარგაუმტარს ხდიდა.

წლის უმეტეს დროს ოჯახი ფაცხაში ატარებდა. აქ წარმოებდა ყველა სახის შიდასაოჯახო საქმიანობა. ზამთარში საცხოვრებლად ფაცხაში მხოლოდ მამაკაცები რჩებოდნენ.

ბოსელი – ორინჯე გეგმაზე მოგრძო ოთხკუთხედის მოყვანილობის ჯარგვალი, ისლითვე იყო დაბურული. ჰქონდა შენობის შუა ნაწილში

²¹ XIX ს. მიწურულს, გამდიდრებულმა კვარაცხელიებმა მეჯოგეობა წამოიწყეს და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ასეულობით მსხვილფეხა საქონლისაგან შემდგარი ჯოგები აჭარისა და იმერხევის საზაფხულო საძოვრებზეც კი დაუდიოდნენ.

ჩადგმული ერთი კარი, რომლის ურდული გარედან იგმანებოდა. ორინჯეს იატაკი, ყველა სხვა შენობისაგან განსხვავებით, ძელებით იყო მოგებული, ზღვე ჰქონდა, რომელიც მიწას საქონლის მიერ დაყენებული წუნწუხისაგან იცავდა. ზღვე, კულტურული მესაქონლეობის დამადასტურებელი ფაქტია. მის გარეშე საქონლის ბოსელში გამოზამთრება შეუძლებელია. მიწურ იატაკს წუნწუხი მალე ალპობს და მისგან გამოყოფილი მავნე აირები საქონელს აავადებს. ბოსელში ბაგურ კვებაზე ძირითადად მეწველი ძროხები და ხბორები იზამთრებდნენ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ აუტანელი ყინვები იყო. სხვათაშორის, ზღვესთან დაკავშირებით, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი არსებობის დამადასტურებელი ფრაგმენტები ანაკლია მეორესა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარის ერთ-ერთ ნაგებობაშიაცაა დადასტურებული.

სათივე – ოფურჩე წინიდან ღია და ისლით დაბურული ფარდულისებური ჯარგვალი იყო. აქ ძროხებისათვის აუცილებელი ზამთრის საკვები მარაგი ინახებოდა.

ბელელს (ბელუ), ხიმინჯებზე შემდგარ და ისლით დაბურულ პატარა ჯარგვალს, მარცვლეულის – ღომი, ფეტვი, სიმინდი, ლობიო – შესანახად იყენებდნენ.

ქართა წარმოადგენდა სამი მხრიდან ძელებით შემოკავებულ (მეოთხე მხარე აგვართის ზღუდე იყო) ძროხების ღია სადგომს. მისი ერთი მხარე ფარდულივით იყო დახურული, სადაც ძლიერი და ხანგრძლივი წვიმის დროს ძროხები აფარებდნენ თავს. ამავე მხარეს აბამდნენ ცხენებსაც. ცხენები ბოსელში მხოლოდ ზამთარში შეჰყავდათ. აგვართაში ჰყავდათ აგრეთვე წვრილფეხა პირუტყვიც – ღორი, თხა და ცხვარი, რომლებიც თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული. სადგომებს მათთვის მხოლოდ სოფლის პირობებში აკეთებდნენ.

სამოსახლო ტერიტორიის ეკონომიის მიზნით, აგვართაში არსებული ნაგებობები უშუალოდ ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული, რის გამო დასახლება ჯგუფურ-უბლობრივ ხასიათს ატარებდა.

აგვართელთა სამეურნეო ყოფა სისხლსავსე ცხოვრებით მიმდინარეობდა. მეძროხეობასთან ერთად, რომელიც მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა, ინტენსიურ ხასიათს ატარებდა მემინდვრეობა, მეფუტკრეობა და შინამრეწველობა. საყოველთაოდ ცნობილ ჭურის განთქმულ სულუგუნთან ერთად, ოჯახის შემოსავალს წარმოადგენდა მემინდვრეობიდან მიღებული ზემოსენებული მარცვლეული, თაფლი, სანთელი, კალათები, ჭილოფები და სხვ. სამწუხაროდ, სამეურნეო დასახლების მოწყობის ამ შესანიშნავმა ტრადიციამ, რომელიც თავისი შინაარსით ქართული ტიპის ფერმერულ წარმონაქმნს წარმოადგენდა, შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა. რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ანე-

ქსიამ – ეგრეთწოდებულმა გასაბჭოებამ, საფუძველშივე ჩაჰკლა ეს კეთილი წამოწყება.

ამ მოკლე მიმოხილვიდან აშკარაა, რომ აგვართა თავისი ბუნებით, დიხაგუბურ დასახლებებიდან მომდინარე ტრადიციის უწყვეტი კულტურულ-ისტორიული მიძლეობის გვიანდელი გამოძახილი უნდა იყოს. ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, რომ სოფ. ერგეტიდან ზღვისაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს მდებარეობს, ამ ოციოდე წლის წინათ ხელოვნურად მოზენული ბორცვი, ე.წ. „ჭითანავას კუნძული.“ ამ ბორცვს, ისტორიული დიხა გუბების მსგავსად, ირგვლივ შემოუყვება საკმაოდ ღრმა და განიერი წყლით სავსე თხრილი, რომელშიაც წყალი პატარა მდინარე ბუიდანაა შეყვანილი. თხრილზე გადებულია მსუბუქი კონსტრუქციის ლითონის ბოგირი. ხოლო საკუთრივ ბორცვზე, რომელიც მტირალა ტირიფებითაა დამშვენებული, პავილიონის ტიპის პატარა ნაგებობაა წამოდგარი. ამ ახალ დიხა გუბებს ადრინდელი ფუნქციონალური დატვირთვა, რასაკვირველია, არ გააჩნია. მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ისაა, რომ ხელოვნურად მოზენული ბორცვების გამართვის ტრადიცია ჯერ კიდევ არ გამქრალა ზღვისპირელ ქართველთა მახსოვრობაში. აქ ერთ ფრიად საინტერესო გარემოებასთან გვაქვს საქმე. ამ ახალი დიხა გუბებს წყლით სავსე თხრილში მდინარიდან შემოსული უამრავი თევზი ბინადრობს. სადაც თევზია, ბუნებრივია, იქ თევზსაც იჭერენ. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია რომ, იმ დასახლებათა თხრილებში, რომლებსაც მდინარიდან არხით შეყვანილი წყალი ავსებდა, თევზიც იქნებოდა. ამიტომაც, სრულიად დასაშვებია, რომ ამგვარ დასახლებებში არსებულ წყლით სავსე თხრილებს სათევზე ტბორების ფუნქციაც ექნებოდათ. ასე რომ, დიხაგუბებელთა კვების რაციონში თევზიც უნდა ყოფილიყო, რომ არაფერი ვთქვათ ზღვისპირა ნამოსახლარებზე, სადაც თევზჭერის მაუწყებელი ნივთიერი მასალა უამრავი რაოდენობითაა აღმოჩენილი.

აგვართული ტიპის დასახლების არეალი, საქართველოში მხოლოდ სამეგრელოს ზღვისპირეთით როდი იყო შემოსახლვრული. იგი გურიის წარსული ეთნოგრაფიული ყოფისათვისაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. მან თავისი თავი გადმონაშთური სახით თითქმის XX ს. 30-იან წლებამდე შემინახა. რომ არა კოლექტივიზაცია, ვინ იცის რა სიკეთეს მოიტანდა სამეურნეო ცხოვრების ეს ძირძველი საუცხოო ტრადიცია.

გურიაში, სამეგრელოს ანალოგიურად, დასახლების ამ მოდელის სახელწოდებად ორი ტერმინი გამოიყენებოდა. აგვართა და კარე // კარავი. აქედან უფრო გავრცელებული აგვართა იყო. ზოგი მკვლევარი აგვართის სახელწოდებაში მეგრულ გავლენას ხედავს [5, გვ. 34], რაც, ალბათ, ასეც უნდა იყოს.

ავგართა გურიაშიც ერთი ოჯახის სამეურნეო დასახლებას წარმოადგენდა და იგი სოფლიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით ტყეში იყო გამართული. აქაური ტყის ნიადაგები მყარია, რის გამო სამოსახლო ადგილი მოზვინვა-გამყარებას არ საჭიროებდა. ასეთი ვითარების გამო, გურული ავგართას ტოპოგრაფია სხვა ხასიათს ატარებდა და ამასთანავე არც გამაგრებულ დასახლებას წარმოადგენდა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მისი გამართვა მეგრულის ანალოგიურად მიმდინარეობდა. ტყეში ახოს ალების შემდეგ, სამოსახლოს ძელებით შემოღობავდნენ, რომელშიაც ორ კარს ჩაუდგამდნენ. ერთი, პატარა, ადამიანებისათვის იყო, ხოლო მეორე, ფართო – საქონლისათვის. ორივე შესასვლელი ძელური იყო. ავგართას ფართობი საშუალოდ ერთ-ერთნახევარ ჰექტარში მერყეობდა. თუ ოჯახი შეძლებული იყო, მაშინ მისი ფართობი ორ ჰექტარამდეც აღწევდა.

გურულ ავგართაში არსებული ყველა ნაგებობა, მეგრულის ანალოგიურად კომპაქტურად იყო დაგეგმარებული. არქიტექტურა ჯარგვალური იყო. ერთმანეთის გვერდით იდგა ხიმინჯებზე შემდგარი ერთსართულიანი ოდა-სახლი, ბოსელი, სათივე, ნალია და ფაცხა, რომლებიც გარეგანი ფორმითა და შიდამოწყობილობით მეგრულისაგან არ განსხვავდებოდა. ერთი კია, მეგრულ ბელუსთან შედარებით, ნალია უფრო მაღალ ბოძებზე იდგა და თანაც თავებზე ორგოები ჰქონდა ჩამოცმული. ორგო მღრღნელებისაგან იცავდა ნალიას. საყურადღებოა, რომ ორგო, როგორც არქიტექტურული დეტალი, ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გამოიყენებოდა [14, გვ. 7].

გურული ავგართა ისეთი შერწყმული მეურნეობის ინტერესების გამომხატველი მუდმივმოქმედი დასახლება იყო, რომელშიაც მესაქონლეობა მიწათმოქმედების დამხმარე დარგს წარმოადგენდა. ავგართაში ერთ უღელზე გამწვევი ძალა იყო, ასეთი ვითარების გამო, ქართა უკვე აღარ იყო საჭირო [12, გვ. 97, 98]. ძროხების რაოდენობა ორ-სამს არ აღემატებოდა. ზამთარში ხარ-ძროხა ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, ხოლო დანარჩენ დროს თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული. ასევე თავის ნებაზე იყო წვრილფეხა საქონელიც – ღორი, თხა და ცხვარი. მემინდვრების კულტურებიდან მოჰყავდათ ღომი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ბარდა, კარტოფილი. ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა მეფუტკრეობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული [12, გვ. 82-109]. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ხის დამუშავება, გიდელებისა და ჭილოფების წვნა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სამეგრელოს ზღვისპირეთისა და გურიის წარსული ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელ ავგართებს შორის სულ მცირე განსხვავება შეინიშნება. პირველია დასახლების ტოპოგრაფია, რაც გეოკლიმატური გარემოებით არის გამოწვეული. ბლანტი ნიადა-

გი სამოსახლოსათვის მოზვინვასა და ხელოვნურ გამყარებას მოითხოვდა, რასაც გურული ავგართა არ საჭიროებდა. მეგრულისათვის დამახასიათებელი თავდაცვის ფუნქცია, ზღვისპირეთისათვის ისტორიულად თანმხლები არამყარი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შავ ზღვაზე მოთარეშე მეკობრენი პირველ რიგში ზღვისპირა მოსახლეობას აწიოკებდნენ. ასე უნდა ყოფილიყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (გავისხენოთ ჰენიონების მეკობრეობა) და შემდგომ ეპოქებშიაც, თურქ-ოსმალთა შემოსევების დროსაც. ქალაქებისაგან განსხვავებით, რომელთა მოსახლეობას საფორტიფიკაციო ნაგებობები და მათში მყოფი გარნიზონები იცავდნენ, სოფელი უმეტეს შემთხვევაში ღვთისხანაბარა იყო მიტოვებული. ყოველი ზღვისპირული სოფლური დასახლება, იძულებული იყო საკუთარი თავი თვითონვე დაცვა.

მეგრული და გურული ავგართა ყოველ დანარჩენ შემთხვევაში ერთმანეთის ანალოგებს წარმოადგენდა და საერთო კულტურულ-სამეურნეო ტრადიციის მქონე ნიადაგზე იყო აღმოცენებული. ამ დასახლებებში არსებული სხვადასხვა სამეურნეო პროფილი ანუ სამეურნეო ყოფის ორიენტაცია მიკრო-ლოკალური გეოკლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით იყო გამოწვეული.

დიხა გუძუბა და ავგართა, როგორც ერთი ოჯახის სამოსახლო, მონოგენური სოფლის საწყისი ფორმის დასახლებად გვესახება და მათ შორის გენეტიკური კავშირი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, საქართველოსათვის ორგვარი შედგენილობის სოფელია დამახასიათებელი: მონოგენური და პოლიგენური. მორფოლოგიურად პირველი, მეორის საწყის ფორმას წარმოადგენს. პოლიგენური დასახლება მონოგენურიდანაა განვითარებული. მართალია, მონოგენურმა დასახლებამ უკვე კარგა ხანია ამოწურა თავისი არსებობა, რაც ისტორიულად მომდინარე მიგრაციული პროცესებით იყო გამოწვეული. მაგრამ ამგვარი წარმომავლობის სახელწოდების სოფლები საქართველოს ყველა კუთხეშია, მათ შორის კოლხეთშიაც საკმაო რაოდენობითაა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მხოლოდ სამ რაიონში (გალი, ზუგდიდი, ხობი) მონოგენურობის მაუწყებელი სახელწოდების მქონე ოცდაათზე მეტი დასახლებული პუნქტია. ასეთებია: საბუკიო, საგვიჩიო, საქორქიო, საშამუგო, საჭურღულიო, სახახუბიო და ა.შ. [13, გვ. 45, 50, 106, 107, 112, 113]. დასახლებული პუნქტების ამგვარი სახელწოდებები იმის მაუწყებელია, რომ თავის დროზე აქ მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლებს უნდა ეცხოვრათ და, შესაბამისად, ყოველი მათგანი მონოგენური უნდა ყოფილიყო. საბუკიოში მხოლოდ ბუკიების გვარი იქნებოდა, საგვიჩიოში გვიჩიები, საშამუგოში შამუგების

და ა.შ. ამჟამად მათში მონოგენურობის პრინციპი დარღვეულია და ისინი უკვე კარგა ხანია პოლიგენურ სოფლებს წარმოადგენენ. სხვათაშორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიხა გუძუბა, როგორც დასახლებული პუნქტის სახელწოდება-ტერმინი, დღესაც განაგრძობს არსებობას. კოლხეთის ზღვისპირეთში ორი ასეთი სახელწოდების სოფელია. ერთი მათგანი გალის რაიონშია, ხოლო მეორე კი ზუგდიდისაში [13, გვ. 49, 113].

მონოგენურ დასახლებაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ კონკრეტულად აღებული ყოველი დასახლებული პუნქტი ცალკეული ოჯახების სამოსახლოების მიერაა შექმნილი [16, გვ. 27]. რამდენადაც დიხა გუძუბა და აგვართა ერთი ოჯახის სამოსახლოა, ორივეში მონოგენური დასახლების პრინციპია ჩადებული. ამასთან დაკავშირებით თუ ნიკო ბერძენიშვილის მიერ გვარისა და გორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოთქმულ ცნობილ მოსაზრებასაც გავიხსენებთ [2, გვ. 42], მაშინ აგვართას სემანტიკა გვარიდან მომდინარე ისტორიული ნომენკლატურა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, დიხაგუძუბური დასახლება ისეთი კულტურულ-ისტორიული ფენომენია, რომელმაც ათასწლეულებში გამოიარა და თავისი თავი აგვართას სახელწოდებით თითქმის ჩვენს დრომდე მოიტანა. აგვართა არქეოლოგიური დიხა გუძუბას ეთნოგრაფიული გამოძახილია, რაც, თავის მხრივ, კოლხეთის ზღვისპირეთში ქართული ეთნოსის უწყვეტი ცხოვრების დამადასტურებელ კიდევ ერთ უტყუარ ფაქტს წარმოადგენს.

T. Chikovani

A MODEL OF ANCIENT SETTLEMENT OF COLCHIAN COAST OF THE BLACK SEA (Summary)

Ancient settlements, along with other data represent the most valuable source for the investigation of the culture and mode of life of the rural population of the Black Sea Colchian littoral. As it is generally known, beginning from the second half of the 3rd millennium up to the end of the 1st millennium, the main settlement type of the Colchian Black Sea littoral was so-called *dikha gudzuba* - an artificial hill made mostly at interfluves.

Each hill, with the area ranging from 1000 m² to 2000 m², was surrounded by a ditch and a wooden fence, acquiring thus the characteristics of a strongly fortified settlement. The settlement had a “nest shape” and architecture of felled-tree type constructions. The dwelling-hills belonged to single families. From the economic point,

differentiation of branches is already evident in the Late Bronze - Early Iron Ages. Individual hills were excavated, where the leading branches of economy, such as husbandry, cattle-breeding, metallurgy and potting were attested.

Ethnographic data from the same region of Western Georgia play a major role in undertaking proper analysis of the phenomenon of the dwelling-hills, for they shed light on archaeological finds.

The traditional farming units - so-called *agvarta* settlements, situated in wooded areas and belonging to a single family, occasionally survived in the coastal line of Colchis up to the 1920s. The ancient dwelling-hills - *dikha gudzuba*, reconstructed almost in their initial appearance - with a ditch and wooden fence, compact design of felled-tree constructions of various purposes - were mainly used for *agvarta* in marshlands.

The leading branch of economic in foggy woods was so-called “forest cattle-breeding” with specialization in dairy products and cheese-making, while mixed type farming and husbandry prevailed in other districts.

In terms of topography and settlement shape, fortification and architectural characteristics genetic links of *agvarta* and the ancient dwelling-hills are traceable. *Agvarta* appears to be an echoe remain of the dwelling-hill, being a product of uninterrupted cultural and historical continuity. The cited conclusion is somehow corroborated by the well-known assumption of N. Berdzenishvili, that the name for dwelling-hill (*gora*) is derived from the word denoting family (*gvari*). Therefore, the semantics of *agvarta* can be formulated as a dwelling-hill of a single family.

As *dikha gudzuba* and *agvarta* were single family habitations, they should be considered as primordial form of monogenetic village, its echoe surviving in the names of polygenetic villages of the Black Sea Colchian coast (cf. Sabukio - Bukia family dwelling area, Sakorkio - Korkia family dwelling area, etc.).

Dikha gudzuba and *agvarta* reveal identical characteristics. They constitute a phenomenon of the same ethnoculture, confirming once more the fact of continuous inhabitation of the eastern Black Sea littoral by the Georgian ethnos.

ლიტერატურა

1. **ბარამიძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ავტორეფ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.
2. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.
3. **გოგაძე ელ.** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.
4. **თავაძეშვილი გ.** უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშეზღვეურ ტერასაზე. ავტორეფ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
5. **თოფურია ნ.** საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში. – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 15, 1970, გვ. 22-38.
6. **მაკალათია ს.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941.
7. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978.
8. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
9. **პაპუაშვილი რ.** გულეიკარის არქეოლოგიური ძეგლები. – მილსადენის არქეოლოგია. თბ., 1999, გვ. 99-101.
10. **რამიშვილი აღ.** ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნებზე. – სდსმ, I, 1964, გვ. 17-28.
11. **რამიშვილი აღ.** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ბათუმი, 1974.
12. **რობაქიძე აღ.** მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბ., 1960.
13. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1966.
14. **ჩავლეიშვილი ი.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ავტორეფ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
15. **ჩიგოშვილი თ.** ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ავტორეფ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
16. **ჩიქოვანი თ.** ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები. თბ., 1989.
17. **ხახუტაიშვილი დ.** ქობულეთის ქვეყანა. ბათუმი, 1995.
18. **ხოშტარია ნ.** დიხა გუძუბა. კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. – სმამ, ტ. V, № 2, 1944, გვ. 207-214.

19. **ხოშტარია ნ.** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა და მისი შესწავლის პრობლემა. – სმამ, ტ. VI, № 6, 1945, გვ. 465-473.
20. **ჯაპარიძე ვ., ბერაძე ტ., დიკია ლ., ციტაიშვილი ზ.** Археологические разведки и раскопки в зоне строительства Варцихской ГЭС. – ПАИ, 1977 (1980), с. 251-263.
21. **Куфтин Б.** Материалы к археологии Кавказа, II. Тб., 1950.
22. **Микеладзе Т.** К археологии Колхиды. Тб., 1990.
23. **Микеладзе Т., Мухелишвили Д., Барамидзе М., Хухутайшвили Д., Лурсманашვილი Д.** Полевые исследования Колхидской археологической экспедиции. – ПАИ, 1975 (1979), с. 130-137.
24. **Микеладзе Т., Папуашვილი Р., Чубинишვილი Н.** Колхидская экспедиция. – ПАИ, 1986 (1991), с. 39-65.
25. **Рамишвили А.** О назначении стоянок с "текстильной керамикой" Восточного Причерноморья. – СА, 4, 1975, с. 36-44.
26. **Соловьев Л.** Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. – СА, т. XIV, М.-Л., 1950, с. 265-286.
27. **Хухутайшვილი Д.** Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

პროტი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის აღნიშნული გორის ნაგებობიდან

ადეიშვილების გორის თავის პლატოს ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა უჩვეულო კერამიკული ნივთი, რომელიც აქ მოპოვებული სხვა არქეოლოგიური მასალისაგან (ტაბ. I; ინვ. № 07:6:399) გამოირჩევა. მისი ანალოგია ჯერჯერობით არ ჩანს დანარჩენ კოლხეთშიც.

ადეიშვილების გორა, სადაც ეს ნივთი დადასტურდა, მდებარეობს ქ. ვანიდან დასავლეთით 9 კმ-ზე სოფ. მთისძირში (აქ არქეოლოგიური გათხრების შესახებ დაწვრილებით იხ. [2, გვ. 101-114]). სხენებული კერამიკული ნივთი დადასტურდა ადეიშვილების გორის თავის პლატოს № 12 თხრილის ნაგებობაში (ნივთი და იმდაგვარივე კერამიკის ფრაგმენტების განლაგების სქემა იხ. ტაბ. I₃). ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავისაგან. აღმოსავლეთი სათავის შიდა ფართობია 5,50 მ ჩ 21,00 მ, ხოლო დასავლეთი სათავის შიდა ფართობი – 5,50 მ ჩ 5,50 მ; კედლების სიგანე უმეტესად 1,30 მ-ია. ნაგებობა ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მასში გამოიყო ორი სამშენებლო პერიოდი. არქეოლოგიური გათხრისას გამოირკვა, რომ ნაგებობის შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, აგური, კრამიტი და ხე. კირხსნარი ნახმარია როგორც შემაკავშირებელ მასალად, ასევე კედლის შესაღესად და იატაკის გასაკეთებლად. ნაგებობაში კერამიკის, მინის და რკინის ნაწარმი აღმოჩნდა. მათში განსაკუთრებით ჭარბობს კერამიკული ნაშთები. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ადეიშვილების გორის № 12 თხრილის ნაგებობა III-VIII სს. თარიღდება (დაწვრილებით იხ. ხ2, გვ. 107-118_ჯ).

№ 12 თხრილის ნაგებობაში მოპოვებული უჩვეულო კერამიკული ნივთი ცილინდრული მოყვანილობისაა, ძირისაკენ ფართოვდება და ბრტყელი წრიული ძირი აქვს. ზედა მხარე არ არის შემონახული; ნივთის შემორჩენილი სიმაღლე – 16 სმ, ძირის დმ – 14 სმ, ტანის დმ – 7 სმ, ტანი შემკულია მსხვილი არათანაბარი გოფირებით, ხოლო ქვემოთ ძირისაკენ ეშვება ოთხი ქედი. მანძილი ქედებს შორის ქვემოთ მიმართული მორკალული ღარებითაა შესრულებული. ნივთი დამზადებულია მბრუნავ სამეთუნეო ჩარხზე. კერამიკის თიხა მორუხო-ყავისფერია, კირქვისა და პიროქსენის წვრილი მინარევებით. ნივთი არათანაბრად არის გამოშვარი. თიხის მიხედვით ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. მასზე ჭვარტლის ნაშთები შეიმჩნევა. ნაგებობის სხვადასხვა ადგილზე ამდაგვარივე ნივთის კიდევ 7 გოფირებული ფრაგმენტი მიკვლეული (იხ. ნაგებობაში ფრაგმენტების განლაგების სქემა – ტაბ. I₃).

ადრე ეს კერამიკული ნივთი ჩვენ ზოგადად განვსაზღვრეთ როგორც ლარნაკის ფეხი. ამჟამად, ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს სანათის, ჭრაქის ან სასანთლის სადგამი. კერძოდ, ასეთივე გოფირებული სანათების რამდენიმე ეგზემპლარი აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [9, გვ. 227]. მათში ყველაზე კარგად, მთლიანად შემონახულია გორგიაში (ახლანდელი ანაპა) მეთუნის სახელოსნოს გათხრისას აღმოჩენილი მაღალსადგამიანი ჭრაქი [9, ტაბ. CXXXII, 14; 19, გვ. 222; 20, გვ. 48]. ეს სახელოსნო ძვ.წ. I საუკუნეში წყვეტს არსებობას [19, გვ. 218-224]. სადგამის გოფირებული ნატეხებია გათხრილი ფანაგორიის V ს. სამეთუნეო სახელოსნოშიც [18, გვ. 179]. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ძირითადად სწორედ ფანაგორიაში, მზადდებოდა მაღალსადგამიანი ჰორიზონტალურ რელიეფურწრებიანი ჭრაქები [10, გვ. 6]. ურელიეფო წრებიანი ე.წ. ფინჯნისებური (უფრო მართებული იქნება, ალბათ, ფიალისებური) სადგამიანი, შედარებით მცირე ზომის, ნაძერწი, ადგილობრივად დამზადებული ჭრაქები უფრო ხშირად გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ მასალაში. მაგ., – ტანაისში [10, გვ. 129, 130], ილურატში [17, გვ. 175; 14, გვ. 128, სურ. 44; 2,3], ტირიტაკეში [15, გვ. 115, სურ. 141; 2,3], (იხ. ტაბ. II_{3,5}; ტაბ. III_{2,4}).

ე.წ. ვაზისებური, ლარნაკისებური ღია ტიპის ჭრაქ-სანათებისათვის დამახასიათებელია მაღალი ფეხსადგარი (ზოგჯერ გოფირებული), რომელსაც მცირე, ტუჩიანი ფიალა ადგას. ვარაუდობენ, რომ ე.წ. ლარნაკისებური ჭრაქები გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების დაბალფეხიანი ჭრაქების განვითარების შედეგია [5, გვ. 5-57]. ლარნაკისებური დაბალფეხიანი ჭრაქები კავკასიაში არქეოლოგიურად გათხრილია – ურბნისში [5, გვ. 56], უფლისციხეში [4, გვ. 30], რუსთავში [8, გვ. 53], თელავში [შეად. 7, გვ. 78, ტაბ. XV, 7], კაბალაში [16, გვ. 18-19], მინგეჩაურში [12, ტაბ. VIII, 10] და სხვ.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ე.წ. ლარნაკისებური გოფირებული მაღალფეხიანი ჭრაქები, ადეიშვილების გორის გარდა ჯერჯერობით არ გვხვდება. სამაგიეროდ, ამდაგვარი, შუა საუკუნეების ჭრაქები მაღალ ფეხზე, ზედა მხარეზე მიძერწილი ფიალით (ეტყობა ჩამონალენებისათვის) აღმოჩენილია თბილისში, კაბალაში, ლორეში, შემახიაში, მინგეჩაურში და აღმოსავლეთ კავკასიის სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე [1, გვ. 117, ტაბ. II]. საყურადღებოა, რომ ადეიშვილების გორის ნაირი,

უფრო ვიწრო, ფართოდ გოფრირებული სასან-თლები აღმოჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების თბილისის არქეოლოგიური გათხრებისას [1, გვ. 118, ტაბ. III]. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული არიან მესანთლე პროფესიის თბილისელი ხელოსნები [21, გვ. 12], რაც მესანთლეობის ცალკე დარგად გამოყოფაზე დოკუმენტურად მიგვითითებს. ხსენებული ტიპის თიხის სასან-თლები საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე არ არის მიკვლეული [1, გვ. 118].

საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების არქეოლოგიურად შესწავლილ საზოგადოებრივ-საკულტო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებში აღმოჩენილია რამდენიმე ტიპის სანათი (ტიპების შესახებ დაწვრილებით იხ. [10, გვ. 12; 13, გვ. 27]). მათში გამოიყოფა ადგილობრივი და უცხოური ნაწარმი. აქ, ძირითად ტიპებად ჩვენ მიგვაჩნია – ხელით ნაძერწი ფიალისებური ან ე.წ. ნიჟარისებური უფეხო, დაბალფეხიანი და მაღალფეხიანი ე.წ. ლარნაკისებური ღია ტიპის სანათები; მაღალფეხიანები ხშირად სამეთუნეო ჩარხზე არის დამზადებული. მეორე – დახურული ტიპის, საპატრუქე მილიანი, მზადდებოდა სპეციალურ ყალიბებში. არსებობს ამგვარი სანათების სხვადასხვანაირი მოდიფიკაციები (რამდენიმე საპატრუქე მილიანი, სხვადასხვანაირი ორნამენტით შემკული და სხვ.). ეს ტიპი უცხოეთიდან, ანტიკური სამყაროდან გავრცელდა და საქართველოში აღმოჩენილია, როგორც უცხოური, აგრეთვე ადგილობრივი ეგზემპლარები [3, გვ. 211-222, სურ. 439-479].

პირველი, ე.წ. ფიალისებური ტიპის სანათები საფიქრებელია, რომ ადგილობრივად განვითარდა და შემდგომ ე.წ. ლარნაკისებურ ტიპად ჩამოყალიბდა. მათი დამზადების ტექნოლოგია სამეთუნეო ჩარხზე უფრო მარტივია, ვიდრე მეორე, დახურული ტიპისა, რომელიც ყალიბში კეთდებოდა.

სანათების საწვავად ზეთს ან ქონს ხმარობდნენ. მათში ზოგან ნავთობსაც ურევდნენ [11, გვ. 221]. სანათის პატრუქად ლერწამი, სელი ან კანაფი გამოიყენებოდა, რომლებიც ღია ტიპის უტუჩო ჭრაქებში ალბათ სპეციალური სამაგრებით მაგრდებოდა. შესაძლოა ეს გარდიგარდმო გადაებული მავთული იყო, რომლის შუაშიც პატრუქი იყო გარჭობილი, ანდა თიხის გახვრეტილი მცირე კონუსისებური სადგარი, რომლის ხვრელშიც პატრუქი იღო და ფიალის ცენტრში მაგრდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ღია ტიპის სანათებად შეიძლება მივიჩნიოთ ანტიკური ხანის ცალყურა ჯამები (მაგ. კამარახევი, მუხათგვერდი, ასურეთი, კავთისხევი, უფლისციხე, სამადლო და სხვ.), [22, გვ. 20-23, 208-215], რომლებიდანაც შემდეგ, გვიანანტიკურ ხანაში და

ადრეულ შუა საუკუნეებში შესაძლოა განვითარდა სადგამიანი ე.წ. ლარნაკისებური სანათები (მაგ., ფეხიანი სანათები ურბნისიდან, უფლისციხიდან და სხვ.).

სანათებს ეტყობა რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. გვიანანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებში ასეთები შესაძლოა ლარნაკისებური მაღალფეხიანი სანათები ყოფილიყო (მაგ. ადგიშვილების გორის № 12 თხრილის სანათი), რომლებიც ფორმით ელინისტური ხანის საცეცხლე რიტუალურ ჭურჭლებს ე.წ. თიმიატერიონებს ჩამოჰგვანან (მაგ. ვანი, [6, გვ. 67, ტაბ. 53, სურ. 1]). ასეთივე ე.წ. საოჯახო მცირე საკურთხევლები გათხრილია გორგვიპიაშიც [9, ტაბ. LXV, 5-7]&

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლენილია ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების საზოგადოებრივ-საკულტო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების მრავალი გასანათებელი საშუალება. ამ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვის სანაპიროსკენ, ალბათ, ანტიკური სამყაროს მეტი გავლენის გამო, სჭარბობს დახურული ტიპის სანათები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მეტია ღია ტიპისა.

ამრიგად, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ადგიშვილების გორის № 12 თხრილის ნაგებობაში გამოვლენილი ნივთი წარმოადგენს სანათის სადგარს, მაშინ ის ჯერჯერობით ამ სახის ერთადერთ დადასტურებულ ნიმუშად გვევლინება დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში.

G. Gamkrelidze

TOWARDS INTERPRETATION OF THE CLAY OBJECT FROM ADEISHVILEBIS-GORA CONSTRUCTION

(Summary)

An unusual clay object having cylindrical shape and flat bottom was discovered during the investigation of a construction located on the plateau Adeishvilebis-gora and dated to the 3rd-4th cent. A. D. The body of the object is widely ribbed and four rolls stretch down to the bottom. The space between them is grooved. The clay texture is grey-brownish, with admixture of limestone and pyroxene. The clay is inferiorly fired. Judging by the clay quality, it can be inferred that the object is of a local manufacture. It may be the foot of a candlestick or a lampstand.

The foot of the type just referred to, is the first one, found in the 3rd-4th cent. layers on the territory of Western Georgia.

ლიტერატურა

1. არჩვაძე თ. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი. – ფსაძე, III. თბ., 1978, გვ. 111-133.
2. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.
3. კილურაძე ნ. ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. – დიდი პიტიუნტი, II. თბ., 1977, გვ. 211-222.
4. მინდორაშვილი დ. შუა საუკუნეების მოუჭიქავი კერამიკა უფლისციხიდან (ჭრაქები). – ძმ, № 2, 1988, გვ. 30-32.
5. სინაურიძე მ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. – მსმკი, I, 1966, გვ. 39-90.
6. ფირცხალავაძე მ., ყიფიანი გ. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-81 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, – ვანი, VIII. თბ., 1986, გვ. 52-78.
7. ჩიკოიძე ც. ქალაქი თელავი. თბ., 1979.
8. ჭილაშვილი ღ. ქალაქი რუსთავი. თბ., 1958.
9. Античные государства Северного Причерноморья. М., 1984.
10. Арсеньева Т. М. Светильники Танаиса, М., 1988.
11. Ахмедов Г. Неполивная керамика Оренкала. – МИА, 67, 1959, ud& 221-231.
12. Ваидов Р. Мингечаур в III-VIII вв. Баку, 1961.
13. Вальдгауер О. Ф. Античные глиняные светильники. С-Петербург, 1914.
14. Гайдукевич В. Ф. Боспорские города. Л., 1981.
15. Гайдукевич В. Ф. Раскопки Тиритаки в 1935-1940 гг. – МИА, 25, 1952, с. 15-134.
16. Геюшев Р. Керамика г. Кабалы I-X вв. Баку, 1962.
17. Кастанаян Е. Г. Лепная керамика Боспорских городов. Л., 1981.
18. Кабылина М. М. Керамическое производство Фанагории в IV в. – СА, 3, 1966, с. 172-186.
19. Кругликова И. Т. О гончарной мастерской Горгиипии. – СА, 2, 1962, с. 218-224.
20. Кругликова И. Т. Синдская гавань, Горгиипия, Анапа. М., 1975.
21. Месхия Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии. Тб., 1959.
22. Нариманишвили Г. К. Керамика Картли V-I вв. до нашей эры. Тб., 1991.
23. Perlzweig J. Lamps of the Roman period, The Athenian Agora, vol. VII. Princeton, 1961.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. სანათის ან სასანთლის სადგარი (თხრილი № 12); 2. გოფირებული ნატეხები № 12 თხრილის ნაგებობიდან; 3. სადგამის და გოფირებული ნატეხების განლაგების სქემა № 12 თხრილის ნაგებობიდან.

ტაბ. II – 1. სადგარი № 12 თხრილის ნაგებობიდან; 2. სანათი გორგიპირიდან; 3. ე.წ. ლარნაკისებური სანათი ილურატიდან (რეკონსტრუქცია); 4. სანათი ფანაგორიდან; 5. სანათი ტანაისიდან.


ტაბ. III – 1. სანათი მინგეჩაურიდან; 2. სანათი ილურატიდან; 3. სანათი თბილისიდან; 4. სანათი ილურატიდან; 5. სასანთლე თბილისიდან; 6. სასანთლე ქსნის ხეობიდან (ეთნოგრაფიული ნიმუში).

Description of the plates


Pl. I – 1. Lampstand or candlestick foot from the construction, ditch = 12; 2. Ribbed pottery from the construction, ditch = 12; 3. Diagram of the arrangement of a foot and ribbed pottery in the construction from ditch = 12.

Pl. II – 1. Foot from the structure, ditch = 12; 2. Lamp from Gorgippia; 3. Lamp from Ilurat; 4. Lamp from Phanagoria; 5. Lamp from Tanais.






Pl. III – 1. Lamp from Mingechauri; 2.- Lamp from Ilurat; 3. Lamp from Tbilisi; 4. Lamp from Ilurat; 5. Candlestick from Tbilisi; 6. Candlestick from the Ksani valley (ethnographic specimen).




აღმოჩენილბის გორა
№ 12 თხრილის ნაგებობა




ტაბ. II







0 3




0 3




0 3



0 3



0 3



0 3

ქეთევან ილიას ასული რამიშვილი

მცენარეული მოტივი სასანურ გამებზე და ზოგიერთი კავშირები აღრამისტიანული ხანის ქართულ კვლევებში

ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის, კერძოდ, ხელოვნების ცალკეული ძეგლების ურთიერთკავშირისა და მსგავსების შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. საქართველოში მოპოვებული სასანური წარმოშობის გლიპტიკურ ძეგლებზე ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო სურათი გამოავლინა. კერძოდ, გაირკვა, რომ სასანურ გემებზე გამოსახული სიუჟეტების დიდმა ნაწილმა ასახვა ჰპოვა ადრექრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში – როგორც მონუმენტური ძეგლების რელიეფურ გამოსახულებებში, ასევე ცალკეულ ორნამენტულ მოტივებში.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მცენარეული მოტივის რამდენიმე სახეობაზე.

მცენარეული მოტივი ირანის ხელოვნებაში და კერძოდ, სასანური ირანის ხელოვნებაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. იგი ფართოდ არის წარმოდგენილი ხელოვნების ყველა დარგში - კლდის რელიეფებზე, ტორევტიკულ ნაწარმზე, სტუკურ ფილებზე, ქსოვილზე, გლიპტიკურ ძეგლებზე. მცენარეული მოტივი კარგად შეეფარდებოდა სასანური საკარო ხელოვნების ძირითად შინაარსს - ყოფილიყო რაც შეიძლება უფრო მდიდრული, პომპეზური, თვალისმომჭრელი, რათა ხაზი გაესვა სახელმწიფოსა და მისი მმართველი წრის ძლიერებისათვის. მეორე მხრივ, მცენარეული მოტივი, უხვი მცენარეული ორნამენტული იყო ნაყოფიერებისა და ბუნების ძალების მფარველი ღვთაების სიმბოლო, რომელიც ამავე დროს სასანიანთა სამეფო ოჯახის მფარველ ქალღმერთადაც ითვლებოდა. ამიტომ მისი ძირითადი ატრიბუტები - აყვავებული რტოები, ყვავილები (ვარდი, ტიტა, ბროწეულის ყვავილი და ნაყოფი) ფართოდ გამოიხატებოდა ხელოვნებაში. განსაკუთრებით საყვარელი თემა კი იყო ყვავილი დიდგვაროვანი, წარჩინებული პირის ხელში, რადგან ყვავილი არა მხოლოდ სილამაზის, კეთილდღეობისა და ფუფუნების ნიშანი იყო, არამედ კეთილგანწყობის გამომხატველიც [9, გვ. 40; 10, გვ. 112]. წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ როდესაც შაჰი, ან მისი მეუღლე, ნადიმის, ან ზემის დროს ყვავილს უბოძებდნენ თავის ქვეშევრდომს, ეს მისდამი კეთილგანწყობის გამოვლინება იყო, და ხშირად არა მხოლოდ კეთილგანწყობისა, არამედ გარკვეული პრივილეგიების მინიჭებაზეც მიანიშნებდა [12, გვ. 256-270]. ამის გამო ხელოვნებაში ძალზე ხშირია ამგვარი გამოსახულებანი - წარჩინებული პირი ყვავილით ხელში [7, გამ. 23; 11, გვ. 53, გამ. 12, ტაბ. 32; 16, გამ. CCI]. ამ თემის თვალსაჩინო ნიმუშია ცნობილი

პიტიახშის თასი არმაზისხევიდან, სადაც დიდგვაროვანს დამახასიათებელი მანერით უპყრია ხელში ყვავილი. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ დავუშვებთ, რომ მის ხელში მოთავსებული სამფურცელა ყვავილი, ბროწეულის ყვავილის სტილიზებული გამოსახულება უნდა იყოს.

გლიპტიკურ ძეგლებზე დამკვიდრდა ბროწეულის ყვავილის კანონიკური, ძლიერად სტილიზებული სახე, რომელიც შემდეგი სქემით არის წარმოდგენილი: მოგრძო ოვალური „მუცელი“ ყვავილისა, სამი წაწვეტებული ფურცლით დაბოლოებული. მისი ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა ხაზგასმულია იმით, რომ იგი ხშირად მოთავსებულია ფრინველის გაშლილ ფრთებს შორის, ან აყვავებულ რტოებს შორის, ან ხარის და ვერძის რტებს შორის. ამგვარ მონარჩობაში კი ჩვეულებრივ ზოროასტრიზმის ძირითადი სიმბოლოები, ან ღვთაებათა ძირითადი იპოსტასები (ლომი, ვერძი, არწივი და სხვ.), აგრეთვე დიდებულთა პორტრეტები თავსდებოდა. ამგვარად შემკული ბროწეულის ყვავილის, ან ნაყოფის გამოსახულებანი გვხვდება გლიპტიკურ ძეგლებზე, სტუკოებზე, ტორევტიკულ ნაწარმზე. ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ბროწეულის სიმბოლური მნიშვნელობისა არის ბალტიმორის მუხეუმის ვერცხლის თასი, სადაც საზეიმო სამოსში გამოწყობილ შაჰის მეუღლეს თავზე ხურავს ვერძის რტებითა და ბროწეულის ნაყოფით შემკული თავსაბურავი [19, გამ. 259]. აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ბროწეული, ან მისი ყვავილი გაიგივებული იყო ზოროასტრულ ძირითად სიმბოლოსთან, ცეცხლის ალთან. მისი კაშკაშა წითელი ფერის გამო იგი აღიქმებოდა როგორც მარად მოგიზგიზე ცეცხლის ალის სიმბოლო. ამით უნდა აიხსნას მისი გამორჩეული როლი საკარო რიტუალებში. გავიხსენოთ ინვესტიტურის სცენა ბარმი დილაქის ერთ-ერთ რელიეფზე, სადაც მაგუპატი ქარტირი, ტრადიციული ძალაუფლების გვირგვინის ნაცვლად, დედოფალს აწვდის ბროწეულის ყვავილს [8, გვ. 112].

ჩვენს მასალაში ბროწეულის ყვავილის ტიპური გამოსახულება გვხვდება სამთავროს სამაროვნის № 203 სამარხის ქალცელონის ელიფსოიდზე, სადაც მიუხედავად ძლიერი სქემატიზაციისა, მკაფიოდ არის ხაზგასმული ყველა დამახასიათებელი ნიშანი (ტაბ. I): ოვალური ღრმულით მინიშნებული „მუცელი“, ორმაგი ხაზით გამოკვეთილი სამი მოსქო წაწვეტებული ფურცელი. ღეროს ძირში კი ჯერ აქეთ-იქით გაშვერილი ყლორტები, შემდეგ კი ფრინველის გამშლილი ფრთები გამოსახული. ამ გამოსახუ-

ლებასაც მრავალი ანალოგია ეძებნება სასანურ გემებზე [7, გამ. 61; 16, გამ. LB₂, 6, 9; 18, გამ. 6-80].

სამი წაწვეტებული ფურცლის ხაზგასმას და საერთოდ სამფურცელა ყვაილების, ან სამნაწილადი აყვავებული მცენარის გამოსახვას უსათუოდ გარკვეული შინაარსი ენიჭებოდა სასანურ სამყაროში (ტაბ. I₂). არსებობს მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო ზოროასტრული პანთეონის სამი ძირითადი ღვთაების - აჰურამაზდას, მითრას და ანაჰიტას ტრიადის მიმანიშნებელი. ჩვენთვის საგულისხმოა ეს მომენტი, რადგანაც ქართულ ადრექრისტიანული ხანის ხელოვნების ძეგლებზე ძალზე ხშირია სწორედ სამნაწილადი ყვაილის (ბროწეულის ყვაილის მსგავსი) გამოსახულებანი. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ბალიჭის ეკლესიის სტელის ერთ-ერთ გვერდზე ამოკვეთილია დიდი ზომის სამფურცელა ყვაილი, მოთავსებული სტილიზებულ აყვავებულ რტოებს შორის (ტაბ. II₂); სწორედ ისე, როგორც სასანურ ძეგლებზე ზოროასტრული სიმბოლოები, და კერძოდ, ბროწეულის ყვაილია მოთავსებული [5, გვ. 103, ტაბ. XLVII₂]. ბალიჭის მეორე სტელაზე ბოლნური ჯვრის მედალიონის დამჭერი ბუნი აღმართულია ისევე სამფურცელა, წაწვეტებულწვეროებიანი ყვაილის გამოსახულებით შემკულ ბაზაზე (ტაბ. II₁). მსგავსი ყვაილებით არის შემკული სათხისა და კიხილ-ქილისას სტელები [5, ტაბ. XXXIV₁; LI₃; LXXXI]. ან კიდევ, ისევე ბალიჭის სტელის ერთ-ერთ გვერდზე წრეში ჩასმული, ორნამენტულად შესრულებული ჯვრის გამოსახულება (ტაბ. II₃), სადაც ყოველი მკლავი სამფურცელა ყვაილს წარმოადგენს [5, გვ. 103, ტაბ. LI₂]. ამისივე ანალოგიურია მთელ რიგ სტელა-ჯვრებზე, ჯვრის ძირითად გამოსახულებაზე, მისი მკლავების ბოლოებზე ისევე წაწვეტებული სამფურცელა ყვაილების ჩასმა. ასეა ბოლნისის, ახალი გორის, დმანისისა და სხვ. ჯვრების გამოსახულებებზე [4, გამ. 43, 45]. ზოგიერთ მათგანზე ჯვრის ქვემოთ სასანური ბაფთებია გაფრიალებული. ვფიქრობ, სამფურცელა ყვაილის, და საერთოდ სამნაწილადი მცენარის ასე ხშირი გამეორება არც ჩვენ ძეგლებზე უნდა იყოს შემთხვევითი, ან მექანიკურად გადმოტანილი. შესაძლოა, აქ იგი ქრისტიანული სამი საწყისის – წმინდა სამების მიმანიშნებელი იყოს.

ბოლოს, ყვაილის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე მიუთითებს სამწვერისის და ბაშკირეთის სტელები, სადაც რელიეფურად გამოსახულ სახეიმო პოზაში მდგომ წარჩინებულ პიროვნებებს აღორაცის უესტით, მოგრძო რტოზე მოთავსებული ყვაილი უჭირავთ [14, ტაბ. 26, ტაბ. 70]. ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს კიდევ, რომ ასეთ სახეიმო პოზაში მყოფი წარჩინებულის

ხელში ყვაილი, უსათუოდ სიმბოლური მნიშვნელობისაა და მის გარკვეულ უფლებამოსილებაზე უნდა მიუთითებდეს [14, გვ. 94]. აქ ბუნებრივად გვახსენდება ზემოთ აღწერილი სასანური ტრადიცია, ყვაილის ბოძებასთან დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ გემაზე ბროწეულის ყვაილი ჩასმულია სქემატურად შესრულებულ გაშლილ ფრთებში. ხელოვნებათმცოდნეებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ სასანურ ძეგლებზე გაშლილი ფრთებისა და მცენარის აყვავებული რტოების ორნამენტულად შესრულების დროს, ისინი ერთმანეთს ძალზე უახლოვდებიან და ზოგჯერ ძნელიც კი ხდება გარჩევა, ფრთებია გამოსახული, თუ აყვავებული რტოები. ამის ნათელ მაგალითს ისევე არმაზისხევის პიტიანშის თასი წარმოადგენს, სადაც, როგორც კ. მაჩაბელი აღნიშნავს, ფრთების გამოსახულება ტრანსფორმირებულია მცენარეულ ორნამენტში [10, გვ. 110].

უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს მანერა, მკაცრად დამკვიდრებული სასანურ ხელოვნებაში, პოულობს ფართო გავრცელებას ქართულ ძეგლებზე. ჯვრის გამოსახვა ამგვარად, ორნამენტულად შესრულებულ გაშლილ ფრთებსა, თუ რტოებს შორის ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ქართულ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში. ამის საუკეთესო მაგალითია მცხეთის ჯვრის მონასტრის სამხრეთ პორტალზე მოთავსებული შესანიშნავი რელიეფი, ჯვრის ამალღების სცენის ამსახველი [6, გვ. 33, გამ. 30].

შემდეგი, ძალზე მნიშვნელოვანი მოტივი სასანური ირანის ხელოვნებაში არის აყვავებული მცენარის, ანუ ე.წ. „სიცოცხლის ხის“ გამოსახულება. მისი გამოსახვა ერთი შეხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებზე, მაგრამ სინამდვილეში ძირითადი ელემენტები მკაცრად არის განსაზღვრული. ეს არის მთავარი ღერო, რომლის ქვედა ნაწილში გადაშლილი დაფოთილი რტოებია, მათ ზემოთ კი სიმეტრიულად განლაგებული, ქვემოთკენ გადმოხრილი (ხშირად ძლიერად ჩახვეული) უფოთლო შტოების წყვილი და ბოლოს მცენარის წვეროში აყვავებული ნაწილი, რომელიც ყოველთვის სამნაწილადია: ხან სამი მოკლე ყლორტი, თუ კოკორია, ხან ნაყოფის სამი კუნწულა, ხან სამფურცელა ყვაილი. მსგავსი „სიცოცხლის ხის“ გამოსახულებანი, მეტნაკლებად გართულებული, ან გამარტივებული სახით, გვხვდება კლდის რელიეფებზე, ტორეკტიკაში, გემებზე, ქსოვილზე.

სწორედ ასეთი აყვავებული მცენარის გამოსახულება არის მარტაზისხევის № 36-ე სამარხის აგურისფერი ქვიშაქვის ელიფსოიდზე (ტაბ. I₆). მოკლე ძირზე გამოსახულია გრძელი ღერო, რომლის ორივე მხარეს დაფოთილი რტოები რკალურად არის აღმართული. მათ ზემოთ სიმეტრიულად ქვემოთ გადმოხრილი უფოთლო შტოებია, ღეროს თავზე კი სამ ნა-

წილად გადაშლილი „ყვაილია“ გამოსახული. „ყვაილის“ თითოეული ნაწილი ოვალური ღრმულით არის გადმოცემული, რომელსაც კიდები მსუბუქად დაკეცილი აქვს. როგორც ვხედავთ, ჩვენს საბეჭდავზე ამ მოტივისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ელემენტი არის ხაზგასმული. ამ მცენარეს მრავალი ანალოგია ეძებნება სასანურ გემებზე: ასეთებია - პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ცნობილი პორტრეტული გემა, სადაც დედოფლის თავსაბურავს ვერძის რქები და მათ შორის მოთავსებული სწორედ ასეთი მცენარის გამოსახულება ამკობს [18, გამ. 3, 34]. ასეთივე ელემენტების შემცველი მცენარეა ბრიტანეთის მუზეუმის აქატის საბეჭდავზე [16, გამ. LA₁₃], სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ქალცედონის ინტალიონზე [7, გამ. 603]. მსგავსივე ელემენტების შემცველი, ოღონდ ბევრად უფრო გართულებული, დამატებითი დეტალებით გადატვირთული, მოტივი გვხვდება თაღ-ი ბოსტანის ხოსრო II-ის ინვესტიტურის ამსახველ რელიეფზე, რომელიც თავისი დახვეწილობითა და შესრულების მაღალი ტექნიკით შეიძლება მცენარეული ორნამენტის ბრწყინვალე ნიმუშად ჩაითვალოს [20, გამ. 111].

ჩვენთვის ეს მცენარეული მოტივი განსაკუთრებით საინტერესოა ისევე იმის გამო, რომ მას ანალოგიები ეძებნება ქართული ხელოვნების ძეგლებზე. აქ აშკარად ჩანს სწორედ კანონად ქცეული ორნამენტული ელემენტების გადმოტანა და, რაც მთავარია, მათი გამოყენება ძირითადი ქრისტიანული სიმბოლოს - ჯვრის გამოსახულებიანი სტელების მოსართავად (ტაბ. II₄). ასე მაგ., უკვე ნახსენებ სათხის, ბალიჭის, ბოლნისის, კიზილ-ქილისას ქვის სტელებზე ბოლნური მედალიონების დამჭერი ბუნები შემკულია სწორედ ასეთი მცენარეული ორნამენტით, რომელიც ცალკეული დეტალების გადმოცემით - დაფოთილი მორკალული რტოები და უფოთლო ჩახვეული ყლორტები - სტილიზაციის მანერით, ძალიან უახლოვდება ზემოთ აღწერილ სასანურ მოტივს [5, გვ. 102-104, ტაბ. XXXIV₁, LX₁, LI₂]. მსგავსებას კიდევ აძლიერებს ის, რომ ზოგ შემთხვევაში ასეთ გამოსახულებებს ამკობს სასანური სამეფო ბაფთების წყვილი. ამის საუკუთესო მაგალითია ბოლნისის სიონის კაპიტელების ე.წ. იერატიკული მცენარეების გამოსახულებანი (ტაბ. II₅) - მორკალული რტოები, მცენარის სამნაწილადი წვერო და ქვემოთ დიდი ზომის სასანური ბაფთები [13, ტაბ. V₁, 2, გვ. 166, ნახ. 98].

ყურადღებაამისაქცევია ის გარემოება, რომ თუ სასანურ ხელოვნებაში ამგვარი „სიცოცხლის ხე“ წვეროში დასრულებული იყო სამნაწილადი ყვავილით, ან ნაყოფით და ამით ზოროასტრულ სიმბოლიკას განასახიერებდა, ჩვენს ძეგლებზე მსგავსი მცენარეული ორნამენტით

შემკულ ბუნებს აგვირგვინებს ძირითადი ქრისტიანული სიმბოლო - ჯვარი. ცხადია, რომ ჯვრის გამოსახულების სწორედ ამ მცენარეული ორნამენტით შემკობის დროს ოსტატებს კარგად ჰქონდათ გააზრებული მისი (ამ მოტივის) დიდი სიმბოლური მნიშვნელობა.

არის კიდევ ერთი ჯგუფი მცენარეული გამოსახულებებისა, რომელიც რამდენიმე საკმაოდ დახვეწილად შესრულებულ ჭრილაქვაზე გვხვდება ჩვენს მასალაში. ეს არის სამთავროსა და ავჭალისკარის სამაროვნების ქალცედონის და სარდიონის წაკვეთილი სფეროს ფორმისა და მთლიანი ქვის საბეჭდავები (ტაბ. I_{3,4,5}). მათზე ნახევრად გაშლილი ყვაილის გამოსახულება პირობითად ლოტოსის ყვაილად შეიძლება იყოს მიჩნეული იმის გამო, რომ მოკლე ჰორიზონტალური ხაზით მინიშნებულ ნიადაგის ზოლზე პირდაპირ დამჯდარი ეს ყვაილი, ღეროს გარეშეა გამოსახული. ტერმინი „ნიადაგის ზოლი“ აქ პირობითია და უფრო სწორი იქნება ეს ხაზი აქ წყლის ზოლს აღნიშნავდეს, რომელზეც ჩვეულებრივ ხარობს ლოტოსი. ლოტოსი თავდაპირველად სხვა ყვაილებთან ერთად ისევე ანაჰიტას სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ასე აქვს ახსნილი ფ. აკერმანს თავის გამოკვლევაში, რომელიც სასანურ საბეჭდავებზე ზოროასტრული სიმბოლიკის განხილვას ეძღვნება [15, გვ. 780-804], მაგრამ შემდეგ მკვლევარებმა იგი ღვთაება მითრას სახელს დაუკავშირეს. ეს უპირველეს ყოვლისა იმან განაპირობა, რომ არდაშირ II-ის რელიეფზე თაღ-ი ბოსტანიდან ინვესტიტურის ცერემონიაში მონაწილე ღვთაება მითრა, წარმოდგენილი ყველა თავისი კანონიკური ატრიბუტებით, ლოტოსის ყვაილზე მდგომია გამოსახული [19, გამ. 233]. ლოტოსის ყვაილი იყო აგრეთვე გამოსახული ქუშანის მფლობელ შაჰის მემკვიდრე უფლისწულის ყულახზე [11, გვ. 67-68]. შესაძლოა სწორედ იმიტომ, რომ მაშინ იგი ჯერ მითრას, ე.ი. რანგით მეორე ადგილზე მყოფი ღვთაების მფარველობის ქვეშ მყოფად ითვლებოდა და არა უზენაესი ღვთაებისა. აჰურა-მაზდას უშუალო მფარველობის ქვეშ მხოლოდ ირანის შაჰი უნდა ყოფილიყო. ძალაუფლების ნიშანსაც ხომ უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ის გადასცემს შაჰებს კლდის რელიეფების ინვესტიტურის სცენებში.

ზემოთ დასახელებულ ნახევრად გაშლილი ყვაილის გამოსახულებას პირდაპირი ანალოგიები ვერ მოვუძებნე ჩვენი მონუმენტური ხელოვნების ძეგლებზე, თუმცა ზოგიერთი მცენარეული ორნამენტის დეტალი, კერძოდ, ზოგი სტილიზებული ყვაილი, ლოტოსის ყვაილის გამოსახულებას გვაგონებს (იხ. წრომის, პარხლის, ვალეს ორნამენტი) [3, გვ. 32, 34, 40]. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ზემოთ ნახსენები ბაშეიჩეთის რელიეფი, სადაც ხელში სამფურცელა ყვაილის მპყრობელი წარჩინებული პიროვნება დიდი ზომის მარაოსებურად გადაშლილ ყვაილზე ღვას, რითაც აშკარად ეხმიანე-

ბა ზემოთ დასახელებულ მითრას გამოსახულებას ლოტოსის ყვავილზე თაღი ბოსტიანიდან.

ბოლოს გვინდა შევაჩეროთ ყურადღება ვარდულის გამოსახულებებზე. ვარდული - ოთხეკეს-რვაფურცლიანი ყვავილი, ხშირად შუაგულამოღარული და წრეში ჩასმული, ძალიან გავრცელებული სამკაულია სასანური ხელოვნების ძეგლებზე [2], გამ. D.226, D.230, D.439]. მაგრამ იგი, ისევე როგორც სხვა მცენარეული მოტივები, არავითარ შემთხვევაში არ იყო მხოლოდ სამკაული. ვარდულის გამოსახულება ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში და, კერძოდ, ძველ ირანში ასტრალურ კულტებს, მნათობებს უკავშირდებოდა. ამდენად, საკარო ხელოვნების ძეგლებზე, მეფეთა საზეიმო ჭურჭელზე, მათ სამოსზე ვარდულების გამოსახვა იყო მინიშნება მათ კავშირზე ზეციურ ძალებთან, მათ ღვთაებრივ წარმომავლობაზე. ხშირად შაჰის, ან ქვეყნის მფარველი „დიდი ქალბატონის“ სახით წარმოდგენილი მისი მეუღლის სამოსს სწორედ ვარდულები ამშვენებდა და ეს იყო მხოლოდ მათი სამოსის გამორჩეული ნიშანი [19, გამ. 254, 259, 270; 11, გამ. 33]. სტილიზებული, ჩადრეკილფურცლებიანი ვარდულები ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც ორნამენტის შემადგენელი ნაწილი, ლითონის ჭურჭელზე, სტუკოებზე, ქსოვილზე [11, გამ. 59, 99; 19, გამ. 229 სტუკოზე; 244, ე.წ. „სოლომონის თასზე“; 276, ქსოვილზე].

ჩვენს მასალაში რამდენიმე ინტალიოზე (სამთავროს სამაროვნის № 19 სამარხის, არმაზისხევის № 13 სამარხის მინის ჩამონასხამებზე; სამთავროს № 414 სამარხის ბრინჯაოს „რომბისებურ“ ფარაკიან ბეჭედზე, ბაიერნისეული სამთავროს ლურჯი მინის ჩამონასხამზე ზუსტად ანალოგიური ჩადრეკილფურცლებიანი, გულამოღარული ვარდულის გამოსახულებას ვხედავთ (ტაბ. I7-10).

ამ მოტივთან დაკავშირებით ისევ საოცარ ტრანსფორმაციას ვხვდებით ქართულ ძეგლებზე. ვარდულის გამოსახულება აქაც, როგორც დეკორის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, მუდმივად ჩანს ქართულ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში, და მას აქაც გარდა სამკაულისა ენიჭება დიდი სიმბოლური მნიშვნელობა. ვარდული, როგორც მნათობის სიმბოლო, გვხვდება ქრისტეს და სხვა წმინდანების გამოსახულებათა ფონზე [6, გვ. 18, გამ. 11; 14, გამ. 4]. ვარდულები გვხვდება სიმეტრიულად მოთავსებული ჯვრის მკლავებს შორის (ხანდისი, ჟალეთი, ბოლნისი), ვარდული სტელა-ჯვრის ცენტრში, მკლავების გადაკვეთის ადგილას (ახალი-გორა, ბოლნისი) [4, გვ. 43, 45]. ბოლოს ვარდული ხდება თვით ჯვრის ექვივალენტი და ხშირად ისევე გვხვდება კვარცხლბეკზე აღმართული, ან აყვავებული რტოებით ისევე შემკული, როგორც ჯვრის გამოსახულება (ტაბ. II6). მაგ., სათხის ეკლესიის ერთ-ერთ სტელაზე ორ გვერდზე

ჯვრის გამოსახულებაა, ორზე კი რტოებს შორის მოთავსებული ორმაგი ვარდულისა [5, გვ. 104, ტაბ. LIX], ან კიდევ დმანისის ქვა-ჯვარზე (ტაბ. II7), სამ გვერდზე კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული, მეოთხეზე კი, ისეთივე კვარცხლბეკზე, წრეში ჩასმული ვარდული [2, გვ. 63-69].

თუ სასანურ ხელოვნებაში ვარდული ბუნების ძალების მარადიული სიცოცხლისა და ზეციურ ძალებთან კავშირის სიმბოლო იყო, ჩვენთან, ქრისტიანული შინაარსის ძეგლებზე, იგი გააზრებულია როგორც აყვავებული ჯვარი, ძელი ცხოველი, და ისევე ღმერთის მარადიულ უკვდავებას ანსახიერებს.

ამდენად, გავადევნეთ რა თვალი იმ გამოსახულებათა ურთიერთკავშირს, რომლებიც ჩნდება საქართველოში მოპოვებულ სასანურ გემებსა და ქართული ადრექრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე, შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ ზოგ შემთხვევაში სწორედ გლიპტიკური მასალა წარმოადგენდა იმ პირველწყაროს (ტორევიტიკულ ძეგლებთან ერთად), საიდანაც ქართველი ოსტატები იღებდნენ ცალკეულ მოტივებს, სახეებს, ან ორნამენტულ დეტალებს. ამ ვარაუდს ამაგრებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული მონუმენტური ხელოვნების ძეგლებზე ხშირად ცალკეული მოტივების გადმოტანა ხდებოდა მცირე პლასტიკის ნაწარმოებებიდან (მაგ. სპილოს ძვლის და სხვ.) [1, გვ. 22-23]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გლიპტიკური მასალა ფართოდ იყო გავრცელებული ამ ხანის (V-VII სს.) ქართულ ყოფაში. ამას ადასტურებს სამარხებში სასანური გემების დიდი რაოდენობით არსებობა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სწორედ იმხანად, როდესაც ხდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამკვიდრება ქართლში, როდესაც ფაქტიურად მიდის ბრძოლა ირანის მიერ ძალით თავს მოხვეულ ზოროასტრიზმთან (ამის ერთ-ერთი დადასტურება უნდა იყოს სწორედ სტელა-ჯვრების ინტენსიური აღმართვა V-VII სს-ში [4, გვ. 37-39]), ამ ვითარებაში, გარკვეული მხატვრული სახეების, მოტივების, სტილისტური თავისებურებების უარყოფა კი არ ხდება, პირიქით, ხდება მათი შეთვისება, ახლებურად გააზრება და ქრისტიანული იდეოლოგიის პროპაგანდისათვის მათი გამოყენება.

K. I. Ramishvili

PLANT MOTIFS ON SASANIAN GEMS AND SOME CONTACTS WITH GEORGIAN MONUMENTS OF EARLY CHRISTIAN PERIOD

(Summary)

Observation of Sassanian glyptic monuments, discovered in Georgia, showed that the greater part of their representations is reflected in Georgian art of the Early Christian period, especially in monumental art, as well as on ornamental motifs of stone stelae.

The paper deals with several types of plant motif – the pomegranate flower and representation of trifoliate flower in general, representation of a blossoming plant or so-called "tree of life", and half-blossomed flower mostly considered as a lotus flower and representation of various rosettes (pl. I₁₋₁₀). All these motifs widely spread in Sassanian art and well represented on Sassanian gems discovered in Georgia are transformed in different ways in Georgian art monuments. One fact is noteworthy: whereas in Iran these motifs were mainly connected with Zoroastrian symbolism in Georgia they were mainly used for decorating Christian symbol - the cross, its pedestal, and sometimes replaced the cross itself (Pl. II₁₋₇)

Observation of Sassanian materials made possible to suppose that in Georgia the glyptic monuments were used as the primary source for the Early Christian art monuments (together with other monuments of small plastic art, namely, together with toreutic works). It must be noted that during the period, when Christian orientation begins to establish in Kartly and when Georgian people actually fights against Zoroastrianism, imposed by Iran, under such circumstances definite images and motifs were not rejected but, on the contrary, adopted, interpreted in a novel way, and used for the propaganda of the Christian ideology.

ლიტერატურა

1. ალადაშვილი ნ. ებანის ეკლესიის რელიეფი. – ძმ, № 29, 1972, გვ. 17-24.
2. მაჩაბელი კ. ქვაჯვარას გამოსახულება ძველ ქართულ რელიეფებზე. – სხ, № 7, 1988, გვ. 63-70.
3. შპერლინგი რ. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბ., 1954.
4. ჩუბინაშვილი ნ. ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები. – ძმ, № 30, 1972, გვ. 34-49.

5. ჯაფარიძე გ. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ., 1982.

6. Аладашвили Н. А. Монументальная скульптура Грузии. М., 1977.

7. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы. Л., 1963.

8. Луконин В. Г. Культура сасанидского Ирана. М., 1969.

9. Маршак Б. И. Согдийское серебро. М., 1971.

10. Мачабели К. Г. Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.

11. Тревер К. В., Луконин В. Г. Сасанидское серебро. М., 1987.

12. Тревер К. В. Новое "сасанидское" блюдо Эрмитажа. - Сборник посв. акад. И. А. Орбели. М.-Л., 1960, с. 256-270.

13. Чубинашвили Г. Н. Болнисский Сион. – ИИЯИМК, IX, 1940.

14. Чубинашвили Н. Г. Хандиси. Тб., 1972.

15. Ackermann Ph. Sasanian Seals. - SPA, I, London-New-York, 1938-39, p. 784-815.

16. Bivar A. D. H. Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum, II. London, 1969.

17. Brunner Chr. J. Sasanian Stamp Seals in the Metropolitan Museum of Art. New-York, 1971.

18. Gignoux Ph. Catalogue des sceaux, camées et bulles sasanides, II. Paris, 1978.

19. Ghirshman R. Iran Parthians and Sasanians. London, 1962.

20. Godard A. The Art of Iran. London, 1965.

21. Harper Pr. O. Representational Motifs on the Sealings. Sasanian Remains from Quasr-i Abu Nasr. ed. by R. N. Frye, Cambridge-Massachusetts, 1973, p. 66-87.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ბროწეულის ყვავილი, გაშლილ ფრთებს შორის, ქალცედონის ელიფსოიდი, V ს., სამთავრო, სამ. № 203; 2. სამფურცელა ყვავილი, შემკული ბაფთებით, ალმანდინის ინტალიო, ვერცხლის ბეჭედში, V ს., სამთავრო, სამ. № 414; 3. „ლოტოსის“ ყვავილი, ქალცედონის წაკვეთილი სფეროს ფორმის საბეჭდავი, V ს., სამთავრო, სამ. № 16; 4. ნახევრად გაშლილი „ლოტოსის“ ყვავილი, ქალცედონის საბეჭდავი-ბეჭედი, V ს., ავჯალისკარი, სამ. № 16; 5. „ლოტოსის“ ყვავილი, სარდიონის წაკვეთილი სფეროს ფორმის საბეჭდავი, V ს., სამთავრო, სამ. № 5; 6. აყვავებული მცენარე, ქვიშაქვის ელიფსოიდი, მარტაზისხევი, სამ. № 39; 7. ვარდული, მინის ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, VI ს., არმაზისხევი, სამ. № 13; 8. ვარდუ-

ლი, მინის ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, VI-VII სს., სამთავრო, სამ. № 19; 9. ოთხფურცელა ყვავილი, რომბისებური ფორმის ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე, VI-VII სს., სამთავრო, სამ. № 414; 10. ოთხფურცელა ყვავილი, ლურჯი ფერის მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში, გვიან-სასანური ხანა, სამთავრო - ბაიერნისეული.

ტაბ. II – 1. სტელების ბაზები სათხიდან და ბალიჭიდან სამფურცელა ყვავილების გამოსახულებით; 2. ბროწეულის ყვავილი სტელაზე ბალიჭიდან; 3. ოთხი სამფურცელა ყვავილისაგან შედგენილი ჯვრის გამოსახულება სტელაზე ბალიჭიდან; 4. მცენარეული ორნამენტი, რომლითაც შემკულია ბოლნური ჯვრის დამჭერი ბუნი; 5. ე.წ. იერატიკული მცენარის გამოსახულება, შემკული სასანური ბაფთებით, ბოლნისის სიონის კაპიტელზე; 6-7. ვარდულების, როგორც ჯვრის ექვივალენტის გამოსახულებები სათხისა და დმანისის სტელებზე.

Description of Plates

PI. I - 1. Pomegranate flower placed between open wings, chalcedony ellipsoid, 5th cent., Samtavro, burial 203; 2. Trifoliate flower decorated with bows, almandine intaglio in a silver finger ring, 5th cent., Samtavro, burial 414; 3. "Lotus" flower, chalcedony hemispheric, 5th cent., Samtavro, burial 16; 4. Half-blossomed "lotus" flower, signet-ring, chalcedony, 5th cent., Avchaliskari, burial 16; 5. "Lotus" flower, hemispheric, cornelian, 5th cent., Samtavro, burial 5; 6. Blossomed plant, sandstone ellipsoid, Martaziskhevi, burial 39; 7. Four-leaf rosette hollowed out, glass intaglio in bronze ring, 6th cent., Armaziskhevi, burial 13; 8. Rosette, glass intaglio in bronze ring, 6th-7th cent., Samtavro, burial 19; 9. Four-leaf flower, bronze ring with a rhomboid bezel, 6th-7th cent., Samtavro, burial 414; 10. Four-leaf flower, blue glass intaglio in bronze ring, late Sassanian, Samtavro-Bayern.

PI. II - 1. Trifoliate flower represented on the bases of stelae of Balichi and Satkhi; 2. Pomegranate flower between blossoming branches on the Balichi stele; 3. Fragment of the Balichi stele, decorated with a cross composed of four trifoliate flowers; 4. The handle of the Bolnisi cross decorated with plant ornament; 5. Hieratic plant decorated with Sassanian bows on the capital of the southern portico of Bolnisi Sioni; 6-7. Rosettes mounted on a handle like a cross on the Satkhi and Dmanisi stelae.


ക്രമം. 1



1



2



3




4




5




6



7



8




9




10

Պատ. II



1




2



3




4



5



6



7

ქეთევან რამინის ასული რამიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ან.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის კვლევა (ცხენი)

აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში მოპოვებულ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალებს შორის ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოსა და ვერცხლის ნაკეთობათა მოზრდილი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ირმის, ჯიხვის, ცხენის, ნიამორის, ვერძისა და სხვა ცხოველთა მინიატურული გამოსახულებები. მცირე პლასტიკის ამ ჯგუფის ერთი ნაწილი, თავისი ფუნქციური დანიშნულებით, ორიგინალურია: ის ასრულებს მშვილდსაკინძის თუ „შესაბნევის“ მოვალეობას და ამ მიზნით, ცხოველთა ჰორელიეფურ გამოსახულებებს უკანა (არახილული) შეღრმავებული მხრიდან მოწყობილი აქვს ნემსისებრი ენა და ენის წვერის ამოსადები ილღია.

გამოსახულებათა მეორე ნაწილი წარმოადგენს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული წვრილი ქანდაკებისა თუ ფიგურების სახით. მათი უმრავლესობა გამოყენებული ყოფილა საკიდებად, რაზედაც მიუთითებს ფიგურათა ზურგზე არსებული რგოლები (ყუნწები) და ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილი ბრინჯაოსავე ძეწკვის ნაწყვეტები.

ზოომორფულ გამოსახულებათა მესამე ნაწილში გაერთიანებულია მცირე პლასტიკის ის ნიმუშები, რომლებიც ცხოველთა თავების სახითაა წარმოდგენილი და განთავსებულია სხვადასხვა საგნებზე, ძირითადად სამაჯურებსა და სახელურებზე.

აღნიშნულ გამოსახულებათა დიდი უმრავლესობა მოპოვებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჟინვალის, ნეძიხის, ბადრიანების, წიფრანისძირისა და სხვა სამაროვნებზე, რაც საკმაოდ სრულადაა ასახული გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ნაშრომებსა და სავსე ანგარიშებში №17; 20; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46 და სხვ.ჯ. ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო მასალებია მოპოვებული კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მატნის რაზმის მიერაც, ალაზნის ზემოწელზე მდებარე სოფ. ომალოში. მნიშვნელოვანია თელავის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი ალაზნის ზემო წელიდან მომდინარეობს.

აქ ჩამოთვლილი მასალებიდან, ამჯერად, შევხებით მცირე პლასტიკის იმ ჯგუფს, რომელიც გამოსახავს ცხენს. მაგრამ, ვიდრე ამ ფიგურათა მხატვრულ-სტილურ თავისებურებებსა და დანიშნულებაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევხებით ამ რიგის მასალების არეალისა და ქრონოლოგიის საკითხს.

შესაბნევად გამოყენებული ზოომორფული გამოსახულებები, ამჟამად არსებული მონაცემებით, გავრცელებული ჩანს მდ. ალაზნისა და არაგვის შორის ტერიტორიაზე, ამ ხეობათა მთისწინა და მთიან ზოლში, მაგრამ ყველაზე უხვად, ჯერჯერობით არაგვის აუზშია აღმოჩენილი. შესაბნევთა აღმოჩენის უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია სოფ. ომალო, სადაც ალაზნის გასწვრივ მდებარე მაღლივ ტერასაზე (ფარეულიძის ეზო) მიკვლეულია ადრექრისტიანული ხანის ვრცელი და უაღრესად პერსპექტიული სამაროვანი. მსგავსი მასალების გავრცელების კიდევ ერთ „ოაზისს“ წარმოადგენს ზესტაფონის რაიონის სოფ. კლდეეთი, სადაც ახ. წ. II-III საუკუნეებით დათარიღებული სამაროვანია მიკვლეული №12, გვ. 73-92ჯ.

რაც შეეხება ზოომორფულ გამოსახულებათა და კერძოდ, ცხენის ფიგურების თარიღს, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გამთხრელთა თვალსაზრისს, რაც სათანადო არქეოლოგიური კომპლექსების კვლევაზეა დამყარებული. მშვილდსაკინძის ფუნქციის მქონე შესაბნევი და მათ შორის ცხენის ფიგურები, ძირითადად, თარიღდება III საუკუნის მეორე ნახევრით და IV საუკუნით. არქეოლოგიურად კარგად შესწავლილი ჟინვალის, ნეძიხის, წიფრანისძირის, ახალი ჟინვალის, არაგვისპირისა და სხვა დიდ სამაროვნებზე V და მომდევნო საუკუნეების სამარხებში მსგავსი ნაკეთობა აღარ ჩანს.

საქართველოს ფარგლებში ამ რიგის ნიმუშთა ყველაზე გვიანდელი ნაშთია (რეპლიკა) ხევში, გველეთის სამაროვანზე დ. მინდორაშვილის მიერ აღმოჩენილი ცხენის ფიგურა, რომელიც ფორმითა და ზომით საკმაოდ ახლოს დგას არაგვის აუზის ცხენის გამოსახულებებთან, თუმცა გველეთში აღმოჩენილ ცალს (ტაბ. II, სურ. 3) შესაბნევი აღარ გააჩნია. გველეთის სამაროვანი თარიღდება VI-VII საუკუნეებით. აქვე აღსანიშნავია, რომ დაახლოებით მსგავსი ცხენის ფიგურები ჩრდილოეთ კავკასიაში (ყაბარდო-ბალყარეთი, ოსეთი, ჩეჩენ-ინგუშეთი) ჩნდება VIII საუკუნიდან და ფართოდ ვრცელდება IX საუკუნეში №34, სურ. 12, 14, 15, 17, 18ჯ გველეთის სამაროვნის ნიმუში, ალბათ, მიუთითებს იმ გზაზე, რომლითაც ეს ფიგურები გავრცელდა კავკასიონის სამხრეთი ფერდობიდან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ.

შესაბნევად განკუთვნილი ცხოველთა ჰორელიეფური გამოსახულებები დამზადებულია ყალიბებში ჩამოსხმის წესით, იმგვარად, რომ მისი ხილული (საფასადო) მხარე წარმოადგენს საკმაოდ მაღალრელიეფში შესრულებულ გამოსახულებას, ფაქტობრივად, მთლიანი ქანდაკების

სიგრძე გაჭრილ ნახევარს, რომელსაც უკანა (არახილული) მხარე შედრმავებული აქვს. უკანა მხარეს სქემატურად დამუშავებული ცხოველის ფეხები ოსტატს გამოუყენებია შესაბნევი ნემსისა და ნემსის წვერის ამოსადები ილლიის მოსაწყობად. უმეტეს შემთხვევაში, შესაბნევის ენა დამზადებულია რკინისაგან და ფუძით მიმაგრებულია (შემოჭდობილია) სქემატურად გამოსახულ უკანა ფეხზე.

შესაბნევთა დიდი ნაწილი აღმოჩენილია ქალის სამარხებში, უპირატესად გულმკერდის ან ყელის არეში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი მიმაგრებული ყოფილა ტანისამოსის გულისპირზე.

ზოომორფულ გამოსახულებათა დასამზადებლად გამოყენებულია ბრინჯაო და ვერცხლი. რაოდენობრივად ბრინჯაოს ფიგურები ჭარბობს. უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ირმების, ჯიხვების, ნიამორებისა და სხვ. გამოსახულებათა დასამზადებლად ბრინჯაო გამოყენებული, ცხენები უპირატესად ვერცხლისგანაა ნაკეთები, ისევე როგორც, საკიდად გამოყენებული ჯიხვის თავების ზოგიერთი გამოსახულება. შესაძლოა, ამით მინიშნებულია ცხენის, როგორც გამორჩეული არსების და სიმბოლოს უპირატესობა. ეჭვს არ იწვევს, რომ მცირე პლასტიკის ნიმუშები, რომლებიც ჩვენს თვალსაწიერშია მოქცეული, დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულით. ერთერთ საწარმოო კერად კი შესაძლოა, ჟინვალი მივიჩნიოთ.

ცხენის გამოსახულებიანი შესაბნევი, ამჟამად სულ 5 ცალია ცნობილი. ამათგან ოთხი ვერცხლისა და ყველა ნემსის სამაროვანზეა მოპოვებული ხ17ჯ. მეხუთე – ეგზემპლარი მომდინარეობს ბადრიანების სამაროვნიდან (გამთხრელი ც. რობაქიძე).

ვიდრე ცხენისა და ცხენის გამოსახულებათა ზოგად რაობაზე გადავიდოდეთ, აღვწერთ ცხენის ფიგურათა იმ ნიმუშებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს შემდგომ მსჯელობას.

1. შესაბნევი დარახტული ცხენის გამოსახულებით, ვერცხლის (09-ღXI-85-4),²² აღმოჩნდა ნემსის სამაროვნის მე-5 ორმოსამარხში. თარიღდება III-IV საუკუნეების მიჯნით. ცხენის ფიგურა წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში. აქვს მაღალი კისერი, შეკრეჭილი ფაფარი ოთხი შევრილით. ქვედა ტუჩი ბოლოვდება რგოლით, რომელშიც გამოდებულია თოკისებურად დაწნული ლაგმის მარჯვენა ღვედი. კუდი წარმოდგენილია ბრინჯაოს ღეროთი, ცხენის ფეხების წინა და უკანა წვეილები, ჩლიქის დონეზე მცირე გამირებითაა გაერთიანებული, რომლებზეც ძეწკვები უნდა ყოფილიყო გამობმული.

ზომები: სიგრძე 6,4 სმ, სიმაღლე 6,4 სმ.

²² ნივთის ინდექსში (09-XLI-85-4) 09 აღნიშნავს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომაული ციფრით უბნის ნომერია მითითებული, მომდევნო ორი ციფრი – გათხრის წელია, ბოლო ციფრი კი – ნივთის საინვენტარო ნომერი.

2. შესაბნევი ალკაზმული ცხენის გამოსახულებით, ვერცხლის (09-ღXI-85-158), აღმოჩნდა ნემსის სამაროვნის მე-18 ორმოსამარხში, დაკრძალულის გულ-მკერდის არეში, თარიღდება III ს-ის მიწურულით და IV ს-ის პირველი ნახევრით. წარმოადგენს მაღალი ცხენის ანუ ახტას გამოსახულებას მარჯვენა პროფილში. მაღალი, მსხვილი კისერი დაბალი წნული ფაფარით ბოლოვდება. წვერილი მრგვალღეროიანი კუდი თითქმის ჩლიქებამდეა დაშვებული და მცირე გამირით უკანა მარჯვენა ფეხზეა მიმაგრებული. წინა და უკანა ფეხების წვეილები ერთიმეორესთან შეერთებულია მოკლე გამირებით.

ზომები: სიგრძე 6,2 სმ, სიმაღლე 6,3 სმ, ენის სიგრძე 4,4 სმ.

3. შესაბნევი დარახტული ცხენის გამოსახულებით, ვერცხლის (09-ღXI-86-332), აღმოჩნდა ნემსის სამაროვნის 136-ე ორმოსამარხში, დაკრძალულის გულ-მკერდის არეში. თარიღდება III-IV საუკუნეთა მიჯნით. წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში. აქვს შეკრეჭილი ფაფარი ხუთი შევრილით ანუ სხვიით. გრძელი კუდი მარჯვენა ფეხზეა მიჩრილი და სპირალით ბოლოვდება. ჩლიქის დონეზე მცირე რგოლებით ძეწკვებია ჩამოკიდებული. ძეწკვები მთავრდება მოგრძო სწორკუთხა, ოღნავ წელში გამოყვანილი ფირფიტებით. ცხენის გავა და კისერი შემკულია მზის სიმბოლური გამოსახულებით.

ზომები: სიგრძე 7,1 სმ, სიმაღლე 6,5 სმ.

4. შესაბნევი ალკაზმული ცხენის გამოსახულებით, ვერცხლის (09-ღXI-86-620), აღმოჩნდა ნემსის სამაროვნის მე-18 ორმოსამარხში, დაკრძალულის გულ-მკერდის არეში, თარიღდება IV ს-ის პირველი ნახევრით; წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში. ცხენის თავი ბოლოვდება დაგრძელებული დრუნჩით, აქვს მოკლედ შეკრეჭილი ფაფარი ოთხი შევრილით (სხვიით). ვიწრო ღეროთი გამოხატული კუდი სპირალით ბოლოვდება. ქვედა ტუჩზე მიმაგრებული აქვს მცირე რგოლი, რომელშიც ლაგამია გამოდებული. ფეხების წინა და უკანა წვეილები ერთიმეორესთან მოკლე გამირებითაა შეერთებული.

ზომები: სიგრძე 5,9 სმ, სიმაღლე 6 სმ.

5. შესაბნევი ალკაზმული ცხენის გამოსახულებით, ბრინჯაოსი (31-XXII-89-23),²³ თარიღდება IV ს-ის პირველი ნახევრით. აღმოჩნდა ბადრიანების სამაროვნის მე-3 ორმოსამარხში. წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში. მაღალ კისერს ამშვენებს მოკლედ შეკრეჭილი ფაფარი. ოღნავ გაღებულ პირში გამოდებული აქვს დაწნული ლაგამის ღვედი. კუდი ჩლიქებამდეა ჩამოკიდებული და სპირალით ბოლოვდება. წინა და უკანა ფეხების წვეილები ერთიმეორესთან მცირე გამირითაა შეერთებული, რომლებზეც ბრინ-

²³ ინდექსში (31-XXII-89-23) 31 აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

ჯაოს ძეწკვებია ჩამობმული. წინაზე ერთი, უკანაზე – ორი. სამივე ძეწკვი ბოლოებით ერთმანეთზეა გადაბმული.

ზომები: სიგრძე 4,9 სმ, სიმაღლე 54,8 სმ.

კენტრიქლიანთა გვარის წარმომადგენელი ცხენი, როგორც ეს დმანისის პალეოლითური ძეგლის ხვჯ და საგვარჯილის არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს ხ29, გვ. 262-276ჯ, საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ყოფილა ცნობილი. კავკასიის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ცხენი აგრეთვე საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ჩართული ხ37, გვ. 73ჯ. ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე მიჩნეულია, რომ მაიკოპის კულტურის დასაწყისისათვის კავკასიის მოსახლეობას ცხენი უკვე ჩაყენებული ჰყავდა თავის სამსახურში ხ38, გვ. 389-390; 32ჯ. ასევე მოშინაურებული ჩანს ცხენი აღმოსავლეთ ევროპის ტყე-სტეპიან ზოლში ძვ.წ. III ათასწლეულისათვის, რასაც ადასტურებს ამ რეგიონში ძვლის საყბურების აღმოჩენის არაერთი შემთხვევა ხ24; 25; 26; 27; 28 და სხვაჯ. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე მოპოვებული ძვლოვანი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ საზოგადოებას სხვა შინაური ცხოველების გვერდით ცხენიც ჰყოლია.

მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებში, რომლებთანაც კავკასიას უძველესი დროიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ცხენი და ცხენებშებმული ორთვალა ეტლი უკვე ძვ.წ. IV ათასწლეულიდან იყო ცნობილი ხ55; 56; 53; 52 და სხვაჯ, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, მეცხენეობაში, მის სამეურნეო და სამხედრო თვალსაზრისით გამოყენებაში, განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ხურიტულ ტომებს ხ33; 53; 54, გვ. 22-23 და სხვაჯ, რომლებიც კავკასიურ სამყაროსთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ცხენების წვრთნის ჩვენამდე შემონახული უძველესი სახელმძღვანელოს ავტორი მითანელი კიკული, წარმოშობით ხურიტული სამყაროდან იყო. მისი ხურიტული წარმომავლობა ამ ტრაქტატის ტექსტიდანვე ჩანს.²⁴

ქართველური ტომებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიაში რომ მეცხენეობა მაღალ დონეზე მდგარა და რომ აქაური ცხენებით ყველა მაშინდელი ძლიერი სახელმწიფო ცდილობდა შეევსო თავისი არმიების კავალერია, ეს კარგად ჩანს ასურული და ურარტული წყაროებიდანაც. ცნობილია, რომ დიაოხის, კოლხას, და თუბალ-

თა გაერთიანებიდან ასურეთი და ურარტუც ათასობით ცხენს იღებდა ხარკის სახით. სამხრეთ კავკასიაში, მეცხენეობის განვითარების შესახებ კიდევ უფრო მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის არქეოლოგია. აქ მხედველობაში გვაქვს ცხენის მხედართან ერთად დაკრძალვის ფაქტები შიდა ქართლსა და არაგვის ხეობაში. მაგ. სოფ. დოღლაურთან გათხრილ ყორღანში, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. XV საუკუნის ბოლოთი, 1980 წელს აღმოჩნდა ცხენის ორი ჩონჩხი, ბრინჯაოს ბორბლისებური საყბურები, ორი ლაგამი და ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული სხვა საგნები ხ4, გვ. 65ჯ.

სოფ. აბანოსხევიში მხედართან ერთად აღმოჩნდა ერთი ცხენის ჩონჩხი, აღკაზმულობის გარეშე. ოსტეოლოგთა აზრით, ეს ეგზემპლარი ეკუთვნოდა სამიოდე წლის აჯალღას ან ახლად განედნილ ცხენს. სამარხეული კომპლექსის მიხედვით, ეს სამარხი თარიღდება ძვ.წ. XIV საუკუნის მეორე ნახევრით ან მიწურულით ხ31, გვ. 523-529ჯ. მოტანილი ფაქტების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ დოღლაურის ყორღანში აღმოჩენილი წყვილი ცხენი საბრძოლო ეტლისათვის იყო განკუთვნილი, აბანოსხევის კენტად აღმოჩენილი ჩონჩხი კი ეკუთვნოდა მხედრის მატარებელ ცხენს. ეს დაახლოებით ის დროა, მითანელი კიკული ხეთებისათვის რომ თხზავდა ცხენების საწვრთნელ ტრაქტატს.

იმისათვის, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ცხენი გადაქცეულიყო დაკრძალვის რიტუალის მონაწილედ, მხედრის იმპეციური ცხოვრების თანმხლებ არსებად, სავარაუდოა, რომ მანამდე ადამიანს (მხედარს) ცხენთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი გზა უნდა ჰქონოდა განვლილი. ეს რომ ასეა, ადასტურებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული ბამუთის ყორღანი, სადაც მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს შორის ბრინჯაოს საყბურებიცაა აღმოჩენილი.

როგორც ცნობილია, კავკასიასა და მათ შორის ქართულენოვან სამყაროშიც, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული და I ათასწლეულის დასაწყისი ხასიათდება თვალსაჩინო ძვრებით. ბრინჯაოს ინდუსტრიამ ამ დროს მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს, ხმარებაში შემოვიდა რკინა, რომელმაც თანდათანობით გაიმაგრა პოზიციები და გადატრიალება მოახდინა ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ ყოფაში, განსაკუთრებით კი, სამხედრო საქმეში, სადაც საბრძოლო ეტლების მხარდამხარ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება კავალერია. ცხენდაცხენ მეომრებისათვის მზადდება რკინის იარაღთა ახალი სახეობები. ცხენის წყალობით, მხედარი იქცა მეტად მნიშვნელოვან და გავლენიან ძალად, ცხენი კი უფრო მეტი თავყანისცემის საგნად.

ინდოევროპულ, მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებაში და მათ შორის კავკასიაშიც, ცხენი ღვთიურ ცხოველად უძველესი დროიდან

²⁴ კიკული წერს: „მეთე დღეს, ეს-ეს არის იწყება გარიჟრაჟი და მთავრდება ღამე, მე მივიღივარ თავლაში და ხურიტულად შევთხოვ პირინქარს და საუშგას, რომ მათ ჯანმრთელობა უწყალობონ ცხენებს... და მხოლოდ ამის შემდეგ მიმყავს ისინი ჰიპოდრომზე“ (53, 7). ამავე ცნობით ირკვევა, რომ ხურიტებს უკვე ჰყოლიათ მეცხენეობის მფარველი ღვთაებები.

იყო აღიარებული. ამ ხალხების რელიგიაში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, ცხენის ან მხედრის გრაფიკული ან სკულპტურული გამოსახულებები კავკასიაში შედარებით გვიან ჩნდება. ამგვარ გამოსახულებათა გამოჩენა და მოძრავლება ემთხვევა რკინის ფართოდ ათვისებისა და ე.წ. „კავკასიური ცხოველური სტილის“ აყვავების ხანას (ძვ.წ. IX-VII საუკუნეებს).

ამგვარ გამოსახულებათა საყურადღებო ნიმუშები კავკასიაში ყველაზე მკვეთრად თავს იჩენს კოლხურ-ყობანური კულტურის ფარგლებში როგორც გრაფიკული, ასევე მრგვალი ქანდაკების სახით ხს; 22; 49; 50; 19 და სხვაჯ. მათ შორის აღსანიშნავია სერჟენ-იურთაში აღმოჩენილი ყობანური წრის მხედრის ქანდაკება, რომელიც ვენის მუზეუმშია დაცული და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული ხს3, გვ. 62-63ჯ. ეს არის ბრინჯაოს საკინძი, რომლის თავს წარმოადგენს შენობის ორფერდა სახურავი. მასზე მდგარი ცხენოსანი, უეჭველია, ღვთაებას წარმოადგენს, რომელიც ამხედრებულია ღვთაებრივ ცხენზე, ხოლო ორფერდა სახურავი კი, ვფიქრობთ, ღვთის სახლის, ანუ ტაძრის განსახიერება უნდა იყოს.

ცხენი საქართველოსა და კავკასიაში განიხილებოდა, როგორც ნაყოფიერების (გამრავლების) ღვთაებათა წრის წარმომადგენელი, მზესთან და ნადირობასთან დაკავშირებული არსება, რაზედაც მიუთითებს ის სოლარული ატრიბუტები, რომლებიც ბრინჯაოს სარტყლებზე ხს; 2; 8; 15; 19; 21; 22; 49; 50ჯ გამოსახულ ცხენებს ახლავს. ამ მოსაზრების არქეოლოგიურ მაგალითს წარმოადგენს თრელის სამაროვანზე მოპოვებული ცხენის ფიგურა (ძვ.წ. XIII ს.), რომელზეც ნაყოფიერების ფალიური ღვთაება-მამაკაცია ქალურად ჩამომჯდარი ხ7, ტაბ. VIჯ, აგრეთვე მსგავსი გამოსახულება მუხურჩიდან ხ5, გვ. 60-68, ტაბ. VIIჯ. ასევე საყურადღებოა კოლხური ცულის ყუაზე გამოსახული წყვილი ცხენოსანი ხ1ჯ და ცაგერის მხედარი ხ2, გვ. 61, ტაბ. 17ჯ.

ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში ირმის, ჯიხვის, ვერძის, ცხენის, ძაღლისა თუ გველის და სხვა გამოსახულებათა სახით, საქართველოში საქმე გვაქვს ერთ მთლიან ფენომენტთან, რომელსაც ასაზრდოებდა რწმენა-წარმოდგენების ერთიანი სისტემა. ერთიანი იდეოლოგია ხ21; 22ჯ, რომლის დახვეწა და სრულყოფა გარკვეულწილად ხორციელდებოდა კოლხური სინამდვილის, კოლხურ-ყობანური კულტურის საფუძველზე.

მომდევნო პერიოდში, რიგი მიზეზების გამო, ქართული ტომების ტრადიციულმა მსოფლმხედველობამ განიცადა ბუნებრივი ტრანსფორმაცია, რაც თავისებურად აისახა ნივთიერი კულტურის ძეგლებზე და მათ შორის მცირე პლასტიკაშიც. ძველი ტრადიცია და ამ წიაღიდან ნასაზრდოები განახლებადი ბუნების სიმბოლიკა კვლავ რჩებოდა რწმენის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად, კვლავ განაგრძობდა არსებობას ფიგურათა გამოსახვის ის მანერა, რომლის ძირითად ნიშანს

წარმოადგენდა ძლიერი სტილიზაცია, როგორც განზოგადოებული მხატვრული აზროვნების ნაცადი ხერხი, რაც მოგვიანებით ასე კარგად აისახა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის აბზინდების სიუჟეტებში. მაგრამ ამის პარალელურად უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ, ახალმა ნაკადმა, რაც გამოიხატებოდა ძლიერი სტილიზაციის თანდათანობით დაძლევისა და გამოსახვის რეალისტური მანერის დაპყვინტევაში. ამ მოვლენაზე, ალბათ, სხვა ფაქტორებთან ერთად ზემოქმედებდა ერთი მხრივ, კლასიკური ბერძნული და მოძღვრო ელინისტური სამყარო და, მეორე მხრივ, აქემენიდური ხელოვნება. ამ ტენდენციების გავრცელებას კავკასიასა და საქართველოში ხელი შეუწყო რომაული და პართულ-სასანური კულტურების ზემოქმედებაც, კერძოდ, ტორევეტიკული ნაწარმის უზვად შემოჭრამ. მიმდინარეობდა გარღვეული სინთეზი ტრადიციული სტილისა და უძმლავრეს გარეგან იმპულსებს შორის. ქართველი ოსტატები ინარჩუნებდნენ ტრადიციული იდეოლოგიით ნასაზრდოებ ტენდენციებს და ამავე დროს, შემოქმედებითად ითვისებდნენ ახალ ნაკადებს, ისე რომ არ დაეკარგათ თვითმყოფადობა და არ გადაჭრილიყვნენ რომელიმე მხარეს, რაც ან სტაგნაციის ან ეპიგონობის ტოლფასი იქნებოდა. ჩვენი რწმენით, ქართულმა ხელოვნებამ ამ რთულ პრობლემას წარმატებით გაართვა თავი, რამაც თავისი გამოვლენა ჰპოვა როგორც ოქრომჭედლობაში და ტორევეტიკაში, ასევე ხელოვნების სხვა დარგებშიც (ხუროთმოძღვრება, კერამიკა და სხვ.).

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სახვით ხელოვნებაში და ძიითადად მცირე პლასტიკაში, თავი იჩინა გარკვეულმა სიახლემ. ხელახალ აღორძინებას იწყებს ცხენისა და მხედრის კულტი. ტრადიციულ „წმინდა ცხოველთა“ შორის ნათლად იკვეთება მისი უპირატესი როლი, რასაც, გარდა ტრადიციულისა, ასაზრდოებდა ახალი გარეგანი რელიგიური ნაკადები. მათ შორის, უმთავრესი იყო მითრას კულტის მეტად ფართო გავრცელება მაშინდელ კულტურულ სამყაროში და ქრისტიანულ საბურველში გახვეული წმინდა მხედრის მახლობელი აღმოსავლეთისათვის კარგად ნაცნობი იკონოგრაფია, რომელიც მოგვიანებით წმინდა გიორგის გამოსახულებად მოგვევლინა ხ6, გვ. 328-342ჯ.

ცხენების გამოსახულებები, მცირე პლასტიკის სხვა ნიმუშებთან ერთად, განსაკუთრებით კი შესაბნელებად განკუთვნილი ჯგუფი, თავისი ორიგინალობით და შინაარსობრივი დატვირთვით, მკვლევართა წინაშე არაერთ რთულ საკითხს წამოჭრის.

ცხენის გამოსახულებიან შესაბნელებად ოთხი ფიგურა მოცემულია სტატიკურ პოზაში, მხოლოდ ერთია გამოსახული მოძრაობაში. ყველა შემთხვევაში ცხენი წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში, ზეაწეული წინმაცქერალი

თავით. მიუხედავად ფიგურათა სტატიკურობისა, ცხოველთა ცალკეული ნაკვთებისა და განსაკუთრებით ტორსისა და თავ-კისრის გარშემოწერი ხაზის დენადი მოდელირებით, შეიგრძნობა გამოსახულებათა შინაგანი დინამიზმი და ექსპრესია. ცხენის ფიგურები სიმეტრიული და პროპორციულია. მაღალ რელიეფში შესრულებული ფაქიზად დამუშავებული ტორსის ნაწილები (გავა, მუცელი, მკერდი) ქმნის სხეულის მოცულობით შთაბეჭდილებას. ამასთანავე ნატურალისტური სიზუსტითაა გამოყვანილი რახტის დაწნული ღვედები, რასაც ჰარმონიულად ერწყმის ფეხების (ჩლიქების), კუდის, სახის ნაკვთებისა (დრუნჩი, თვალი, ყურები) და უნაგირის ერთგვარად სტილიზებული, პირობითი გამოსახვა. რამდენადაც დიდი მონდომებითაა დამუშავებული შესაბნელებათა ხილული მხარე, იმდენად სქემატური და პრაქტიკულ მოთხოვნასთანაა შეფარდებული უკანა (არახილული) მხარე, რომლის დამუშავებისას ოსტატი ორ პრობლემას წყვეტს: სქემატურად გამოხატულ მარცხენა ორ ფეხზე ათავსებს შესაბნევის ენას (ნემსს) და ილღიას, ამასთანავე ზედმეტი წონისაგან განტვირთავს გამოსახულებას, რის გამოც ამ მხრიდან ფიგურა სხეულის ნაკვთების შესაბამისადაა შელრმავებული. ცხოველთა სხეულზე გამოკვეთილია მნათობთა, უპირატესად მზის სიმბოლური გამოსახულება. ცხენების ფაფარი სხივისებურად არის წარმოდგენილი, ცხოველთა ფეხებზე ჩამობმული ძეწკიანი საკიდებიც სხივის ასოციაციას იწვევს. ამ ატრიბუტებით, შეიძლება, ხაზი ესმება ცხენების ღვთაებრიობას, „ნაწილიანობას“ და მათ კავშირს მზესთან.

ახ.წ. III საუკუნეში და IV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ცხენის კულტის გამოცოცხლებას და ერთგვარ აღორძინებას ასაზრდოვებდა ძველი ტრადიციები და ახალი გარეგანი იმპულსებიც. საქართველოში მზისა და ცხენის კულტის არსებობას და შენარჩუნებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ფარნავაზის მეფობის დროს ოფიციალურად არმაზის კულტი და არმაზული რელიგია იყო აღიარებული, რაც გამოიხატებოდა მზისა და მისი სიმბოლოების თაყვანისცემაში. ამგვარი ერთი სამლოცველოს ნაშთები გათხრილია არაგვის ხეობაშიც, სოფ. ქვემო არანისში, თანამედროვე ახალი ჟინვალის ტერიტორიაზე, სადაც ნაპოვნია კვიციის მთლიანი ჩონჩხი და ცხენის ტერაკოტული ქანდაკებები. ამდენად რომაულ ხანაში, როცა მითრას კულტმსახურებას ფართო გასაქანი მიეცა, საქართველოში იგი უმტკივნეულოდ გავრცელდა და დამკვიდრდა. საქართველოში მითრას ხმის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ს. მაკალათიას მიერ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში შეკრებილი მასალები ხს3; 14ჯ, სადაც მითრას კულტის ნაშთები ამ ბოლო დრომდე იყო შემონახული „მისრობის“, „მეისარობის“ და „ჯეგე მისარონის“ სახელით. მკვლევარის აზრით, ეს კულტი მოგვიანებით

შეერწყა წმინდა გიორგის, სიმართლისათვის მებრძოლი მხედრის კულტს.

მითრას კულტის საქართველოში გავრცელების არქეოლოგიურ მაგალითს წარმოადგენს ვერცხლის თასების ფსკერზე გამოსახული ბომონის წინაშე ტორაწეული ცხენები, რომლებსაც ფაფარი სხივისებურად აქვთ შეკრეჭილი. საყურადღებოა, რომ ამგვარი გამოსახულება გარდა არმაზისხევის, ზღუდერის, ბორის და სხვა პუნქტებისა, არაგვის ხეობაშიცაა აღმოჩენილი (ტაბ. II, სურ. 2).

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ ბარში წინაქრისტიანული ხანის კულტები და კულტმსახურება შედარებით იოლად აღიკვეთა ახალი რელიგიით, მაგრამ მთისწინეთსა და მთაში საზოგადოების შედარებით კონსერვატულობის გამო, ძველმა რელიგიებმა უფრო დიდხანს იარსება, რის მაგალითსაც არაგვის ხეობაში აღმოჩენილი შესაბნელები წარმოადგენს, რომლებმაც IV საუკუნის განმავლობაში ოფიციალურად აღიარებულ ქრისტიანობასთან თანაიარსება. ამ ძველმა სიმბოლოებმა უფრო დიდხანს ვერც ამ რეგიონში შემოინახა თავი. IV საუკუნის შემდეგ ეს გამოსახულებები ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე უკვე აღარ გვხვდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის მოსახლეობაში წინაქრისტიანული ხანის კულტების და კულტმსახურების ცხოველმყოფელობაზე და თავის დროზე მთის მცხოვრებთა შორის მათ ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში ზოგიერთმა მათგანმა ამ ბოლო დრომდე მოაღწია. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთში და სხვ.) შემონახულია ცხენის თაყვანისცემის ან მისი ხატ-სალოცავისადმი შეწირვის, ან კიდევ სხვადასხვა რიტუალებში ცხენის მონაწილეობის ფაქტები. ამ მოვლენის ამსახველი მასალები თავაზიანად მოგვაწოდა ეთნოგრაფმა ივ. წიკლაურმა და დუშეთის მხარეთმცოდნეობის დირექტორმა ბ. ალუდაურმა. ამ მასალების მიხედვით, სოფ. მაქართას ზემოთ მთის მწვერვალზე მდებარე მაჩაგნის წმ. გიორგის სახელობის ხატ-სალოცავში, სადაც მრავალი მორწმუნე იყრიდა თავს, მლოცველებს „საფერხედ“ ცხენებიც მოჰყავდათ. აღნიშნული ხატი ქადაგს ასე ალაპარაკებდა: „ძალი და შაძლება მაშინ მქონდა, რომცა ზღვნად (მღვნად) ჭლიკ მირგვალნი (მრგვალიჩიანი – ქრ.) მომდიოდნენ“. ამ ხატ-სალოცავში, ცხენისა და კვიციის მსხვერპლად შეწირვაც ყოფილა წესად. მსგავსი ფაქტები დადასტურებულია კანჩხის წმ. გიორგის სახელობის ხატ-სალოცავშიც, რომელიც მდებარეობს სოფ. ბაკურხევის (გუდამაყრის არაგვის შესართავში) დასავლეთით და ხევსურეთში მდებარე საჩალის ჭალის წვერის სალოცავში (დათვისის ხეობის სათავე). მთხრობელთა სიტყვით, სამსხვერპლოდ მოყვა-

ნილ კვიციანი ამ ხატის სიახლოვეს კლდეში მდებარე ნახვრეტზე თოკით გამოაბამდნენ. მსგავს ხატ-სალოცავებს მიუთითებენ პირიქით ხევსურეთშიც; არხოტის თემში სოფ. ამლასთან ზეთუკის მთაზე და მიდამაწყლის ხეობაში თებულოს მთაზე, ქისტეთისკენ გადასასვლელ აყელთან“. ამ ფაქტებთან დაკავშირებით, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ გავიხსენოთ ახალ ჟინვალში ადგილ ზანდუკიანთ ნავენახარში აღმოჩენილი სამლოცველოს ნაშთი, სადაც დადასტურდა შეწირული კვიციის მთლიანი ჩონჩხი და ცხენისა და კვიციის ტერაკოტული ქანდაკებები, რომლებიც ქრისტეს შობამდე II საუკუნითაა დათარიღებული.

იმავე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცხენი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (განსაკუთრებით ხევსურეთში) ადამიანის მფარველ, ავი ზნისა და თვალისაგან დამცავ ძალად და წმინდა ცხოველად ითვლებოდა. ამიტომ ცხენს, სხვა საქონელთან ერთად ახვეწებდნენ ხატ-სალოცავებს. ყოველივე ეს კარგადაა ასახული სამეცნიერო ლიტერატურაშიც 16; 30 და სხვ.ჯ.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მონაცემებით, სადაც კარგად ჩანს ცხენების კულტისა და კულტმსახურების გადმონაშთები, და არქეოლოგიური მასალების ანალიზის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი რგოლი შესაბნელებად გამოყენებული ცხენის გამოსახულებებია, აშკარად ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში (ისევე, როგორც მთელ საქართველოში) ცხენი უძველესი დროიდან წარმოადგენდა წმინდა („ნაწილიან“) და საღვთო ცხოველს, რომლის თაყვანისცემაც, ერთი მხრივ, ადგილობრივ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, მეზობელ ქვეყანათა რელიგიურ გამოცდილებას ემყარებოდა.

K. R. Ramishvili

MINOR ART SPECIMENS FROM THE EASTERN GEORGIAN HIGHLAND OF THE FIRST HALF OF THE 1ST MILLENNIUM A. D.
(Summary)

Brilliant specimens of the craftsmanship have been discovered in pit burials of the 3rd-4th cent. A.D., located at the foothills and alpine zone of Eastern Georgia, between the upper reaches of the Alazani and Aragvi, since the 1960s - fibulae-buckles in the shape of zoomorphic figures (deer, horse, ibex, ram, etc.), with iron (occasionally bronze) pins at the back.

The paper deals with the horse figures, found at the necropolis of Nedzikhi village (the Pshavi Aragvi gorge). Four of the five figures are cast of silver, while the bronze one has a long chain

attached to the horse legs. The harnessed horses with radial manes are represented in profile to right, with extended heads, mainly in immobile pose. The right part of the figures is executed in realistic manner with a hint of stylization (Pl. I₁₋₅).

The above mentioned figures are linked to the sun worship. After the official adoption of Christianity they were gradually ousted from the cist-burials inventory of the 5th cent. A.D.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი ნ. თრელის სამაროვნის ბრინჯაოს სარტყელი. – ძმ, № 39, 1975, გვ. 52-57.
2. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
3. გაბუნია ლ., ვეკუა ა., ლორთქიფანიძე დ. დმანისის ჰომინიდის ეკოლოგიური გარემო. – დმანისი, I. თბ., 1998, გვ. 160-179.
4. გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. – სსმაე, VIII, 1986, გვ. 56-65.
5. გოგაძე ე., ფანცხავა ლ., დარისბანიშვილი მ. ნოსირ-მუხურჩის ექსპედიციის სამუშაოები 1974-1975 წლებში. – სსმაე, 1977, გვ. 60-71.
6. დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ბიჭვინთაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. ძვ.წ. III - ა.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, I. თბ., 1981, გვ. 280-429.
7. თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1978.
8. კალანდაძე ალ. ჩაბარუნისა და ფასანაურის განძები. – დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის I სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1965, გვ. 15-27.
9. ლორთქიფანიძე თ. ძველი კოლხეთის კულტურა. თბ., 1972.
10. ლორთქიფანიძე თ. ვანის ნაქალაქარი. თბ., 1973.
11. ლორთქიფანიძე თ. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.
12. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.
13. მაკალათია ს. ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1938.
14. მაკალათია ს. ღვთაება მითრას კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1927.
15. ნადირაძე ე. საქართველოს ზოომორფული ძეგლები. თბ., 1996.

16. **ოქროშიძე თ.** რაში ქართული ზღაპრისა. – მნათობი, № 12, 1968, გვ. 154-162.
17. **რობაქიძე ც.** ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. – ძმ, № 1, 1990, გვ. 67-76.
18. **სურგულაძე ი.** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986.
19. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნობის ძეგლები. თბ., 1988.
20. **ჩინლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვნის ირმის გამოსახულებიანი მშვილდსაკინძი. – ძმ, № 4, 1998, გვ. 17-24.
21. **ხიდაშელი მ.** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალოები. გამოკვლევა და კატალოგი. თბ., 1992.
22. **ხიდაშელი მ.** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში. ბრინჯაოს გრაფირებული სარტყლები. თბ., 1982.
23. **ამირანაშვილი შ. Я.** Две серебряные чаши из раскопок Армази (Грузия). – ВДИ, № 1, 1950, с. 91–101.
24. **Бибикова В. И.** К изучению древнейших домашних лошадей Восточной Европы. – Бюллетень МОИП, отделение биологическое, т. 72, № 3, 1967, с. 106–118.
25. **Боголюбский С. Н.** Происхождение и преобразование домашних животных. М., 1959.
26. **Витт В. О.** Морфологические показатели конституционных типов и конских пород. М.-Л., 1934.
27. **Витт В. О.** Лошадь Древнего Востока. – Конские породы Средней Азии. М. 1937.
28. **Витт В. О.** Лошадь Пазырыкских Курганов. – СА, XVI, М.-Л, 1952, с. 163–205.
29. **Габуния Л. К.** О лошади из Сагварджиле (Зап. Грузия). – Сборник трудов (Геологический институт АН ГССР), Тб., 1959, с. 263-271.
30. **გიორგაძე დ. Г.** Образ "посвящения коня" у горцев Восточной Грузии – Материалы по этнографии Грузии, XVI-XVII, 1972, с. 288-292.
31. **გოგოური გ. К.** Исследования в с. Абаносхеви. – АО, 1985 (1987), с. 528–529.
32. **Золотов К. Н.** К истории коневодства в Дагестане. – МАД, т. III, Махачкала, 1973, с. 130–133.
33. **Ковалевская В. Б.** Конь и всадник. М. 1977.
34. **Ковалевская В. Б.** Хронология древностей северокавказских Алан. – Аланы: История и культура. Дзауджикау, 1995, с. 123-183.
35. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950.
36. **Мачабели К.** Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.
37. **Мунчаев Р. М.** Бронзовые псалии майкопской культуры и проблема возникновения коневодства на Кавказе. – Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, с. 71–77.
38. **Мунчаев Р. М.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
39. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Каландадзе З. А. и др.** Жинвальская экспедиция. – ПАИ, 1977 (1980), с. 70-87.
40. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Гогелия Д. и др.** Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1978 (1981), с. 129-143.
41. **Рамишвили Р. М., Рчеулишвили Г. М., Маргвелашвили М. Г. и др.** Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), с. 52-59.
42. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др.** Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1983 (1986), с. 48-53.
43. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др.** Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984-84 (1987), с. 74-89.
44. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др.** Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986 (1991), с. 89-95.
45. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др.** Археологические исследования в бассейне р. Арагви и в верховьях р. Терги. – ПАИ, 1986 (1997), с. 96-106.
46. **Робакидзе Ц. В.** Исследования на Недзихском могильнике. – ПАИ, 1987 (1995), с. 124-125.
47. **Сарианиди В. И.** Статуэтка лошади с Алтын-депе. – Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, с. 113–117.
48. **Смирнов Я. И.** Археологический клад. Тифлис, 1934.
49. **Урушадзе Н. Е.** К исследованию исходных форм ритуально-магической изобразительной деятельности древнегрузинских племен. – მაცნე, № 1, 1980, გვ. 66-77.
50. **Урушадзе Н.** Древнегрузинское пластическое искусство. Тб., 1988.
51. **Хрестоматия по истории Древнего Востока.** М., 1963.
52. **Цалкин В. И.** К изучению лошадей из курганов Алтая. – МИА, 24, М., 1952, с. 147–156.

53. Kammenhuber A. Hippologia Hethitica. Wiesbaden, 1961.

54. Potratz J. Der Pferdetext aus dem Keilschrift. Rostock, 1938.

55. Hančar F. Ross und Reiter im Urgeschichtlichen Kaukasus. – Jahrbuch für Prähistorische und ethnographische Kunst, 1936.

56. Hančar F. Das Pferd in prähistorischen und früher historischer Zeit. – "Wiener Beiträge zur Kulturgeschichte", XI, Wien, 1961.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. დარახტული ცხენის გამოსახულება, ვერცხლი, ნეძიხი, სამარხი № 5; 2. დარახტული ცხენის გამოსახულება, ვერცხლი, ნეძიხი, სამარხი № 18; 3. დარახტული ცხენის გამოსახულება ძეწკვებით და საკიდებით, ვერცხლი, ნეძიხის სამაროვანი, ორმოსამარხი № 136; 4. დარახტული ცხენის გამოსახულება, ვერცხლი, ნეძიხი სამარხი № 172; 5. დარახტული ცხენის გამოსახულება ძეწკვებით, ბრინჯაო, ბადრიანების სამაროვანი, სამარხი № 3.

ტაბ. II – 1. დარახტული ცხენის გამოსახულება, თელავის ისტორიული მუზეუმის ფონდის ინვ. № 4517/1-10; 2. ბომონის წინაშე ტორაწეული ცხენის გამოსახულება ვერცხლის თასის ფსკერზე. არაგვისპირის სამაროვანი, სამარხი № 13. III ს-ის ბოლო; 3. დარახტული ცხენის გამოსახულება, ბრინჯაო. დარიალის ხეობა, გველეეთის სამაროვანი, სამარხი № 15. VII საუკუნე; 4. დარახტული ცხენის გამოსახულება ზურგზე საკიდი რგოლით. ბრინჯაო, ჩრდ. კავ-





კასია, მინერალური წყლები, ლუნაჩარსკის სახ. მეურნეობა, კატაკომბა № 21. IX ს-ის დასაწყისი [34, სურ. 5, 18 და სხვ.]; 5. დარახტული ცხენის გამოსახულება ზურგზე საკიდი რგოლით, ოსეთი, კამუნტას სამაროვანი [MAK, VIII, სურ. 242].





Description of the plates

Pl. I – 1. Figure of harnessed horse, silver, Nedzikhi, burial = 5; 2. Figure of harnessed horse, silver, Nedzikhi, burial = 18; 3. Figure of harnessed horse with chains and pendants, silver, Nedzikhi, pit burial = 136; 4. Figure of harnessed horse, silver, Nedzikhi, burial = 172; 5. Figure of harnessed horse with chains, bronze, Badrianebis necropolis, burial = 3;

Pl. II – 1. Figure of harnessed horse, Telavi Historical Museum Deposit, inventory = 4517/1-10; 2. Figure of a horse standing before the altar depicted on the bottom of a silver bowl. Aragsvispiri necropolis, burial = 13. The end of the 3rd cent.; 3. Figure of harnessed horse, bronze, Dariali Gorge, Gveleti necropolis, burial = 15. The 7th cent.; 4. Figure of harnessed horse with a loop at the back, bronze, North Caucasus, Mineralniye Vodi, Lunacharski State Farm, catacomb = 21. Beginning of the 9th cent. [34, fig.5, 18, etc.]; 5. Figure of harnessed horse with a loop at the back, Ossetia, Kamunta necropolis [MAK, VIII, fig. 242].

ტაბ. I





გველეშის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. I

ხევის (ყაზბეგის რ-ნი) ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებს შორის თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარით გამოირჩევა გველეშის სამაროვანი, რომელიც მდებარეობს დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, გველეშის ციხიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ დაშორებით. სამაროვნის არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ხევის ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად.²⁵ მასალის უდიდესი ნაწილი სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. გარდა ამისა, სამარხებში აღმოჩნდა: საბრძოლო იარაღი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (დანები), კერამიკული ნაწარმი, ლითონის ჭურჭელი, მონეტა და სხვ.

შუბისპირები. საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია სამი შუბისპირით (ტაბ. I, 24, სამ. № 6; 43, სამ. № 10; 51, სამ. № 12). ორის მხოლოდ მასრები შემორჩა. უკეთაა დაცული ერთი ეგზემპლარი, რომელიც ხასიათდება მოკლე ფრთებით, დაბალი ქედითა და გრძელი მასრით (ტაბ. I₂₄). საკუთრივ სამარხში ერთი შუბია გამოვლენილი (ტაბ. I₄₃). დანარჩენები აღმოჩნდა სამარხის სახურავზე. მიცვალებულისათვის შუბის ჩატანების ფაქტები ხშირია ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე [15, სურ. 3₆; 34, სურ. IV₄]. ამ მხრივ გამოჩვენდა არც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებია [7, გვ. 12].

დანები. სამაროვანზე აღმოჩნდა რკინის 12 დანა და დანის ფრაგმენტი (ტაბ. I, სამ. № 1; 21, 22, სამ. № 4; 33, სამ. № 8; 40, სამ. № 9; 49, სამ. № 11; 58, 59, 63, სამ. № 13; 81, სამ. № 14; 83, 84, სამ. № 15). ისინი ძირითადად გამოვლინდა მიცვალებულთა წელის არეში. ზოგიერთ სამარხში აღმოჩნდა ორი-სამი დანა. მიცვალებულისათვის დანის ჩატანების წესი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე [1, ტაბ. XXX, 39, 57; 8, გვ. 61; 26, სურ. 7₂₋₄].

მონეტა. სამაროვანზე გამოვლინდა ვერცხლის ერთი სასანური მონეტა, მოჭრილი ხორასანში 529 წ. კავადის (488-531 წწ.) სახელით (ტაბ. II₇₃, სამ. № 13).²⁶ ჩვენში აღმოჩენილი სასანური მონეტების დიდი უმრავლესობა კავადისა და როგორც ფიქრობენ, იბერია-ირანის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სწორედ კავადის ზეობის დროს უნდა და-

წყებულებო [20, გვ. 29]. ხევის მოსახლეობა – წანარები მათ ტერიტორიაზე გამავალი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი მაგისტრალის წყალობით, რომელზეც VI ს. 30-იანი წლებიდან ირანელები ამყარებენ კონტროლს [6, გვ. 95], აქტიურად უნდა ჩაბმულიყო ამ ურთიერთობაში, რასაც მონეტასთან ერთად ადასტურებს აქ აღმოჩენილი ირანული წარმომავლობის სხვა ნივთებიც (გეგმები).

მშვილდსაკინძები. 17 მშვილდსაკინძიდან 13 რკინისაა, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოსი.

1. მშვილდსაკინძი შედგება ნახევარწრიული და მოგრძო ფირფიტისაგან (ტაბ. II₁₉, სამ. № 15). მშვილდსაკინძს თავდაპირველი დანიშნულება დაკარგული ჰქონდა. იგი ტყავის თასმით მიმაგრებული იყო ბრინჯაოს ქამარზე, როგორც საკიდი ამულეტი. ამგვარი მშვილდსაკინძები ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე IV ს. მიწურულიდან ჩნდება და თითქმის VII ს. ბოლო – VIII ს. დასაწყისამდე არსებობენ [9, გვ. 96; 23, ტაბ. 62, სურ. 16, 48, 49, 93; 32, გვ. 266; 35, გვ. 155]. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ევროპაში [10, სურ. 3, ტაბ. II]. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის ამგვარი მშვილდსაკინძები არაა დამახასიათებელი. გველეშის მშვილდსაკინძი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისაა. თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით ის VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება [3, გვ. 40].

2. ბუდეაბმული მშვილდსაკინძიც ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. მშვილდსაკინძი მუხლსახსრიანია. ნემსი რკინისა ჰქონია (ტაბ. II₁₃₅, სამ. № 16). ქართლში ბუდეაბმული მშვილდსაკინძები მრავლადაა აღმოჩენილი, მაგრამ გველეშის ეგზემპლარს მათში მეტ-ნაკლებად მსგავსი პარალელი არ ეძებნება. აბმული ბუდის მიხედვით მშვილდსაკინძი რამდენადმე ადრეული ნიმუშის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თანმხლები სამარხეული ინვენტარი მშვილდსაკინძს VI-VII სს. ათარიღებს. უფრო კონკრეტულად, მშვილდსაკინძის სამარხში მოხვედრის თარიღად VI ს. მიწურული ან VII ს. დასაწყისი მიგვაჩნია. მშვილდსაკინძი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის უნდა იყოს [3, გვ. 41].

3. ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები წარმოდგენილია 7 ერთეულით. მათგან 5 რკინისაა (ტაბ. II₁₁, სამ. № 3; 52, სამ. № 12; 61, 62, სამ. № 13; 85, სამ. № 15), 1 ვერცხლის (ტაბ. II₂₈, სამ. № 6), 1 ბრინჯაოსი (ტაბ. II₈₆, სამ. № 15). ისინი მუხლსახსრიანია. ვერცხლის ჭვინტიან მშვილდსაკინძს ნემსი რკინისა ჰქონია (ტაბ. II₂₈).

²⁵ გველეშის სამაროვანზე სამარხთა აღნაგობისა და დაკრძალვის წესის შესახებ იხ. 5, გვ. 87-95.

²⁶ მონეტა განსაზღვრა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალაღანიამ

ჭვინტიანი, მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძები ძირითადად VI-VII სს. მიჯნაზე გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში და აქ მალე დაუწყიათ მათი მუხლსახსრიანი ვარიანტის კეთებაც, რომელიც თავის მხრივ ძირითადად ქართლისათვის ჩანს დამახასიათებელი [1, გვ. 21]. გველეთის ჭვინტიანი მშვილდსაკინძები VI ს. მიწურულითა და VII ს. თარიღდება [3, გვ. 41].

4. ბუდეშლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები რკინისაა (ტაბ. II_{3,4}, სამ. № 1; 18, სამ. № 4; 32, სამ. № 8; 48, სამ. № 11; 60, სამ. № 13). მუხლსახსრიანებია №№ 2, 14 სამარხებში აღმოჩენილი რკინის მშვილდსაკინძები, მაგრამ ფრაგმენტულობის გამო ძნელია მათი მიკუთვნება ჭვინტიანი ან ბუდეშლიანი ეგზემპლარებისათვის (ტაბ. II_{7,80}). ბუდეშლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები ცნობილია სამთავროდან ხს, ტაბ. XXIII_{16-19,44,45}ჰ, ქვემო ალევინიდან [2, გვ. 60]. სამარხეული ინვენტარის მიხედვით № 13 სამარხის მშვილდსაკინძები VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება. თანმხლები მასალა VII ს. მიაკუთვნებს №№ 1, 4, 8, 11 სამარხებიდან მომდინარე რკინის ბუდეშლიან, მუხლსახსრიან მშვილდსაკინძებს [3, გვ. 42].

აბზინდები. სამაროვანზე გამოვლენილი აბზინდებიდან 1 რკინისაა, დანარჩენები ბრინჯაოსია.

1. ბრინჯაოს აბზინდას აქვს სწორკუთხა ჩარჩო და მასზე უძრავად მიერთებული ფირფიტა (ტაბ. III₇₀, სამ. № 13). ანალოგიური აბზინდები აღმოჩენილია: სამთავროზე, ურბნისში, სანთაში [1, გვ. 47], ჩმიში [19, გვ. 129]. მსგავსი აბზინდები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ყირიმისა და ევრაზიის სხვა ოლქებიდან [22, ტაბ. XXI₂₇, გვ. 201; 29, სურ. 3₁₅]. „მოკრაია ბალკას“ (ქ. კისლოვოდსკთან) სამაროვანზე ამ ჯგუფის აბზინდების უმრავლესობა გამოვლენილია VI ს. მეორე ნახევრითა და VII ს. პირველი მეოთხედით დათარიღებულ სამარხებში [13, გვ. 150]. ჩმიში აღმოჩენილი ამგვარი აბზინდები VI ს. მიწურულსა და VII ს. დასაწყისს მიეკუთვნება [19, გვ. 129]. ძირითადად ასეთი თარიღია გაზიარებული აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების კომპლექსებში გამოვლენილი მსგავსი აბზინდებისათვის [1, გვ. 47].

2. ბრინჯაოს ნახევარწრიულჩარჩოიან აბზინდაზე მოძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფირფიტა. აბზინდა წარმოდგენილია ქამრით. ქამარი შედგება ბრინჯაოს 14 სწორკუთხა ფირფიტისაგან, რომლებიც ცენტრში გახვრეტილია. ორ მათგანზე შემორჩენილია ქვემოდან მიმაგრებული ბრინჯაოს რგოლები (ტაბ. III₁₀₉, სამ. № 15).²⁷ მსგავსი ფორმის აბზინდები IV ს. უკვე

ფართოდაა გავრცელებული ხს, გვ. 45ჰ. ჩრდილოეთ კავკასიაში ამგვარ აბზინდებს VI ს. მეორე ნახევარსა და VII ს. დასაწყისს მიაკუთვნებენ [13, გვ. 150]. გველეთის ქამრიანი აბზინდისათვის ეს თარიღი მისაღები ჩანს. გველეთის ქამარი უნდა დაუკავშიროთ იმ წრის ნივთებს, რომელთაც ადგილობრივ ქართულ სამყაროში, უფრო კონკრეტულად არაგვი-თერგის ხეობის რომელიმე საწარმოო ცენტრში ამზადებდნენ [4, გვ. 26, 27].

3. ოვალურჩარჩოებიანი აბზინდები რკინისა და ბრინჯაოსია. რკინის აბზინდა ერთწილადაა, განივოვალურჩარჩოიანი (ტაბ. III₁₉, სამ. № 4). ორი აბზინდა ბრინჯაოსია. ისინი გრძივოვალურჩარჩოებიანია, ორწილადაა. ოვალურ ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფირფიტა სამი მანჭვალით (ტაბ. III₁₁₀, სამ. № 15). მეორე აბზინდის ოვალურ ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული ორად გაკეცილი სწორკუთხა ფირფიტა. აბზინდა წარმოდგენილია ქამრით. ქამარი შედგება Ж -ს მაგვარი 19 ორნამენტირებული ფირფიტისაგან (ტაბ. III₁₃₂, სამ. № 16). ჩვენში ოვალურჩარჩოიანი აბზინდები საკმაოდ ადრე ჩნდება და ისინი თავს იჩენენ VII ს. სამარხეულ კომპლექსებშიც [1, გვ. 45, 54]. მრავლადაა ცნობილი ოვალურჩარჩოიანი აბზინდები ჩრდილოეთ კავკასიის VI-VII სს. სამაროვნებიდანაც [13, გვ. 141]. ისინი იქ გვიანობამდე აგრძელებენ არსებობას და VIII-IX სს. სამარხებშიც გვხვდება [19, გვ. 125]. გველეთის რკინის აბზინდა VII ს., ბრინჯაოს აბზინდები კი უფრო VI ს. მიწურულსა და VII ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს [4, გვ. 27].

ინტერესს იწვევს № 16 სამარხის ქამარი (ტაბ. III₁₃₂). ანალოგიური საქამრე ფირფიტა აღმოჩენილია არაგვის ხეობაში სოფ. ჩინთის VI-VIII სს. ქვის სამარხში [28, გვ. 88]. ამგვარი ფირფიტებით შედგენილი ორი მთლიანი ქამარი გამოვლინდა ნეძიხის (ფშავის არაგვის ხეობა) ადრეული შუა საუკუნეების ქვის სამარხებში. 5 ცალი საქამრე ფირფიტა მომდინარეობს იმავე სამაროვნის დანგრეული სამარხებიდან.²⁸ ანალოგიური საქამრე ფირფიტები ჩმის სამაროვანზე აღმოჩენილია XII კატაკომბაში ზოსრო I-ის (531-579 წწ.) მონეტასთან ერთად [11, გვ. 16]. დაახლოებით მსგავსი ფირფიტები ცნობილია ჩრდილოეთის შორეული ოლქებიდანაც (ურალი, კამისპირეთი), სადაც ისინი ძირითადად VII-VIII სს. თარიღდება [11, გვ. 16; 17, გვ. 101; 18, გვ. 83; 33, გვ. 96]. ა. ამბროზი ბირსკისა და ჩმის მასალების შედარებისას შენიშნავდა, რომ ამგვარი საქამრე ფირფიტების

№ 116), ცხენის გამოსახულება (საინვ. № 117), ვერცხლის მშვილდსაკინძი (ტაბ. II, 119) და სხვ.

²⁸ ნეძიხის მასალების შესახებ თავის დროზე ცნობა მოგვაწოდა ც. რობაქიძემ.

²⁷ რგოლებზე ტყავის თასმით ჩამოკიდებული იყო: ბიკონუსური მოყვანილობის ბრინჯაოს ნივთი (საინვ.

ჩრდილოური ვარიანტები განსხვავდება სამხრეთულებსაგან. უკანასკნელი გაცილებით ფართო და ბრტყელია [1, გვ. 16]. უეჭველია, რომ ქამრების სამხრეთული ვარიანტები სხვა საწარმოო ცენტრში (თუ ცენტრებში) მზადდებოდა. არაგვი-თერგის ხეობაში (ჩინთი, ნეძიხი, გველეთი, ჩმი) აღმოჩენილი ამგვარი ქამრების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ მათი წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სადღაც ამ ხეობაშია საძიებელი.

4. ბრინჯაოს ორ აბზინდას აქვს შეზნექილი საქამრე ჩარჩო. ერთი მათგანის ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული მოგრძო ფირფიტა (ტაბ. III_{III}, სამ. № 15). მეორე აბზინდის სწორკუთხა ფირფიტა უძრავად ებმის ჩარჩოს. ენა ინკრუსტირებულია წითელი ფერის მინის თვლით (ტაბ. III₅, სამ. № 1). აბზინდები მიეკუთვნება ე.წ. B-ს მაგვარი აბზინდების ჯგუფს. ამგვარი აბზინდები აღმოსავლეთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უკვე IV-V სს. ცნობილი [1, გვ. 45]. ისინი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება VI-VII სს. ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში, კამისპირეთსა და დასავლეთ ევროპაში [19, გვ. 129]. ამგვარი აბზინდები აღმოსავლეთ საქართველოს VI-VII სს. სამარხეულ კომპლექსებშიცაა აღმოჩენილი [1, გვ. 48]. № 15 სამარხის აბზინდა (ტაბ. III_{III}) უფრო VI ს. მიწურულსა და VII ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს, № 1 სამარხის ინკრუსტირებული აბზინდა კი (ტაბ. III₅) შეიძლება VII ს-ით დათარიღდეს [4, გვ. 28].

5. ბრინჯაოს ორწილადი აბზინდის ჩარჩო და ენა შემკულია ბურცობებით. კვადრატული მოყვანილობის ორნამენტირებული ფირფიტა მოძრავადაა მიერთებული ჩარჩოზე (ტაბ. III₃₁, სამ. № 8). გველეთის აბზინდის მსგავსია სოფ. იარაჯულების ადრეული შუა საუკუნეების დანგრეული სამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს აბზინდის ფრაგმენტი [8, ტაბ. XX₂₁₇₄]. გველეთის აბზინდა თითქმის ზედმიწევნით იმეორებს არმაზისხევში „ტყის უბანზე“ აღმოჩენილ აბზინდას, რომელიც VII ს. თარიღდება ხს, გვ. 55ჯ. ამავე პერიოდს მიეკუთვნება გველეთური ეგზემპლარიც. მსგავსი ფორმის აბზინდები აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ უცნობია, რაც გვაძლევს საფუძველს, ისინი ადგილობრივ, ქართულ ნაწარმად მივიჩნიოთ.

ბალთები. 7 ბალთიდან 3 ბრინჯაოსია, 4 ვერცხლის.

1. ე.წ. „ნიღბისებური“ ბალთებიდან 3 ვერცხლისაა, 1 ბრინჯაოსი. ისინი განეკუთვნება ნახევარწრიული ფორმის ბალთებს. სამივე ფორმით იმეორებს ერთმანეთს. განსხვავება ზომებსა და მასალაშია (ტაბ. III₁₇, სამ. № 4; 91, 92, სამ. № 15). ანალოგიური ბალთები ცნობილია: სამთავროდან, ურბნისიდან, ქვემო ალევინიდან [1, გვ. 49; 2, ტაბ. XIII₃]. ბალთები მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში [10, სურ. 5_{46,47}; 21, სურ. 12₃₇; 23, სურ.

61_{2,3}]. ჩვენში ამგვარი ბალთები VI ს. მიწურულთა და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება [1, გვ. 127]. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა გველეთის „ნიღბისებური“ ბალთები.

„ნიღბისებურ“ ბალთებში ცალკე გამოიყოფა ვერცხლის ბალთა, რომელიც შემკულია ორი ნახევრითა და ქვემოდან ამოზნექილი რელიეფური ხაზით (ტაბ. III₉₃, სამ. № 15). იგი ვერცხლის ორ „ნიღბისებურ“ ბალთასთან (ტაბ. III_{91,92}) გამოვლინდა და მათი თანადროულია.

2. სამყურა ბალახის ფორმის ვერცხლის ბალთა (ტაბ. III₉₅, სამ. № 15). დაახლოებით მსგავსი ფორმის ბალთები ცნობილია შიდა ქართლიდან [1, ტაბ. XXIX, 3], ჩრდილოეთ კავკასიიდან [26, სურ. 5₃₁; 31, სურ. 47]. ბალთა აღმოჩნდა № 15 სამარხში VI ს. მიწურულთა და VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ვერცხლის „ნიღბისებურ“ ბალთებთან ერთად (ტაბ. III_{91,92,93}).

3. ბრინჯაოს ვ-ს მაგვარი ბალთა (ტაბ. III₉, სამ. № 3). ანალოგიური ბალთები ცნობილია: სამთავროდან, არმაზისხევიდან, ქვემო ალევინიდან [1, ტაბ. XXVIII₁₀, XXXII₄₆; 2, ტაბ. XIII₂]. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში [10, სურ. 5_{15,22,23,38,41}; 21, სურ. 12_{30,39,41}; 26, სურ. 61].


4. ბრინჯაოს „შეისრულწვერიანი“ ბალთა (ტაბ. III₂₅, სამ. № 6). მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ორნამენტირებული ბალთები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდან [31, სურ. 4გ]. ბალთა აღმოჩნდა ვერცხლის ჭვინტიან მშვილდსაკინძთან ერთად (ტაბ. II₂₈), რომელიც უფრო VII ს. თარიღდება. ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს „შეისრულწვერიანი“ ბალთაც.

სამაჯურები. ბრინჯაოს 3 სამაჯურიდან 2 ქედშესქელებულია. სამაჯურების გახსნილი თავები შემკულია გველის თავის გამოხატულებით (ტაბ. III_{45,46}, სამ. № 11). ქედშესქელებული სამაჯურები ფართოდაა გავრცელებული მთელს აღმოსავლეთ კავკასიაში [1, გვ. 82], მაგრამ იშვიათად გვხვდება ქედშესქელებული სამაჯურების გველისთავიანი ვარიანტები. სამაჯურების ზუსტი ანალოგები (2 ერთეული) ცნობილია მთიანი ჩეჩნეთის სოფ. ხარაჩოის VII-VIII სს. სამაროვნიდან [14, გვ. 83]. ძეგლის გამოხრელების ცნობით, გველისთავიანი სამაჯურები ჩეჩნეთისათვისაც იშვიათობას წარმოადგენს. მათი აზრით, გველისთავიანი სამაჯურების წარმოშობა-განვითარების საწყისები ყოზანის ადრეკინის კულტურის წიაღშია საძებნი [14, გვ. 84]. ქედშესქელებული სამაჯურების გველისთავიანი ვარიანტები არაა დამახასიათებელი ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოსათვის. გველეთის ქედშესქელებული, გველისთავიანი სამაჯურები თარიღდება VII ს. მეორე ნახევრით [3, გვ. 38].

მესამე სამაჯური წარმოადგენს ერთმანეთზე გადაგრეხილ ბრინჯაოს წვრილ მავთულს (ტაბ. III₃₈, სამ. № 9). მსგავსი სამაჯურები ცნობილია

ბალთისა და ჩმის VIII-IX სს. სამარხებიდან [19, გვ. 131]. გრეხილი სამაჯურები თანმხლები ინვენტარის და სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით, VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით თარიღდება [3, გვ. 38].

საკინძები. 12 საკინძიდან 1 წარმოდგენილია რკინის ღეროს ფრაგმენტით (სურ. 1₁₀₀, სამ. № 15). დანარჩენები ბრინჯაოსია. საკინძები მთლიანადსხმულია (სურ. 1₄₇, სამ. № 11; 101-104, 106, 107, სამ. № 15) ან დამზადებულია სხვადასხვა მასალისაგან (სურ. 1_{105,108}, სამ. № 15). № 6 სამარხის ბრინჯაოს საკინძი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და გაურკვეველია იგი მთლიანადსხმული იყო თუ სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი (სურ. 1₂₆).




სურ. 1

საკინძები ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნივთებია ხს, გვ. 85ჯ. საკინძები მრავლადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებიდან [1, ტაბ. XVIII₂₈, XXI₈, XXX₅₂, XXXV_{30,31}, XXXIV₃₂; 2, ტაბ. XXXI_{1,2,8,9}, XXXII_{40,41}]. საქართველოდან გავრცელებულად თვლიან ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილ ამგვარ საკინძებს [36, სურ. 39₁₃]. გველეთის საკინძების უმრავლესობა აღმოჩენილია № 15 სამარხში, რომელიც VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს [3, გვ. 39].

საყურეები. ტიპოლოგიურად ისინი იყოფა ერთწილად და ორწილად საყურეებად. ერთწილადი საყურეები ვერცხლისაა (სურ. 2₇₁, სამ. № 13; 78, სამ. № 14). თანმხლები მასალების მიხედვით, ერთწილადი საყურეები VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება [3, გვ. 39].

ორწილადი საყურეების თავგახსნილ რგოლზე მოძრავადაა მიერთებული ბრინჯაოს ბურთულები (სურ. 2₃₉, სამ. № 9). ჩმიში ამგვარი საყურეები აღმოჩენილია როგორც VII-VIII, ისე VIII-IX სს. დათარიღებულ კატაკომბებში [19,

გვ. 131]. VIII-IX სს. მიეკუთვნება ჩეჩნეთ-ინგუშეთის სამაროვნებიდან მომდინარე მსგავსი საყურეები [16, გვ. 75-77]. № 9 სამარხი, სადაც გამოვლინდა ორწილადი საყურეები, სტრატეგრაფიულად ყველა სხვა სამარხთან შედარებით გვიანდელია [5, გვ. 87-95]. თანმხლები სამარხული ინვენტარის მიხედვითაც ორწილადი საყურეები რამდენადმე მოგვიანოა. ისინი VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით თარიღდება [3, გვ. 39]. თავის დროზე გ. ლომთათიძე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ საყურეების ეს ტიპი საქართველოში ჩამოყალიბდა და ჩრდილოკავკასიური, რამდენადმე მოგვიანო ეგზემპლარები გენეტიკურად ქართულ მასალებს უკავშირდება [25, გვ. 296]. ეს ვარაუდი შემდგომში გაზიარებულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის კულტურების მკვლევართა მიერაც [12, გვ. 61; 19, გვ. 132].



სურ. 2

საკიდები. ვერცხლის საკიდები ფორმით იმეორებენ ერთწილად საყურეებს, მაგრამ ახასიათებთ უფრო ფართოდ გახსნილი თავები და მასიური ღერო, რაც გამორიცხავს ამგვარი ნივთების საყურეებად გამოყენებას. საკიდებიდან ორი აღმოჩენილია № 6, ერთი № 8, ოთხ-ოთხი №№ 15, 16 სამარხებში (სურ. 2_{29,34,88,89,133}). ამგვარი საკიდები მრავლადაა ცნობილი როგორც ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის „ჰუნების ეპოქის“ სამაროვნებიდან [24, გვ. 79; 26, სურ. 5, 1₂; 27, გვ. 204; 30, ტაბ. III₉]. ვერცხლის საკიდები თანმხლები მასალების მიხედვით VI ს. მიწურულითა და VII ს. თარიღდება.

გველეთის შესწავლილი სამარხების არქეოლოგიური მასალა შეიცავს საინტერესო ინფორმაციას ადრეული შუა საუკუნეების ხევის მოსახლეობის – წანარების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. ნაშრომის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ამჯერად შემოვიფარგლებით მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალის მხოლოდ ერთი ნაწილის პუბლიკაციით.

D. Mindorashvili

ARCHAEOLOGICAL EVIDENCE OF GVELETI NECROPOLIS. I

(Summary)

The paper deals with the archaeological evidence of the Early Medieval period - a part of the archaeological material from Gveleti necropolis, located in Dariali Gorge (Qazbegi district).

The findings - spearheads, knives, fibulae, belts, bracelets, earrings, etc., bear out the parallels to the Early Middle Ages archaeological data from Eastern Georgia. Some of the artifacts are of North Caucasian origin, attesting to the existence of economic and cultural relations between Georgia and the North Caucasus.

The archaeological evidence of Gveleti necropolis should be dated to the end of the 6th - beginning of the 8th cent. A.D.

ლიტერატურა

1. აფნაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.

2. აფნაზავა ნ. ქვემო ალგვი შუა საუკუნეებში. თბ., 1988.

3. მინდორაშვილი დ. გველეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნის ნივთიერი მასალა. - ძმ, № 3 (102), 1998, გვ. 34-43.

4. მინდორაშვილი დ. აზინდები და ბალთები გველეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნიდან. - ძმ, № 4 (103), 1998, გვ. 25-30.

5. მინდორაშვილი დ. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი გველეთის სამაროვანზე. - ძიებანი, № 5, 2000, გვ. 87-95.

6. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, ილ. აბულაძის საერთო რედაქციით. თბ., 1963.

7. ჩხილაძე ვ. არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

8. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ., 1982.

9. ამბროზ ა. კ. Фибулы Юга европейской части СССР. - САИ, вып. Д1-30. М., 1966

10. ამბროზ ა. კ. Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы. - СА, № 2, 1971, с. 96-123.

11. ამბროზ ა. კ. Бирский могильник и проблемы хронологии Приуралья в IV-VII вв.

- Средневековые древности Евразийских степей. М., 1980, с. 3-47.

12. Атаев Д. М. Нагорный Дагестан в раннем средневековье. Махачкала, 1963.

13. Афанасьев Г. Е. Пряжки катакомбного могильника "Мокрая балка" у г. Кисловодска. - Северный Кавказ в древности и в средние века. М., 1980, с. 141-152.

14. Багуев М. Х., Виноградов В. Б. Раскопки раннесредневекового могильника у сел. Харачай. - КСИИМК, вып. 132, 1972, с. 80-86.

15. Виноградов В. Б. Раннесредневековый могильник у селения Харачай в горной Чечне. - СА, № 2, 1970, с. 244-251.

16. Виноградов В. Б., Мамаев Х. М. Некоторые вопросы раннесредневековой истории и культуры населения Чечено-Ингушетии. - Археология и вопросы этнической истории Северного Кавказа. Грозный, 1979, с. 63-86.

17. Генинг В. Ф. Хронология поясной гарнитуры I тысячелетия н.э. (по материалам могильников Прикамья). - КСИА, вып. 158, 1979, с. 96-106.

18. Голдина Р. Д. Хронология погребальных комплексов раннего средневековья в верхнем Прикамье. - КСИА, вып. 158, 1979, с. 79-90.

19. Деоник В. Б. Классификация и хронология аланских украшений VI-IX вв. - МИА, т. 114, 1963, с. 126-148.

20. Джалагания И. А. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тб., 1979.

21. Дмитриев А. В. Раннесредневековые фибулы могильника на р. Дюрсо. - Древности эпохи великого переселения народов. М., 1982.

22. Ковалевская В. Б. Поясные наборы Евразии IV-IX вв. - САИ, вып. Е1-2. М., 1979.

23. Ковалевская В. Б. Северокавказские древности. - Степи Евразии в эпоху средневековья. М., 1981, с. 83-97.

24. Кузнецов В. А. Аланские племена Северного Кавказа (МИА, т. 106). М., 1962.

25. Ломтатидзе Г. А. Культура и быт Грузии в IV-VII вв. - Очерки истории СССР (III-IX вв.). М., 1958.

26. Мамаев Х. М. Хронология катакомбных могильников Чечено-Ингушетии конца IV-первой половины VIII в. - Проблемы хронологии погребальных памятников Чечено-Ингушетии. Грозный, 1986, с. 46-65.

27. Минаева Т. М. Поселение в устье р. Узун-кол. - СА, № 2, 1960, с. 193-207.

28. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др. Археологическое изуче-

ნე არაგვსკო უღელსა. – პაი, 1984-1985 (1987), ს. 74-89.

29. რუნიჩ ა. პ. კათაკომბნოი მოგილნიკი VII-VIII ვვ. ოკოლო გ. კისლოვდსკა. – სა, № 3, 1968, ს. 208-214.

30. რუნიჩ ა. პ. ალანსკიე კათაკომბნოე მოგილნიკი V-VIII ვვ. ვ გოროდე კისლოვდსკე ი ეგო ოკრესტნოსტახ. – მადისო, ტ. II, 1969, ს. 107-111.

31. რუნიჩ ა. პ. ალანსკიი მოგილნიკი ვ "მოკროი ბალკე" უ გოროდე კისლოვდსკა. – მადისო, ტ. III, 1975, ს. 146-151.

32. რუნიჩ ა. პ. ზაჰორონენიე ვოჟდია ეპოხი რანნეო სრედნევეკოვია იზ კისლოვდსკოი კოტლოვინი. – სა, № 3, 1976, ს. 256-266.

33. საველევა ე. ა. ჰრონოლოგია პოგრებალნიჰ კომპლესოვ ვესლანსკოი I მოგილნიკი. – კსია, ვიპ. 158, 1979, ს. 91-96.

34. სალიხოვ ბ. მ. კალკინსკიი მოგილნიკი. – დრენიე კულტურაი სევერო-ვოსტოჟნოი კავკაზა. მაჰაჩკალა, 1985, ს. 166-177.

35. სმირნოვ კ. ფ. ო ნეკოტორჰ იტოგო ისსლედოვანია მოგილნიკოვ მესტნოი ი სარმატსკოი კულტურაი პრიკუბანია ი დაგესტანა. – კსიიმკ, ვიპ. XXXVII, 1951, ს. 151-160.

36. სმირნოვ კ. ფ. არჰეოლოგიესკიე ისსლედოვანია ვ დაგესტანე ვ 1948-1950 გოდაჰ. – კსიიმკ, ვიპ. XLV, 1952, ს. 83-96.

სურათებისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1. 26, სამ. № 6; 47, სამ. № 11; 100-108, სამ. № 15; 130, სამ. № 16, საკინძები.

სურ. 2. 29, სამ. № 6; 34, სამ. № 8; 88, 89, სამ. № 15; 133, სამ. № 16, საკიდები. 39, სამ. № 9; 71, სამ. № 13; 78, სამ. № 14, საყურეები.

ტაბ. I, 24, სამ. № 6; 43, სამ. № 10; 51, სამ. № 12, შუბისპირები. 1, სამ. № 1; 21, 22, სამ. № 4; 33, სამ. № 8; 40, სამ. № 9; 49, სამ. № 11;

58, 59, 63, სამ. № 13; 81, სამ. № 14; 83, 84, სამ. № 15, დანები.

ტაბ. II, 73, სამ. № 13, კავადის (488-531 წწ) მონეტა. 3, 4, სამ. № 1; 7, სამ. № 2; 11, სამ. № 3; 18, სამ. № 4; 28, სამ. № 6; 32, სამ. № 8; 48, სამ. № 11; 52, სამ. № 12; 60, 61, 62, სამ. № 13; 80, სამ. № 14; 85, 86, 119, სამ. № 15; 135, სამ. № 16, მშვილდსაკინძები.

ტაბ. III, 5, სამ. № 1; 19, სამ. № 4; 31, სამ. № 8; 70, სამ. № 13; 109, 110, 111, სამ. № 15; 132, სამ. № 16, აბზინდები. 9, სამ. № 3; 17, სამ. № 4; 25, სამ. № 6; 91, 92, 93, 95, სამ. № 15, ბალთები. 38, სამ. № 9; 45, 46, სამ. № 11, სამაჯურები.

Description of the figures and plates

Fig. 1. 26, bur. 6; 47, bur. 11; 100-108, bur. 15; 130, bur. 16, pins.


Fig. 2. 29, bur. 6; 34, bur. 8; 88, 89, bur. 15; 133, bur. 16, pendants. 39, bur. 9; 71, bur. 13; 78, bur. 14, earrings.


Pl. I. – 24, bur. 6; 43, bur. 10; 51, bur. 12, spearheads. 1, bur. 1; 21, 22, bur. 4; 33, bur. 8; 40, bur. 9; 49, bur. 11; 58, 59, 63, bur. 13; 81, bur. 14; 83, 84, bur. 15, knives.

Pl. II. – 73, bur. 13, coin of Cavadus (488-531 A.D.). 3, 4, bur. 1; 7, bur. 2; 11, bur. 3; 18, bur. 4; 28, bur. 6; 32, bur. 8; 48, bur. 11; 52, bur. 12; 60, 61, 62, bur. 13; 80, bur. 14; 85, 86, 119, bur. 15; 135, bur. 16, fibulae.


Pl. III. – 5, bur. 1; 19, bur. 4; 31, bur. 8; 70, bur. 13; 109, 110, 111, bur. 15; 132, bur. 16, buckles. 9, bur. 3; 17, bur. 4; 25, bur. 6; 91, 92, 93, 95, bur. 15, clasps. 38, bur. 9; 45, 46, bur. 11, bracelets.

ტაბ. I





குட. III



ჰეშკილდის წმინდა გიორგი

ბოლო წლებში სვანეთში გახშირდა რესტავრაციის საბაბით წარმოებული თვითნებური გათხრები. 1997 წლის ზაფხულში არქეოლოგიური დაზვერვების დროს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. შ. ჩართოლანი) ნასოფლარ ჰეშკილდში წააწყდა ჩამომხობილი კედლებითა და მცენარეებით დაფარული წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარის გათხრისა და დაზიანების ფაქტს, რის გამოც აუცილებელი გახდა ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა. ნაწილობრივ შესწავლილი იქნა ეკლესიასთან დაკავშირებული სამართავანი, აიზომა და დაფიქსირდა ნასოფლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად შემორჩენილი შუა საუკუნეების ძეგლები. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში (1997-98 წწ.).

ნასოფლარი მდებარეობს დაბა მესტიის სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ-ის დაშორებით, მდინარეების – ენგურისა და მულხურას წყალგამყოფ ქედის სამხრეთ კალთაზე, ტყით დაფარულ ფერდზე, რომელიც ქედიდან ენგურის ნაპირამდე ვრცელდება, სადაც შემორჩენილია ზეგასაშისროებისაგან დაცულ და მტრის დასახვედრად მოხერხებულ მკვეთრად მოყვლილ კლდოვან ბორცვებზე განლაგებული შუა საუკუნეების თავისუფალ მეთემეთა კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსებისა და ეკლესიათა ნაშთები. ექვსი უბნისაგან (ჟააბარ, ჩვააბარ, ნაკდრალ, ლადგვილი, ტეშნიერ, აბრამშერა) შემდგარ ნასოფლარში ზედაპირულად ოთხი ეკლესიის (წმინდა გიორგი, ელია, მაცხოვარი, წმინდა ბარბარე), ცამეტი კოშკისა და თვრამეტი მაჩუბ-დარბაზის ნაშთია შემორჩენილი, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის კომპლექსებში მოქცეული ნაგებობის ნაშთი, რომლის კედლების მშრალ წყობაში მასიური ლოდებია გამოყენებული.

მესტია-იელის გზის მშენებლობის დროს, ჰეშკილდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დაუნგრევიათ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები. ძეგლის დანგრევის შემდეგ ადგილზე აკრეფილი კერამიკული მასალა (დიდი ზომის შავკეციანი დერგებისა და წითლად გამომწვარი სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხები) ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევართაა დათარიღებული [7, გვ. 61, ტაბ. XXXVIII].

ენგურის მარცხენა ნაპირზე, მდ. ჰაირაშის ხეობაში, რომელიც ნასოფლარის ტერიტორიაში შედის, ადგილ ლაშქდაშში (სვანური – ლაშქ-დაშ, ქართული – სამჭედლო) ზედაპირულად ჩანს წრიული ფორმის ორმოები, რომლებიც ძლიერ ცუცხლში გამომწვარი ქვებითაა ამოვსებული. საკირე ქურების მსგავს ამგვარ ოქროს-საღნობებში კვარცის (ადგილობრივ დიალექტზე „ჩეერხა“) გამოწვის შედეგად გამდნარი ოქრო

ქანიდან ცალკევდებოდა [6]. აღნიშნული წესით ოქროს მოპოვების ტექნოლოგია საინტერესოა და საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გეოლოგიური კვლევებით ჰაირაშის მთაზე დადასტურებულია ოქროს მადანი, ჰაირაშის ხეობაში კი ცალკეული პირების მიერ დღესაც წარმოებს ოქროს მოპოვება მდინარეული სილის დამუშავების წესით.

სტრატეგიული თვალსაზრისით ჰეშკილდი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. იგი აკონტროლებს ენგურის ხეობისა და წილიდის უღელტეხილით სვანეთის ქედზე გამავალ გზებს.

სოფლის ამოწვევითა-გაუკაცრიელებს, გადმოცემით, უკავშირდება წარსულში სოფლის მკვიდრთა შორის მიწის სიმცირის ნიადაგზე აღმოცენებულ სისხლიან კონფლიქტს.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო ნაწილში, დამრეცი ფერდის მცირე გადაკედაზე, ადგილ გრდამში. ძეგლზე მცენარეული საფარისა და ნაყარის მოხსნის შედეგად გამოჩნდა სამნაწილიანი ნაგებობის მიწის ქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლები. იგი წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ (მცირეოდენი გადახრით) ერთნაირი დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიას (6,5 × 4,5 მ) დასავლეთი (3,5 × 9 მ) და სამხრეთი (6,5 × 3,5 მ) ოთხკუთხა მინაშენებით (ტაბ. I).

ცენტრალური სათავსოს (დარბაზის) კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1,5 მ-დან 2 მ-დეა, დასავლეთის სათავსოსი 10 სმ-დან 50 სმ-მდე, სამხრეთის სათავსოდან მარტო საძირკველია შემორჩენილი.

დარბაზის ღონესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებული (სიმაღლე – 0,6 მ), აღმოსავლეთისაკენ მიმართული საკურთხევლის აბსიდი გეგმით ნახევარწრიულია (გაშლილი ნახევარწრე). იგი დარბაზს ცენტრალურ ნაწილში მოწყობილ, შირიმის კვადრების ორი საფეხურისაგან შემდგარი აღსავლით (კიბით) უკავშირდება. აღსავლის ორივე მხარეზე შემორჩენილია შირიმის კვადრებისაგან შემდგარი საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრების ბაზები (სიმაღლე – 20 სმ, სიგანე – 35 სმ).

აბსიდის მოედნის (არდაბაგის) კედლე გაყოლებულია შირიმის კვადრებისაგან გამოყვანილი 20 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანის შელესილი კანკელის (ზღუდარის) ქვედა ნაწილი, რომელზეც მოხატულობის კვალია შემორჩენილი. აბსიდის აღმოსავლეთ კედლის ცენტრში მოწყობილია კედელზე მიდგმული, კირის ხსნარზე შირიმით გამოყვანილი შელესილი ტრაპეზი (შემორჩენილი სიმაღლე – 42 სმ, სიგანე – 60 სმ, სისქე – 45 სმ), რომლის მარჯვნივ შემორჩენილია კედელში დატანებული პატარა, ოთხკუთხა ნიში.

ინტერიერში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების ძირში, დარბაზს 35 სმ სიგანისა და 20 სმ სიმაღლის შირიმის კვადრებისაგან შედგენილი შელესილი ხარისა (ჩამოსაჯდომი) შემოუყვება. ანალოგიური ზომის ერთსაფეხურიანი ცოკოლი ნავს საფასადო მხრიდანაც ჰქონდა შემოვლებული. მომცრო კარი (სიგანე – 1 მ) დარბაზსა და დასავლეთის მინაშენსაც დასავლეთ კედელში აქვს დატანებული. აბსიდის მოედნისა და დარბაზის იატაკი მოსწორებულია კირის ხსნარის სქელი ფენით.

ეკლესიის ცენტრალური სათავსოს კედლის (სისქე – 80 სმ) წყობა პერანგულია, საშენად გამოყენებულია შირიმის (ადგილობრივ დიალექტზე „სბენდიკის“) კვადრები. საშუალო ზომის კვადრების ორ პარალელურ რიგს შორის სივრცე ამოვსებულია წვრილი ქვითა (ადგილობრივ დიალექტზე „ხალიკ“) და კირის ხსნარით. თითოეული რიგის სიმაღლე მერყეობს 35-40 სმ-ს შორის. მოსაპირკეთებელი კვადრების სისქე 15-20 სმ-ია. კედლებში სიმძიმის მასის ძირითად დატვირთვას არა გარეთა კვადრები, არამედ მათ შორის სივრცის შემვსები ღულაბი ღებულობს. ნაკერის სისქე მინიმუმამდეა დაყვანილი. კვადრებს შორის წარმოქმნილი ღრიჭოები კირის ხსნარითაა ამოვსებული. კვადრები საგულდაგულოდ ერთმანეთზე ისეა მორგებული, რომ ხსნარი გარეთ არ დაღვრილიყო.

დასავლეთისა და სამხრეთის მინაშენების კედლის (სისქე – 80 სმ) წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვა, შემკრავად – კირის ხსნარი. ორივე სათავსოს იატაკი თიხატკეპნილია.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში, სადაც ზედაპირულად მოჩანდა რამდენიმე საფლავის ქვა, გაითხარა ქვების შესაბამისი ორი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული თითო მიცვალებულის ჩონჩხი. ჩონჩხები კარგად იყო დაცული, ინვენტარი სამარხებში არ აღმოჩენილა.

ჰემკილდის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების საერთო რაოდენობა (საველე ნუმერაციით) ასორმოდიათს აღემატება. მასალები დაცულია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა-ფონდსაცავში (დაბა მესტია).

არქეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს შეწირული, დარბაზისა და აბსიდის იატაკზე დაფიქსირებული, რკინის იარაღი – ისრისპირები (ტაბ. II).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და მიწის სამუშაოების დროს 3000-ზე მეტი რკინის ისრისპირია აღმოჩენილი. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია განძის სახით, სხვები აღმოჩენილია სამარხეულ კომპლექსებში. ისრისპირები დიდი რაოდენობითაა დაცული ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისის, მესტიის, ცაგერის, ზუგდიდისა და სხვა მუზეუმებში. მარტო სვანეთის მუზეუმსა და ეკლესიებში

2000-ზე მეტი ისრისპირია დაცული [7, გვ. 30-35].

საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით დადგენილია, რომ მჭედლები ამზადებდნენ სამი სახის – საბრძოლო, სანადირო და საკულტო დანიშნულების – ისრისპირებს.

ჰემკილდის ისრისპირებს შორის გამოიყოფოდა სანადირო და საბრძოლო ანუ საყაღნო ისრისპირები. სანადირო ისრისპირებს განეკუთვნება ორკაპა ბოძალი და ქობორჯი ისრისპირები. ვახუშტის ცნობით, მათი ფუნქცია მსხვილ ნადირზე გამოყენება ყოფილა [1, გვ. 14]. ბოძალებში გამოირჩევა სხვადასხვა ზომის გამწვანებული, ვიწრო წახნაგოვანი და გლუვი, ერთ ან ორივე მხარეს ალესილი ფორმის მქონე ისრისპირები. ქობორჯ ისრისპირებში ფართო და ვიწროკაპიანი ფორმები გამოირჩევა.

სანადირო დანიშნულების მეორე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს ე.წ. ქებიური, პირდიდი და ფრთამაღალი ისრისპირები. ეს ტიპიც მსხვილ ნადირზე სანადიროდაა განკუთვნილი.

ჰემკილდის ისრისპირების ძირითადი ჯგუფიდან აღსანიშნავია ფოთლისებური ანუ ალისებური, რომბული და ბრტყელი სატეხისებური.

საბრძოლო ისრისპირებს შორის ჰემკილდის მასალაში ტექნიკური და მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა ოთხკუთხაგანიკვეთიანი, სამკუთხა და რომბული, რომელთაც სულხან-საბას მიხედვით, სარჩა ისრისპირები ეწოდება [4].

ჰემკილდის ბოძალი ისრისპირების ერთი სახეობა (ტაბ. II_ფ) მსგავსია ურბნისის ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის ისრისპირების ფორმებისა [8, გვ. 126, სურ. 55]. მეორე სახეობა (ტაბ. II_ჟ) კი ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესიაში (XI ს.) შელესილობაზე არსებულ ნადირობის ამსახველ გრაფიკულ ნახატზე გამოსახულ ისრისპირებთან პოულობს მსგავსებას [5, ტაბ. XXII₄]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საქართველოში ორკაპა ისრები გამოიყენებოდა XIII ს-მდე [9, გვ. 200].

საბრძოლო იარაღს განეკუთვნება ეკლესიის დარბაზის იატაკზე დაფიქსირებული რკინის უძმონი და კვერთხისთავი [ტაბ. III₇].

კვერთხისთავები, ანუ ლახტისთავები ეკლესიებისათვის შემოწირულ მასალებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სვანეთში. ე. თაყაიშვილის აღრიცხვით, სვანეთის ეკლესიებში კვერთხისთავების საერთო რაოდენობა 12 ცალი იყო [2, გვ. 101, 117, 119, 202, 248, 291, 351].

1972-1974 წლებში სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ 5 კვერთხისთავი იქნა გამოვლენილი [7, ტაბ. XXX].

კვერთხი შუა საუკუნეებში სვანეთის ერთობლივი თუ ცალკეული თემის მიერ არჩეული მახვმის ხელში ხელისუფლების მიმანიშნებელი ინსიგნია იყო ლაშქრობის თუ ყრილობებისა და სახალხო კრებების ცერემონიაში [3, გვ. 90-93].

ეკლესიების ფასადების მორთულობაში ცხოველთა რელიეფური გამოსახულების ჩართვა, საბრძოლო-სანადირო იარაღის (ცულები, მშვილდები, შუბისპირები, ისრისპირები, კვერთხები, სატევრები, საპირისწამლები და სხვ.) და გარეული ნადირის (ირემი, არჩვი, ჯიხვი) რქების შეწირვა წარმართული რწმენებიდან მომდინარეობს.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიები და წმინდანები ერთგვარად შეენაცვლენ წარმართულ სამლოცველოებსა და ღვთაებებს და მათი ფუნქციების თანაზიარნი გახდნენ. წმინდა გიორგიმ მითთვისა ნადირთ ღვთაების ფუნქცია, თუმცა რწმენიდან მისი სრული განდევნა ვერ შეძლო. სვანეთში წმინდა გიორგის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მონადირეთა მფარველობა შეადგენდა.

ეკლესიის აბსიდის იატაკზე დაფიქსირებულ ნივთებს შორისაა რკინის მომცრო ჯვარი, სპილენძის ზარაკები, ჟღარუნები და ვარდულის ფორმის სასანთლე. ჰემსკილდის ელიფსური მოყვანილობის ზარაკისა (ტაბ. III₆) და სფერული ფორმის მქონე ჟღარუნის (ტაბ. III₃) ანალოგიური ზარაკი და ჟღარუნა უღვალის ეკლესიაშია დაცული [7, სურ. 35-36].

ბრინჯაოს ნივთებიდან ჰემსკილდში გვაქვს ანჯამების ფრაგმენტები (ტაბ. IV₁₀₋₁₄).

ჰემსკილდის არქეოლოგიური მასალის ნაწილს ეკლესიის მინაშენებისა და სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები შეადგენს (ტაბ. V). თიხის ჭურჭელი ძალზე ერთფეროვანია. ძირითადად გვხვდება სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი: ქოთნები, ქილები, დოქები და ღერგები. მცირე რაოდენობითაა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის სასუფრე ჭურჭელი: ჯამები, თეფშები, ხელადები და სხვ.

მოუჭიქავი ჭურჭელი დამზადებულია საკმაოდ უხეშად დამუშავებული ჭარბი მინარეგებიანი თიხისგან, გამომწვარია სხვადასხვა ფერად: წითლად, ყავისფრად, ლეგად, მონაცრისფროდ. ყველა სახის ჭურჭელი ჭარბად ქარსნარევიანია, რაც, როგორც ეტყობა, თიხის ადგილობრივი კარიერების თავისებურება უნდა იყოს.

ჭურჭელი ერთფეროვანია როგორც დანიშნულების, ისე ფორმის მიხედვით. გვხვდება ერთი სახეობის, თითქმის ერთი ტიპის ჭურჭელი. მოზრდილი (მაგ. ღერგები) უფრო სქელკედლიანია, დანარჩენებს კი შედარებით თხელი კეცი აქვს. ყველა ჭურჭელს აქვს თითქმის ერთი ფორმის ბრტყელი ძირი.

ჭურჭლის შესამკობად საკმაოდ მუნწადაა გამოყენებული ორნამენტად ქცეული კონცენტრულად და ტალღისებურად ამოღარული ხაზებით შედგენილი სარტყლები. ძირის ფორმების, კეცისა და გამოწვის მიხედვით ჰემსკილდის მასალის დიდი ნაწილი ანალოგებს პოულობს გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) ხაიმის ციხისა და დიხის სამაროვნებზე აღმოჩენილ შესაბამის თიხის მასალებთან.

კეცის, ანგობისა და ჭიქურის მიხედვით, ჰემსკილდის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. V_{16,17,19,20}) ანალოგიურია სვანეთში, ეცერის

სამაროვანზე აღმოჩენილ XVII ს-ის დასასრულით დათარიღებულ თიხის მოჭიქული ჯამისა [7, გვ. 63, ტაბ. XLII].

მოჭიქული კერამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილა გავრცელებული სვანეთში. საამისოდ ყველაზე ადრეული არქეოლოგიური დასტურია ბენოში აღმოჩენილი მწვანე ჭიქურიანი დოქი, რომელიც საქართველოს ანალოგიური მონაპოვრების მიხედვით XII ს-ით თარიღდება [7, გვ. 63, ტაბ. XLIII].

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სვანეთის ეკლესიებში შემონახულია სხვადასხვა საუკუნეების ადგილობრივი მოჭიქული ჭურჭლის ნატყებები. სვანეთში მრავლადაა გამოვლენილი შორეული რაიონებიდან შემოტანილი მოჭიქული ჭურჭელი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ სახის ფუფუნების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების საბუთია.

ეკლესიის დასავლეთის მინაშენში აღმოჩნდა ირანული ვერცხლის მონეტა წარწერით: „არ არს ღმერთი გარდა აბასისა“ (სურ. 1), რომელიც სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლის, აბას II (1642-1666 წწ.) დროსაა მოჭრილი (მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ჯალაღანიამ).



სურ. 1

როგორც ცნობილია, სვანეთში მრავლადაა აღმოჩენილი ანტიკური და შუა საუკუნეების (ბიზანტიური, ქართული, სპარსული, თურქული, არაბული და სხვ.) მონეტები, რაც მნიშვნელოვანი საბუთია ამ მხარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისა [7, გვ. 56].

ეკლესიის თაღებით სამად დანაწევრებულ კანკელის ანალოგიური ფორმის კანკელები სვანეთის ეკლესიებში მრავლადაა (ადიშის მაცხოვარი – X-XI სს.; ადიშის წმინდა გიორგი – XI ს.; იელის წმინდა გიორგი – X-XI სს.; იფრალის მთავარანგელოზი – XI ს.; ნაკიფარის წმინდა გიორგი; ქურამის წმინდა გიორგი – XI ს. და სხვ.).

აღნიშნულ ეკლესიებში კანკელები ან ორნამენტირებული დეკორით არის მოხატული, ან წმინდანების გამოსახულებებით. როგორც შემორჩენილ ნიმბისა და რეგისტრის გამოყოფი გეომეტრიული ორნამენტის (ტაბ. VI₂) ფრაგმენტებით ირკვევა, ჰემსკილდში კანკელი წმინდანებით ყოფილა მოხატული. წმინდანების გამოსახულებით მოხატული კანკელები სვანეთში გვაქვს ლაგურკასა (XI ს.) და ქურამის „ჯგრაგში“ (XI ს.).

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში აღმოჩნდა სარკმლის სათაური ქვები, რომლებზეც აყვავებული (განედლებული) ჯვრის ფრესკული გამოსახულებაა (ტაბ. VI) და შირიმის ქვაში გამოკვეთილი ცხვრის თავ-კისერი, რომელიც ალბათ ფასადს ამკობდა. ანალოგიური რელიეფებით შემკულია წვირმის მთავარანგელოზისა (X ს.) და ნაკიფარის წმინდა გიორგის (XI ს.) ფასადები.

ჰეშკილდის არქეოლოგიურმა გათხრებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ეკლესიის ორი სამშენებლო პერიოდი: ზედა ჰორიზონტი წარმოდგენილია დასავლეთისა და სამხრეთის ოთხკუთხა სათავსოებით, ქვედა ჰორიზონტის ნაგებობა კი – დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიით.

ძეგლის სტრატეგრაფია, არქიტექტურული სტილის ანალიზი, არქეოლოგიური მასალის (რკინის ისრისპირები, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, ფრესკის ფრაგმენტები, პროტომა, მონეტა, არქიტექტურული დეტალები) შესწავლა და არსებული პარალელები საფუძველს გვაძლევს ჰეშკილდის წმინდა გიორგის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობის (ცენტრალური სათავსოს) აშენების თარიღად X-XI სს-ის მიჯნა მივიჩნიოთ, მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობისა (დასავლეთისა და სამხრეთის სათავსოები) კი XVI ს-ის ბოლო. XVII ს-ის ბოლოს ეკლესია წყვეტს არსებობს.

Sh. Chartolani, R. Khvistani, M. Tsindeliანი

ST. GEORGE OF HESHKILDI
(Summary)

In 1997-98 the Svaneti archaeological expedition (director Sh. Chartolani) carried out archaeological investigations at the site of the former church of St. George (site of the former village of Heshkildi) situated on the right bank of the river Inguri.

Archaeological materials, such as: glazed and non-glazed pottery, iron arrow-heads, a silver coin, copper rattles and bells and a candlestick, bronze hinge, head of the sheep, carved in travertine stone, capitals, columns, parts of an arch, fragments of frescoes, etc. revealed two construction horizons of the monument.

The lower horizon is represented by a small single nave darbazi-type church which was built at the turn of the 10th century (6,5 x 4,5 m).

The upper horizon is represented by store-room annexed to the building from the West (3,5 x 9 m) and the South (6,5 x 3,5).

At the end of the 17th century the church of St. George ceased functioning.

ლიტერატურა



1. **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
2. **თაყაიშვილი ე.** არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.
3. **ნიჟარაძე ბ.** ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბ., 1962.
4. **ორბელიანი სულხან-საბა,** ქართული ლექსიკონი. თბ., 1984.
5. **სვანეთი, I,** მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1977.
6. **ფილფანი ვ., ცხარვაშელი ჯ.** ხეშკილის ტრაგედია. - „ახალი სვანეთი“, № 71, 1979.
7. **ჩართოლანი შ.** მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. თბ., 1976.
8. **ჭილაშვილი ლ.** ურბნისი. თბ., 1964.
9. **Артилаквa В.** Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб., 1976.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა


- სურ. 1. ირანული მონეტა, ვერცხლი.
ტაბ. I – ჰეშკილდის წმინდა გიორგი. გეგმა და ჭრილები.
ტაბ. II – რკინის ისრისპირები.
ტაბ. III – 1. რკინის ჯვარი; 2-3. სპილენძის ჟღარუნები; 4-5-6. სპილენძის ზარაკები; 7. რკინის კვერთხისთავები; 8. სპილენძის სასანთლე.
ტაბ. IV – 1-9. რკინისა და სპილენძის ნალები; 10-14. ბრინჯაოს საკეტები.
ტაბ. V – 1-15. კერამიკა; 16, 17, 19, 27. მოჭიქული კერამიკა; 18. ძვლის ორნამენტირებული ფირფიტა.
ტაბ. VI – 1. აყვავებული ჯვარი; 2. გეომეტრიული ორნამენტ; 3,4. კაპიტელები.











Description of the Plates and the Figures

- Fig. 1 – Iranian silver coin.
Pl. I – Plan and section of the Church of st. George in Kheshkildi.
Pl. II – Iron arrow-heads.
Pl. III – 1. Iron cross; 2-3. Copper bells, cymbals; 4-6. Copper bells; 7. Iron heads of rods; 8. Copper candleholders.
Pl. IV – 1-9. Iron and copper horseshoes; 10-14 – bronze locks.
Pl. V – 1-15. Fragments of clay vessels; 16, 17, 19-27. Fragments of glazed pottery; 18. Bone plaque.
Pl. VI – 1. Blooming cross; 2. Geometric ornament; 3-4. Capitals.




சூ. II






ჭაბ. IV








ტაბ. VI






1



2



3



4

თინა აბულაშვილი

ბ. კუფტინის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ის დიდი წვლილი, რომელიც ბ. ა. კუფტინმა შეიტანა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში.

ბ. ა. კუფტინი საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებდა 1934-1951 წწ. მან შეისწავლა მრავალი ძეგლი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ხშირად ერთ სეზონში მას უწევდა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ძეგლების შესწავლა.

1934 წელს ბ. ა. კუფტინი მუშაობას იწყებს აფხაზეთში დოლმენების შესასწავლად, 1936 წელს მუშაობდა თრიალეთში ხრამქვის მშენებლობის ტერიტორიაზე, 1937-40 წლებში მან მუშაობა გააგრძელა აფხაზეთში და პარალელურად თრიალეთში. 1947-48 წლებში ბ. ა. კუფტინმა კვლავ განაახლა მუშაობა თრიალეთში, 1945-51 წლებში კი ჩაატარა თავისი ცნობილი სამარშრუტო ექსპედიცია სამხრეთ ოსეთსა და იმერეთში. იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს ბ. კუფტინის სამეცნიერო ინტერესთა სფერო, რომელიც მის საველე სამუშაოებშიც აისახა, წერილს ვურთავთ რუკას იმ პუნქტების ჩვენებით, რომლებიც მან შეისწავლა.

არქეოლოგიური ძეგლების მდებარეობა რუკაზე ნაჩვენებია რიცხვებით, რომლებიც შეესაბამება მათ რიგით ნომერს ტექსტში:

2. აზანთა – დოლმენები – 1934-1937, 1946 წწ.; გუდაუთის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].

3. ყულანურხვა – დოლმენები – 1936 წელი; გულრიფშის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].


4. თინარა – დოლმენები – 1934-1936 წლები; გუდაუთის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].

5. შრომა – დოლმენები – 1934-1936 წლები; გულრიფშის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].

6. აჭანდარა – დოლმენები – 1934-1936 წლები; გუდაუთის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].

7. დოუ – დოლმენები – 1934-1936 წლები; სოხუმის მახლობლად. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 217].

8. სული – დოლმენი – 1946 წელი; აზანთის



1. ეშერა – ნამოსახლარი; დოლმენები – 1934, 1937, 1946 წლები; ქ. სოხუმის მახლობლად. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [10, გვ. 139; 4, გვ. 217; 10, გვ. 14-16].

მახლობლად. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოხუმის მუზეუმში [4, გვ. 101].

9. ქ. ოჩამჩირე – ნამოსახლარი – 1935 წელი; ქ. ოჩამჩირის ნავსადგურის ტერიტორია, ოჩამ-

ჩირის ბორცვზე. აღმოჩენილი იქნა სამი კულტურული ფენა. მასალა ინახება აფხაზეთის სახ. მუზეუმში [12, გვ. 259].

10. დინა-გუქუბა – ნამოსახლარი – 1934-1935 წლები; სოფ. ანაკლია, ზუგდიდის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. შესწავლილია და გამოიყო ოთხი კულტურული ფენა. მასალა ინახება აფხაზეთის სახ. მუზეუმში [12, გვ. 257; 3, გვ. 12].

11. ნაოხგამუს ბორცვი – ნამოსახლარი, 1934-1935 წლები; სოფ. რეკა, სენაკის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, შესწავლილ და გამოყოფილ იქნა სამი კულტურული ფენა [12, გვ. 168-238; 3, გვ. 11].

12. დაბლაგომი – ნამოსახლარი და სამაროვანი – 1934-1936 წლები; სამტრედიის რაიონი, ნაციხვარისა და ნასაკირევის გორები. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [12, გვ. 1-20].

13. ნაჩრქეზევი – სამაროვანი – 1939 წ., 1951 წ.; ქ. საჩხერის დასავლეთი ნაწილი. გაითხარა 26 სამარხი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში [4, გვ. 123; 5, გვ. 268; 10, გვ. 65].

14. ცარცის გორა – ყორღანული სამარხი – 1945-46 წლები; ქ. საჩხერეს აღმოსავლეთი ნაწილი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში [4, გვ. 131; 5, გვ. 269; 10, გვ. 67].

15. ქორეთი – პასიეთი – ყორღანული სამარხები – 1945-46 წლები; საჩხერის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში [4, გვ. 135; 5, გვ. 269; 10, გვ. 79].

16. ბჟინევი – ბორცვი – 1945 წელი; საჩხერის რაიონი. ჩატარებული იყო დაზვერვითი სამუშაოები. აღმოჩენილია კულტურული ფენა [10, გვ. 67].

17. დურები – სამაროვანი – 1945 წელი; საჩხერის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 67].

18. ქულბაქები – ნამოსახლარი – 1944-45 წლები – ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები; 1950-51 წლები – გაითხარა სამარხები; ქ. ცხინვალის მახლობლად, სოფ. ოსების ფროსის დასავლეთით. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში [4, გვ. 19; 5, გვ. 187].

19. ძაღინა – სამაროვანი – 1951 წელი; ზნაურის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [4, გვ. 203; 5, გვ. 190].

20. ზღუდერი – სამაროვანი – 1944-45 წლები; ეკვრის ქ. ცხინვალს. ითხრებოდა 2 პუნქტში: 1. ზღუდრის გვერდა; 2. ზღუდრის ბორ-

ცვი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [8, გვ. 12; 5, გვ. 187].

21. ზილდი – ნამოსახლარი – 1945 წელი; კაკვასიონის მთავარ ქედზე, კალდოსანის უღელტეხილთან. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, კერამიკული მასალის მოპოვება ვერ მოხერხდა. გაკეთდა გეგმა და აზომვები [10, გვ. 37].

22. ბორცვი ცარცატა – 1945 წელი; დიდი ლიახვის აუზი, სოფ. ედისი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. აღმოჩნდა კვადრატული კომპო (5 × 5 მ) [10, გვ. 40].

23. ბორცვი შარშიატ-ყადზახი – სამაროვანი – 1945 წელი; მდ. ლიახვის ქვედა წელი, სოფ. სტირფახი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 40].

24. ნული – სამაროვანი – 1945 წელი; ზნაურის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [10, გვ. 48].

25. ცხინვალის (სტალინის) ნაცარგორა – ნამოსახლარი – 1945 წელი; ქ. ცხინვალის მახლობლად. აღმოჩენილია კულტურული ფენა. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [10, გვ. 54].

26. აგნევი – ყორღანი „ყვავის-საყდარი“, – 1945 წელი; ზნაურის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 52].

27. გორა – ყორღანი, ზნაურის რაიონი, სოფ. ხვწე. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 51].

28. კიბრაგა – ყორღანი – 1945 წელი; სოფ. დიდი-მუხა, ზნაურის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 51].

29. სამნიფერდა – ყორღანი – 1945 წელი; სოფ. დვანი, ქარელის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 51].

30. გორა – ყორღანი – 1945 წელი; სოფ. ავნევი, ზნაურის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [10, გვ. 51].

31. დვანის ნაცარგორა – გორა-ნამოსახლარი – 1945 წელი; ზნაურის რაიონი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები და აღინუსხა ძეგლები [10, გვ. 52].

32. კიკეთი – სამაროვანი – 1948 წელი; დაბა კიკეთი. სამაროვნის გარდა აღმოჩენილია ენეოლითური ხანის ფენა. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [2, გვ. 19].²⁹

33. ბეშთაშენი – ნამოსახლარი, სამაროვანი – 1936-1940 წლები; წალკის რაიონი, სოფ. ბეშთაშენის ჩრდილოეთით. ცნობილია როგორც „ენეოლითური“ კულტურული ფენა. მასალა

²⁹ გათხრების შედეგების გამოქვეყნება ვერ მოესწრო. ინფორმაცია მათ შესახებ მხოლოდ ექსპედიციის საველე ჩანაწერშია.

ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [7, გვ. 11; 5, გვ. 174].

34. ბარმაქისიზი – სამარხი – 1936 წელი; წალკის ზეგანი. წალკის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 7; 5, გვ. 169].

35. ტაშ-ბაში – სამარხი – 1936 წელი; წალკის ზეგანი, სოფ. დაშ-ბაში. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 7; 5, გვ. 169].

36. ოზნი – ნამოსახლარი, სამაროვანი – 1937, 1947-48 წლები; თრიალეთის ზეგანი, ზემო წალკა, სოფ. ოზნის (გუნია-კალა) სამხრეთ გარეუბანი. აღმოჩენილია კულტურული ფენა. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 8; 5, გვ. 167].

37. სანთა – ყორღანი – 1936 წელი; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 15].

38. წინწყარო – ყორღანი – 1940 წელი, წალკის რ-ნი, მდ. ალგეთზე. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 10, 14].

39. შეფიაკი – ყორღანები – 1938 წელი; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 11, 12, 20-21].

40. სანომერი – ყორღანები – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 14-19].

41. კუმჩი – ყორღანები – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 13, 24, 27].

42. ბაშკევის ხეობა – ყორღანები – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 22-23].

43. ნარდეგანი – ყორღანები – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 24-25].

44. ტაბაწყური – ყორღანები – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 27].

45. ტაბაწყურის ტბა – ყორღანები – 1936-40 წლები; ტაბაწყურის ტბიდან 1/2 კმ-ზე ყორღანული ველი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 27].

46. ფარავნის ტბა – ყორღანები – 1936-40 წლები; ფარავნის ტბის აღმოსავლეთით 2 კმ-ის მანძილზე. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [14, გვ. 13, 26; 7, გვ. 101].

47. ქციის ხეობა – ყორღანები – 1937 წელი; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [7, გვ. 101].

48. ბაიბურთი – სამარხები – 1937 წელი; წალკის რაიონი, მდ. მერიაკის მარცხენა ნაპირი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [7, გვ. 75].

49. საფარ-ხარაბა – სამაროვანი – 1936-40 წლები; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [7, გვ. 25].

50. ხადიკი – სამარხი – 1936 წელი; წალკის რაიონი, 1855 წელს აშენებული ეკლესიის კედელში. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [18, გვ. 30].

51. თაქ-ქილისა – ყორღანები – 1937 წელი; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [19, გვ. 128-137].

52. ყარაყომი – ყორღანი – 1939 წელი; წალკის რაიონი. მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [6, გვ. 16].

T. Abulashvili

FIELD ARCHAEOLOGICAL STUDIES OF B. KUFTIN UNDERTAKEN ON THE TERRITORY OF GEORGIA

(Summary)

The present paper aims at representation of the field archaeological activity of B. Kuftin in Georgia. The list of sites, excavated during 1934-1951 is appended:

1. Eshera. 2. Azanta. 3. Qulanurkhva. 4. Otkhara. 5. Shroma. 6. Achandara. 7. Dou. 8. Suli. 9. Ochamchira. 10. Anaklia. 11. Reka. 12. Dablagomi. 13. Nacherkezzevi. 14. Tsartsis Gora. 15. Koreti. 16. Bzhinevi. 17. Durebi. 18. Kulbakebi. 19. Dzaghina. 20. Zghuderi. 21. Zild. 22. Tsartsata. 23. Sharshiat-Kadzakh. 24. Nuli. 25. Natsargora of Tskhinvali (Staliniri). 26. Avnevi. 27. "Gora". 28. "Kibrava". 29. Samniparda. 30. "Gora". 31. Natsargora of Dvani. 32. Kiketi. 33. Beshtasheni. 34. Barmaksizi. 35. Tash-Bashi. 36. Ozni. 37. Santa. 38. Tsintsqaro. 39. Shepiak. 40. Sanomeri. 41. Kushchi. 42. Bashkev Gorge. 43. Nardevani. 44. V. Tabatsquri. 45. Lake Tabatsquri. 46. Lake Paravani. 47. Ktsia Gorge. 48. Baiburt. 49. Saphar-Kharaba. 50. Khadiki. 51. Tak-Kilisa. 52. Qaraqom.

ლიტერატურა

1. ფხაკაძე ვ. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1993.
2. ფხაკაძე ვ. ქვემო ქართლის ენეოლითი (კიკეთის ენეოლითური ძეგლები). თბ., 1963.
3. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგია-ფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით). თბ., 1997.
4. ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ ეტაპზე. თბ., 1961.
5. საქართველოს არქეოლოგია, ტ. II. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა. თბ., 1992.
6. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
7. Жоржикашвили Л., Гогодзе Э. Памятники Триалети эпохи Ранней и Средней бронзы. Тб., 1974.
8. Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция в бассейне рек Лиавхи, Проне, Квирила 1951 г. – ВГМГ, ХХХ–В, 1974, с. 131–153.
9. Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция в Юго–Осетию и Имеретию 1945 года. Тб., 1949.
10. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, т. I. Тб., 1941.
11. Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.
12. Куфтин Б. А. Древнейшие корни Грузинской культуры на Кавказе. – Газ. "Заря Востока," 1946 г., 28 сентября.
13. Куфтин Б. А. К проблеме энеолита внутренней Картли и Юго–Осетии. – ВГМГ, XIV–В, 1947, с. 67–88.
14. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. I. Тб., 1949.
15. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950.
16. Куфтин Б. А. Очаг древне–восточной культуры в Грузии. – Газ. "Заря Востока," 1939 г., 10 июня.
17. Куфтин Б. А. Раскопки в Цалке. Очаг культуры хеттской эпохи на территории древней Грузии. – Газ. "Вечерний Тифлис," 1938 г., 26 ноября.
18. Дневник работ археологического отряда Цалкской комплексной экспедиции, организованной комитетом по охране памятников культуры при С. Н. К. ССР Грузии в Цалкинском районе на территории подлежащей затоплению Храмгесом в 1936 году

(დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).

19. Дневник работ Цалкинской археологической экспедиции, организованной комитетом по охране памятников культуры при С. Н. К. ССР Грузии в Цалкинском районе на территории подлежащей затоплению Храмгесом в 1937 году (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).

არქეოლოგიის ისტორია HISTORY OF ARCHAEOLOGY

მარიამ მუშელაძე

სამკლესიო მუზეუმი თბილისში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ქართული სიძველეებისადმი. სულ უფრო და უფრო დიდ ყურადღებას იქცევს საქართველო და მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი ისტორიული თუ არქეოლოგიური მასალა. ჩამოსვლა იწყებს უცხოელმა მეცნიერებმა და კოლექციონერებმა, რომლებიც იძენდნენ უძველეს ნივთებს და გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ეწყობოდა ექსპედიციები როგორც მოსკოვის და პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოებების მიერ, ასევე ადგილობრივი ძალებით. ამ ექსპედიციებმა მრავალი საინტერესო არქეოლოგიური ნივთი თუ ისტორიული დოკუმენტი გამოავლინა. ხშირი იყო შემთხვევითი აღმოჩენებიც, რომლებიც ამა თუ იმ მშენებლობასთან ან სამიწათმოქმედო სამუშაოებთან იყო დაკავშირებული.

ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები ძირითადად სიძველეთა დილექტანტი მოყვარულები იყვნენ. მართალია, მათ გარკვეული ღვაწლი დასდეს კავკასიის სიძველეთა მოვლა-პატრონობას: აგროვებდნენ მასალებს, მოკლე ცნობებს აქვეყნებდნენ აღმოჩენების შესახებ, ზოგჯერ თხრიდნენ კიდეც ძეგლებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კოლექციების არადაამაყოფილებელი დოკუმენტაციის გამო, მათი მეცნიერული ღირებულება არასრულყოფილი იყო. ამავე დროს ადგილობრივი მოსახლეობის მძარცველურმა გათხრებმა შეიწირა არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი. სამაგიეროდ კავკასიიდან მიმდინარე კოლექციებით მდიდრდებოდა სხვადასხვა მუზეუმები როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ [12, გვ. 5-6].

ის მასალები კი, რომელიც საქართველოში რჩებოდა, გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას და მიუწვდომელი იყო მეცნიერული შესწავლისათვის. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უძველესი ქართული ხელნაწერები და წიგნები. აუცილებელი ხდებოდა საქართველოში დაარსებულიყო მუზეუმი, სადაც მოთავსდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სიძველეები, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ძვირფას მონაპოვარს დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა [7, გვ. 5].

ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს სიძველეებს მიაქცია ყურადღება, იყო საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის განყოფილება თბილისში 1850 წელს გაიხსნა. პირველსავე სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ თბილისში უნდა დაარსებულიყო მუზეუმი და არქივი. მართლაც, 1852

წლის გაზაფხულზე გაიხსნა მუზეუმი. მისი იმდროინდელი ადგილსამყოფელი იყო ალ. ჭავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში მდებარე სახლი. ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში [4, გვ. 6-7].

1863 წელს გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი დაიშალა. მუზეუმში დაცული ნივთები გადაეცა თბილისში ახალგაზსნილ „კავკასიის მუზეუმს“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. რადე. მუზეუმის დამაარსებელი იყო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი პლატონ იოსელიანი [8, გვ. 17], მაგრამ „კავკასიის მუზეუმი“ მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა ქართველი მოწინავე საზოგადოების ეროვნულ ინტერესებს. მუზეუმის არაქართველი ხელმძღვანელობა თავისი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე მუზეუმის ექსპონატებით გამდიდრებაზე. ამან განაპირობა ის, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენტთა შორის გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს თბილისში მუზეუმი-სათვის სპეციალური შენობა აგებულიყო.

1877 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა დიმიტრი ბაქრაძის წერილი, სადაც იგი წერდა: „სხვა ქვეყნებში, თითქმის ყველგან, ძველ ნაწარმოებებს, ძველ ხელნაწერებს ისე უყურებენ, როგორც კუთვნილებას მთელის ხალხისას. ამისათვის იქ მათ აგროვებენ ერთს რომელსავე ადგილას, სადაც ვისაც ჰსურს უფრო ადვილად შეუძლიან იმითით ისარგებლოს. იმათთვის არის ისტორიული და არქეოლოგიური მუზეუმი. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან იქონიოს საკუთარი, ნამდვილი ისტორია, რომელსაც თავისი მუზეუმი აქვს კარდია ყველა ისტორიული მასალების შემუშავების მოსურნეთათვის. უამისოდ შეუძლებელი საქმეა ხალხმა ისტორია იქონიოს“ [1, გვ. 1].

დიმიტრი ბაქრაძე მოუწოდებდა ყოველ ქართველს, რომ მიელო მონაწილეობა თბილისში მუზეუმის დაარსებაში, რადგან ფიქრობდა, რომ მუზეუმის გარეშე ისტორიის შექმნა შეუძლებელი იყო. ბაქრაძის აზრით, მუზეუმში თავი უნდა მოეყარა არა მარტო ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალას, არამედ ეკლესიებში არსებულ ნივთებსა და ხელნაწერებსაც. ამ საქმეში მას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. მაგ., დეკანოზი ლამბაშიძე წინააღმდეგი იყო საეკლესიო ნივთების ერთად თავმოყრისა. მისი აზრით, ეკლესიას თვითონ უნდა შეენახა და დაეცვა თავისი საკუთრება. ლამბაშიძემ ამ საკითხზე

რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ „მწვემსში.“

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს იყო ცდები თბილისში „ქართული მუზეუმის“ დაარსებისა. მუზეუმის შექმნის ინიციატორები ფიქრობდნენ საკუთარი ძალებით შეეგროვებინათ არქეოლოგიური თუ ისტორიული მასალა და მოეყვანათ სისტემაში. „ქართული მუზეუმის“ შექმნის იდეას მაღალ შეფასებას აძლევდა გაზეთი „დროება“: „რასაკვირველია ეს ძლიერ კარგი და სასარგებლო საქმეა, სასარგებლო მით უმეტეს, რომ ჩვენი „კავკასიის მუზეუმი“, რომელსაც დიდი საშუალება ეძლევა ხაზინიდან, ამ მხრივ თითქმის არაფერს არ არიგებს; ამ მუზეუმის ღირებულება უფ. რადღე უფრო თავისი ჯიბისათვის და თავისი სადგომის მდიდრულად მოწყობისათვის ცდილობს, ვინემ მუზეუმის გაძიდრებისათვის“ [6, გვ. 1-2].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გაძლიერდა საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის კულტურული და სამეცნიერო საქმიანობა. ქართული ეროვნული ძალების ინიციატივით დაარსდა ქართული სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა წიაღში შეიქმნა მუზეუმები. 1885 წელს დაარსდა მუზეუმი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ [2, გვ. 175], დაახლოებით ამავე წელს – ა. როინაშვილის კავკასიის მუზეუმი [3, გვ. 191]. ეს მუზეუმები ქართული კულტურის დაცვისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში საეკლესიო მუზეუმის დაარსებას, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო დიმიტრი ბაქრაძე. მან რამდენიმეჯერ მიმართა საქართველოს ეგზარქოსს პავლეს. იგი ცდილობდა თავისი მოთხოვნა ისე დაესაბუთებინა, რომ ინტერესი აღეძრა მეფის მოხელეთა შორის. თავის ვრცელ განცხადებაში დიმიტრი ბაქრაძეს ძალზე ბევრი ფაქტი მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ძეგლების გადარჩენისათვის სათანადო ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ. ასეთი მოთხოვნა დასაბუთებული იყო თვით ეგზარქოსის ინტერესების თვალსაზრისითაც. მაგრამ დიმიტრი უბრალო მოთხოვნით არ კმაყოფილდებოდა. იგი პრაქტიკულ ღონისძიებებსაც აყენებდა. ეს იყო ძეგლების დასაცავად სპეციალური შენობის შექმნა [5, გვ. 76].

განცხადებაში ბაქრაძე ეხებოდა მუზეუმის საორგანიზაციო საკითხებსაც. მისი მოთხოვნით საჭირო იყო მცოდნე პირთა დაგზავნა ადგილებზე სათანადო კატალოგების შესადგენად. თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ საქართველოს ეკლესია-მონასტრების ზედამხედველობისათვის უნდა დაევალებინათ, რომ მათ მცოდნე პირთა თანდასწრებით შედგენილ აღწერილობებთან ერთად მუზეუმში გადმოეგზავნათ სიძველეთა ყველა საგანი, რომელიც ინახება ზედამხედველთაგან მიწოდებული რაიონების ეკლესია-მონასტრებში.

მაგალითად ავეჯი, ტანსაცმელი, სიგელ-გუჯრები, ყველა წიგნი, როგორც ხელნაწერი, ისე დაბეჭდილი და სხვ.

ბაქრაძის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, მართლაც, მეტად სერიოზულად და მწვავედ დაისვა სათანადო მუზეუმის შექმნის საკითხი. ეგზარქოსმა, როგორც ჩანს, აღნიშნულ მოთხოვნებში საკუთარი ინტერესებიც საკმაოდ დაინახა და იძულებული გახდა ამ წამოწყებაზე დათანხმებოდა.

1884 წელს ჟურნალ „მწვემსში“ გაზეთ „კავკაზიდან“ გადმოიბეჭდა ცნობა, რომ მცირე ხანში შესრულდება დიდი ხნის სურვილი – საეკლესიო, არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმის თბილისში დაარსებისა: „ეს მუზეუმი იქნება იმ მუზეუმების მსგავსი, როგორებიც არიან პეტერბურღისა და კიევის სასულიერო აკადემიებთან. ამ მუზეუმისათვის საგანგებო შენობა იქნება აგებული“ [9, გვ. 11].

1886 წელს „მწვემსში“ კვლავ დაიბეჭდა ცნობა თბილისში საეკლესიო არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობის შესახებ, „თბილისში სიონის სობოროსთან დაწყებული შენობა საქართველოს ექსარქოსის არქიეპისკოპოსის თაოსნობით, სასულიერო ძველ შესანიშნავ საეკლესიო და საარხეოლოგიო ნივთთა შესანახად თითქმის დათავებულია. ეს შენობა მშენებრად არის მოწყობილი. შენობა ისე კარგად არის მოწყობილი, რომ ცეცხლის შიში არც შიგნიდან, არც გარედან, არასოდეს არ უნდა ჰქონდეს კაცს. მუზეუმს გარდა, შენობასთან არის გამართული სიონის კრებულისათვის ერთი ზალა წიგნების საკითხავად და მეორე საზოგადოებისათვის. აქვე არის აგებული სადგომი სობოროს დეკანოზისა... ამ შენობების აგების საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია სიონის კათედრის დეკანოზს მამა ესტატე ელიევს, რომლის დედაწლი სწორედ საქება“ [10, გვ. 11].

მუზეუმის მშენებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლოს 1889 წელს გაიხსნა კიდეც.

1889 წელს, 21 თებერვალს ვრცელი სტატიის დაიბეჭდა „ივერიაში“ ამ მუზეუმის შექმნის შესახებ. წერილის ავტორი იყო ილია ჭავჭავაძე. „დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დააარსოს მუზეი შესანახად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნაშთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარქოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო და საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშიც გამოცხადებული“ [11, გვ. 1-2].

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ მუზეუმის დაარსება ყოველი ქართველისა და საქართველოს მოყვარე კაცისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა და ისინი მაღლობის გრძნობით უნდა გა-

ნიმსჭვალონ მუზეუმის დამაარსებლების მიმართ „ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავებს და შესრულებამდე მიიყვანეს.“

მუზეუმთან ჩამოყალიბებულია საეკლესიო და საარქეოლოგიო განყოფილების საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც დაუნიშნავთ დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო წევრებად: დეკანოზი ნ.ა. კალისტოვი, რომელიც ასრულებდა მდივნის მოვალეობასაც, კანდიდატი კიევის სასულიერო აკადემიისა მღვდელ-მონაზონი ლეონიდი (ოქროპირიძე), მასწავლებელი სასულიერო სემინარიისა თ. ჟორდანიას, მასწავლებლები თბილისის სათავადაზნაურო სკოლისა ექ. თაყაიშვილი და ნ. მთვარელაშვილი, მასწავლებელი თელავის სასულიერო სასწავლებლისა ვ. ბარნოვი, მღვდელი სოფ. გურჯაანისა მამა პოლიევკტი (კარბელაშვილი).

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვინ არ იცის რამოდენა ძველი ნაშთია გაფანტული, აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში და ტაძრებში... რა უადგილოდ ჰყრია დღეს აქა-იქ მოუვლელად. რამდენი განძი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არხეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა განმავლობაში რამდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლა კი რაკი მუზეი არის, ყოველი ეს ერთ ადგილას თავს მოიყრის და ვინ იცის ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენი ისტორიის მაძიებელ მკვლევართა... დღეის იქით შიგ ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბება ეს ძველი ნაშთები, კაი ბინა ექნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი წესსა და რიგზე დალაგებული და ამ გზით ყოველს მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება“ [1, გვ. 1-2].

ილია ჭავჭავაძე იმედს გამოთქვამდა, რომ თუ მუზეუმის არჩეული ხელმძღვანელობა გულმოდგინეობას გამოიჩინებს, ოთხ-ხუთ წელიწადში მუზეუმში ისე გაძლიერდება და გაფართოვდება, რომ უამრავ ხალხს მოიზიდავს, რადგან იგი გამორჩეული იქნება „როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა“ [1, გვ. 1-2].

მართლაც, საეკლესიო და საარქეოლოგიო საბჭოს წევრებმა დიდი მონდომებით დაიწყეს ექსპონატების შეგროვება. მუზეუმში თავი მოუყარეს მცხეთის, გარეჯის, სოხუმის, სამთავროსა და სხვა მასალებს. მუზეუმი თანდათან მდიდრდებოდა. გარდა საეკლესიო ნივთებისა, მუზეუმში შედიოდა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა, ძველი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და სხვა.

1898 წლისათვის მუზეუმში დაცული ყოფილა 366 ხელნაწერი, 938 სიგელი და 55 სხვადასხვა საგანი. საეკლესიო მუზეუმმა განსაკუთრებით გააფართოვა მუშაობა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა მოსე ჯანაშვილი. იგი 1897 წელს დაინიშნა საეკლესიო მუზეუმის გამ-

გედ. მოსე ჯანაშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის საეკლესიო მუზეუმის გაფართოებასა და ექსპონატებით გამდიდრების საქმეში. იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა და მკაცრ კონტროლს უწევდა მუზეუმში დაცულ თითოეულ ნივთს. მისი ნებართვის გარეშე არავის შეეძლო მუზეუმის ექსპონატებით სარგებლობა. ჯანაშვილის პირად არქივში, რომელიც დაცულია პროფ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ვხვდებით უამრავ ხელწერილს, რომელსაც იგი ართმევდა მუზეუმში მომუშავე პირებს, ან იმ ადამიანებს, რომლებსაც ესა თუ ის წიგნი ან ხელნაწერი მუზეუმიდან გაჰქონდათ.

საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილთან ერთად დიდი სამეცნიერო სამუშაოები ჩაატარეს თ. ჟორდანიამ, ვ. ვარძელაშვილმა, ი. აბულაძემ და სხვებმა. მათ შეადგინეს სამუზეუმო ნივთების ქრონოლოგიური, სისტემური და ანბანური კატალოგი.

900-იანი წლების დასაწყისში თედო ჟორდანიამ და მოსე ჯანაშვილმა შეადგინეს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა საეკლესიო მუზეუმის კოლექციების მიხედვით – "Описание рукописей Тифлисского церковного музея." აღწერილობა წარმოადგენდა სამტომეულს, პირველი ორი წიგნის ავტორი იყო თედო ჟორდანიას (1902, 1903 წწ.), ხოლო მესამე წიგნისა – მოსე ჯანაშვილი (1908 წ.). შემდეგ ამ ხელნაწერთა ახალი აღწერილობა შეადგინა ხალნაწერთა ინსტიტუტმა.

1914 წელს მოსე ჯანაშვილმა შეადგინა და გამოსცა საეკლესიო მუზეუმში დაცული მასალის კატალოგი: "Каталогъ предметовъ Церковнаго музея Грузинскаго духовенства, сост. М. Г. Джанашвили. Тифлис. 1914 г." ამ კატალოგში მოცემული იყო საეკლესიო მუზეუმში დაცული მთელი მასალა. კატალოგი 9 განყოფილებისაგან შედგებოდა და მასში ცალ-ცალკე იყო დაჯგუფებული როგორც საეკლესიო ნივთები, ისე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ სხვა მასალა.

საეკლესიო მუზეუმს იმთავითვე გამოუწვევია ფართო საზოგადოების ინტერესი. მუზეუმში დაცული ექსპონატების დასათვალისწინებლად მოდიოდნენ არა მარტო თბილისელები, არამედ სხვა ქალაქების მცხოვრებნიც. ეწყობოდა კოლექტიური ექსკურსიებიც. მუზეუმში გამოფენილი ექსპონატებით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც. მ. ჯანაშვილის პირად არქივში ვხვდებით დოკუმენტებს, საიდანაც ჩანს, რომ მუზეუმი სხვადასხვა დროს დაუთვალისწინებიათ ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის, ქუთაისის საოსტატო სემინარიის, ყარსის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს. აქვეა აღექსანდრე ზაქარაიას ძე ჭავჭავაძის თხოვნა მ. ჯანაშვილისადმი იმის თაობაზე, რომ მან საეკლესიო მუზეუმი დაათ-

ვალერებინოს მეფისნაცვლის ქალიშვილს - გრაფინია შუვალოვას.

საეკლესიო მუზეუმში დაცულ მასალებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ანასტასია ამირეჯიბი, ნინო ლასნიშვილი, პავლე ინგოროყვა, ილია კობაიძე, ფრანგი მეცნიერი აიპარი და სხვები.

მუზეუმში დაცული ექსპონატები იგზავნებოდა საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჯანაშვილის არქივში დაცული დოკუმენტი - ვ. ედილაშვილის ხელწერილი საეკლესიო მუზეუმიდან ლაიპციგის გამოფენაზე გასაგზავნი წიგნების მიღების შესახებ. მუზეუმის მასალები იგზავნებოდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში, სააზიო მუზეუმში და სხვა.

საეკლესიო მუზეუმი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. წიგნებით ამარაგებდა სხვადასხვა სასწავლებლებს. მას სხვადასხვა დროს წიგნები შეუწირავს პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო კურსებთან არსებული „ქართული სამეცნიერო წრისათვის“, ყარსის ქალთა გიმნაზიისათვის და სხვა.

თავისი არსებობის მანძილზე საეკლესიო მუზეუმმა დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა, ხოლო როდესაც თბილისში დაარსდა უნივერსიტეტი, 1921 წელს საეკლესიო მუზეუმის მასალები გადაეცა ახლადშექმნილი უნივერსიტეტის სიძველეთა საცავს. მასალები ჩაუბარებიათ კორნელი კეკელიძეს და აკაკი შანიძეს. მოსე ჯანაშვილი დაუნიშნავთ სიძველეთა საცავის გამგის ასისტენტად.

დღეს საეკლესიო მუზეუმის ექსპონატების ნაწილი ინახება ხელოვნების მუზეუმში - ძირითადად საეკლესიო ნივთები, აგრეთვე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო ხელნაწერები მთლიანად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტში არსებობს ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტების კოლექცია, რომელთა ქრონოლოგიურ კატალოგში შესულია X-XIX საუკუნეების 2471 დოკუმენტის ანოტაცია. კატალოგს აგრეთვე ახლავს დამატება - 219 ხელნაწერი.

საეკლესიო მუზეუმის დაარსებას თბილისში დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ეროვნული მუზეუმი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს მდიდარი წარსულის წარმოჩენისა და შესწავლის საქმეში.

M. Mumladze

Church Museum in Tbilisi

(Summary)

The archaeological finds from Georgia were often exhibited in various museums or found their way into private collections in the second half of the 19th century.

Growing interest in antiquities of Georgia led to foundation of a national museum. The first National Museum that was destined to play the most significant part in the study of the historical past of Georgia was solemnly inaugurated in February 1889 in the yard of Sioni Cathedral.

ლიტერატურა

1. **ბაქრაძე დ.** ივერია, 1877 წ., № 8.
2. **ბოლქვაძე ს.** მუზეუმები. - ქსე, საქართველოს რესპუბლიკა, თბ., 1981.
3. **ბოლქვაძე ს.** მუზეუმები. - ქსე, ტ. 7. თბ., 1984.
4. **გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1996.
5. **დუმბაძე მ.** ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950.
6. **დღიური.** დროება, 1878 წლის 22. 10. № 191.
7. **მუმლაძე მ.** საეკლესიო მუზეუმი თბილისში. - ახალგაზრდა ივერიელი, 1989 წლის 21. 10. № 125.
8. **საქართველოს არქეოლოგია**, ტ. I. თბ., 1991.
9. **სხვადასხვა ამბები და შენიშვნები.** - მწყემსი, 1884, № 22.
10. **სხვადასხვა ამბები და შენიშვნები.** - მწყემსი, 1886, № 34.
11. **ჭავჭავაძე ილ.** ივერია, 1889 წლის 21. 02. № 33.
12. **ჯაფარიძე თო.** საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.

ექვთიმე თაყაიშვილი
(1863-1953)



ცნობილი ქართველი მეცნიერი და სწორუბოვარი საზოგადო მოღვაწე ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წ., სოფ. ლიხაურში (დღევანდელი ოზურგეთის რ-ნი). მან დაწყებითი განათლება მიიღო ქ. ფოთის სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1883 წელს დაასრულა ვერცხლის მედლით. იმავე წელს ექ. თაყაიშვილი ჩაირიცხა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1887 წელს დაამთავრა.

1887 წელს ექ. თაყაიშვილი მიიწვიეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ისტორიის, გეოგრაფიის, ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებლად. 1894 წელს იგი დაინიშნა ამავე სკოლის გამგედ, ამ მოვალეობას 1904 წლამდე ასრულებდა.

ექ. თაყაიშვილი ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1888 წ. იგი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ხოლო 1889 წ. – ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის მიერ დაარსებულ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად. ამავე პერიოდში დაიწყო ექ. თაყაიშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა. პირველი მისი ნაშრომი „რამდენიმე ქართული ხელნაწერის აღწერილობა“ დაისტამბა 1890 წელს გაზ. „ივერიაში.“

საქართველოს ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა, კრებდა არქეოლოგიურ მასალებსა და ისტორიულ ხელნაწერებს. ექვთიმე თაყაიშვილმა არქეოლოგიური გათხრები აწარმოა: 1889 წელს მცხეთაში, ბაგინეთთან დიმიტრი ბაქრაძის დავალებით; 1894 წელს სოფ. ვორნაკში, მდ. დებედის ხეობაში; 1896 წელს ვანში, მდ. სულორის ხეობაში; სოფ. საჯავახოსთან (სამტრედიის რ-ნი); სოფ. ხუცუბანთან (ქობულეთის რ-ნი); მდ. სკრის ხეობაში გორის მახლობლად; სოფ. წალკაში, იმერში, ბეშქენაშენში, თონეთში, მანგლისში (თრიალეთი); 1902 წელს მცხეთაში, რკინიგზის სადგურიდან დასავლეთით სამ კილომეტრზე; 1907 წელს კოლაოლთისში, ბანაში, ტაოსკარში, ჩანგლში, ფანასკერტში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია); 1910 წელს ლაჯანაში, ორბელში, ოყურეშში, ცაგერში (ლენჩხუმი), ლენტეხში, მახაშში, უშგულში, იფარში, მესტიაში, ლენჯერში, ლატალში (სვანეთი); საჩხერეში; 1912 ბორჯომის ხეობაში მდ. ბანისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან; 1917 წელს ოშკში, ხახულში, იშხანში, ექიქში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია); 1919-1920 წლებში გლოლაში, ჭიორაში, ღებში, ონში, მრავალძალში, სხვაგაში, ნიკორწმინდაში (რაჭა).

ექ. თაყაიშვილმა 1908 წელს აღწერა და შეისწავლა სოფ. ბორში მოპოვებული ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები. ამავე წელს თაყაიშვილმა შეაგროვა და კავკასიის მუზეუმს (დღევანდელი საქართველოს სახ. მუზეუმი) გადასცა „ახალგორის განძის“ სახელით ცნობილი სოფ. სამეგურთან (ქსნის ხეობა) მიწის სამუშაოების დროს ნანახი საყურადღებო ნივთები და სოფ. ახალქალაქთან (კასპის რ-ნი) ნაპოვნი ბრინჯაოს ცულები და რამდენიმე ზოლი.

ექ. თაყაიშვილი 1894 წ. არჩეულ იქნა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის, ხოლო 1901 წ. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. იგი იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობის წევრი.

1905 წ-დან 1918 წ-მდე ე. თაყაიშვილი იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივანი და ამ საზოგადოების კრებულის ერთ-ერთი რედაქტორი. 1907 წელს ე. თაყაიშვილმა დაარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება,

რომელსაც 1921 წლამდე ხელმძღვანელობდა. მისი რედაქტორობით გამოვიდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო“ (4 წიგნი) და „საქართველოს სიძველენი“ (3 წიგნი). 1917 წ. ე. თაყაიშვილი დაინიშნა ნ. მარის მიერ დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. ექ. თაყაიშვილი იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, სადაც არქეოლოგიის კურსს კითხულობდა. 1918 წ. 21 მაისს უნივერსიტეტის საბჭომ მას მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1921 წლის დასაწყისში ე. თაყაიშვილმა ითავა გაყოლოდა საფრანგეთში წაღებულ საქართველოს მუზეუმების ისტორიულ განმს, რომელსაც 25 წლის განმავლობაში ერთგულად იცავდა. იქ ყოფნისას მეცნიერი გახდა საფრანგეთის ნუმიზმატიკური საზოგადოებისა (1922 წ.) და პარიზის აზიური საზოგადოების (1925 წ.) წევრი. 1945 წლის აპრილში ე. თაყაიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ჩამოიტანა საქართველოდან წაღებული სამუზეუმო განძეულობა. იმავე წლის 15 აპრილს იგი დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. 1946 წლის 28 დეკემბერს ექ. თაყაიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ექ. თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს, დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ექ. თაყაიშვილი ავტორია მრავალი ქართველოლოგიური სამეცნიერო შრომისა, აქედან არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომებია:

Заметка на статью И. П. Ростомова "Ахалкалакский уезд в археологическом отношении". – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXV, Тифлис, 1898, с. 134-136; არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (საჩინო, ვანი), ჟურნ. „მოამბე“, № 12, 1900, 1-24; არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (გურია, აჭი, ლეჩხაური, მაკვანეთი, გურიანთა, გორისფერდი და შემოქმედი), ჟურნ. „მოამბე“, № 2, 1901, გვ. 19-36; იგივე (ურბნისი), ჟურნ. „მოამბე“, №13, 1901, გვ. 42-60; არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (ახალქალაქი; ხელნაწერები და წიგნები, კედლების წარწერები, ხატები, წიგნები, ეპიტაფიები), ჟურნ. „მოამბე“, № 2, 1902, გვ. 1-15; არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (თელავი), ჟურნ. „მოამბე“, № 7, გვ. 1-18; Грузинские памятники окрестностей Белого-Ключа. – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологиче-

ского общества, вып. I, 1904, Тифлис. с. 1-46; Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кавказском Музее в Тифлисе, – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. I, 1904, Тифлис, с. 56-73; Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Императорской археологической комиссии летом 1902 г. близ станции Мцхет. – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. I, 1904, Тифлис, с. 79-89; Из археологических экскурсий по гурийским церквам (Адчи, Лехаури, Дзимити, Байлети, Макванети, Горисперди, Кеда, Гурианта, Цихе, Шемокмеди. – Известия Кавказского отделения Московского Археологического общества, вып. II, 1907, Тифлис, с. 63-69; Археологические экскурсии, разыскания и заметки. – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. II, 1907, Тифлис, 56 с.; Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. II, под ред. Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, 1907, Тифлис; Протоколы Кавказского отделения Моск. Арх. Общества – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. II, 1907, Тифлис; архეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (იმერეთი, გურია, ქართლი), წიგნი I, წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა, ტიფლისი, 1907, 296 გვ.; Материалы по археологии Кавказа. Христианские памятники. Экскурсия Е. Такайшвили 1902. Изд. Московского Археологического Общества, Вып. XII, 1909, 164 с.; კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიურის მიზნით (წერილი რედაქციის მიმართ) ე. თაყაიშვილისა და ალ. სარაჯიშვილისა, იქ შეკრებილი ნივთებისა და შემომწირველთა სიით. „სახალხო გაზეთი“, 1911, №№ 404, 405; Археологические экскурсии, разыскания и заметки. Тифлисская губ. Борчалинский уезд. Триалетское приставство. – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XLIII, 1913. с. 11-144; Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. III, под ред. Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, 1913, Тифлис; Протоколы Кавказского отделения Моск. Арх. Общества.

– Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. III, 1913, Тифлис; არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (სამეგრელო), წიგნი II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ტფილისი, 1914, 304 გვ.; Археологические экскурсии по Кутайской губернии. – Археологические экскурсии по Душетскому уезду Тифлисской губернии. – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XLIV, 1915, с. 1-146; Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. IV, под ред. Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, 1915, Тифлис; Протоколы Кавказского отделения Моск. Арх. Общества – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. IV, 1915, Тифлис; არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 440 გვ.; არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, 87 გვ.; Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Тбилиси, 1952, 101 с.; მოგონებანი – ჟურნ. მნათობი, 1958 წ. №№ 4, 5, 7, 11, 12; 1959 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9; 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960; არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963; რჩეული, ტ. I, თბილისი, 1964.

ლიტ.: ბადრიძე შ., მეტრეველი რ. ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი, 1962; აკ. ექ. თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია. თბილისი, 1963; აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. – სტატიების კრებული, თბილისი, 1966; სურგულაძე აკ. ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი, 1977; ჟორდანიას გ. დაბრუნებული საუნჯე. თბ., 1983; მეგრელიძე ი. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 1989; ლომთათიძე გ. ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი, 1990; საქართველოს არქეოლოგია, ტ. I. თბილისი, 1991, გვ. 31-35; გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. 1996, გვ. 19-22.

მაია ჩარკვიანი

1999 წლის საველე სამუშაოები

1999 წელს ველზე იმუშავა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თერთმეტმა ექსპედიციამ და რაზმმა.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. გაბუნია) მცირედ გააფართოვა ახალქალაქის ამირანის გორაზე წინა წლებში გავლებული პალეოლითური ძეგლის თხრილი, თუმცა, ამჯერად ამას არქეოლოგიური მასალა არ მოჰყოლია.

ღმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პალეოლითურმა რაზმმა (რაზმის ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. ნიორაძე. სამუშაოები დააფინანსა და გათხრებში მონაწილეობდა ქ. მაინცის რომაულ-გაერმანული ცენტრალური მუზეუმი) მუშაობა გააგრძელა ნაქალაქარის ტერიტორიის პალეოლითური ძეგლის I და II გასათხრელ მოედანზე. მანამდე ერთი თვით ადრე კი გადარჩენის მიზნით თხრილის ჭრილიდან ამოღებულ იქნა წვიმებით გაშიშვლებული Homo erectus-ის თავის ქალა. I მოედანზე გათხრებით დადგინდა, რომ ე.წ. ქერქსა (III ფენა) და ბაზალტის ლავებს შორის ფენების წარმოშობა წყლის მოქმედებით ყოფილა დაჩქარებული. I გასათხრელი ფართობის III ფენაში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ქვის მასალა და ცხოველთა ძვლები. ქერქის ქვეშ IV-V ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთებს (323 ერთეული), ქვის მასალა კი მხოლოდ 93 ნიმუშითაა წარმოდგენილი. სწორედ ამ IV ფენაში კვ. 50/63-ის S-T ჰორიზონტში აღმოჩნდა ზემოთ აღნიშნული Homo erectus-ის თავის ქალა, 1999 წლის 22 ივლისს კი – კვ. 52/62-ის IV ფენაში U-V ჰორიზონტზე მიკვლეულ იქნა Homo-ს კიდევ ერთი თავის ქალა ზედა ყბის ფრაგმენტით. ამავე ფართობზე მიკვლეულია ცხოველთა ძვლები, რომლებიც ადრეემოთხეულ ფაუნას მიეკუთვნება.

კასპის რაიონის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ზ. მანარაძე) საბიუჯეტო თანხებით დაასრულა „იორამის გორის“ № 1 ყორღანის ყრილის შესწავლა და გააგრძელა „ციხიაგორის“ № 1 გათხრები, სადაც ბორცვის სამხრეთ კიდეზე, კარიბჭის აღმოსავლეთით, გამოვლენილ და გაწმენდილ იქნა ალიზით ნაგები გალავნის კედელი თავისი კონტრფორსით, და თიხატკეპნილი 4 მ სიგანის გზა, in situ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებით. ექსპედიციამ გააგრძელა სამუშაოები ბორცვის თხემზეც, სატაძრო კომპლექსის დიდი ეზოსა და ტერასის შესასწავლად. ეზოს თიხატკეპნილი დონის ქვეშ გამოვლინდა 15-20 სმ სისქის ხრემის ფენა, მის ქვეშ კი – ქვაფენილი,

რომელშიც დადასტურდა ორმო-კოლექტორის-კენ მიმართული ორი წყალსაწრეტი ღარი. ტერასის შესწავლისას გაიწმინდა მეოთხე სამშენებლო დონიდან ჩაჭრილი ძაბრისებრი ორმო, რომელიც ორმოცზე მეტი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტით იყო ამოვსებული. აქ აღმოჩენილი კერამიკა დამატარიდებელი მნიშვნელობისაა და ტერასის შემდგომმა შესწავლამ შესაძლოა ელინისტური ხანის კერამიკის სტრატეგრაფიული შკალის შესადგენად კარგი საფუძველი შექმნას.

კუხეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ც. ჩიკოიძე) ბაქო-სუფსის მილსადენის თანხებით არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა მილსადენის ვაზიანი-ახალი სამგორის უბანზე. შესწავლილ იქნა ვაზიანის № 1 დაზიანებული ყორღანი. დაზიანებული ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხი, რომლის ყრილითაც გადაფარული აღმოჩნდა ენეოლითური ხანის ნასახლარის დაზიანებული ნაშთები, ობსიდიანის ფირფიტებზე დამზადებული იარაღებითა და წრიული ნაგებობის ჩაღრმავებით – ძვ.წ. IV ათასწ. შუახანები. მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე გადარჩენის მიზნით გაითხარა სამხედროების მიერ დაზიანებული სამაროვნის მცირე ნაწილი (№№ 1-3 სამარხები), რაც საშუალებას იძლევა იგი ზოგადად გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნოს. შემდეგი ძეგლი იყო შუა ბრინჯაოს ხანის № 3 დაზიანებული ყორღანი, რომლის ყრილიც სანგრებით იყო გადაჭრილი. ყორღანის ორმო (3x 3,5x1,7 მ), რომელიც ურმის ძარის მოყვანილობისა იყო, შეიცავდა მხრებმომრგვალებულ სატარეგახვრეტილ ბრინჯაოს სატევარს და შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ შავპრიალა კერამიკას – ძვ.წ. XVIII ს.

წალკა-თრიალეთის ექსპედიციის (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. ნარიმანიშვილი) მიზანს ამ რაიონში არსებული „ციკლოპური“ ნასახლარებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა შეადგენდა. ჩატარებულმა სამუშაომ აშკარა გახადა ამ ძეგლებზე დღევანდელი ანთროპოგენული პროცესების მკვეთრ ზეგავლენა. ექსპედიციამ, წალკის წყალსაცავის დონის მკვეთრი დაცემისა და ფსკერის გაშიშვლების შედეგად გამოვლენილი ძეგლების დასაფიქსირებლად და გადასარჩენად სამუშაოები გააგრძელა ნოემბრის თვეშიც. წყალსაცავის ფსკერზე გაკეთებული აღმოჩენებიდან უმნიშვნელოვანესი იყო შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებთან დადასტუ-

რებული ქვით დაგებული, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული, გრანდიოზული სარიტუალო-საპროცესიო გზები. ექსპედიციამ აგრეთვე გათხარა წყლით გადაარეცხილი ბედენური კულტურის ერთი ორმოსამარხი, ბრინჯაოს ხანის II ქვაყუთი და წამოიწყო ორი ყორღანის გათხრა, რომელთაგან ერთის დასრულება თოვლის მოსვლის გამო ვეღარ მოხერხდა. წყლისაგან განთავისუფლებული ფსკერი, ძეგლების კონცენტრაციის მიხედვით, ოთხ უბნად დაიყო, ტოპოგრაფიულად აივებდა და აღირიცხა იქ არსებული ძეგლები. I უბანზე ბ. კუფტინის XV ყორღანის გვერდით გაითხარა ძვ.წ. IV ს-ის კვერით გადახურული ორმოსამარხი, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ დაკრძალულ ორ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს და ვერცხლის სამკაული და მცირე ზომის ზარაკები. აქვე გაითხარა რამდენიმე კენოტაფიც. III უბანზე დაფიქსირდა წაქცეული მენჰირი ზედ ამოკვეთილი ზიკურატის მსგავსი და ორი სპირალის ამოკვეთილი გამოსახულებით. IV უბანზე გაითხარა ზემოაღნიშნული II ქვაყუთი, რომლებიც ბრინჯაოსა და რკინის იარაღს შეიცავდა და ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

კოლხეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. რ. პაპუაშვილი) სამუშაოებს აწარმოებდა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ერგეტაში, ხობის რ-ნის სოფ. ყულევში და ზვერავედა მდ. რიონისა და ენგურის ქვემო წელს. ერგეტის II სამაროვანზე დაფიქსირდა და გასათხრელად იქნა მომზადებული №№ 5-7 სამარხი ორმოები, რომლებიც წინასწარულად ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით ან VI ს-ის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს. შ.პ.ს. „ტერმინალ 2000“-თან დადებული ხელშეკრულებით ექსპედიციამ სადაზვერვო თხრილებით მოსინჯა მდ. ცივისა და ხობის ხერთვისთან მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორია. თხრილებმა გამოავლინა თიხით შებათქაშებული ძელური ნაგებობების ნაშთები, რომლებიც ძლიერი ხანძრით არის განადგურებული. მოპოვებულია დიდი რაოდენობით კერამიკული მასალა და რამდენიმე ქვის ნივთი. კერამიკაში საკმაოა იმპორტული – ე.წ. ატიკური შავ-ლაკიანი კილიკები და სკიფოსები, ქიოსური, მენდური და სინოპური ამფორები, რის გამოც დასახლება ძვ.წ. V-IV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ექსპედიციას დიუნების მოსინჯვისას ასევე შეხვდა XVIII-XIX საუკუნეების უინვენტარო სამარხებიც.

ვანის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ოთ. ლორთქიფანიძე) სამუშაოები გააგრძელა ნაქალაქარის სამ უბანზე. ქვედა ტერასაზე მან მთელ სიგრძეზე გაწმინდა მონუმენტური ღარი და აღმოაჩინა ვერცხლის მონეტა, ე.წ. ატიკური ტიპის სვეტის ორი ბაზისი და „ყავისფერკეციანი“ ამფორები. ამ უბანზე გამოვლინდა სასა-

ზღვრო კედლის პარალელური, დედაქანში ჩაჭრილ „ბუდეებში“ ჩაწყობილი კვადრების ერთი რიგი და ქვაყრილში მოქცეული კირქვის კაპიტელი. გათხრები გრძელდებოდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთშიც. კერძოდ, შესწავლილ იქნა გამოქვაბულის დაახლოებით 10 მ სიგრძის მონაკვეთი, რომლის შესასვლელიც რიყის ქვებით იყო დახშული და რიყის ქვებით საგანგებოდ მთლიანად შეკსებული; შესასვლელიდან 3,2 და 5,2 მ სიღრმეში კი რიყის ქვის თითო მეტრის სიმაღლის კედლებით იყო გადაღობილი. ქვაბულს, რომელიც პოლიგონალური კოშკის ქვეშ შედიოდა, სიღრმეში გასასვლელი არ აღმოაჩნდა და, როგორც ჩანს, კოშკის აშენებამდე იყო გამოღობული. გაგრძელდა აგრეთვე კოშკზე მიშენებული კურტინის შიდა ფართობის შესწავლაც. აქ კრამიტყრილში აღმოჩენილ იქნა ორი დამდიანი ყავისფერკეციანი კოლხური კრამიტის ფრაგმენტი. კურტინის მიმდებარე ფართობზე კი აღმოჩნდა როდოსული ამფორის დამდიანი ყური და მცირე ზომის ქვის საკურთხეველი. ექსპედიციამ დაიწყო ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, ფერდობზე, თირში ჩაჭრილი „ნიში“ შესწავლა, რომელშიც აღმოჩნდა სინოპური დამდიანი კრამიტისა და კირქვისგან დამზადებული ვაზის ფრაგმენტები. სამუშაოები ჩატარდა ნაქალაქარის ზედა ტერასის რამდენიმე უბანზეც. საინტერესო გამოდგა 214-ე ნაკვეთის ხ₆₋₉-ც₆₋₉-d₆₋₉ კვადრატებში გამოვლენილი, თირში ამოღებული ორმო, რომლის იატაკზეც აღმოჩნდა ქოთანის, სამი ამფორა, თიხის გაურკვეველი ნივთი და რკინის სამი სატევარი. ზედა ტერასის ნაკვეთ 176-ის f₂₋₅-g₂₋₅-h₂₋₅ კვადრატებში გაჭრილ თხრილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა როგორც იმპორტული, ისე კოლხური კერამიკის ფრაგმენტები. განსაკუთრებით ბევრია სხვადასხვა კრამიტის ნატეხები. კრამიტყრილის ქვეშ აღმოჩნდა თიხნარი, მის ქვეშ კი რუსტებიანი ქვიშაქვის ბლოკებით ნაგები შენობა. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ისევე როგორც მის წინ გამართული სამსხვერპლო მაგიდა. ამავე ფართობზე, ქვაბულის ფსკერზე აღმოჩნდა ტანსაცმელზე დასაკერებელი, ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ორი ზურშექცეული ჩიტის გამოსახულება და შეწყვილებული ოქროს სფერული მძივი. ორივე ნივთი ტიპიურია ელინისტური ხანისათვის.

პიდროთარქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. გ. გამყრელიძე) აშშ ტეხასის შტატის უნივერსიტეტთან არსებულ საზღვაო არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად გააგრძელა ქ. ფოთის შემოგარენის – ზღვის შეღვის და პალიასტომის ტბის, წყალქვეშა არქეოლოგიური შესწავლა ქ. ფასისის პრობლემის კუთხით. ზღვის ფსკერის 20-30 მ სიღრმეზე კვლევას არქეოლოგიური მასალა არ მოუცია. პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში კი ადგილ „ნატეხებში“ ექსპედიციამ კვლავ დაა-

დასტურა III-VIII საუკუნეების არქეოლოგიური მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპერატორ კონსტანციუსის (337-361 წწ.) სპილენძის მონეტის აღმოჩენა.

სვანეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. შ. ჩართოლანი) გათხრითი დაზვერვები ჩაატარა მესტიის რაიონში, სადაც კალას თემში სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის 11 ძეგლი აღირიცხა. ექსპედიციამ მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა კალას თემის შემდეგ ძეგლებზე: „ლაგურკა“ – წმ. ივლიტას და კვირიკეს ეკლესიის ეზოში და მის გარეთ. ლაგურკის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვითინის სამსხვერპლოს გათხრისას აღმოჩნდა შეწირული ნივთები – კერამიკა, სარდიონის და მინის მძივები, რომლებიც ძვ.წ. VI-IV და III-II სს. განეკუთვნება. ლაგურკაზე ახლად აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ეს ძეგლი შეიცავს სამონასტრო ცხოვრებისათვის აუცილებელ ნაგებობათა კომპლექსს. ძეგლი მიწისძვრით ჩანს დანგრეული. ექსპედიციამ მოსინჯა აგრეთვე ლურის ციხე-კოშკიც, რომელიც მოპოვებული მასალის მიხედვით, წინასწარულად განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ექსპედიციამ იმუშავა ჰემიკილდის ნასოფლარის წმინდა ბარბარეს („ბარბალ“) ნაეკლესიარზეც, სადაც სხვადასხვა სახის მასალასთან ერთად დაადასტურა ბათქაშები ფრესკის ფრაგმენტებით. აქვე აღმოჩნდა ე.წ. ბოლნური რელიეფური ჯვარი, რომელიც იმეორებს კუხეთში (რუსთავი) V-VII სს-ით დათარიღებულ სარკოფაგზე ამოკვეთილი რელიეფური ჯვრის ფორმებს.

დმანისის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ჯ. კოპალიანი), პალეოლითური რაზმის პარალელურად, დაფინანსება გერმანიის ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმისგან მიიღო და მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა შუა საუკუნეების ნაქალაქარის პირველი უბნის III შენობის დასავლეთით. აქ გამოვლინდა IV ნაგებობა ორი საცხოვრებელი ოთახით, რომელთა კედლებიც უფორმო ბაზალტის ქვით თიხაზეა ამოყვანილი. მათ ბრტყელი გადახურვა უნდა ჰქონოდათ. XIII საუკუნის მასალასთან ერთად ამ ნაგებობაში აღმოჩნდა X-XI საუკუნის კერამიკული და ნუმიზმატიკური მასალა.

მაშავერას ხეობის ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. კახიანი) საყდრისის სამთო-გეოლოგიური საბადოს ტერიტორიაზე, დაგვიანებული დაფინანსების გამო, გათხრები ჩაატარა 2000 წლის თებერვალში. ექსპედიციამ საყდრისის ხევის მარჯვენა მხარეს შეისწავლა ოთხი დაზიანებული (№№ 1,3-5) და ერთი კარგად დაცული (№ 2) სამარხი. სამაროვანზე მიცვალებულები ქრისტიანულად ზურგზე გამოტილნი, უინვენტაროდ იყვნენ დაკრძალული და სამარხებიც, შესაბამისად, განვითარებულ ან გვიან შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ქრონიკა ექსპედიციათა ანგარიშების მიხედვით მოამზადა

ი.მ.კ. გ. მინდიაშვილმა

FIELD WORK IN 1999

Eleven expeditions and teams of the Centre for Archaeological Studies worked in field in 1999.

The Archaeological Expedition of the Southern Georgian Upland (Director M. Gabunia) proceeded with widening the archaeological ditch of the Palaeolithic monument discovered at the hill Amiranis Gora near Akhalkalaki. The diggings were not resulted in any archaeological evidence.

The Palaeolithic Team of the Dmanisi Archaeological Expedition (Director M. Nioradze). The excavations were funded and participated by Römisch-Germanisches Zentralmuseum of Mainz) carried out excavations of squares I and II of the Palaeolithic monument of Dmanisi site. In order to save an artifact, a skull of Homo Erectus, exposed by rain, had been extracted from a ditch one month earlier. As square I excavations showed, the process of emergence of layers between so-called crust (layer III) and basaltic lava had been accelerated under the impact of water. A few stone items and animal bones were got from layer III of square I. Layers III-IV beneath the crust, contained a quantity of remains of vertebrates (323 pieces) and only 93 stone items. The skull of Homo Erectus referred to, was found just in the S-T horizon of the 50/63 sq. of the fourth layer, while another skull with a fragment of the upper jaw (maxilla) was discovered on July 22, 1999 in the U-V horizon (52/62 sq.) of layer IV. The animal bones, belonging to the Early Quaternary Age were found in the same area.

Kaspi Regional Expedition (Director Z. Makharadze) supported by state funding, completed investigation of embankment of barrow burial №1 on Ioramis Gora and proceeded with excavations of Tsikhiagora. A mudbrick fortification wall with a buttress and 4 m width earthen road along with pottery discovered in situ were brought to light on the south slope of the hill, to the east of a gate. The work was continued on the top of the hill to investigate the great yard of a temple-complex and the terrace. A 15-20 cm thick rubble layer was discovered beneath the earthen level of the yard, while in the pavement under the rubble layer, two canals for water drainage directed to the collector-pit were attested. During the terrace investigation, a funnel-shaped pit, cut through the IV constructional level, was found. It was filled up

with fragments of more than forty vessels. The pottery finds provide a basis for dating, therefore, a further study of the terrace may give a favourable opportunity for compiling a stratigraphic plot of pottery belonging to the Hellenistic period.

Kukheti Expedition (Director Ts. Chikoidze), using the funds allotted during the oil pipe-line construction, conducted archaeological excavations in Vaziani-Akhali Samgori areas of the pipe-line. Vaziani № 1 damaged barrow-burial was investigated. A burial of the transitional period from the Middle Bronze to the Late Bronze Age was cleaned at the central part of the damaged stone embankment. The burial embankment, in turn, covered disturbed remains of an Aeneolithic settlement, containing tools of obsidian flakes and a cavity of round construction - dated to the mid-6th millennium B.C. A minor part of the necropolis (burials №1-3), damaged by the activity of the military forces and located on the territory adjacent to the pipe-line, was excavated in order to save the artifacts. According to preliminary dating, the monument can be attributed generally to the early stage of the Late Bronze Age. The embankment of the following monument - damaged barrow № 3 - was transected by a trench. In an araba shaped barrow pit (3×3,5×1,7 m), a bronze haft-holed dagger with rounded shoulders and black-polished pottery (the 18th cent. B. C.), characteristic of the Middle Bronze Age were brought to light.

Tsalka-Trialeti Expedition (Director G. Narimanashvili) explored the “cyclopic” sites and the adjacent territory of the region. The investigation has shown negative effects of the present-day anthropogenic processes upon archaeological monuments. The works aimed at recording and preserving the artifacts discovered due to the lowering of water level in the Tsalka water storage reservoir and exposure of the bottom, were continued in November. The most important among the discoveries of the expedition, were the grand paved ritual roads, attested by Middle Bronze Age barrows and inclined from East to West. A pit burial of the “Bedeni” culture, 11 cists of the Bronze Age were excavated by the expedition. The excavations of two barrows have begun, but one of them was left uncompleted due to bad weather. The exposed bottom of the reservoir was divided into four squares according to the density of concentration of the monuments. A topographic plan of the discovered monuments was drawn and they were properly plotted. A 4th cent. B. C. pit-burial, roofed with a threshing board, was investigated next to barrow №15

excavated by B. Kuftin. Two corpses were buried opposite each other. The inventory comprised pottery, bronze and silver jewellery and tiny bells. A few nearby cenotaphs were also excavated. The fallen menhir, with a ziggurat and two spirals engraved on it, was recorded in square III. The cited 11 cists, containing bronze and iron weapons and dated to the second half of the 2nd and the first half of the 1st millennia, were excavated.

Kolkheti Expedition (Director R. Papuashvili) carried out excavations in the village of Ergeta (Zugdidi district), Qulevi (Khobi district) and explored the area of the lower course of the rivers Rioni and Enguri. №№ 5-7 burials of the second necropolis of Ergeta were recorded and prepared for excavation. They are attributed to the second half of the 7th or the beginning of the 6th cent. B.C. by preliminary dating. According to the agreement concluded with “Terminal 2000” Ltd., the expedition surveyed by means of exploratory ditches the construction area at the confluence of the rivers Tsivi and Khobi. The remains of a plastered timber construction destroyed by strong fire were brought to light. Abundant pottery evidence and several stone items were found. On the grounds of numerous imported ware finds (so-called Attic black-glazed kylikes and skiphoi, Chian, Mendeian and Sinopean amphorae) the settlement can be dated to the 5th-4th cent. B.C. While exploring dunes, the expedition discovered 18th-19th cent. burials lacking inventory.

Vani Expedition (Director O. Lordkipanidze) continued excavations of three squares of the city site. The monumental canal of the lower terrace was cleaned all along its length. A silver coin, two bases of a so-called Attic type column and “brown-clay” amphorae were found. At the same site, one row of blocks placed in the “sockets” cut into rocky ground along the fence and a limestone capital from the stone heap were brought to light. The excavations were carried out in the north-eastern part of the central terrace of Vani city site. In particular, part of a tunnel of about 10m length was investigated. The tunnel entrance proved to be deliberately filled up with cobble-stones, while at 3,2 and 5,2 m from the entrance, the tunnel was fenced by cobble-stone walls of 1m height. The tunnel, cut beneath a polygonal tower, had no exit and evidently had been dug before the construction of the tower. Investigation of the inner room of a curtain adjusted to the tower was continued. A fragment of two stamped brown-clay Colchian tiles was found in the tile heap. A stamped handle of a Rhodian amphora and a minor stone altar were excavated on the territory adjacent to the curtain. The expedition began to

explore a cavity cut through the rocky ground of the slope, to the north-west of the city site. Fragments of Sinopean stamped tiles and of a limestone vase were found. Work was carried out as well at several sites of the upper terrace. A pit, cut through rocky ground, revealed at the b_{6,9}-c_{6,9}-d_{6,9} squares of the site № 214, proved to be noteworthy. A pot, three amphorae, a clay item of ambiguous designation and three iron daggers were discovered on the pit bottom. Quantities of ceramic fragments, both imported and of Colchian production were extracted from the ditch cut in the f_{2,5}-g_{2,5}-h_{2,5} squares of site № 176 of the upper terrace. Fragments of various tiles are especially numerous. A clay layer was found under a tile heap and beneath the later, remains of a structure of rusticated sandstone blocks were found. The structure is seriously damaged as well as the sacrificial table in front of it. At the same area, on the bottom of cavity, a gold plaque with representation of two birds, designed for decoration of garments and doubled spherical beads of gold were found, both items being typical of the Hellenistic period.

Hydroarchaeological Expedition (Director G. Gamkrelidze) in cooperation with the Institute of Naval Archaeology of Texas State University continued the hydroarchaeological exploration of the sea shelf in the vicinity of the city of Poti and Paliastomi lake with a view to locating the ancient site of the city of Phasis. The investigation of the bottom at 20-30 m depth did not provide any archaeological evidence. The existence of the archaeological material of the 3rd-5th cent. at the place "Natekhebi" in the western part of Paliastomi lake was again confirmed. The discovery of a copper coin of Emperor Constantius (337-361) is worth noting.

Svaneti Expedition (Director Sh. Chartolani) carried out archaeological excavations in community of Kala, Mestia district. 11 monuments of different chronological periods and function were recorded. Small scale diggings were undertaken on the following sites of Kala community: Lagurka - St. Ivrita and Kvirike church and the surrounding area. Sacrificial items - pottery and sardonyx and glass beads dated to the 6th-4th and 3rd-2nd cent. B.C. were found during the excavation of Vitiny altar, located to the south-east of Lagurka. The recent findings from Lagurka testify the existence of construction complex necessary for monastic life. The monument seemed to be destroyed by earthquake. The expedition surveyed the castle of Ghuri, attributed by preliminary dating inferred on the grounds of

provided data to the Late Middle Ages. The ruins of St. Barbara church ("Barbal") at the site of Heshkildi village were also explored. Here, along with other archaeological material, stucco fragments bearing frescoes and relief cross of the so-called "Bolnisi" type were found. The cross bears analogy with the relief cross engraved on the sarcophagus of the 5th-7th cent. discovered in Kukheti (Rustavi).

Dmanisi Expedition (Director I. Kopaliani) financed like the Palaeolithic team by Römisch-Germanisches Zentralmuseum of Mainz, undertook minor scale diggings to the west of the third construction at the first square of the Mediaeval site. The fourth construction was excavated with two dwelling rooms built up with broken basaltic stones. They must have had flat roofing. The 10th-11th cent. pottery and numismatic material were found along with the 13th cent. evidence.

Mashavera Expedition (Director K. Kakhiani) carried out excavations on the territory of Saqdrisi geological mine only in February 2000 due to delay in funding. The expedition investigated four damaged (№№ 1, 3-5) and one intact burials on the right side of Mashavera gorge. The deceased were buried in supine extended position and without inventory according to Christian custom. Therefore, the burials are to be dated to the Late Middle Ages.

The chronicle, based on documentary reports, was compiled by

G. Mindiashvili

გახსენება
IN MEMORIAM

ტარიელ ჩუბინიშვილი
(1920-1983)



ქართული არქეოლოგიის გამოჩენილ მკვლევარს ტარიელ ჩუბინიშვილს ახლა 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი დაიბადა 1920 წ. 14 ნოემბერს ცნობილი იურისტის ნიკოლოზ ჩუბინიშვილის ოჯახში. რადგან მშობლები ადრე დაკარგა, მას ზრდიდა ბებია, პედაგოგი ეკატერინე თაყაიშვილი, რომელიც იყო მსახიობი, რეჟისორი და ფუძემდებელი ქართული მოზარდ-მაყურებელთა თეატრისა. ტ. ჩუბინიშვილი თავიდანვე ჰუმანიტარული მეცნიერებით იყო გატაცებული, ცოტას წერდა კიდევ და მსახიობობაზეც ოცნებობდა. ბოლოს ისტორიის სიყვარულმა გადასძლია და 1939 წ. იგი შევიდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში – არქეოლოგიის სპეციალობით. ამ პერიოდში იგი მუშაობს სამთავროს სამაროვნის უძველესი ხანის ორმოსამარხებზე და მშვენიერ გამოკვლევას უძღვნის შუა ბრინჯაოს ხანის უნიკალურ ყორღანულ სამარხს ჯვრის განივკვეთიანი რაპირით. 1953 წელს იგი წარმატებით

იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც 1957 წ. ცალკე მონოგრაფიად გამოდის.

1953 წ. ტ. ჩუბინიშვილი მუშაობას იწყებს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ექსპედიციები შიდა ქართლში, იმერეთში, წალკა-თრიალეთში და სხვაგან თანდათან ამხვეილებენ მის ყურადღებას ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, მტკვარ-არაქსის კულტურაზე, რომლის თავდადებული და ერთგული მკვლევარი რჩება ცხოვრების ბოლომდე.

ტარიელ ჩუბინიშვილის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერესი ზემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის სიძველეების შესწავლისადმი. ერთ-ერთი დაზვერვის დროს იგი აფიქსირებს ამირანის გორას ახალციხეში და ამირანის გორას ახალქალაქში. ამ უკანასკნელზე იგი სადაზვერვო თხრილებს აკეთებს, ხოლო ახალციხის ამირანის გორაზე იწყებს სტაციონარულ გათხრებს, რითაც ფაქტობრივად საფუძველს უყრის ამ რეგიონის არქეოლოგიის მეცნიერულ შესწავლას.

შედეგი ბრწყინვალეა. ირკვევა, რომ მესხეთ-ჯავახეთი მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენს.

ამ ეტალონური ძეგლის კვლევას ეძღვნება 1963 წ. გამოსული ტ. ჩუბინიშვილის მონოგრაფია „ამირანის გორა. მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის“. ეს არის ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის შესანიშნავი ნიმუში. განხილულია ნასახლარის ტოპოგრაფია, არქიტექტურა, ცალკეა შესწავლილი კერამიკული ნაწარმი, სამკაული, საკულტო საგნები და რაც მთავარია უდიდესი ყურადღება ექცევა მეტალურგიას, მეურნეობას და სულიერ ყოფას. აქ მიკვლეული არქეოლოგიური მასალა მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთ ანატოლიის სინქრონულ ძეგლებს (ქარაზი).

ტ. ჩუბინიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი აყენებს საკითხს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს ხანისათვის მიკუთვნების შესახებ. როგორც ცნობილია, ბ. კუფტინი მტკვარ-არაქსის კულტურას „ენეოლითს“ აკუთვნებდა, მაგრამ მეტალურგიის განვითარების მაღალმა დონემ და მეურნეობის ხასიათმა, ამავე დროს ანატოლია-წინა აზიის სინქრონულ ძეგლებსა და კულტურებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ საფუძველი მისცა ტარიელ ჩუბინიშვილს, სავსე-

ბით სამართლიანად, ეს კულტურა ადრებრინაო-თი განესაზღვრა და III ათასწლეულის პირველი ნახევრისთვის მიეკუთვნებინა.

მტკვარ-არაქსის კულტურას, მის პერიოდიზაციას, ეტაპების დახასიათებას, ეკონომიკას, მეურნეობას, კულტურას და ჩვევებს, მის ისტორიულ ადგილს ეძღვნება ნაშრომები „სამხრეთ კავკასიის უძველესი კულტურები“ (1970 წ., ლენინგრადი, რუსულ ენაზე, კ. კუშნარევას თანაავტორობით) და „სამხრეთ კავკასიის ისტორიული მნიშვნელობა ძვ.წ. III ათასწლეულში (1963 წ., კ. კუშნარევას თანაავტორობით).

60-70-იან წლებში საქართველოს არქეოლოგიაში ახალი ეტაპი იწყება, ჩნდება და ისწავლება ქვემო ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ძეგლები. ტარიელ ჩუბინიშვილიც დიდი გაცაცებით ებძევა ადრესამიწათმოქმედო კულტურების გამოვლენა-გამოკვლევაში. იგი იწყებს ქვემო ქართლში არუხლოს ჯგუფის ძეგლების გათხრასა და შესწავლას, აღწევს კიდევ ძალზე საყურადღებო შედეგებს. ერთ-ერთი პირველი აწყობს კომპლექსურ ექსპედიციებს, იწყებს რა ამ მიზნით სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს: პალეობიოლოგებს, პალეობოტანიკოსებს, ნიადაგმცოდნეებს, გეოლოგებს, რადგან მას მტკიცედ სჯერა, რომ უძველესი კულტურების სამეურნეო-ეკონომიკური თუ ყოფითი სურათის მეტ-ნაკლებად სწორად წარმოსადგენად აუცილებელია პალეოეკოლოგიის გათვალისწინება. მთელი ეს მასალა მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა გამოქვეყნებული კრებულში „ადამიანი და გარემო“.

1971 წ. გამოდის ტარიელ ჩუბინიშვილის კიდევ ერთი მონოგრაფია „სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიისათვის (V-III ათასწ.)“, სადაც განხილულია კარდინალური საკითხები მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობისა და გავრცელების შესახებ. გარდა ამისა, მოცემულია ქვემო ქართლსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში აღმოჩენილი გვიანენეოლითური ძეგლები და ცდა მათი ურთიერთდაკავშირებისა. ამ ნაშრომის საფუძველზე ტ. ჩუბინიშვილი იცავს სადოქტორო დისერტაციას.

1972 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის განყოფილების გამგეა.

ტ. ჩუბინიშვილის კიდევ ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი დაინტერესება მალაღმთიანი რეგიონების კვლევით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლეჩხუმის შესწავლას, რადგან მიაჩნია, რომ მთიან რეგიონებში ყალიბდებოდა მწარმოებლური მეურნეობის პირველი კერები. მისი ინიციატივით იქნა ჩატარებული ცენტრის პირველი სადაზვერვო ექსპედიციები ლეჩხუმში. ტარიელ ჩუბინიშვილი ერთ-ერთი ავტორთაგანია „საქართველოს ისტორიის ნარკვევებისა“ ქართულ და რუსულ ენებზე. როგორც უაღრესად ერუდირებული და ფართო ღიაპაზონის მქონე მეცნიერი, იგი არ

იფარგლებოდა მხოლოდ კავკასიის ძეგლებითა და მასალებით და ყოველ პრობლემას განიხილავდა მცირე და წინა აზიის სინქრონულ კულტურათა და უახლეს მიღწევათა შუქზე. ამის ნათელი მაგალითია მისი ნაშრომი „ძველი წელთაღრიცხვის IV-IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურაში განმსაზღვრელი ნიშნების საკითხისათვის“ (ლ. ჭელიძესთან ერთად)

იგი იყო შესანიშნავი პედაგოგი, კითხულობდა ლექციებს სამხატვრო აკადემიაში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი ადამიანთა შემჩნევისა და მოზიდვის დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული და ამის გამო მან არაერთი კარგი მკვლევარი შესძინა ჩვენს არქეოლოგიურ მეცნიერებას.

1983 წ. 5 ივლისს შეწყდა ტარიელ ჩუბინიშვილის სიცოცხლე, იგი წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ენერგიითა და მრავალი ახალი იდეით სავსე, რომლის ასრულება მას აღარ დასცალდა.

დიდია ტ. ჩუბინიშვილის წვლილი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში და მის შემოქმედებასა და ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ამ პერიოდით დაინტერესებული მკვლევარი.

გულისხმიერი, ფაქიზი, ყველასადმი მეგობრულად და კეთილად განწყობილი, დახვეწილი იუმორითა და დიდი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მოწაფეებისა და კოლეგების გულში.

გურანდა ფხაკაძე

როსტომ აბრამიშვილი (1925-1996)



უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენ შორის აღარ არის ცნობილი ქართველი არქეოლოგი, კავკასიისა და მაზლობელი აღმოსავლეთის ბრინჯაორკინის ხანის სკრუპულოზური მკვლევარი, არაორდინარული პიროვნება ბატონი როსტომ მიხეილის ძე აბრამიშვილი.

რ. აბრამიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების (1948) შემდეგ გაიარა ასპირანტურის კურსი (1951) აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით; 1953-63 წლებში მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1963 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1963-1964 წლებში იგი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი, ხოლო 1964-1972 წლებში უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1972 წლიდან იგი ინიშნება ამავე ინსტიტუტის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგედ.

რ. აბრამიშვილი არის ერთ-ერთი ფუძემდებელი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნისა (1977) და თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის დამაარსებელი (1988). იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე არქეოლოგიური გამოფენების მოწყობისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (1988) და საქართველოს არქეოლოგიის გამოფენისა გერმანიაში (1995).

ბატონი როსტომი მონაწილეა ლოჭინის, წოფის, ხოვლე-გორის, სამცხე-ჯავახეთისა და აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციებისა. ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელობით ითხრებოდა და ისწავლებოდა კახეთის, ითხვისის, არგვეთის, ენგურის, დმანისისა და დიდი თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა თბილისის არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა-შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს. მისი უანგარო და თავდადებული მუშაობის შედეგად არა ერთი არქეოლოგიური ძეგლი გადაურჩა დანგრევა-განადგურებას.

მაგრამ მთავარი მისი სამეცნიერო მოღვაწეობაა. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების პერიოდიზაცია-ქრონოლოგია; ამავე პერიოდის არქეოლოგიურ კულტურათა რაობა, გენეზისი და ურთიერთმიმართება; რკინის წარმოების ჩასახვა-განვითარების ისტორია, კერამიკული ნაწარმის კვლევა და სხვა. მისი შრომებისათვის დამახასიათებელია საკვლევი საკითხის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, კვლევისას მიღებული მეთოდის სისწორე და მოსაზრების ნათლად და ლაკონიურად გადმოცემა.

ღრმა კვალი დატოვა, და ერთგვარ გზამკვლევად იქცა, ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საქმეში, მის მიერ სამთავროს სამაროვნის მონაცემთა საფუძველზე შემუშავებულმა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურმა სკალამ („სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის.“ სსმ, XIX-A და XXI-B, თბ., 1957). კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემებს მიეძღვნა აგრეთვე როსტომ აბრამიშვილის ინიციატივით, 1978 წელს ქ. სიღნაღში, მოწვეული საკავშირო თათბირი. მის მიერ წაკითხულმა ორმა მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია და კავკასიოლოგთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამავე პრობლემებს ეხება მისი მოხსენება, წაკითხული პრეისტორიულ და პროტოისტორიულ მეცნიერებათა VIII მსოფლიო კონგრესზე ბელგრადში 1971 წელს. ქრონოლოგია-პერიოდიზაციის დაზუსტებასთანაა დაკავშირებული ასევე „ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები,“ რომელიც ბატონი როსტომის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, თბ., 1997). საინტერესო და

საყურადღებოა როსტომ აბრამიშვილის მოსაზრებები რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ („რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე“, სსმ, XXI-B, თბ., 1961). რკინის მეტალურგიის უძველეს კერად, აღმოსავლეთ ანატოლიასთან ერთად, იგი რკინის საბადოებით მდიდარ ქვემო ქართლს მიიჩნევს და საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს, რასაც წერილობითი წყაროების ანალიზიც ადასტურებს. ამავე საკითხს ეხებოდა თ. მიქელაძესთან თანავტორობით შექმნილი ნაშრომი – „რკინის ათვისების საკითხისათვის ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში“, რომელიც მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 1976 წელს პრალაში პრეისტორიულ და პროტოისტორიულ მეცნიერებათა VII მსოფლიო კონგრესზე. ზემოაღნიშნულის შედეგია მისი, როგორც სპეციალისტის, საერთო აღიარება და მის შესახებ სტატიის მოთავსება ევროპის პრეისტორიისა და პროტოისტორიის ენციკლოპედიაში.

განსაკუთრებით დიდია რ. აბრამიშვილის ღვაწლი თბილისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში, რომელიც 1969 წლიდან დაიწყო მისი თაოსნობით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა და შესწავლილ იქნა ისეთი ეტალონური ძეგლები, როგორცაა ბრინჯაო-რკინის ხანის თრელიგორების ნამოსახლარი, თრელის სამაროვანი, დელისის ენეოლითური ნამოსახლარი და სხვა. გათხრების კვლევა-შედეგების ნაწილი დაიბეჭდა ნაშრომში – „თბილისი, I“ (1978), რომელმაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია დაიმსახურა. „თბილისი, II“ გამზადებულია დასაბეჭდად.

80-იან წლებში როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით განყოფილებაში დაიგეგმა საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის კვლევის პრობლემა. თავად კი, ამ პრობლემასთან მიმართებაში იკვლევს ამავე ხანის ზომორფულყურიან თიხის ჭურჭელს და მეტად საინტერესო დასკვნებს აკეთებს მისი გენეტიკის, გავრცელებისა და ქრონოლოგიის შესახებ. მისი აზრით, „ზომორფული ყურები მათი შემქმნელი საზოგადოების გარკვეულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს გამოხატავს და ამდენად, მატერიალური კულტურის ძეგლებში გამოხატულ ეთნიკურ ნიშნადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ“ (წლიური ანგარიშიდან).

1983 წლის აპრილში სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ ღია სხდომაზე როსტომ აბრამიშვილმა წაიკითხა მოხსენება – „საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურები.“ მან ახლებურად დააყენა საკითხი ზოგადად არქეოლოგიური კულტურის განსაზღვრისა და მისი ეთნოსთან ურთიერთმიმართებისა. აქედან გამომდინარე, ახლებურად იქნა გამოყოფილი ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხა-

ნაში არსებული არქეოლოგიური კულტურები და ეთნო-კულტურული ერთობები.

ამავე ხანებში ბატონი როსტომი მუშაობს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოდან კიმერო-თრაკიული და სკვითური ეთნიკური ელემენტის არსებობის პრობლემაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. ლენინგრადში, 1984 წლის ივნისში ა. იესენის ხსოვნისადმი მიძღვნილ სესიაზე რ. აბრამიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე – „კიმერო-თრაკიული ეთნიკური ელემენტისა და ე.წ. სკვითური სამეფოს არსებობის საკითხისათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.“ ამავე პერიოდში იგი მუშაობდა ნაშრომზე – „აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს სატევარ-მახვილები“, რომელიც გერმანიაში უნდა დაბეჭდილიყო.

სამწუხაროდ, 80-იანი წლების ნამუშევრები არ დაბეჭდილა და ისინი დღის შუქს ელოდებიან. არ დაუცავს ბატონი როსტომს სადოქტორო დისერტაცია, მაშინ როცა მისი ნაშრომები სწორედ სადოქტორო პრობლემებს მოიცავდა. ეს, ალბათ, ბატონი როსტომის ხასიათით უნდა აიხსნას: იგი იყო პასუხისმგებლობით სავსე, საოცრად მომთხონი და პრინციპული საკუთარი ნაშრომებისადმი (აგრეთვე სხვისი ნაშრომებისადმიც).

თავისი ღრმა ცოდნით, საოცარი მეხსიერებით, მუდამ დამუხტული ბუნებით და უშრეტი ენერგიით იგი თავისებურ, კოლორიტულ ელფერს სძენდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მუშაობას. მისი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, მისი ზმირ შემთხვევაში ორიგინალური ნააზრევი მუდამ საინტერესო და საკამათო იქნება ქართველი არქეოლოგებისათვის.

ნათელი იყოს მისი ხსოვნა.

ლამარა სახაროვა

ბესარიონ ჯორბენაძის მოსაზრება



2000 წლის 15 ივლისს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი არქეოლოგი, აკც არქეოლოგიის ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბესარიონ ალექსანდრეს ძე ჯორბენაძე.

იგი დაიბადა 1937 წლის 9 იანვარს თბილისში. უმაღლესი განათლება მიიღო სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთარებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში.

ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო ინტერესები იმთავითვე შუასაუკუნეების არქეოლოგიით განისაზღვრა. მან მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის, ურბნისის, ახალციხის, ორბეთის, მცხეთის, სიონის, რუსთავის, არმაზისხევის, კახეთის, ვარძიის, ჟაღეთისა და ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა ერწო-თიანეთისა და ჟინვალის ექსპედიციებში. ერწოს ველზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები აისახა მის მონოგრაფიაში „ერწო-თიანეთი ადრეულ შუა საუკუნეებში“. 1970-85 წწ. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა ჟინვალში ნაქალაქარის ვრცელი სამაროვანი, რომელმაც გამოაჩინა განვითარებული შუა საუკუნეების შესანიშნავი ძეგლები. ხანგრძლივი და თავდადებული საველე კვლევა-ძიება და გათხრები დაედო საფუძვლად მის 150-მდე მეცნიე-

რულ ნაშრომსა და გამოკვლევას. თითქმის დამთავრებული დარჩა დიდი მოცულობის ნაშრომი „სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესები განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში“, რომელიც მისი სადოქტორო დისერტაცია უნდა ყოფილიყო.

ბესარიონ ჯორბენაძემ დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე შექმნა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც აკვებდა ახალი ლიტერატურით, მუშაობდა არქეოლოგიურ ბიბლიოგრაფიაზე და არქეოლოგიური კვლევის ისტორიაზე.

1997 წლიდან ბატონი ბესარიონი სათავეში ჩაუდგა აკც არქეოლოგიის, ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილებას, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლო დღემდე. დიდა მისი წვლილი აკც ჟურნალ „ძიებანის“ გამოცემაში. 40 წლის მანძილზე აქვეყნებდა წერილებს, სტატიებსა და ცნობებს ქართულ სიძველეთა შესახებ ქართულ და რუსულ პრესაში საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენციკლოპედიის, ქართულ ენციკლოპედიასთან არსებული ძეგლთა ნუსხისა და ქართული ხელოვნების ძეგლთა მიკროფიშების გამოცემაში. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ კოლეგებთან.

ბესარიონ ჯორბენაძე – ჩვენი ბესიკი – იყო კაცთმოყვარეობის, მაღალი ზნეობისა და განსწავლულობის ნიმუში. ახასიათებდა სიცოცხლის მძაფრი სიყვარული, უშუალობა, გასაოცარი პიროვნული სითბო და ღვთით მომადლებული ნიჭი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული, ჩვენო ბესიკ.

ვერა ჩიხლაძე